ზურაბ ჟვანიას საქმეზე სკანდალური დასკვნა „დაიმალა“

iPRIME Time
N29 (227) ორშაბათი 22 ივლისი 2013 წ.
ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.g

რა კავშირი აქვს დაკარგულებთან ირაკლი ალასანიას

18 წლის წინათ გაუჩინარებული ბიჭების საქმე შეიძლება EXCLUSIVE ისევ განახლდეს

„ირაკლი ალასანიამ კარგად იცის ეს საქმე. მის გარდა, კიდევ სამმა. ისინი, ყველანი, ჩვენი ეზოს ბიჭები იყვნენ“

„რატომ გვარწმუნებენ, რომ გარდაცვლილი ჟვანია დიდხანს იჯდა სავარძელში, როდესაც ის იქ დიდხანს არ მჯდარა?

„პრემიერ-მინისტრის გარდაცვალების შემთხვევაზე ფოტო არ გადაიღო, ეს ნონსენსია, საერთოდ. ეს თავისთავად მეტყველებდა იმაზე, რომ რაღაც იმალებოდა“

მაია ნიკოლეიშვილი: „100 პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ იქ გაზით გაგუდვა არ ყოფილა“

იაშარ უსუპოვი: „რაულს მკერდის თავებში ჰქონდა ნაჩხვლეტები და როცა უფრო კარგად შევისწავლეთ მდგომარეობა, დავრწმუნდით, რომ ის ჯერ გათიშეს და მერე რაღაც შხამი შეუშვეს ორგანიზმში“

მიქაუტაძის მეუღლე „პრაიმტაიმს“ ტრაგედიის დეტალებს უმხელს

რა გარიგებაზე წასვლას აიძულებენ ბიზნესმენებს პროკურატურაში და რა ბრალდებას უყენებენ თეა წულუკიანს

EXCLUSIVE

დავით ბაქრაძე: „მარგველაშვილს, რა თქმა უნდა, აღვიქვამ, როგორც სახელსა და გვარს. ოღონდ უფრო მეტად სახელსა და გვარს, რომელიც ჟღერს, როგორც ბიძინა ივანიშვილი“

EXCLUSIVE

ჟვანიას კლინიკა სკანდალში ეხვევა

20 წლის გოგონას ბუნდოვანი გარდაცვალების საქმეს გამოძიება სწავლობს

ვისი ზარის ეშინოდა პოლიციიდან დაბრუნებულ მამუკა მიქაუტაძეს?

EXCLUSIVE

ზიზი ეძგვერაძე: „მამუკას სინანულის გრძნობა ჰქონდა, რომ მან დაწერა და მისი მეგობარი უარყოფდა. მეუბნებოდა, ამის გამო ძალიან ცუდად ვგრძნობ თავსო“

ნიკოლოზ მჟავანაძე: „არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მიქაუტაძის თვითმკვლელობამდე მიყვანა სხვა პირთა ჯგუფს უკავშირდება“

პრაიმერისის ერთ-ერთი მონაწილე სკანდალში ეხვევა

EXCLUSIVE

რას მალავს შოთა მალაშხია

შოთა მალაშხია: „ნებისმიერ შემთხვევაში მოგვიწევს არა მარტო პაატა დავითაიასთან, არამედ დანარჩენ ოპოზიციასთან ერთადაც ფართო კოალიციის გაკეთება“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

9 „რატომ?“ ჟვანიასა და უსუ

მარიამ ნადირაძე

აბა, სწორდით! ნუ მოდუნდებით! ხომ არ დაგავიწყდათ, რომ პროკურატურა ჟვანიასა და უსუპოვის გარდაცვალების რეალურ მიზეზებს იძიებს?! – დაახლოებით ასე ჟღერს პათოსი, რაც უკანასკნელ ხანს ყველა სააგიტაციო საშუალებით ვრცელდება, რადგან, როგორც ჩანს, სულაც არ არის კარგი ფონი, როცა „ოცნებისთვის“ განკუთვნილი ტაში მხოლოდ აქა-იქ თუ ჟღერს... არადა წინ საპრეზიდენტო არჩევნებია...

თუ ემოციების უფრო მეტად გამძაფრება დაგვჭირდება, ასეც გვეტყვიან: სააკაშვილს არჩევნების შემდეგ დავაპატიმრებთ, რადგან ჟვანიას საქმის გახსნას სწორედ იმ დროისთვის გამცნობთ საზოგადოებას!

ასე იყო მაშინაც, როცა საპარლამენტო არჩევნებამდე თავისუფლების მოედანზე ხალხი იმის მოლოდინში შეგროვდა, რომ სკანდალური ვიდეომასალა უნდა გამოქვეყნებულიყო, რომელიც ამ საუკუნის მკვლელობას ახდიდა ფარდას, მაგრამ...

რაც შეეხება ოფიციალურ განცხადებებს: მთავარი პროკურორი ისევ ძალიან მშვიდი ტონით გვაუწყებს, რომ გამოძიება, უბრალოდ, თავისი წესითა და რიგით მიდის...

თუმცა ჩვენ მაინც „გვირჩევნია, დავიჯეროთ“: სააკაშვილს არჩევნების შემდეგ დაიჭერენ და...

აბა, ისევ სწორდი! სმენა! ერო!

არადა, ემოციური თამაშების გარდა, მართლაც ისედაც ბევრი დეტალი დაგროვდა, რომ საზოგადოებამ მართლა ირწმუნოს გამოძიების პერსპექტივებზე და სანამ „პრაიმტაიმი“ დეტალურად დაგილაგებდეთ ამ დეტალებს თუნდაც ერთი სფეროს, ექსპერტიზის მაგალითზე, მანამდე მცირე გადახვევისთვის, ჯერ იმ „იმედში“ ჩაგაჭყიტებთ, რომელიც ერთ-ერთ დაზარალებულ მხარეს ობიექტურად და გაწონასწორებულად აქვს.

მაშ ასე, რაულ უსუპოვის მამა, იაშარ უსუპოვი:

– მართლა გახსნილია საქმე? რა იცით ამის შესახებ?

– ჯერჯერობით ძიება მიმდინარეობს. ბოლოშია თუ თავში, ამას ჯერ ვერ გეტყვით.

– ქვეყნდება ვერსიები, რომ თითქოს გამოძიება დასრულებულია, მაგრამ ამის შესახებ საზოგადოებისთვის ცნობილი მხოლოდ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გახდება...

– შეიძლება ამაში იყოს ნაწილობრივი სიმართლე, მაგრამ ჯერჯერობით ძიება გრძელდება, მაგრამ როდის დასრულდება, ვერ გეტყვით.

– ვერ მეტყვით იმიტომ, რომ არ გინდათ თქვათ, თუ, უბრალოდ, ინფორმაცია არ გაქვთ...

– არ მინდა, რომ ვთქვა, რადგან ამით შეიძლება ხელი შევუშალო გამოძიებას.

– თუმცა რეალური ინფორმაცია გაქვთ?

– მე ბევრ ინფორმაციას ვფლობ ახალი გარემოებების შესახებ...

– არის საუბარი, რომ თითქოს რაულ უსუპოვის სხეულში ნემსით არის შეყვანილი შხამი, რაც მის სისხლში აღმოაჩინეს. რამდენად შეესაბამება ეს სინამდვილეს?

– ამას მე თავიდანვე ვამბობდი...

– თუმცა თქვენ მაშინ აცხადებდით, რომ „CO“ მის სხეულში შპრიცით შეიყვანეს...

– არა, ჩვენ „CO“ არასდროს გვიხსენებია. ეს მარტო მაშინდელი მთავრობის ოფიციალური პოზიცია იყო, რომ თითქოს ამით მოიწამლნენ, მაგრამ ჩვენ ვამბობთ, რომ რაულს მკერდის თავებში ჰქონდა ნაჩხვლეტები და როცა უფრო კარგად შევისწავლეთ მდგომარეობა, დავრწმუნდით, რომ ის ჯერ გათიშეს და მერე რაღაც შხამი შეუშვეს ორგანიზმში. ამას დამტკიცება უნდა, მაგრამ, მე მგონი, ამას დაამტკიცებენ.

– თქვენ რა ტიპის შხამზე საუბრობთ?

– ამას ვერ გეტყვით. მიდის გამოძიება და დადასტურდება...

– ე.ი. გამოძიება ამ კუთხითაც მუშაობს?

– ვერ გეტყვით... მაგრამ გამოძიება თუ დაინტერესებულია სიმართლის გარკვევაში, მაშინ ყველა დეტალი იქნება განხილული. ახლა ისე არ ხდება, როგორც ადრე, როცა საქმის დახურვაზე უფრო მუშაობდნენ, ვიდრე გახსნაზე.

– გულისხმობთ წინა ხელისუფლების პირობებს?

– რა თქმა უნდა. ისინი დანაშაულის დაფარვაზე მეტს მუშაობდნენ, ვიდრე გახსნაზე. ახლა სწორედ იმის იმედი გვაქვს, რომ საქმე აუცილებლად გაიხსნება. ბევრი რამ უკვე გაირკვა, რაც დღემდე არ ვიცოდი. რას ვგულისხმობ, ძალიან გთხოვთ, ნუ მკითხავთ, რადგან თვითონ გამოძიების ინტერესები მოითხოვს ამას, რომ არ ვთქვა. რაკი მე მენდნენ და მითხრეს, ჩვენ ერთი მხარე ვართ – დაზარალებული და გამოძიება. სათქმელი რომ იყოს, თვითონ გამოძიება იტყოდა ამას. ნაციონალები რომ ითხოვენ, ფაქტები დაიდოსო, ნამდვილად დაიდება ფაქტები. ვერსიების დრო უკვე დამთავრდა. ვერსია ისიც იყო, რომ გაზით გაიგუდნენ, მაგრამ ხომ დარწმუნდა ყველა, რომ არანაირი გაზი არ ყოფილა? მაგრამ დღეს ნაციონალები მაინც იძახიან გაზისგან მოხდა მოწამვლაო. უბრალოდ, არ რცხვენიათ. ტყუილის ასე მტკიცება ასე ადვილი ხომ არ არის?

– ბატონო იაშარ, თქვენ აცხადებთ, რომ დარწმუნებული ხართ ძველი ვერსიის სიცრუეში. პარალელურად ამბობთ, რომ გამოძიებამ რაღაც დეტალები გაგიმხილათ. გამოდის, რომ გამოძიება უეჭველად უარყოფს ნაციონალური ხელისუფლების ვერსიას გაზით გაგუდვის თაობაზე?

– მეც დავრწმუნდი და გამოძიებაც რწმუნდება, რომ იმ ღამით გაზი არ ყოფილა იმ ბინაში.

მოდით, ამ თემას უკვე პროფესიონალური კუთხით გავყვეთ და იმ ადამიანს შევეკითხოთ, რომელსაც ამ ისტორიასთან ირიბი, მაგრამ სპეციფიკური შეხება ჰქონდა.

მაია ნიკოლეიშვილი, დამოუკიდებელი ექსპერტი:

– თუ მართლა გახსნილია საქმე, რას შემოგვთავაზებს გამოძიება და რის მოლოდინი უნდა გვქონდეს მისგან?

– დავიწყოთ იმით, რომ მე უშუალო მონაწილეობა არ მიმიღია ექსპერტიზაში. არ მოუმართავს ოჯახს და ბუნებრივია, ჩემი ინიციატივით თავს ვერ შევთავაზებდი. არადა, ეს ის პერიოდი იყო, როცა, თუკი რამე მნიშვნელოვანი საქმე იყო, აბსოლუტურად ყველაში ვმონაწილეობდი. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა მონაწილეობა არ მიმიღია გახმაურებული საქმის ექსპერტიზაში. მე ველოდებოდი ოჯახისგან მომართვას, მაგრამ უფრო მეტად სააკაშვილისგან ვიფიქრებდი, რადგან სხვა ყველა შემთხვევაში სააკაშვილი თვითონ რეკავდა და ითხოვდა, რომ მე ჩავრთულიყავი. მაგრამ ფაქტია, რომ, როცა რესპუბლიკური საავადმყოფოს პათანატომიის სასექციოში იკვეთებოდა გვამი და არა ექსპერტიზის სასექციოში, იმ ტერიტორიაზე ჩიტი ვერ შეფრინდებოდა, ისეთი პრესი იყო შემსვლელებზე, როგორც სპეცოპერაციის დროს. მაშინ იყო, რომ ეზოშივე გამოვიდა ექსპერტი ბიოლოგი და ძალიან მოკლე დროში ექსპერტიზის დაწყებიდან განაცხადა, რომ სისხლში აღმოჩნდა CO და მისი კონცენტრაციის განმსაზღვრელ ციფრად დაასახელა, თუ არ ვცდები, 24. ეს ძალიან ჰგავდა იმ დილით მოსმენილ მელიორატორ ვანო მერაბიშვილის ვერდიქტს ნათელმხილველობის დონეზე, რომელმაც სასამართლო-მედიკური დიაგნოზი გამოაცხადა, რომ პრემიერი და რაულ უსუპოვი მოიწამლნენ გაზით. ჩემთვის ეს ყველაფერი იყო გამაოგნებელი, რადგან, კონცენტრაცია, რაც დასახელდა, უბრალოდ, არ იწვევს სიკვდილს. ასეთი დაბალი კონცენტრაციის დროს არის მხოლოდ მოწამვლა, თავბრუსხვევა, გულისრევა და რაც უფრო იმატებს კოცენტრაციები, კლინიკური სურათი უფრო მძიმეა და სამოციდან ზევით უკვე სასიკვდილოა.

– შემდეგ ხომ შეიცვალა ეს ციფრი?

– სწორედ აქეთ მიმყავს საუბარი. იმ ექსპერტმა ბიოლოგმა ასეთი განცხადებით, უბრალოდ, ბეჭედი დაუსვა ვანო მერაბიშვილის ნათქვამს, დაამოწმა, ასე ვთქვათ. იმას, რაც მაშინ ექიმმა ბიოლოგმა ჩაატარა, დღეს ქიმიკოსი ატარებს. მაგრამ მაშინდელ აპარატზე, რომელიც იყო, პირდაპირ გეტყვით ამ სიტყვას, დაფეხვილი, რამდენად კეთდებოდა ასეთი გამოკვლევა, ამას ძალიან დიდი ეჭვის ქვეშ დავაყენებდი, რადგან ამ აპარატს არ ჰქონდა დღევანდელი აპარატების სიზუსტე, როცა ის თვითონ იძლევა ციფრებსა და მონაცემებს. ის იყო აპარატი, რომელშიც ექსპერტის თვალზე იყო და-

რატომ დასახელდა ის კონცენტრაცია, რაც არ იწვევს სიკვდილს?

როგორ შეძლო ექსპერტმა CO-ს კონცენტრაციის განსაზღვრა აპარატით, რომელიც რეალურად არ ჰქონია?

რატომ იყო კონცენტრაციის ოდენობა გამოხატული კენტ რიცხვად, როცა ხელსაწყოში ის წყვილ ციფრებში იზომება?

რატომ ჰქონდა დაზიანება ტუჩზე პრემიერ-მინისტრს?

როცა CO-სგან გამომწვევი გვამური ლაქის შეფერილობა ალისფერია, რატომ დაიწერა სხვა ფერი?

რატომ არ იყო აღწერილი მოწამვლის კლინიკური სურათი გარდაცვალებამდე?

რატომ გვარწმუნებენ, რომ გარდაცვლილი ჟვანია დიდხანს იჯდა სავარძელში, როდესაც ის იქ დიდხანს არ მჯდარა?

რატომ არ გადაუღეს გარდაცვლილებს ფოტოები?

რატომ არ მივიდა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი შემთხვევის ადგილზე?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ПОВის გვამების გამოკვლევაზე

რა იქნება გზამკვლევი გამოძიებისთვის?

მოკიდებული კონცენტრაციის გამოყვანა. ძალიან სუბიექტური იყო ის. რაც მთავარია, ეს აპარატიც კი არ ჰქონდა ექსპერტს იქ და საინტერესოა, როგორც განსაზღვრა მან ეს კონცენტრაცია სისხლში იქვე, სასექციოში, როცა ასეთი რამ მართლა ფანტასტიკის სფეროდან არის, ვინაიდან ეს აპარატი იდგა ექსპერტიზის სასექციოში, ავლაბარში. აი, აქ გავჩერდეთ ამ თემაზე. საღამოს „მზეზე“ მიმიწვია ირაკლი იმნაიშვილმა. სწორედ აქ დავაფიქსირე ჩემი პოზიცია, რომ ან გამოცხადებული ციფრი იყო ტყუილი, ან თავად შემთხვევა, რასაც გვიყვებოდნენ, ის იყო ტყუილი, ანუ სწორედ აქ დაისვა პირველად ეჭვქვეშ გარდაცვლილების დაღუპვა თავსმოხვეული მიზეზით და ვანო მერაბიშვილის დილანდელი განცხადება უსაზღვრავდა გამოძიებას მიმართულებას. ანუ, ეს უკვე რაღაცის შეთითხნაზე მეტყველებდა. მაშინ მახსოვს კიდევ, რომ ირაკლი იმნაიშვილმა კამერას მიმართა სიტყვებით – დაიმახსოვრეთ, სწორი პასუხია 60-დან ზევით. ანუ, კონტექსტი იყო, რომ, თუ გინდათ, რომ მაინცდამაინც СО-ს კონცენტრაციით დაიღუპოს კაცი, მაშინ ციფრი მაინც მიეცით ნორმალურიო. ირონიულად ჩავთვალეთ ეს განაცხადი, მაგრამ საოცრება ის იყო, რომ მეორე დღეს ეს ციფრი მართლა შეიცვალა და გამოცხადდა, თუ არ ვცდები – 67. ამ მონაცემშიც კი სასაცილოდ შეცდნენ, რადგან იმ ძველ ხელსაწყოში კონცენტრაცია იზომებოდა წყვილ ციფრებში და არა კენტში, აქ კი კენტი იყო მოცემული. გადაცემიდან მეორე დღესვე პროკურატურა მივიდა ტელევიზიაში, ამოიღო გადაცემის ჩანაწერი და წაიღო. რამდენიმე დღეში გადაცემა საერთოდ დაიხურა. ის კასეტა კი ტელევიზიაში არ დატოვეს. ამას მოჰყვა საუბარი იმაზეც, რატომ ჰქონდა დაზიანება ტუჩზე პრემიერ-მინისტრს. ეს იყო ნაჭდევი, რომელიც მკვრივი ბლაგვი საგნით იყო მიყენებული სიცოცხლის დროს. ამასთან დაკავშირებით თქვეს, რომ როდესაც საბურთალოს ბინაში შევიდნენ და გარდაცვლილი ნახეს, რეანიმაციული ღონისძიებები ჩაუტარეს, ანუ ვთქვათ, ხელოვნური სუნთქვა. იგივე გაიმეორა ლევან ჩაჩუამაც. ოღონდ საინტერესო იცით, რა იყო? მერე ასევე მოვიდა ჩემამდე ვახო კომახიძის საშუალებით ექსპერტიზების მთელი დასკვნა. გავოგნდი და ვკითხე კიდეც, ვინ მოგცა ეს დასკვნები-მეთქი. რა მნიშვნელობა აქვსო... მე გვარი არ მაინტერესებდა. უბრალოდ, გამიკვირდა, ვინ იყო ის ადამიანი, რომელმაც ამდენი გარისკა, რომ ესენი მას მისცა ხელში. ექსპერტი ვარ 20 წლის სტაჟით. დარწმუნებული ვიყავი, რომ მართლა ექსპერტმა მისცა, ოღონდ საკმაოდ მაღალჩინოსანმა, რადგან იქ იყო სასამართლო, სამედიცინო, ქიმიური, ბიოლოგიური და ა.შ. სხვადასხვა დასკვნები და რაკი ეს ყველა ვიღაცის ხელში მოხვდა, ე.ი. ხელმძღვანელი პირი უნდა ყოფილიყო. მერე უკვე მოგვიანებით, როდესაც მოვლენები ისე განვითარდა, როგორც უკვე განვითარდა, ეჭვი გამიჩნდა, რომ ეს დოკუმენტები ლევან სამხარაულის ხელიდან გავიდა. ყოველ შემთხვევაში, როცა მასალას ჩავხედე, ბევრი საინტერესო რამ აღმოვაჩინე. როდესაც არის СО-თი მოწამვლა, გვამურ ლაქებს აქვს საოცარი შეფერილობა, ალისფერი, რომელსაც, თუ ექსპერტი ერთხელ ნახავს, ის მას არასდროს არაფერში შეეშლება. კუნთებიც კი შეფერილია ალისფერში. აღწერილობაში კი გვამური ლაქები იყო მოცემული ჩვეულებრივ ფერში, როგორც არის ყველგან. რაც ნიშნავს იმას, რომ ამ ექსპერტებმა არ დაწერეს СО-ს შეფერილობა, რადგან ის არ იყო.

– თუ გვამურ ლაქებზე გავაგრძელებთ საუბარს, საინტერესოა მათი განლაგებაც, ვინაიდან, ცნობილია, რომ ზურაბ ჟვანია აღმოაჩინეს სავარძელში დამჯდარი...

– დიახ, ასე ითქვა და ექსპერტიზაშიც აღწერილია გვამური გაშეშება, რომელიც კარგად არის გამოხატული. თუ გაშეშება იყო, ეს ნიშნავს, რომ ის დიდხანს იყო სავარძელში, 4-6 საათი მაინც, სანამ სხვა ზედაპირზე გადაიყვანდნენ. თუ გაშეშება იყო, მაშინ გვამური ლაქები სხვანაირად ჩამოყალიბდებოდა. ანუ, როდესაც გარდაცვლილი დიდი ხნის განმავლობაში არ არის იმ მდგომარეობაში, როგორც გარდაიცვალა და მას უცვლი მდებარეობას და ფორმას, გვამური ლაქები, რომელიც იმ მდგომარეობაში ყალიბდება, გადაინაცვლებს ქვედა ზედაპირზე, ვთქვათ, თუ მას დააწვენ ზურგზე, ის ჩამოყალიბდება ზურგზე და უკანა გვერდით ზედაპირებზე. მაგრამ, თუ გარდაცვალების მდგომარეობაში ის იყო დიდხანს, ეს გვამური ლაქები ადგილზე რჩება და წარმოიქმნება ახალი ლაქები მისი მდგომარეობის შეცვლის

მიხედვით. ანუ, ისიც რჩება და ისიც. ამ შემთხვევაში პრემიერს გვამური ლაქები ჰქონდა მხოლოდ ზურგზე და უკანა გვერდით ზედაპირებზე. არადა ექსპერტიზის მასალებში ეწერა, რომ სავარძელში მჯდომ ცხედარს ჰქონდა გაშეშება. გვამური ლაქების აღნერილობით შემიძლია ვთქვა, რომ სინამდვილეში ის სავარძელში არ იქნებოდა დიდი ხნის განმავლობაში, არადა გამოძიება რა ვერსიასაც გვთავაზობდა, იმის მიხედვით, ის იმ სავარძელში დიდხანს უნდა ყოფილიყო. ანუ აქაც გაიჭედა ექსპერტიზა. საინტერესო ისიც იყო, რომ გარდა იმისა, რომ გვეუბნებოდნენ, გინდა თუ არა СО-ს ხან დაბალი და ხან მაღალი კონცენტრაციით მოხდა მოწამვლაო, მოწამვლის კლინიკური სურათი საერთოდ არ იყო აღწერილი, რაც გარდაცვალებას წინ უნდა უძღოდეს, ვთქვათ, პირღებინება...

– ისევ ტუჩის დაზიანებაზე შევჩერდეთ. ის მიყენებული იყო ჯოხით, მუშტით, ფეხით თუ?.. შეიძლება ამის განსაზღვრა?

– პრაქტიკულად შეუძლებელია. აღწერილი იყო მცირე ზომის ნაჭდევი, მაგრამ გასაკვირად არ იყო ფოტოები. ეს თავისთავად საეჭვო გახლდათ, რადგან ომის დროსაც კი, როცა „პლიონკა“ ძალიან ძვირი ღირდა და დაფინანსება არ არსებობდა, განსაკუთრებულ შემთხვევებში ფოტოს ვიღებდით და პრემიერ-მინისტრის გარდაცვალების შემთხვევაზე ფოტო არ გადაიღო, ეს ნონსენსია, საერთოდ. ეს თავისთავად მეტყველებდა იმაზე, რომ რაღაც იმალებოდა. მერე ჩამოვიდა ამერიკიდან ექსპერტიზა, სადაც ნათქვამი იყო, რომ კონცენტრაციამ არაერთხელ მიაღწია სასიკვდილო დონეს. იქვე გამოჩნდა სხვა თარგმანი, სადაც წერია, რომ არც ერთხელ

არ მიუღწევია კლინიკური კონცენტრაციისთვის. მაშინ ეს ყველაფერი ძალიან ჭკვიან ადამიანთან გავაანალიზე. მისგან მიღებული კონსულტაციით ამ დასკვნის რევიზია გავაკეთეთ ძალიან კომპეტენტურ ადამიანთან და მივედით დასკვნამდე, რომ იქ ნამდვილად არაფერი იყო. მერე იცით, რომ კომახიძემ გააკეთა ფილმი, რომელშიც ვთხოვე, რომ მხოლოდ ტუჩის დაზიანებაზე ვისაუბრებდი, რადგან მეც ვხვდებოდი, რომ ეს უკვე ძალიან დიდი რისკის შემცველი იქნებოდა. ფილმის გასვლის შემდეგ ლევან სამხარაულიც მოკლეს. ჩვენ გავაკეთეთ ამაზე მასალა, მისი მკვლელობის შემდეგ მკვლელის თვითმკვლელობაზე ორი იარაღით. მე ვთვლი, რომ ეს ერთ-ერთი კარგი ექსპერტიზა იყო, რაც თქვენი გაზეთის ფურცლებზე დაიწერა, რა თქმა უნდა, ექსპერტიზის მინუსებზე მუშაობით. მე რატომღაც მგონია, რომ ლევან სამხარაულმა არ და ვერ გააფუჭა ეს საქმე, რაც მაშინდელ ხელისუფლებას ძალიან უნდოდა, რომ ეს სუფთად ყოფილიყო გაფუჭებული. მე რა თქმა უნდა, მის სულს არაფერს ვაკადრებ, მაგრამ საოცრება იყო, რომ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი შემთხვევის ადგილზე არ მისულა. იმ ბინაში ექსპერტი არ ყოფილა, როცა უნდა ყოფილიყო. რამდენადაც მე ვიცი, თვითონ ლევან სამხარაული იყო მისული შემთხვევის ადგილზე, მაგრამ არა სამედიცინო ექსპერტი, რაც აუცილებლად უნდა ყოფილიყო.

– ჩვენ ბევრი ვისაუბრეთ ჟვანიას გვამის გამოკვლევაზე. რამე წინააღმდეგობა თუ გახსოვთ რაულ უსუპოვის შემთხვევაში?

– ექსპერტიზის დასკვნაში არაფერი წერია რაულ უსუპოვის დაზიანებაზე, ანუ იმაზე, რასაც თავიდანვე აცხადებდა მისი მამა. ფოტო, რა თქმა უნდა, იქაც არ არსებობს. გვამური ლაქები არც იქ არ არის ის ფერი, რაც СО-ს ახასიათებს.

– ოჯახის წევრები იმთავითვე აცხადებდნენ, რომ მკერდზე მას ნაჩხვლეტები ჰქონდა, ყელზე აღენიშნებოდა დაზიანების კვალი... ამის შესახებ ექსპერტიზაში არაფერი ეწერა?

– მსგავსი არაფერი ეწერა.

– გასულია ამდენი წელი... როგორ ფიქრობთ, იმის ფონზე, რაც ამ ხნის განმავლობაში დაიკარგა, პროკურატურა რეალური სურათის აღდგენას მოახერხებს?

– აღდგენის ერთ-ერთი გზა არის ექსჰუმაცია, მაგრამ ამას, რა თქმა უნდა, აზრი არ აქვს ისეთი დაზიანებებისთვის, რომელსაც ახლა ვამბობთ. თუმცა, რამდენადაც ვიცი, თითქოს ამ დაზიანებებზე მობილურით გადაიღეს სურათები... მაშინ უსუპოვის ოჯახი რომ დამკავშირებოდა, რა თქმა უნდა, ჩავიდოდი და ამას ყველაფერს დავაფიქსირებდი, ვერ წარმომედგინა რა სააკაშვილისა და მერაბიშვილის რეჟიმის პირსისხლიანობა, რაც შემდეგ აღმოჩნდა. მაშინ არ მეშინოდა, რადგან არ ვიცოდი, ვინ იყვნენ ისინი რეალურად და ალბათ, ამ სისულელეს ჩავიდენდი და ბუნებრივია, მივიღებდი უფრო მეტს, ვიდრე მივიღე. ახლა კი... ექსჰუმაცია, როგორც გითხარით, უკვე არაფრის მომცემია, ვინაიდან რბილ ქსოვილებზე ამდენი ხნის შემდეგ დაზიანებების ძებნა, უბრალო წვალება იქნება და მეტი არაფერი, თუ, რა თქმა უნდა, არ არსებობს სხვა გარემოებები.

– ამ ბოლო დროს გამოჩნდა კიდევ ერთი დეტალი, რომ თითქოს ჟვანიას სხეულშიც შპრიცით შეუშვიათ რაღაც ბლანტი სითხე... ამ ვერსიის კვალი სადმე შეგინიშნავთ ექსპერტიზის დასკვნებში?

– ვფიქრობ, რომ ეს ძალიან უცნაური ინფორმაციაა, რომელიც ძალიან შორს უნდა იყოს რეალობისგან. მე ექიმი ვარ და ვიცი, რომ სხვადასხვა თხევადი ნივთიერებები, რა თქმა უნდა, განსხვავდებიან ერთმანეთისგან სიმკვრივით, მაგრამ, როდესაც შპრიცში ამოღებულია სითხე, გვერდიდან თუ შეხედავ, ვერაფრით იტყვი, ის ბლანტია თუ თხევადი. მე შემიძლია გითხრა, რომ ის მუქია, ან გამჭვირვალე, ან ოდნავ შემღვრეული, მაგრამ მის სიმკვრივეზე ვერაფერს გეტყვი. ასეთი არასაიმედო ინფორმაციების მიზანი ხშირ შემთხვევაში სულ სხვაა. არასაიმედოა იმიტომ, რომ თუ ეს თვითმხილველისგან იყო გავრცელებული, ძალიან მაღალი ალბათობით ის ცოცხალი აღარ უნდა იყოს. ზოგჯერ სპეციალურად ხდება ძალიან არარეალური ინფორმაციის შეგდება, რომელიც უნდა გავრცელდეს, იმის გამო, რომ რეალურად ინფორმირებულმა ადამიანმა დაიწყოს იმის მტკიცება, სინამდვილეში როგორ იყო ეს ყველაფერი. ანუ, ერთგვარი შემოწმებაა, ვინ რა ინფორმაციას „ჩამოვა“, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ორივე დაზარალებული ოჯახი კატეგორიულად დუმს ყველა ახალ დეტალზე და ძალიან კარგადაც იქცევა.

– როგორ ფიქრობთ, ის წინააღმდეგობები და მინუსები, რაც არსებობს უკვე ჩატარებულ ექსპერტიზებში, პროკურატურისთვის საკმარისი იქნება, რომ მივიდეს შედეგამდე – ჟვანია და უსუპოვი გაზით არ მოწამლულან? საზოგადოება ხომ ძირითადად ამ კითხვაზე ელოდება ოფიციალურ პასუხს?

– 100 პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ იქ გაზით გაგუდვა არ ყოფილა. რაც შეეხება პროკურატურას, მას გადამოწმების გაცილებით მეტი საშუალება აქვს და როგორ უნდა გაკეთდეს ეს, კარგმა გამომძიებელმა ჩემზე უკეთ იცის. ჭკვიან გამომძიებელს შეუძლია ამ მინუსებს გაჰყვეს, როგორც გზის მაჩვენებელს და მივიდეს კონკრეტულ დასკვნებამდე. ბოლოს და ბოლოს, იმ ექსპერტებმა შეიძლება თქვან სიმართლე, ვინც მაშინ დაშინებულები იყვნენ. ძალიან საინტერესო იქნებოდა იმ ექსპერტი ბიოლოგის პასუხი დღეს კითხვაზე – რით ახსნის ის იმ ციფრებს შორის სხვაობას, რომელიც ქრომატოგრაფმა სხვადასხვა დღეს სხვადასხვა აჩვენა? ან, დალოცვილო, როგორ თქვი განსაზღვრული ციფრი, როდესაც ქრომატოგრაფი იმ დღეს შენ იქ არ გქონდა? ეს ადამიანი ხომ ჯანმრთელად არის? ღმერთამა კარგად ამყოფოს, მას, ალბათ, აუცილებლად დაკითხავდა გამომძიებელი.

„ეს იყო ნაჭდევი, რომელიც მკვრივი ბლაგვი საგნით იყო მიყენებული სიცოცხლის დროს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მიქაუტაძის მეუღლე „პრაიმტაიმს“ თვითმ

EXCLUSIVE

my View
მირიან ბოქოლიშვილი

36 წლის მამუკა მიქაუტაძის თვითმკვლელობამდე მიყვანის საქმეში ახალი დეტალები იკვეთება. „გვამზე გარეგნულად მექანიკური დაზიანების რაიმე ობიექტური ნიშნები არ აღინიშნება“, – ამ შინაარსის დასკვნა დადო სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიურომ. და თუკი არ ყოფილა ძალადობა, მაშინ ჩნდება ლოგიკური კითხვა – რამ აიძულა ორი მცირეწლოვანი შვილის მამა, 36 წლის მამაკაცი თბილისის ზღვაზე სიცოცხლე თვითმკვლელობით დაესრულებინა. მამუკა მიქაუტაძის მეუღლე იმ ჩვენებაზე ამახვილებს ყურადღებას, რომელიც მიქაუტაძემ პოლიციის სამმართველოში დაწერა და რომლის გამოც სინანულს განიცდიდა. ზიზი ეძგვერაძე არ გამორიცხავს, რომ პოლიციის სამმართველოდან გამოსულ მის მეუღლეს ამ ჩვენების გამო პრობლემები შეჰქმნოდა. სანამ ზიზი ეძგვერაძესთან ინტერვიუს გაგაცნობთ, გეტყვით იმასაც, რომ მამუკა მიქაუტაძე, მეგობარ გელა მანჯავიძესთან ერთად, პოლიციის სამმართველოში 5 ივლისს მიიყვანეს. მიქაუტაძემ ჩვენება დაწერა და განაცხადა, რომ მარიხუანა მის მეგობარ გელა მანჯავიძეს ეკუთვნოდა. თავად მანჯავიძე კი ამ ფაქტს უარყოფდა და ჩვენებას არ წერდა (თუმცა მიქაუტაძის თვითმკვლელობის შემდეგ მან აღიარებითი ჩვენება დაწერა და გირაოთი გაათავისუფლეს).

„გელამ არ დაწერა ჩვენება და საბოლოოდ მაინც დანაშაულის შეგრძნებით მოუწია მამუკას იქიდან წამოსვლა. სინანულის გრძნობა ჰქონდა, რომ მან დაწერა და მისი მეგობარი უარყოფდა. მეუბნებოდა, ამის გამო ძალიან ცუდად ვგრძნობ თავსო“, – გვიყვება მიქაუტაძის მეუღლე ზიზი ეძგვერაძე.

და მაინც, საინტერესოა კონკრეტულად რა წერია მამუკა მიქაუტაძის ჩვენებაში და შესაძლებელი იყო თუ არა, სწორედ ამ ჩვენების გამო, მას მეგობრებთან პრობლემები შეჰქმნოდა. „პრაიმტაიმი“ გთავაზობთ ამონარიდს მიქაუტაძის ჩვენებიდან, რომელიც მან პოლიციის სამმართველოში მისცა.

„მოგახსენებთ, რომ გამომძიებლის მიერ სრულად განმემარტა ჩემი, როგორც მოწმის უფლება-მოვალეობები. გაფრთხილებული ვარ ცრუ ჩვენების მიცემის შემთხვევაში მოსალოდნელი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ. ვცხოვრობ ხსენებულ მისამართზე. ვარ ავტომანქანის ხელოსანი და დრო და

სახელმწიფო ექსპერტი: „გვამზე გარეგნულად მექანიკური დაზიანების რაიმე ობიექტური ნიშნები არ აღინიშნება“

დრო ვარემონტებ სატვირთო ავტომანქანების ძრავებს. ვმუშაობ შეშელიძის ქუჩის მიმდებარედ არსებულ სადგომზე, სადაც ვარემონტებ მანქანებს. საქმის ირგვლივ მოგახსენებთ შემდეგს: 2013 წლის 5 ივლისს, დაახლოებით 13:00 საათზე, როდესაც ვიმყოფებოდი სადგომზე ჩემთან მოვიდა ნაცნობი, გელა მანჯავიძე, რომელმაც თავისი ავტომანქანა „ოპელ ვექტრა“ გააჩერა ავტოსადგომის შესასვლელთან და მანქანიდან გადმოუსვლელად ფანჯრიდან დამიწყო საუბარი. მომიკითხა, როგორ ვიყავი და ასევე, მითხრა, რომ თან ჰქონდა ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“, რომელიც იმ მომენტში ეჭირა ხელში, კერძოდ, სიგარეტის კოლოფის ცელეფონაში გახვეული პაკეტი, რომელშიც, მისი გადმოცემით, მოთავსებული იყო მარიხუანა. სწორედ ამ მომენტში, ჩვენთვის სრულიად მოულოდნელად მოგვიახლოვდა რამდენიმე მამაკაცი. მათ გვითხრეს, რომ იყვნენ პოლიციის თანამშრომლები და წარმოგვიდგინეს საბუთები, ასევე გვკითხეს ჩვენი ვინაობა, თუმცა პოლიციის თანამშრომლების მოსვლის მომენტში გელამ იხელთა დრო და მანქანის მარჯვენა ფანჯრიდან სწრაფად გადააგდო აღნიშნული პაკეტი. პოლიციის თანამშრომლებმა გელას ეს ქმედება, რა თქმა უნდა, დაინახეს და ჰკითხეს, რა გადააგდო მან ფანჯრიდან, რაზეც გელამ უარით უპასუხა და განაცხადა, რომ ხსენებული პაკეტი არ ეკუთვნოდა მას და ნამდვილად არ იცოდა, რა იყო მასში მოთავსებული“, – წერია მამუკა მიქაუტაძის ჩვენებაში.

მიქაუტაძის მეუღლე ჩვენთან საუბრისას იხსენებს, რომ სახლში დაბრუნებულმა მამუკამ მობილური ტელეფონი გამორთო და ვიღაცის ზარის ეშინოდა. ზიზი ეძგვერაძე ინტერვიუში სხვა საეჭვო დეტალებზეც ამახვილებს ყურადღებას.

– ქალბატონო ზიზი, მას შემდეგ რაც ცნობილი გახდა თქვენი მეუღლის გარდაცვალების შესახებ თქვენ გააკეთეთ კომენტარი, რომ დაკითხვის დროს მასზე განხორციელდა ძალადობა... ერთგვარი დაბნეულობა გამოიწვია უკვე ექსპერტიზის შემდეგ გაკეთებულმა განცხადებამ, სადაც ნდობას უცხადებდით გამოძიებას და ექსპერტიზის დასკვნას... რით იყო განპირობებული თქვენი პირველი და შემდგომი განცხადებები?

– ჩემი მეუღლის მონაყოლიდან ვიცოდი, რომ სცემეს, იყო ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფაც, თუმცა გარეგნულად რაიმე დაზიანება არ ეტყობოდა. სანამ გარეგანი დათვალიერების ექსპერტიზა დაიდებოდა, ვიცოდი, რომ ჰქონდა სილურჯეები, ცხვირის, წელისა და ფეხის არეში. მაგრამ მე არსად არ მითქვამს, რომ ჩემი თვალით ვნახე ეს სილურჯეები. მას სიცოცხლეში ეს სილურჯეები ნამდვილად არ ეტყობოდა. მე დავეყრდენი დამოუკიდებელი ექსპერტის, ბატონი ალექსანდრე გეჯაძის ნათქვამს, რომელმაც მითხრა, რომ არის სილურჯეები ამ ადგილებში. მან მითხრა, რომ ცხვირზე არის სიცოცხლისდროინდელი დაზიანება, თუმცა ფეხსა და წელზე არსებულ სილურჯეებზე გადაჭრით ვერ ამბობდა, რომ ეს იყო ძალადობის კვალი, რადგან ამას უკვე სჭირდებოდა შინაგანი ექსპერტიზა. შემდეგ სამხარაულის ექსპერტიზის ბიურომ დადო დასკვნა, რომ ძალადობის ნიშნები არ აღინიშნება. მე ამ ეტაპზე არ მქონდა არანაირი საფუძველი, რომ ეჭვი შემეტანა ამ დასკვნის სისწორეში. გარდა ამისა, ბატონმა ალექსანდრემ, გვითხრა, რომ არის რაღაც სილურჯეები, მაგრამ მაღალი ალბათობით შინაგანი ექსპერტიზის ჩატარების შედეგად შესაძლოა, არ დაგვხვდეს ძალადობის კვალიო. ცხვირზე კი ნამდვილად თქვა, რომ ეს იყო სიცოცხლეშივე მიყენებული დაზიანება.

– როდესაც თქვენი მეუღლე დაკითხვიდან დაბრუნდა, რა გითხრათ კონკრეტულად? იქნებ კიდევ ერთხელ გაიხსენოთ...

– მითხრა, ერთ-ერთმა ხელი მკრა და კედელზე მივენარცხეო. მთხოვდნენ, ჩვენება დამეწერაო. ასევე, უთქვამს მისი მეგობრებისთვისაც, ძალით დამაწერინეს ჩვენებაო, მაგრამ.... იცით, საქმე რა არის? მე არ გამოვრიცხავ, რომ ჩემი მეუღლე ამას შეგნებულად ამბობდა, რადგან ძალიან პატიოსანი ადამიანი იყო და ჩვენების მიცემა მეგობარზე შესაძლოა ამით ახსნა. არადა, ჩემი აზრით, მან ჩათვალა, რომ ამით მარტივად მოაგვარებდა პრობლემას და თავისთვისაც და გელა მანჯავიძისთვისაც ასე უკეთესი იყო. შემდეგ რა მოხდა, არ ვიცი, სახლში დაბრუნებული ნერვიულობდა, სინანულის გრძნობა ჰქონდა. შესაძლოა, ეს თქვა იმ ჩვენების გასამართლებლად, რომელიც საქმეში დევს.



დაკითხვის შემდეგ, ნარკოლოგიური შემოწმების დასრულების შემდეგ

ვისი სატელეფონო ზარის ეშინოდა პოლიციის სამმართველოდან დაბრუნებულ მამუკა მიქაუტაძეს?

– პოლიციის სამმართველოდან პირდაპირ სახლში დაბრუნდა იმ დღეს?

– სახლში საღამოს მოვიდა, მანამდე სად იმყოფებოდა, ვერ გეტყვით. სახლში მოსავლამდე 3-4 საათის განმავლობაში, ფაქტია, რომ სადღაც გაქრა. იქ რა მოხდა, ან ვისთან ჰქონდა შეხება, ეგ უკვე არ ვიცი.

– ანუ ვერსია, რომელიც თავდაპირველად გავრცელდა, რომ თვითმკვლელობამდე მიყვანა პოლიციაში განხორციელებულ ზეწოლას უკავშირდებოდა, ეჭვქვეშ დგება?

– ვერ ვხედავ მიზეზს, სამართალდამცველებს რატომ უნდა მიეყვანათ თვითმკვლელობამდე. აქ ხომ საუბარი არ ყოფილა რაღაც კატასტროფულ დანაშაულზე. საქმე ეხებოდა 12 გრამ მარიხუანას და 2000-ლარიან ჯარიმაზე იყო სულ საუბარი. თვითონ იმდენად დადებითი ადამიანი გახლდათ, რომ ვერ ვხდები, ვის შეიძლებოდა ასე გაეწირა. ძალიან ბოროტი უნდა ყოფილიყო პიროვნება, რომელმაც ამ ზომამდე მიიყვანა. მესმის, შეიძლება პოლიციაში იყო ზეწოლა, სიტყვიერ დონეზე მაინც, რომ ჩვენება დაეწერა, მაგრამ მეეჭვება, თუნდაც ეს გამხდარიყო თვითმკვლელობის მიზეზი. აქ უფრო ისაა საკი-



„მე არსად არ მითქვამს, რომ ჩემი თვალით ვნახე ეს სილურჯეები. მას სიცოცხლეში ეს სილურჯეები ნამდვილად არ ეტყობოდა...“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

... კვლელობამდე მიყვანის დეტალებს უმხელს



ზიზი ეძგვერაძე: „მამუკას სინანულის გრძნობა ჰქონდა, რომ მან დაწერა და მისი მეგობარი უარყოფდა. მეუბნებოდა, ამის გამო ძალიან ცუდად ვგრძნობ თავსო“

„ცემის შედეგად მას უნდა ჰქონოდა არა ერთი, არამედ რამდენიმე დაზიანება სხეულის სხვადასხვა მიდამოებში. ამიტომ ძნელად წარმოსადგენია, რომ ცემის შედეგად მარტო ეს ერთი დაზიანება განუვითარდა“

ნიკოლოზ მჟავანაძე: „არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მიქაუტაძის თვითმკვლელობამდე მიყვანა სხვა პირთა ჯგუფს უკავშირდება“

თხავი, რა მოხდა სამმართველოდან გამოსვლის შემდეგ. ვერაფერს გამოვრიცხავ. ხაზგასმით ვერც პოლიციის ბრალეულობას გამოვრიცხავ და ვერც სხვა პირების.

– თქვენმა მეუღლემ ჩვენება დაწერა გელა მანჯავიძეზე, რაც ქუჩურ ენაზე, შეიძლება აღქმული ყოფილიყო, როგორც „ჩაშვება“... თუკი თქვენ ვერ ხედავთ მიზეზს, რომ პოლიციას მიეყვანა თვითმკვლელობამდე, გამოდის, რომ მას პრობლემები გარეთ შეუქმნეს?

– ვერ გეტყვით, მე პირადად არაფერს გამოვრიცხავ.

– გელა მანჯავიძესთან თუ გქონიათ საუბარი?

– არა. ის საერთოდ არ გამოჩენილა. არც პანაშვიდზე მოსულა და არც დაკრძალვაზე. მე ვთხოვე მის მეგობარს, რომ მოსულიყო და დაგვლაპარაკებოდა, თუმცა ამ დრომდე არ გამოჩენილა. რატომ არიდებს თავს, არ ვიცი. მე არავის ხელაღებით არ ვადანაშაულებ და არც არავის გალანძღვას ვაპირებ. უბრალოდ, მინდოდა ამ პიროვნებას დავლაპარაკებოდი.

– შემთხვევიდან ცოტა ხნით ადრე თქვენი მეუღლის ტელეფონზე უცნობმა ბავშვმა გიპასუხათ... იქნებ გაიხსენოთ, რა გითხრათ?

– მე ვრეკავდი მამუკას ნომერზე, კარგა ხანს არ მპასუხობდა, შემდეგ ამ ბავშვმა მიპასუხა და მითხრა, მე ეს ბიძია ახლა გავიცანი. როდესაც დავინტერესდი, ტერიტორიულად სად იმყოფებოდნენ, მითხრა, – თბილისის ზღვის ტერიტორიაზეო. შემდეგ მამუკას ხმა გავიგონე, – უთხარი, დაგირეკავსო. ეს იყო და ეს. ბავშვმა ტელეფონი გათიშა და მამუკაც უკვე უკონტაქტო გახდა. არ ვიცი, ეს დეტალი რას გვაძლევს. მთავარი არის ის, რომ 12 გრამი მარიხუანა, რომელიც 10-დან შეიძლება 7 კაცს ჰქონდეს, არ გახლავთ ის ოდენობა, რომლის გამოც შეიძლება ადამიანმა თავი მოიკლას და რაიმესი შეეშინდეს. ვიცი, რომ მამუკამ უთხრა გელას, – დაგეხმარები ყველანაირად, გვერდში დაგიდგები, არაფერზე ინერვიულოო. გელამ არ დაწერა მაინც ჩვენება და საბოლოოდ მაინც დანაშაულის შეგრძნებით მოუწია მამუკას იქიდან წამოსვლა. სინანულის გრძნობა ჰქონდა, რომ მან დაწერა და მისი მეგობარი უარყოფდა. მეუბნებოდა, ამის გამო ძალიან ცუდად ვგრძნობ თავსო. ზუსტად ვიცი, მამუკა გელას ადგილას სხვანაირად მოიქცეოდა. იმედი მაქვს, გამოძიება სწორ კვალზე გავა და მალე გავიგებთ, რა მოხდა რეალურად. ველოდები გამოძიების შედეგებს. გელამ რომ მითხრა, ჩვენება დავწეროო, როგორც გითხარით, ძალიან განიცდიდა, მაგრამ მითხრა, სხვანაირად არ გამოვიდოდაო, ჯარიმაზე იყო ლაპარაკიო. მეც დავეთანხმე. და კიდევ ერთი საეჭვო დეტალი, რომელიც მინდა გითხრათ: სახლში მოსულმა ტელეფონი გამორთო, ვიღაცის ზარის ეშინოდა. მე ჩავრთე მისი ტელეფონი და სასწრაფოდ გამომართვევინა, – არ მინდა დამირეკონო. ვუთხარი, რის გეშინია, პოლიციას რომ დასჭირდეს, მისამართი იციან და მაინც მოგაკითხავენ-მეთქი? არა, არა, არ მინდა, დამირეკონო. არ უთქვამს, ვის ზარს ელოდებოდა ასეთი შიშით. თუ 12 გრამი მარიხუანას გამო პოლიციის ეშინოდა, მაშინ სამმართველოდან გამოსული, პირდაპირ წავიდოდა და თავს მოიკლავდა. ეს უფრო ლოგიკურია ხომ? სამმართველოდან პირდაპირ სახლში არ მოსულა, დილით კი ადრევე გავიდა, სამსახურში მივიდა და შემდეგ უკვე ხდება ეს უბედურება.

ერთ-ერთი პირველი, ვინც მიქაუტაძის თვითმკვლელობა მის გარემოცვას დაუკავშირა, უფლებადამცველი ნიკოლოზ მჟავანაძე გახლდათ. მისი თქმით, საქმეში არსებობს ბევრი გარემოება, რაც მის ეჭვებს ამყარებს.

ნიკოლოზ მჟავანაძე, „უფლებადამცველთა გაერთიანების“ ხელმძღვანელი:

– ამ საქმეში დღეს წარმოდგენილი მტკიცებულებებითა და გავრცელებული განმარტებებით, ნაკლებად სარწმუნოა, რომ ეს ადამიანი პოლიციის შენობაში მიეყვანა ვინმეს თვითმკვლელობამდე. არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მიქაუტაძის თვითმკვლელობამდე მიყვანა სხვა პირთა ჯგუფს უკავშირდება. არც ერთი ექსპერტიზა არ ადასტურებს, რომ მიქაუტაძეზე პოლიციაში რაიმე სახის ფიზიკურ ძალადობას ჰქონდა ადგილი. გარდა ამისა, საყურადღებოა ის ფაქტი, როდესაც მეუღლე იხსენებს მიქაუტაძესთან ბოლო შეხვედრას, რა დროსაც ის სახლში შუქის ჩაქრობას სთხოვდა და ტელეფონზე ვიღაცის ზარის ეშინოდა. ამ ფორმით, ცხადია, ის პოლიციას ვერ დაემალებოდა, მით უმეტეს, სამმართველოში უკვე იყო ნამყოფი. ფაქტია, რომ ვიღაცებს ემალებოდა. გარდა ამისა, მხედველობაშია მისაღები მანჯავიძის წარსულიც, რომელიც ქურდობისა და იარაღის ტარებისთვისაა ნასამართლევი და როგორც ირკვევა, 2003 წელს შეწყალებით განთავისუფლდა. ცხადია, ეს გარემოებები აჩენს ეჭვს, რომ მიქაუტაძის თვითმკვლელობამდე მიყვანა მის გარემოცვას უკავშირდება და არა პოლიციას. თუმცა ეს ყველაფერი ჯერჯერობით მხოლოდ ეჭვებია და არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება. ვნახოთ, რას გაარკვევს ძიება.

მჟავანაძისგან განსხვავებით, შსს-ს მიმართ კითხვის ნიშნები აქვს „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“, სადაც სამხარაულის ექსპერტიზის დასკვნას ეჭვქვეშ აყენებენ, თუმცა ამავე ორგანიზაციის ინიციატივით ჩატარებული დამოუკიდებელი ექსპერტიზის დასკვნაც არ გახლავთ კატეგორიული. დამოუკიდებელი ექსპერტი ალექსანდრე გეჯაძე, რომელმაც „საია“-ს დაკვეთით მიქაუტაძის ცხედარს ექსპერტიზა ჩაუტარა, ძალადობის ნიშნებზე ვერ საუბრობს. გეჯაძეს ნაკლებ სავარაუდოდ მიაჩნია, რომ მის მიერ ცხვირის არეში დაფიქსირებული დაზიანება ფიზიკური ძალადობის შედეგი ყოფილიყო.

– ბატონო ალექსანდრე, ხშირია შემთხვევა, როდესაც თქვენი და სახელმწიფო ექსპერტიზის დასკვნები ერთმანეთს არ ემთხვევა?

– ჩვენ ჩავატარეთ მამუკა მიქაუტაძის გვამის გარეგანი დათვალიერება. კისრის მიდამოში, ჩამოხრჩობის ადგილას ვნახეთ სტრანგულაციური ღარი. ჩვენ მაღალი ალბათობით ვვარაუდობდით, რომ ეს იყო სუიციდით გამოწვეული, რაც სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულებამაც დაადასტურა. ამ ნაწილში, ანუ სიკვდილის უშუალო მიზეზთან მიმართებაში ჩვენი და სახელმწიფო ექსპერტიზის დასკვნები სრულ თანხვედრაშია.

– თუმცა თქვენს დასკვნაში აღნიშნულია ცხვირთან არსებული დაზიანება...

– რაც შეეხება ამ ფაქტორს, ცხვირის მარცხენა ნესტოზე ჩვენ რეალურად ვნახეთ დაზიანება სისხლნაჟღენთის სახით. ეს არის იმდენად მძიმე დაზიანება, რომელსაც შეეძლო სიკვდილი გამოეწვია, ან ხელი შეეწყო მისთვის. შესაბამისად, ეს დაზიანება შესაძლებელია მიქაუტაძეს მიეღო როგორც საყოფაცხოვრებო პირობებში, ასევე ნებისმიერი მკვრივი, ბლაგვი საგნის უშუალო მოქმედებით ცხვირის მარცხენა ნესტოში, ან რაიმე საგანზე ცხვირით შეჯახებით... მიქაუტაძეს ეს დაზიანება შეიძლება მიეღო უშუალოდ ჩამოხრჩობის მომენტში ხეზე შეჯახებისას... შეიძლებოდა თუ არა მას ეს დაზიანება ცემის შედეგად მიეღო? ცემა ხომ არ შეიძლება მხოლოდ ერთჯერადი ხელის მოქნევით განვითარდეს. ცემის შედეგად მას უნდა ჰქონოდა არა ერთი, არამედ რამდენიმე დაზიანება სხეულის სხვადასხვა მიდამოებში. ამიტომ ძნელად წარმოსადგენია, რომ ცემის შედეგად მარტო ეს ერთი დაზიანება განუვითარდა, თუმცა ჩვენ გვამი შინაგანად არ გამოგვიკვლევია...

დაბოლოს... საქმეში არსებობს ვიდეომასალაც, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა. კადრებში ნათლად ჩანს, როგორ შეჰყავთ სამმართველოს შენობაში მამუკა მიქაუტაძე, და ასევე, როგორ ტოვებს ის შენობას. ფიზიკური დაზიანების კვალი აღნიშნულ ვიდეოფირზე მიქაუტაძეს არ აღენიშნება. უფრო ეტიც, ის სამმართველოს კართან დაახლოებით 40 წუთის განმავლობაში ჩერდება, ეკონტაქტება გამომძიებელს და ეწევა სიგარეტს. როგორც სპეციალისტები განმარტავენ, ვიდეოფირზე მას რაიმე აღელვების ნიშნები არ ეტყობა. გარდა ამისა, შსს-მ გაავრცელა მიქაუტაძის ფოტომასალაც, რომელიც დაკითხვის შემდეგ, მისი ნარკოლოგიური შემოწმების დროს არის გადაღებული. სხვადასხვა ხედით გადაღებულ არც ერთ კადრში აწ გარდაცვლილს ცხვირზე რაიმე სახის დაზიანება არ აღენიშნება.

„ეს კადრები კიდევ უფრო ამყარებს ეჭვს, რომ უშუალოდ პოლიციის შენობაში მიქაუტაძეს რაიმე სახის დაზიანება არ მიუღია და საქმე უფრო სხვა რამესთან გვაქვს“, – ამბობს უფლებამდაცველი ნიკოლოზ მჟავანაძე.



ალექსანდრე გეჯაძე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბიზნესს საქართველ

რატომ შეწყდა საჩივრები სტრასბურგში საქართველოდან?

მარიამ ნადირაძე

ბოლო ერთი ათეული წლის განმავლობაში ბიზნესმენებმა დაკარგეს ბიზნესი, ზოგმა ციხე მოიარა, ზოგმა ქვეყანა დატოვა, ზოგს ახლობლები დაუპატიმრეს, ზოგმა შანტაჟის შედეგად დათმო ყველაფერი...

რა ხდება დღეს და არის თუ არა რამე ცვლილება ამ კუთხით უკანასკნელი 10 თვის განმავლობაში?

ამ თემებსა და დინამიკას ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრი აკვირდება და დღეს ამ ცენტრის სამართლებრივი პროექტის ხელმძღვანელი, ირაკლი კერესელიძე „პრაიმტაიმს“ საშინელ საიდუმლოს უმხელს:

– რეალურად არსებითი ცვლილება იმ მიდგომისგან, რაც იყო ნაციონალების დროს, არ არის. ბიზნესი მაშინ აღიქმებოდა, ერთი მხრივ, როგორც ბიუჯეტის შევსების, მეორე მხრივ, ინდივიდუალური საჭიროების დაკმაყოფილების საშუალება. ანუ, ვიღაცის ცოლს მანქანა სჭირდებოდა, ვიღაცას – „პაზიკა“ და ა.შ. ასეთი დამოკიდებულება იყო დაახლოებულ ბიზნესმენებთანაც და ზოგადად, ყველა დანარჩენების მიმართაც: მეგობრული გასაუბრებები, დაბარება, არჩევნების წინ საბანკო ანგარიშის ნომრების მიცემა და ა.შ.

– მაგრამ მაშინ ბიზნესმა უკვე კარგად იცოდა, რა დროს როგორ უნდა მოქცეულიყო...

– მთავარი პრობლემა იცით, რა არის? ფორმალურად მაშინ ნაციონალებმა დანიშნეს ბიზნესომბუდსმენი, ჰქონდათ ე.წ. ბიზნესმიტინგები, განსაკუთრებით წინაასახალნლოდ. ამ დროს მჟღავნდებოდა ყველაზე დიადი იდეები. ეს იყო მხოლოდ ფასადი, რომლის უკანაც აშკარა ფავორიტიზმი და აშკარა დისკრიმინაციული მიდგომა იმალებოდა. ბიზნესი აღიქმებოდა, როგორც მეწველი ძროხა და არა როგორც თავისუფალი ბაზრის განვითარების პირველი საშუალება. ბიზნესს, პირველ რიგში, ავითარებს, ერთი მხრივ, საკანონმდებლო ბაზა და ის რეგულაციები, რომელიც ბიზნესს არ დაახრჩობს, პირიქით, სტიმულს მისცემს მას და მეორე მხრივ, არ უნდა იყოს მის მიმართ ისეთი მიდგომა, რომ ბიზნესი არის მხოლოდ ფულის გენერატორი. რეალურად კი ის ავითარებს და აძლიერებს ეკონომიკას და ქმნის თავისუფალ ბაზარს, რომელიც ასე აუცილებელია. ეს არის ის ამოსავალი წერტილი, საიდანაც უნდა დავიწყოთ. რეალურად, ამ მიდგომებში არსებითად არაფერი იცვლება. იმისთვის, რომ ნაბიჯი გადადგა წინ, უნდა გაიხედო უკან და სწორი შეფასება გააკეთო, რადგან, თუ შენ აკეთებ მხოლოდ ზოგად განცხადებას, რომ ჩვენ გვქონდა ცუდი სიტუაცია და ახლა გვქონდეს კარგი, ეს მხოლოდ დეკლარაციის დონეზე რჩება..

– არჩევნებიდან ძალიან მალე ივანიშვილმა მოაწყო უზარმაზარი შეხვედრა ყველა ბიზნესმენთან და დიდხანს იყო ეს სალაპარაკო თემა, თუ როგორ მიუჩინა ყველას საკუთარი ადგილი, თუნდაც „ავერსის“ მაგალითს თუ გავიხსენებთ...

– რამაც ხალხი მაშინ აღფრთოვანებაში მოიყვანა. სუფთა პოპულისტური თვალსაზრისით, მართლაც ძალიან ეფექტური იყო, რადგან, „ავერსი“ რომ ახსენეთ, ყველამ ვიცით, რომ ის გარკვეული ბენეფიტებით ნაციონალებისგან სარგებლობდა, სავარაუდოდ, ხელისუფლებისთვის კონკრეტული შეწირულობების გამო, მაგრამ რა მოხდა რეალურად? მთავარ პრობლემას სწორედ ამაში ვხედავ, რომ ივანიშვილმა ბიზნესმენებს ადგილები მიუჩინა... არავინ უნდა გადაუწყვიტოს ბიზნესს, ის თანაბარი იქნება, თუ დღეს ერთი იქნება ფავორიტი და ხვალ – მეორე. ეს უნდა იყოს თავისუფალი ბაზარი, თანაბარმა კონკურენციამ უნდა გადაწყვიტოს ეს ყველაფერი და ლიცენზირების პროცედურა იქნება ეს თუ სხვა რამე, ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი იყოს.

– ასე არ არის?

– არ არის. ნაციონალები, ძალიან ტრაბახობდნენ იმით, რომ შემოიღეს ელექტრონული აუქციონები, მაგრამ ძალიან დასაბუთებული ეჭვი არსებობს, რომ ეს აუქციონები ისე არ მიდიოდა, როგორც საჭირო იყო, ხდებოდა რიგი მიზეზების მოძიება – ვთქვათ, სისტემამ გაჭედა – და მაინც ისე გადაწყობა, როგორც თვითონ უნდოდათ. ანუ, იდეა იმაში კი არ არის, რომ ნებისმიერ ელექტრონულ აუქციონს, ან სხვა რაღაც ბიზნესთან დაკავშირებულ ღონისძიებას რა ფორმით გააკეთებ, მთავარია, ბაზარი გაათავისუფლო, დისტანცია დაიჭირო და იმან აკეთოს თავისი საქმე. შენ, როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელმა, საკანონმდებლო დონეზე იქნება ეს, აღმასრულებელ ხელისუფლებაში, თუ სასამართლოში, შენი როლი უნდა იკმარო. შენ უნდა შექმნა თანაბარი შესაძლებლობების ველი და ამ ველზე ვინც უფრო ნიჭიერი, ვინც უფრო გაბედულია, ან თუნდაც ვინც მეტი რისკის ამღებია, მათგან უნდა გამოჩნდნენ ბუნებრივი ლიდერები. საქართველოში ბუნებრივი ლიდერები არასდროს ყოფილან ბიზნესში. მე მახსოვს, ჯერ კიდევ შევარდნაძის ხელისუფლების დროს როგორ ლობირებდნენ „ალდაგს“, რომლის ყველაზე მსხვილი მეწილე, დავით გამყრელიძე, ამავდროულად იყო პრეზიდენტის მრჩეველი, რაც სრულიად წარმოუდგენელი გახლდათ. მაშინ გეხსომებათ, ალბათ, რომ „ალდაგი“ ყველა პასპორტიდან 10-ლარიან ნოტს იღებდა მარტო იმიტომ, რომ რაღაც სტიკერს გირტყამდნენ, რომ თითქოს დაზღვევის სახით მოგემსახურებოდნენ უცხოეთში. სრული ფარსი იყო... მინისტრთა კაბინეტში რომ გამოიტანეს ეს თემა, ჩავარდა, მაგრამ შემდგომ, რაკი ეს პრეზიდენტის კართან დაახლოებულ ბიზენსს ეხებოდა, მინისტრებს ცალ-ცალკე მოაწერინეს ხელი. მას შემდეგ ასეთი ოდიოზური ფორმები აღარ იყო ბიზნესთან მიმართებაში, მაგრამ აშკარა ფავორიტიზმი ნამდვილად იყო. კეზერაშვილის თემა, ალბათ, ყველას კარგად ახსოვს, როგორ ჩაჯდა ის ბიზნესში და უცებ როგორ გახდა მილიარდერი, როდესაც საკუთარი პოლიტიკური, თუ ფინანსური ტიპები ინპლანტანტად ჩასვეს ბიზნესში. თუნდაც „ვისოლის“ თემა არის ძალიან ცნობილი, იგივე „ავერსი“. მაგრამ მე მიჭირს ამ კონკრეტული ბიზნესმენების დაძრახვაც, რადგან, სამწუხაროდ, იმ რეალობაში ის წესები მუშაობდა.

– რის ფასად იყვნენ ისინი პრივილეგირებულნი?

– ალბათ, საკუთარი კორუფციული გარიგებების ფასად.

– ბევრი ფაქტი იცით, როცა ბიზნესი კონკრეტული მაღალჩინოსნების ცოლების მანქანებსა და მოგზაურობას აფინანსებდა?

– რა თქმა უნდა. თუნდაც ძალიან ცნობილი ამბავია, რომ ერთხანს, განსაკუთრებით 2010 წელს, როდესაც საპროცესო გარიგებები ფორმდებოდა, იმაზეც კი აღარ წუხდებოდნენ, რომ თანხები ჩაერიცხათ, ვთქვათ, პროკურატურის განვითარების ფონდში და მერე მიეღოთ იქიდან საჭირო რაოდენობა, დებდნენ ე.წ. ტოიოტას გარიგებას. ვთქვათ, პირს აკისრებდნენ 100 ათასს, როცა მისი ოჯახის წევრი მიდიოდა გამომძიებელთან, ის აძლევდა ორ ანგარიშს. ერთი იყო საბიუჯეტო (თუმცა ეს კიდევ ცალკე საუბრის თემაა, რამდენად იყო ეს საბიუჯეტო) და მეორე იყო პირდაპირ „ტოიოტას ცენტრის“ ანგარიში, საიდანაც მათ პირდაპირ გამოჰყავდათ უახლესი მოდელის ავტომანქანები, რომლითაც შემდეგ შსს-სა და პროკურატურის მაღალჩინოსნები და მათი ოჯახის წევრები დადიოდნენ. ეს იმდენად მახინჯი პრაქტიკა იყო, რომ აღარც იმალებოდა.

– მგონი, ბიზნესის თემას გავცდით...

– რატომ? ამ ფულის „ახევა“ სწორედ ბიზნესმენებისგან ხდებოდა, თორემ ჩვეულებრივ მოქალაქეებს ასეთი თანხები საიდან ექნებოდათ? ეს ის ბიზნესმენები იყვნენ, რომლებიც ამ „მეინ სტრიმში“ ვერ ჩაჯდნენ, ვერ მოერგნენ სიტუაციას...

– მგონი, ეჭვი შეგაქვთ პროკურატურისა და შსს-ს ანგარიშების კანონიერებაში...

– ის, რასაც მე ვიტყვი, საბოლოოდ მაინც გამოძიების საგანი უნდა გახდეს, რადგან თვითონ სამართლებრივი ფორმა ამ ფონდების, რომლებიც იყვნენ ამ თანხების პირველი მიმღებები, ძალიან საეჭვოა, რადგან ისინი სსიპ-იც კი არ იყო. საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან არსებული კომერციული წარმონაქმნები იყვნენ. ანუ თვითონ კანონი იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ამ თანხებით მომხდარიყო მანიპულირება. მათი პირდაპირი საბიუჯეტო ფუნქცია მხოლოდ დეკლარაციული ხასიათის იყო, თორემ სინამდვილეში ეს მართლა ბიუჯეტში ხვდებოდა, თუ სადმე სხვაგან, ამის კონტროლის მექანიზმი საერთოდ არ არსებობდა. ამ ფონდების შემონმების ფორმალური საშუალებაც კი კონტროლის პალატას არ ჰქონდა, რადგან ის მხოლოდ საბიუჯეტო ორგანიზაციას ამოწმებს, ან ისეთ ორგანიზაციას, რომელშიც პროცენტული წილი სახელმწიფოსი არის დომინანტი. ეს ფონდები არ იყო საჯარო სამართლის იურიდიული პირები. ანუ, იურიდიული მოწყობაც კი წინასწარ კორუფციის საშუალებას ქმნიდა.

– თუ კონტროლის პალატას არა, მაშინ ფინანსურ პოლიციას ხომ მაინც შეეძლო მისი შემოწმება?

– მაგრამ სად გაგიგიათ, რომ ფინანსურ პოლიციას პროკურატურის განვითარების ფონდი შეემოწმებინა? ეს ხომ გამორიცხული იყო? მე კონტროლის პალატაზე ყურადღება იმიტომ გავამახვილე, რომ მათ კონსტიტუციური ვალდებულება აქვთ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვის შემოწმებისა. ანუ, ეს ყველაფერი გაკეთებული იყო იმისთვის, რომ ბიზნესიდან ფული პირდაპირი გზით, ან ირიბად შესულიყო. აი, რას ვგულისხმობ: თუკი ბიზნესმენს ჰქონდა რაღაც სისუსტე – ვთქვათ, ნარკოტიკებისადმი, გოგონებისადმი, ან ბიჭუნებისადმი ლტოლვა, კოდუას სამსახური იყო საოცრად განაფუული ამ სისუსტეების „აღმოჩენაში“ საკუთარი „ნოუჰაუს“ წყალობით...

– რას გულისხმობთ?

– თუნდაც პოპულარული გოგონების „დაერობოვკებას“ ამ მიმართულებით. პოლიცია მართალია, ასეთი საქმიანობისთვის სპეციფიკური ყოფაქცევის ქალებს ყოველთვის იყენებდა, მაგრამ ერთია, როდესაც უბნის ინსპექტორი რაღაც ინფორმაციის მოპოვების მიზნით ვიღაც მეძავს იყენებს ამ კუთხით, მეორე კი – როდესაც ამ მეძავების სისტემას აშენებ და ოფიცრებად ხდი მათ. ეს ძალიან კონკრეტული სისტემა იყო და დიდი ეჭვი მაქვს, რომ ეს ჯერ კიდევ არსებობს. როდესაც ჩვენ როგორც მოცემულობას, ისე ვიღებთ იმას, რომ 17 ათასამდე პირადი ცხოვრების ამსახველი კადრი არსებობს, როგორ წარმოგიდგენიათ, მხოლოდ სასტუმროებსა და პრივატულ ბინებში დაყენებული კამერებით „თევზაობდნენ“ და ფაქტზე იჭერდნენ ობიექტებს? ამ პირადი ცხოვრების მაკომპრომეტირებელი მომენტების წახალისება ხდებოდა და ამას ახალისებდნენ ე.წ. აგენტი-პროვოკატორები, მათ შორის გოგონები, ბიჭუნები, გააჩნია, ვის რა აინტერესებდა... ვისაც ესენი წერდნენ, მათ კონკრეტული ფინანსური შესაძლებლობები ჰქონდათ და შემთხვევით სასტუმროში არავინ შებოდიალდებოდა, ან როგორ უნდა გაეთვალათ, სად შევიდოდნენ. ანუ, ის აგენტი-პროვოკატორი, რომელიც კუდ-ის, ან სოდ-ის თანამშრომელი იყო, უბრუნველყოფდა ამ ხალხის საჭირო დროს საჭირო ადგილას მიყვანას. ასეთი ღონისძიებები ტარდებოდა იმ ტიპის ბიზნესმენების მიმართ, რომლებიც საქმიანობის ნაწილში იმდენად სუფთა იყვნენ, რომ საგადასახადო კუთხით ვერ მიედავებოდი. ანუ არაფერს აშავებდნენ და ამიტომ მისთვის უნდა მოეწყოთ დანაშაული. მაგრამ ეს ძალიან მახინჯი ფორმებია, რომელზეც კიდევ ძალიან დიდხანს შეიძლება ვილაპარაკოთ, მაგრამ მთავარი თემა ეს მაინც არ არის. მთავარი ის არის, რომ დღესაც სამართლიანობის აღდგენა ბიზნესთან მიმართებაში ძალიან მნიშვნელოვანია. როდესაც პარლამენტმა თქვა, რომ 200 პატიმარი არსებობდა საქართველოში და პოლიტიკური მსჯავრდადებები იყო, ამით პარლამენტმა გარკვეული და ძალიან მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა აიღო. როდესაც მოხდა კანონის ინიცირება სამართლებრივი ხარვეზების შესახებ, ეს ასევე პასუხისმგებლობის ნაწილი იყო. სამწუხაროდ, ეს კანონი დღემდე არ არის მიღებული. მიუხედავად იმისა, რომ ეს საგამონაკლისო კანონია, ეს ნორმალურ და დალაგებულ ქვეყანაში შეუძლებელია არსებობდეს, რადგან რაღაც ნანილში მაინც სასამართლოს დუბლირება გამოგვდის, მაგრამ ეს მაინც უნდა მოხდეს. პარლამენტი კი ძალიან ითრევს ფეხს ამ კანონის ამოქმედებაზე. ამას წინათ დიდი შეხვედრა მოეწყო არასამთავრობოთა კოალიციის ფარგლებში. ესწრებოდა იუსტიციის მინისტრის მოადგილე სანდრო ბარამიძე. მან ძირითადი აქცენტი გააკეთა სამართლებრივი ხარვეზების შესახებ კანონთან დაკავშირებით ფინანსურ შემადგენელზე. მან თქვა, რომ დაახლოებით 3-დან 5 მილიარდამდე დაგვჭირდება წართმეული ქონებისგან მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად და მე ჩავეკითხე, ზუსტად დაითვალეს ეს, თუ ჰაერიდან მოტანილი ციფრი იყო. წარმოგიდგენიათ, ამ კანონის არმიღების არგუმენტი რა არის? ძალიან კარგად მახსოვს, 95 წელს გენერალური პროკურორის მოადგილე იყო რეზო ყიფიანი და ერთ-ერთ სტატიაში ასაბუთებდა, რატომ უნდა დაეხვრიტათ მაშინდელი სიკვდილმისჯილები. ის ამბობდა, ამათ დახვრეტას სამუდამოთი თუ შევუცვლით, მაშინ მთელი ცხოვრება უფასოდ უნდა ვაჭამოთო. ეს დაახლოებით ასეთ ლოგიკას ჰგავს. რა თქმა უნდა, რაღაც დონეზე მე უტრირებას ვახდენ, მაგრამ იდეა ესაა. იმიტომ, რომ სახელმწიფოს მოუწევს 3-დან 5 მილიარდამდე გადახდა, კანონი აღარ მივიღოთ საერთოდ, ან ისე შევზღუდოთ, რომ საერთოდ ვერც ერთმა ვერ შევძლოთ სარგებლობა. მოდით, პირდაპირ ვთქვათ: ნაციონალების პირობებში ყველაზე მეტად დაზარალეს ის, ვისაც ყველაზე მეტი შესაძლებლობა ჰქონდა, ვინც მეტად კრეატიული იყო. შენ თუ ამ ხალხს თუნდაც ფორმალურ დონეზე კარი მცირედად არ გაუღე, სადაც ადამიანები თითო-თითოდ შევლენ, რომ სამართალი იპოვონ, შენ იგივეს სთეს, შეიძლება იმ მასშტაბით არა, როგორც ამას ნაციონალები აკეთებდნენ, მაგრამ მოცემულობად მაინც იღებ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხვალ-ზეგ ამ მოცემულობიდან გარკვეული ბენეფიტების მიღებასაც დაიწყებ, გარკვეული ხეირის დახახვას დაიწყებ. მე არ მგონია, რომ ქართველმა ერმა იმიტომ შეცვალა

სად და რომელ პროკურორებთან იბარებენ ბიზნესმენებს და რას სთავაზობენ მათ...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლოგი ისევ ეგინია!

მათ იბარებენ პოლიციის განყოფილებებში და ეუბნებიან დაახლოებით ასეთ ტექსტებს: იცი, რა? ეს ნაციონალები იყვნენ... იყვნენ, ეს დაგმართეს... დაგმართეს. ახლა სხვა რეალობაა. ბევრ სიკეთეს ვაკეთებთ და 1000 ევროს მოგცემთ, რა! ეს იმ დროს, როდესაც კეისის ოდენობა შეიძლებოდა, 30-50 ათასი ევრო ყოფილიყო...

ნაციონალები „ოცნებით“, რომ ნაციონალების წილები და გავლენები რედისტრიბუტებული იყოს „ოცნების“ წილებსა და გავლენებზე. ვფიქრობ, რომ ამის ნიშნები არის.

– რას გულისხმობთ? იქნებ უფრო მეტად დაკონკრეტდეთ?

– მე შევეხები ერთ საინტერესო განცხადებას, რომელიც თეა წულუკიანმა თავიდანვე გააკეთა, როცა მინისტრად დაინიშნა და მერე რამდენჯერმე გაიმეორა. მან თქვა, რომ სტრასბურგში წასულ საქმეებზე ის, როგორც მინისტრი, იღებს პასუხისმგებლობას, რომ მეგობრულ გარიგებას შესთავაზებს ყველას. ერთი თემაა, რამდენად არაადეკვატურ თანხებს სთავაზობენ თუნდაც იმ პატიმრებს, რომლებსაც ჯანმრთელობა მოუსპეს და მისი ოჯახის წევრებს ევაჭრებიან 1000 და 2000 ევროზე, მეორე მხარე კი ის არის, რომ მან ძალიან დიდ შეცდომაში შეიყვანა სტრასბურგის სასამართლო და იქ დაარწმუნეს, რომ ესენი პოლიტიკურ მოცემულობად იღებენ, რომ ხდებოდა უსამართლობა და ამას ასწორებენ. სინამდვილეში კი, უბრალოდ, „ტეხავენ“ ასეთ საქმეებს.

– სტრასბურგის საქმეები წამოიღეს?

– ამას პროცედურულად ვერ გააკეთებენ, რადგან ამის საშუალება არ არსებობს, თუ თანხმობას აპლიკანტი არ იძლევა...

– თუმცა ამას აპლიკანტთა გარკვეული რაოდენობა დასთანხმდა.

– სწორედ ეს არის საქმე და როგორ დასთანხმდნენ, ამაზე მინდა გესაუბროთ. ამ ადამიანებს იბარებენ არა იუსტიციის სამინისტროში, ამ ადამიანების ადვოკატებთან კი არ ლაპარაკობენ და თანაც ისეთ ველზე, სადაც თანაბრობაა მხარეთა შორის, რადგან სახელმწიფო სტრასბურგის შემთხვევაში მხარეა, მათ იბარებენ პოლიციის განყოფილებებში და ეუბნებიან დაახლოებით ასეთ ტექსტებს: იცი, რა? ეს ნაციონალები იყვნენ... იყვნენ, ეს დაგმართეს... დაგმართეს. ახლა სხვა რეალობაა. ბევრ სიკეთეს ვაკეთებთ და 1000 ევროს მოგცემთ, რა! ეს იმ დროს, როდესაც კეისის ოდენობა შეიძლებოდა, 30-50 ათასი ევრო ყოფილიყო. ეს მხოლოდ ფინანსური ნაწილია. რაც შეეხება სამართლებრივ ნაწილს, თუ ყველა უფლება ცნობილი იქნებოდა დარღვეულად, სტრასბურგი სამართლებრივი გადახედვის ვალდებულებასაც ხომ დააკისრებდა სახელმწიფოს? მერე მინისტრთა კომიტეტი ევროპის საბჭოსი ამის მონიტორინგს განახორციელებდა. ის, რომ ჩვენ ავიღეთ „კოს სელებრას“ საქმე, როგორიც არის გირგვლიანის და ამას ახლა ჩვენ ვატრიალებთ, რომ სამართალი აღსრულდა, ეს არის მხოლოდ ერთი გამონაკლისი, მაგრამ ძალიან ბევრია სხვაც, როცა სხვა ადამიანების ბედიც გადაწყდა ძალიან ცუდად, გაწირეს და ამ ადამიანებმა მოახერხეს, რომ სტრასბურგამდე ხმა მიაწვდინეს. თუკი შენ ამბობ, რომ ამას პოლიტიკურად გადაწყვეტ, მაშინ ადეკვატური რამ მაინც შესთავაზე. ახლა გეტყვით კიდევ ერთ ძალიან მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომელიც ჯერჯერობით არ გაჟღერებულა, მაგრამ არ მეშინია მისი გაჟღერების და ამას ექსკლუზიურად გეუბნებით: ნუ მომთხოვთ კონკრეტული სახელების დასახელებას, რადგან მე ამის გაკეთება მათი ნებართვის გარეშე არ შემიძლია. რამდენიმე ძალიან ცნობილი ბიზნესმენი ცნობილ საქმეზე, რომლებიც ძალიან დაიჩაგრნენ ნაციონალების დროს, ზოგიერთი ციხეშიც მოხვდა და ზოგიერთს ბიზნესი საერთოდ „აახიეს“, მოახერხეს და შეიტანეს სარჩელი სტრასბურგში, ან ამ სარჩელის შეტანის პროცესში იყვნენ, დაიბარეს იუსტიციის სამინისტროში და ზოგიერთი პროკურატურაშიც. აპლიკანტის დაბარება პროკურატურაში, ან იმ პირის, რომელიც შესაძლოა, აპლიკანტი გახდეს, არის პირდაპირი ზეწოლა. მე ახლა მოგიყვებით, რას ეუბნებიან მათ, მაგრამ საერთოდაც არაფერს რომ არ ეუბნებოდნენ, ეს მაინც ზეწოლად ითვლება. საქართველოს სტრასბურგის სასამართლოში წარმოადგენს იუსტიციის სამინისტრო და მისი შესაბამისი აგენტი. პროკურატურა იუსტიციის სამინისტროს ის განაყოფია, რომელსაც სტრასბურგის სასამართლოსთან არავითარი შეხება არ აქვს. ეს უკვე ჰარასმენტია, უკვე დათრგუნვის მცდელობაა. ამ ხალხს პროკურატურაში ასეთი ტექსტებით ელაპარაკებიან: მოდით, რა, დინების წინააღმდეგ ნუ წახვალთ. სტრასბურგი შორს არის, ჩვენ აქ ვართ. თუ რამე გჭირდებათ, აქვე გადავწყვიტოთ. საჩივრის შეტანაზე არ იფიქროთ. მე რომ ვარ ბიზნესმენი, რომელსაც ძალიან დიდი ბიზნესი მქონდა, თუნდაც სავაჭრო ქსელი, ეს ნამართვეს და ახლა ვცდილობ, რომ საქართველოს სახელმწიფოს, რომელმაც არც ერთ ეტაპზე არ დაიცვა ჩემი უფლებები, სტრასბურგის სასამართლოში ვუჩივლო, რადგან ამის რეალური წინაპირობა არსებობს, მე მიბარებენ პროკურატურაში, თუნდაც მაღალ დონეზე, ამას მნიშვნელობა არ აქვს და საკმაოდ გასაგები ტონით მეუბნებიან, რომ ისინი ამას პირად შეურაცხყოფად მიიღებენ, თუ მე მათ სტრასბურგში ვუჩივლებ. ანუ დისკომფორტს იშორებენ თავიდან. ეს ძველბიჭური გარჩევის თემაა და ჰგავს ასეთ ტონს – ყველაფერს ჩვენ მოგიგვარებთ, ძმაო!

– სად და ვინ იბარებს ამ ხალხს?

– მე ზუსტად ვიცი ჩემი მეგობარი ბიზნესმენებისგან, რომ ასეთი შეხვედრა კბილაშვილთან ნამდვილად არ ყოფილა. მის ქვემოთ კი ძალიან ბევრთან. მათი სახელები და გვარები რომ დავაკონკრეტო, გამოდის, რომ იმ ადამიანებს გავშიფრავ, ვისგანაც ამაზე ნებართვა არ ამიღია. ძირითადად ასეთი შეხვედრები ხდება დეპარტამენტის უფროსების დონეზე და ზოგიერთი შეხვედრა მთავარი პროკურორის მოადგილის კაბინეტშიც შედგა. ერთი რამ მაინც შემიძლია ვთქვა, რომ როცა რეგიონის უფროსი პროკურორი, ან დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ან მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის მაღალი დონის ჩინოვნიკი ბიზნესმენს იბარებს უწყების გარეშე, არანაირ საქმეზე, არამედ „გასაუბრებას“ ახდენს და ელაპარაკება, რომ მის მიერ სტრასბურგში საჩივრის შეტანა მისგან გაგებული იქნება, როგორც მტრობა, ეს პირდაპირი ზეწოლაა. ბარემ დაამატონ „ძმაო“ და მივალთ იმ უბედურებამდე, რომლისგანაც შორს არ ვართ. ევროპის სასამართლო იმართება ევროპული ადამიანის უფლებათა კონვენციის შესაბამისად და არის 34-ე მუხლი, რომელიც პირდაპირ ხაზს უსვამს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას, რომ აპლიკანტს, ან შესაძლო აპლიკანტს მისცეს სასამართლოსთან თავისუფალი კომუნიკაციის შესაძლებლობა. ეს სახელმწიფოს ვალდებულებაა. მე არ ვამბობ, რომ პროკურატურაში დაბარებულ ხალხს სცემენ, მაგრამ, როცა ასეთი სახის ზემოქმედებას ახორციელებ, ეს წმინდა წყლის ფსიქოლოგიური ჰარასმენტია.

ასე რომ, ერთი მხრივ, არ ხდება ეფექტური კანონმდებლობის აღდგენა იმისთვის, რომ იმ ბიზნესმენებმა, რომლებიც ძალიან ბევრნი არიან და ძალიან დაიჩაგრნენ ნაციონალური მმართველობის დროს, სამართლებრივი კარი მონახონ საკუთარი პრობლემების გადაწყვეტისთვის. მეორე მხრივ, არსებული საერთაშორისო მექანიზმები პრაქტიკულად იბლოკება, რადგან გეუბნებიან, რომ შენ ბიზნესმენი რომ ხარ და ორი კაპიკი დაგრჩენია, იქ არ უნდა წახვიდე.

– აბა, რა უნდა ქნას?

– სწორედ აქ ვარ მეც. ლოგიკური შეკითხვაა. სავარაუდოდ, უნდა „იმეგობრო“ ამ ადამიანებთან.

– ვისთან?

– ალბათ, გია ხუხაშვილთან და ათ თბილისელთან და მერე, ალბათ, რაღაცას გადაწყვეტენ!.. როცა ურთიერთობა ბიზნესთან გადის სამართლებრივი ველიდან, ის გადადის კორუფციულ ველზე. საშუალო არ არსებობს. მე მეჩვენება, რომ დღესდღეობით ბიზნესის მიმართ ისევ მფლობელური დამოკიდებულებაა – ჩვენ გეტყვით, ჩვენ გაჩვენებთ, ჩვენ აგიხსნით, მაშინ, როდესაც სამართალი, დემოკრატიული ქვეყნის პრინციპები საერთოდ განსხვავებულია ამისგან. ვერ დავასახელებ ერთი ბიზნესმენის ვინაობას, რომელსაც ძალიან დიდი პრობლემები შეექმნა წინა ხელისუფლების პირობებში, ციხეშიც მოხვდა, ჩემი მეგობრები იყვნენ ჩართული მის წარმომადგენლობაში სტრასბურგის სასამართლოში. საკმაოდ დიდი შრომა ჩაიდო ამაში. ამ ადვოკატების გვერდის ავლით ეს პირი დაიბარეს და უთხრეს, რომ მაინც ხომ დაგრჩა რაღაცა, ჰოდა, რა გინდა ახლა, რას ეძებო? ასეთი საუბრები, სამწუხაროდ, ერთი და ორი არ იყო, 15 ვიცი მარტო მე. ყველა ასეთი საუბარი შედგა მთავარ პროკურატურაში, ან იუსტიციის სამინისტროში.

– ეს ყველაფერი ხდება იმიტომ, რომ იუსტიციის მინისტრის გადაწყვეტილების შესრულების ასეთი ფორმა აირჩიეს?

– სავარაუდოდ, ამ ყველაფერთან ამას შეხება აქვს. ალბათ, სუფთა პოლიტიკურად ნულუკიანს ნამდვილად არ ანყობს გახმაურებული საქმე, თუნდაც ნაციონალების დროს ჩადენილ ცუდ საქმეებზე ახლა შევიდეს სტრასბურგის სასამართლოში, რადგან ეს მის ყველაფრის შემძლე იმიჯს დაარტყამს. სტრასბურგის სასამართლო, ევროპული ადამიანთა უფლებების კონვენცია და ევროპული სახლი, როგორც ასეთი, ბევრად დიდია, ვიდრე მე, შენ და ყველა დანარჩენი და ვინმე ინდივიდუალური მინისტრის გადასაწყვეტი არ არის, ვინ საით წავა და რას გააკეთებს.

– ბოლოს და ბოლოს, ამ ადამიანებმა უარი თქვეს სტრასბურგზე?

– 99 პროცენტი შეშინებულია.

– აღარ აპირებენ სტრასბურგში წასვლას?

– არა. ყოველ შემთხვევაში, კარგახანს არ აპირებენ. არ დაგვავიწყდეს ისიც, რომ სტრასბურგის სასამართლოშიც სარჩელის დასაბუთება იმისთვის, რომ დასაშვები იყოს, არის ძალიან რთული, რადგან ექვსთვიანი ვადა და სახელმწიფოს მიგნით ყველა პროცედურის ამოწურვის ვალდებულებაა. შენ თუ, პლუს, ამ ვადებსაც გაუშვებ, ფაქტობრივად, თეორიულ შესაძლებლობასაც კი კარგავ სტრასბურგისთვის მიმართვისას. მოდი, აღარ ვისაუბროთ იმაზე, რას აკეთებდნენ ნაციონალები, რადგან ლოგიკურად არჩევანი ცუდსა და უარესს შორის არ უნდა ხდებოდეს. გასაგებია, რომ ნაციონალები იყვნენ უარესები. მაგრამ მოდით, ამ საქმეს ასე შევხედოთ: თუ ვინმე თავის საქმეს ორიანზე აკეთებს, ორიანი პლუსით იგივე ორიანი არ არის? და რაც მთავარია, ეს ორიანი პლუსიდან მინუსში გადავა და მერე მინუს უსასრულობაში, ეს კიდევ კაცმა არ იცის. ეს იცით, რას ჰგავს? სუბარი რომ ამბობს ხშირად, ჩვენს დროს ძალადობა აღარ არისო. გამოდის, რომ ცოცხებით გამასპინძლებასა და კანონიერებას შორის გზას ვერ ხედავ? ეს არის სტანდარტი? არ განამებ – მადლობელი იყავი? თუ ბიზნესის კუთხით შევხედავთ ამას, ვნახავთ, რომ ველი აბსოლუტურად სტატუს კვოთია დარჩენილი, ანუ, ვინც იყვნენ, ისინი არიან ისევ, ნაციონალების ყოფილი ფავორიტები გადამისამართებული დღევანდელ ხელისუფლებაზე. სამართლიანობის აღდგენაზე რომ ვლაპარაკობთ, ეს ბიზნესის წნეხისგან განთავისუფლებას თუ არ ნიშნავს, აბა, რას ნიშნავს სხვას? ყველაზე კომფორტულია, ბიზნესმენი მარწუხებში მოაქციო, რადგან სხვა ადამიანთან შედარებით მას დასაკარგი ძალიან ბევრი აქვს, მაგრამ ის რომ აქტიურად არ იბრძვის და თავის თავს არ იცავს, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ შენი ასეთი მოქცევა სწორია.

– დღეს ხელისუფლება ბიზნესის წილში ისევ არის?

– ვერ დაგიკონკრეტდები პროცენტულ რაოდენობებზე, მაგრამ ის, რომ დღეს სტატუს კვო შენარჩუნებულია, აჩვენებს იმას, რომ ვიღაცებს დღევანდელ ხელისუფლებაში ძალიან ეკომფორტულებათ არსებული ვითარება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დავით ბაქრაძე: „ჩვენ უნდა გადავდგათ ნა

ქეთი ხატიაშვილი

პრაიმერისში უკვე ოთხჯერ გაიმარჯვა, „ნაციონალურ მოძრაობაში“ ამბობენ, რომ მას მარათონში გამარჯვების რეალური შანსები აქვს. ფართო დისკუსიების მიუხედავად, – ბაქრაძე ნაციონალებს დატოვებს, ახალ პარტიას შექმნის და ასე შემდეგ, – ის პარტიაში დარჩა.

დავით ბაქრაძე სიმპათიებით გიორგი მარგველაშვილს უსწრებს, ასეთია კვლევები. პრაიმერისში კონკურენციას გია ბარამიძე, ზურაბ ჯაფარიძე და შოთა მალაშხია უწევენ.

ნაციონალები პოლიტიკურ პროცესში არიან ჩართული და საარჩევნო მარათონი სიახლეებით დაიწყეს. როგორც თავად ამბობენ, ამიერიდან ყველა დონეზე და ყველა არჩევნებში ხალხი დაასახელებს ლიდერს და დირექტივა ცენტრალური ოფისიდან არ წამოვა.

ამჯერად, ისინი საპრეზიდენტო კანდიდატს ირჩევენ, ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ ბაქრაძე გამარჯვებულია. თუმცა, საინტერესოა, რას ფიქრობს ის თავად პრაიმერისზე და ვის მიიჩნევს თავის მთავარ კონკურენტად. ამ და სხვა პოლიტიკურ თემებზე „პრაიმტაიმს“ დავით ბაქრაძე ესაუბრება:

– პრაიმერისი ნამდვილად არის სიახლე ქართული პოლიტიკისთვის და სურვილი იყო, რომ სწორედ „ნაციონალურ მოძრაობას“ შეეთავაზებინა ეს სიახლე. ესეც სიმბოლურია იმ პროცესში, რასაც „ნაციონალური მოძრაობის“ განახლება ეწოდება. რაც შეეხება კონკურენციას, ალბათ, პიროვნული კონკურენცია უფრო მეორეხარისხოვანია, უფრო მნიშვნელოვანია მიდგომებს შორის განსხვავებები. ვინც პრაიმერისს თვალყურს ადევნებს, მიხვდება, რომ მიდგომებში დიდი განსხვავებებია. არიან კანდიდატები, რომლებიც ძალიან მკაცრი და უკომპრომისო მიდგომით გამოირჩევიან და არიან კანდიდატები, რომლებიც ბევრად უფრო კომპრომისული მიდგომებით გამოდიან. უფრო საინტერესოა მიდგომებში სხვაობა, რომელ მიდგომას დაუჭერს მხარს პარტია და რომელი მიდგომა იქნება საზოგადოებისთვის უფრო მისაღები. ეს არის უფრო მნიშვნელოვანი დეტალი.

– მე მაინც ის უფრო მაინტერესებდა, ყველაზე მეტად რომელ ფიგურას აღიქვამთ კონკურენტად?

– სწორედ მაგას ვამბობდი, რომ ფიგურის მაგივრად კონკურენტად აღვიქვამ მიდგომებს. ჩემი მიდგომა და ჩემი ხედვა ასეთია: კამპანია უნდა წავიდეს საზოგადოებრივი შერიგებისკენ, საზოგადოების დამშვიდებისკენ და ამ კამპანიამ არ უნდა გააღრმაოს დაპირისპირება. არის მიდგომა, რომლის მიხედვითაც ითვლება, რომ ჩვენ კამპანიის დროს ბევრად უფრო მკაცრი და უკომპრომისოები უნდა ვიყოთ იმ პრობლემებზე საუბრისას, რომელზეც დღეს ხელისუფლება აკეთებს აქცენტს. ჩემი გამოწვევა არის ის, რომელ მიდგომას დაუჭერს მხარს პარტია.

– როდესაც თქვენ საუბრობთ, რომ კამპანია უნდა იყოს შემრიგებლური, ამით თქვენ გარკვეულწილად აღიარებთ შეცდომებს და იმ ხარვეზებს, რომელსაც პარტია უშვებდა?

– შემრიგებლურში ვგულისხმობ იმას, რომ ჩვენი სტრატეგია უნდა იყოს ძალიან გულწრფელი და გახსნილი, რაც უფრო გულწრფელები ვიქნებით საზოგადოებასთან, მჯერა, რომ მით უფრო მეტი ადამიანი გადასინჯავს თავის დამოკიდებულებას „ნაციონალურ მოძრაობასთან“. ამ გულწრფელობისა და ობიექტურობის ნაწილი იქნება ისიც, რომ ჩვენ ვილაპარაკოთ წარსულში დაშვებულ შეცდომებზე და თუ გნებავთ, დანაშაულებზეც, რაც წინა წლებში ხდებოდა. ჩემი აზრით, რაც უფრო გულწრფელები და ობიექტურები ვიქნებით, მით უფრო მისაღები ვიქნებით საზოგადოებისთვის. ეს არ არის ადვილი იმ ფონზე, როდესაც ამდენი ადამიანია დაჭერილი, როცა ამდენი ადამიანის დევნა მიმდინარეობს, თუმცა მიუხედავად ამისა, ჩვენ უნდა გადავდგათ ნაბიჯი შერიგებისა და გამთლიანებისკენ.

„მარგველაშვილს, რა თქმა უნდა, ჯღვიქვამ, როგორც სახელსა და გვარს. ოღონდ უფრო მეტად სახელსა და გვარს, რომელიც ჟღერს, როგორც ბიძინა ივანიშვილი“

„წინა ცხრა წლის მანძილზე დავინახეთ, რომ ყველა თანამდებობაზე იყო ერთი პოლიტიკური ძალა და ეს არ იყო სწორი, რადგან ამ დროს ხელისუფლება იწყებს შეცდომების დაშვებას“

– გულწრფელობის თემა რომ გავაგრძელოთ, პარტიაში მიიჩნევენ, რომ უნდა შეიცვალოს ლიდერშიფი და უნდა ჩამოშორდნენ ის ადამიანები, რომლებიც დაკავშირებულები არიან დანაშაულებთან, მათ უნდა დაეკისროთ პოლიტიკური პასუხისმგებლობა. კაკო ბობოხიძის განცხადებასაც მოჰყვა კომენტარები, საუბარია, რომ პოლიტიკური თანამდებობები უნდა დატოვონ მერაბიშვილმა და სააკაშვილმა. არის ეს აქტიური განხილვის საგანი?

– კაკო ბობოხიძის მთელი აზრიდან მედიამ ბუნებრივად აიტაცა მხოლოდ ორი გვარი. სინამდვილეში არ იყო ორ ადამიანზე საუბარი. როდესაც პარტია აგებს არჩევნებს, ბევრ სხვა რამესთან ერთად, უნდა დადგეს მისი ხელმძღვანელი ორგანოების საკითხი, რჩება თუ არა ისე, როგორც იყო. ეს ძალიან ჯანმრთელი და ლოგიკური კითხვაა. რა ფორმით მოხდება პარტიის ცვლილება, ამაზე მსჯელობა და საუბარი მიდის. თუმცა პრინციპულად არასწორია, რომ მხოლოდ ორი ადამიანის პასუხისმგებლობაზე ვისაუბროთ. თუ ვსაუბრობთ პასუხისმგებლობაზე, რა თქმა უნდა, უნდა ვისაუბროთ მათ შორის პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების გარდაქმნაზე და ესეც ნორმალური პროცესი იქნება.

– საუბარია, რომ გიორგი ვაშაძე ჩაანაცვლებს მერაბიშვილს, მით უფრო ის აქტიურობს პარტიაში და ვხედავთ, რომ ის გამოირჩევა თავისი ენერგიულობით...

– ვანო მერაბიშვილი არის პარტიის მდივანი, ის იმყოფება პატიმრობაში და ის ფაქტი, რომ მოქმედ პოლიტიკოსს პატიმრობა შეუფარდეს, ვერ შეფასდება სხვანაირად, თუ არა პოლიტიკური კამპანიის ნაწილი. მე არ ვსაუბრობ მის შესაძლო ბრალეულობაზე, მე არ ვსაუბრობ იმაზე, რომ, თუ სასამართლო დაასკვნის, რომ ის დამნაშავეა, არ უნდა დაისაჯოს. მაგრამ, როცა პოლიტიკურ ფიგურას წინასწარ პატიმრობას უსჯი, ეს აბსოლუტურად მიუღებელია ნორმალური დემოკრატიული კრიტერიუმისთვის და ატარებს ძალიან მკაფიო პოლიტიკური ანგარიშსწორების ნიშანს. ასეთ მომენტში, ბუნებრივია, მერაბიშვილის გადაყენების საკითხი არც დგას და ვერც დადგება. რაც შეეხება ვაშაძეს, მე მთლიანად ვიზიარებ თქვენს შეფასებას. ეს არის ახალი ენერგია, ახალი სახე, ახალი ხედვა პარტიაში. ადამიანი, რომელსაც აქვს ძალიან ღია და დემოკრატიული შეხედულებები. იმედი მაქვს, უახლოეს წლებში ჩამოყალიბდება პარტიის ახალ ლიდერად, რადგან ასეთი ადამიანები ქვეყანას აუცილებლად სჭირდება. მან თავის დროზე ძალიან ბევრი გააკეთა, როცა იყო იუსტიციის სამინისტროში და ის რეფორმა, რომლის მეშვეობითაც ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია, ათ წუთში აიღოს ნებისმიერი საბუთი, ქრთამი არ გადაიხადოს, ჩაბნელებული ოთახების მაგივრად იუსტიციის სახლში მივიდეს და კომფორტულად აიღოს ნებისმიერი ცნობა. ეს დიდწილად უკავშირდება ვაშაძის სახელს. დიდი იმედი მაქვს, რომ პოლიტიკაში გადმოსვლის შემდეგ ის აქაც ასეთივე დიდ კვალს დატოვებს და ჩამოყალიბდება, როგორც წარმატებული ლიდერი.

– ვანო მერაბიშვილს ბრალი დაუმძიმდა გირგვლიანის საქმეზე. ცნობილია, რომ ბრალის დამძიმება მოხდა ნინო ბურჯანაძის ჩვენების საფუძველზე. რამდენად გახსენდებათ შემთხვევა, როდესაც პოლიტიკოსმა პოლიტიკოსის წინააღმდეგ მისცა ჩვენება?

– მე როგორც მეუბნებიან, ის ადამიანები, რომლებსაც წაკითხული აქვთ საქმე, წაკითხული აქვთ ჩვენებები, ადვოკატებს ვგულისხმობ, ამბობენ, რომ ეს საქმე ძალიან სუსტია. მესმის, რომ არსებობს ემოციური განწყობა და ემოციური დაკვეთაც საზოგადოების მხრიდან, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით ვინმე დაისაჯოს, მაგრამ წმინდა სამართლებრივად ადვოკატების შეფასებით, ეს საქმე არის ძალიან სუსტი, იმდენად სუსტი, რომ დიდი ალბათობით, ეს საქმე ნორმალურ სასამართლო განხილვას ვერ გაუძლებს. ამიტომ დაველოდოთ სასამართლოს, ჩვენ ბევრი გვინახავს, რიხით დაწყებული საქმეები და შემდეგ გვინახავს მოწმეები, რომლებიც პროცესზე შპარგალკებით იყვნენ წარმოდგენილები, გვინახავს ასევე მოწმეები, რომლებიც პროცესზე შესვლის წინ პროკურორებთან გადიოდნენ ტრენინგებს, რა უნდა ელაპარაკათ.

რაც ვიცი ადვოკატებისგან, იგივე კატეგორიაში გადის 26 მაისი და, ფაქტობრივად, არ არსებობს არანაირი მოტივი, რომლის საფუძველზეც მერაბიშვილს შეიძლება პასუხისმგებლობა მოსთხოვო. დაველოდოთ სასამართლო გადაწყვეტილებას, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს ადამიანი დამნაშავეა, ბუნებრივია, მერაბიშვილმა სასჯელი უნდა მოიხადოს, მაგრამ მთავარი პრობლემა სწორედ სასამართლოს საბოლოო დასკვნამდე დაჭერაა. არსად არ მირბოდა ვანო მერაბიშვილი, ძალიან კარგად იცოდა, რომ მის წინააღმდეგ პროცესი იყო, ოთხჯერ იყო პროკურატურაში მისული, ხუთჯერ იყო საზღვარგარეთ წასული და ხუთივეჯერ დროულად დაბრუნდა და არც ერთხელ უარი არ უთქვამს პროკურატურაში მისვლაზე. რა საჭირო იყო ასეთი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბიჯები შერიგებისა და გამთლიანებისკენ“

„პრეზიდენტის თანამდებობა, ერთი მხრივ, უნდა იყოს თანამდებობა, რომელიც ხალხთან ერთად იმუშავებს და მეორე მხრივ, გააკონტროლებს მთავრობას“

ადამიანის დაკავება, რომელიც არსად არ გარბის და ამბობს, რომ თანამშრომლობს გამოძიებასთან.

– როგორია მისი ფიზიკური მდგომარეობა?

– სამწუხაროდ, ძალიან შეზღუდულია მასთან შესვლის შესაძლებლობა. ჯერჯერობით მხოლოდ ორ პარლამენტარს მიეცა მასთან შესვლის საშუალება და მონახულება. ოჯახის წევრებსაც პრობლემა აქვთ მასთან შეხვედრის. ის ინფორმაცია, რაც ევროპარლამენტარებმა გამოიტანეს, არის ის, რომ მას ფიზიკურადაც პრობლემები აქვს და შეიძლება ექიმი დასჭირდეს.

– საარჩევნო თემაზე გადავინაცვლოთ, თქვენ NDI-ს კვლევებში მოწონების კუთხით რამდენიმე პროცენტით უსწრებთ გიორგი მარგველაშვილს. ექსპერტებმა გააკეთეს განცხადება, რომ ეს უკვე ნიშნავს მეორე ტურს, ფიქრობთ, რომ მეორე ტური შედგება?

– მიხარია, რომ საზოგადოების თვალში ნდობას ვიმსახურებ, მაგრამ უნდა გვესმოდეს, რომ ამ ნდობასა და პოლიტიკურ შედეგს შორის პირდაპირი კავშირი არ არსებობს. შეიძლება ადამიანს, რომელსაც მაღალი პიროვნული ნდობა აქვს, აჯობოს იმ კანდიდატმა, რომელსაც დაბალი პიროვნული ნდობა აქვს, გამომდინარე მათი პოლიტიკურ ძალებს შორის ურთიერთობისა და მხარდაჭერის თანაფარდობისა. ეს პიროვნული ნდობა ავტომატურად არაფერს ნიშნავს, თუმცა ვიმეორებ, ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. რაც შეეხება შანსებს, ვფიქრობ, საზოგადოებამ კარგად უნდა გაიაზროს, რას ემსახურება ეს არჩევნები და ამის შემდეგ ოპოზიციის შანსი ძალიან მაღალი იქნება. ეს არ არის მთავრობის შეცვლის არჩევნები. მთავრობა შეიცვალა პირველ ოქტომბერს. როგორც არ უნდა დამთავრდეს ეს არჩევნები, ქვეყანაში გვეყოლება იგივე პრემიერი, იგივე მთავრობა და იგივე საპარლამენტო უმრავლესობა. ერთადერთი, რასაც ეს არჩევნები განსაზღვრავს, არის ის, იქნება თუ არა ყველა თანამდებობა ერთი და იგივე პოლიტიკური ძალის. ჩვენ წინა ოცი წლის განმავლობაში და გნებავთ წინა ცხრა წლის მანძილზე დავინახეთ, რომ ყველა თანამდებობაზე იყო ერთი პოლიტიკური ძალა და ეს არ იყო სწორი, რადგან ამ დროს ხელისუფლება იწყებს შეცდომების დაშვებას.

ეს არჩევნები განსაზღვრავს: იქნება თუ არა ყველა თანამდებობა ერთი ძალის ხელში, თუ იქნება ოპოზიცია, რომელიც გააკონტროლებს მთავრობას იმისთვის, რომ მან არ დაუშვას შეცდომები და შეასრულოს ის დაპირებები, რომლებიც ხალხს მისცა. პრეზიდენტის თანამდებობა, ერთი მხრივ, უნდა იყოს თანამდებობა, რომელიც იმუშავებს ხალხთან ერთად და მეორე მხრივ, გააკონტროლებს მთავრობას. ამ გადმოსახედიდან ვფიქრობ, ოპოზიციის შანსი მაღალი უნდა იყოს.

– თქვენ ამბობთ, რომ ნდობ-ის მაღალი რეიტინგი არ ნიშნავს ავტომატურ გამარჯვებას, მაგრამ ექსპერტების აზრით, თქვენ რომ ცალკე გასულიყავით და ნეიტრალური ძალების მხარდაჭერა მოგეპოვებინათ, ბევრად დიდი შანსები გექნებოდათ გამარჯვების...

– მე არასოდეს მიმუშავია პოლიტიკაში არც ჩემს თავზე, არც ჩემს რეიტინგზე და არც თანამდებობისთვის. მე დღესაც ვმუშაობ იგივე პრინციპით, რითიც დავიწყე – ეს მთავარი პრინციპი არის პასუხისმგებლობა. მიმაჩნია, რომ ვარ პასუხისმგებელი პარტიის წინაშე, თანაგუნდელების წინაშე და მთლიანად საზოგადოების წინაშე. დღეს არ მოვსულვარ პოლიტიკაში, მთელი ეს წლები ვიყავი ამ გუნდში და ვიყავი მაღალ თანამდებობაზე, ამიტომ ვფიქრობ, რომ ჩემი მხრიდან უპასუხისმგებლო საქციელი იქნებოდა, რომ ახლა თეთრი ხელთათმანები გავიკეთო, გვერდზე გავიწიო, თავი გადავაქნიო და ვთქვა: „უი, უი, რა მომხდარა წინა წლებში და მე ახლა, როგორც დამოუკიდებელი ფიგურა, ვაგრძელებ მუშაობას“... ეს ბევრს აქვს გაკეთებული ქართულ პოლიტიკაში, მათ შორის ბევრ ოპოზიციურ ლიდერს, რომლებიც დღეს მრისხანედ ამხელენ ნაციონალურ მოძრაობას. მიმაჩნია, რომ ასეთი საქციელი ამორალურია, მე არ ვემიჯნები ჩემს გუნდს მაშინ, როცა მას უჭირს... თუ ჩვენ ერთად ვიყავით ხელისუფლებაში, ვფიქრობ, ჩემი ადამიანური ვალდებულებაა, ერთად ვიყოთ ახლაც, როდესაც, ფაქტობრივად, მთელი გუნდი იმყოფება პოლიტიკურ დევნაში. ასევე, ეს არის ჩემი პასუხისმგებლობაც, რომ, თუ რაიმე არასწორად კეთდებოდა წლების მანძილზე, ამაზე გვერდიდან კი არ ვილაპარაკო, არამედ ვილაპარაკო, როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერმა. შეცდომების გამოსწორებისა და საზოგადოების გაერთიანების ერთადერთი გზა არის სწორედ ის, რომ ისაუბრონ სწორედ „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებმა და არა გვერდზე გადგომილმა ადამიანებმა. ჩემთვისაც ბევრს უთქვამს, რომ ბევრად უფრო მომგებიანი იქნებოდა, თუ მე გვერდზე გავიწეოდი, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ჩემთვის მნიშვნელოვანია საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობა და არა ის, რომ ჩემი რეიტინგი რამდენიმე პროცენტით მეტი იყოს. დამიჯერეთ, ამას ჩემთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს.

„თუ ივანიშვილი მართლა აპირებს პოლიტიკიდან წასვლას, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პრეზიდენტის პოსტზე იყოს ადამიანი, რომელიც იმ შექმნილ ვითარებაში მთავრობას თან დაეხმარება და თან გააკონტროლებს, რათა სიტუაცია კონტროლიდან არ გამოვიდეს“

– რამდენად მოგისმენიათ ეს სიტყვები ბიძინა ივანიშვილისგან, რომ სჯობია, გვერდზე გადგეთ?

– არა, ჩვენ გვქონდა სულ ორი შეხვედრა, ერთი სტრასბურგში, ერთი ურეკში, მაგრამ ჩვენ ასეთ თემებზე არ გვისაუბრია. მასაც კარგად ესმის, რომ ეს ჩემი გადასაწყვეტია. სხვათა შორის, ძალიან კორექტული ლიდერებიდან ჩანს, ის სერიოზულად ფიქრობს პოლიტიკიდან წასვლაზე, მათ შორის წლის ბოლომდე წასვლაზე. ეს მისი გადასაწყვეტი იქნება. რაც შეეხება ჩემს მოსაზრებას, გაგიკვირდებათ, ალბათ, ოპოზიციის წარმომადგენლისგან ასეთი პასუხი, მაგრამ მე ამას არ ვუყურებ კარგად, რადგან მან და მისმა ძალამ ხალხს ბევრი დაპირება მისცა და ვერ ვხედავ ამ მთავრობაში ვერავის, ვინც შეძლებს პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას და სიტუაციის გამოსწორებას. მე, როგორც ოპოზიციონერს, შეიძლება მიხაროდეს, რომ მთავარი კონკურენტი პოლიტიკიდან წავა, მაგრამ მე, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეს, ნამდვილად არ გამიხარდება ის, რომ საქართველოში პროცესები მიდიოდეს ცუდად. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემთხვევაში მე მთავრობაში ვერ ვხედავ ვერც ერთ ადამიანს, ვინც ქვეყნის წინაშე მდგარ ამოცანებს გაუმკლავდება. სწორედ ამიტომაც, თუ ივანიშვილი მართლა აპირებს პოლიტიკიდან წასვლას, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პრეზიდენტის პოსტზე იყოს ადამიანი, რომელიც იმ შექმნილ ვითარებაში მთავრობას თან დაეხმარება და თან გააკონტროლებს, რათა ვითარება კონტროლიდან არ გამოვიდეს.

„ეს არ არის მთავრობის შეცვლის არჩევნები. მთავრობა შეიცვალა პირველ ოქტომბერს, როგორც არ უნდა დამთავრდეს ეს არჩევნები, ქვეყანაში გვეყოლება იგივე პრემიერი, იგივე მთავრობა და იგივე საპარლამენტო უმრავლესობა. ერთადერთი, რასაც ეს არჩევნები განსაზღვრავს, არის ის, იქნება თუ არა ყველა თანამდებობა ერთი და იგივე პოლიტიკური ძალის“

„მე არასოდეს მიმუშავია პოლიტიკაში არც ჩემს თავზე, არც ჩემს რეიტინგზე და არც თანამდებობისთვის. მე დღესაც ვმუშაობ იგივე პრინციპით, რითაც დავიწყე – ეს მთავარი პრინციპი არის პასუხისმგებლობა“

– გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, რომ ის შევა თითოეული მოქალაქის ოჯახში და გადაწყვეტს ყველა მათ პრობლემას. როგორ ფიქრობთ, მაშინ როცა თქვენ გზების დაგებით, სკვერების აღდგენითა და ფასადების გალამაზებით, პრინციპში, მიხვედით თითოეული მოქალაქის სახლის კარამდე, მაგრამ არ შეხვედით შიგნით, რამდენად სწორი ნიშა დაიკავა მარგველაშვილმა?

– ჩვენი ერთ-ერთი პრობლემა სწორედ ის იყო, რომ მართლაც ძალიან ბევრი რამ გავაკეთეთ, თუმცა ვერ მოვახერხეთ ბევრი რამის შეტანა კონკრეტულ ოჯახებში. როცა ადამიანები ტელევიზორებს ჩართავდნენ და ხედავდნენ, რომ დაიგო გზები, გაკეთდა სკვერი, აშენდა ახალი შენობა, ისეთი განცდა ჰქონდათ, რომ ეს ყველაფერი სხვა ქვეყანაში ხდებოდა, რადგან მათ ოჯახში, მათ გარშემო არაფერი არ იცვლებოდა. ეს იყო ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა, რაც ჩვენ გვქონდა. ეს სამომავლოდ უნდა გავითვალისწინოთ, ოჯახებამდე უნდა მივიდეს ის, რაც ქვეყანაში კეთდება. რაც შეეხება მარგველაშვილს, ისიც არ მოდის სუფთა ფურცლიდან, ისიც უკვე ათი თვეა, ხელისუფლებაშია და მე ვერაფრით ვერ ვიტყვი, რომ ამ მთავრობამ კონკრეტულ ოჯახებში რაიმე სიკეთე შეიტანა. შეხედეთ ეკონომიკას, 43 ათასი სამუშაო ადგილი მარტო პირველ კვარტალში დაიკარგა, მაისში ნულოვანი ეკონომიკური ზრდა გვქონდა. დაკარგული სამუშაო ადგილები და ნულოვანი ეკონომიკური ზრდა არის კონკრეტული ოჯახები, რომლებიც უფრო ცუდად ცხოვრობენ დღეს, ვიდრე ცხოვრობდნენ ერთი ნლის წინათ. ჩემს ირგვლივ ბევრი ადამიანი, ვისაც აქვს მცირე ბიზნესი, ამბობს, რომ ბრუნვა არის განახევრებული და ვაჭრობა შემცირებული. უკვე ათი თვეა, ახალი მთავრობა არის ხელისუფლებაში და ჯერჯერობით ვერანაირი ღირებული სიკეთე ამ ოჯახებში ვერ შევიდა.

– ადრე „ნაციონალური მოძრაობა“ არჩევნების პერიოდში ყოველთვის ამბობდა, რომ მათთვის კონკურენტი იყო არა კონკრეტული სახელი და გვარი, არამედ სოციალური პრობლემები, უმუშევრობა, პენსიები... ახლა როგორ აღიქვამთ მარგველაშვილს – როგორც კონკრეტულ პიროვნებას თუ როგორც კონკრეტულ პრობლემას?

– ამ შემთხვევაში მარგველაშვილს, რა თქმა უნდა, აღვიქვამ, როგორც სახელსა და გვარს. ოღონდ უფრო მეტად სახელსა და გვარს, რომელიც ჟღერს, როგორც ბიძინა ივანიშვილი. რადგან მარგველაშვილი დასახელებულია იმ ძალის მიერ, რომელსაც დღეს აქვს მაღალი მხარდაჭერა, ის დასახელებულია იმ ადამიანის მიერ, პრემიერს ვგულისხმობ, რომელსაც აქვს მაღალი მხარდაჭერა და ნდობა, ამიტომ, ბუნებრივია, ვინც არ უნდა ყოფილიყო „ქართული ოცნების“ კანდიდატი, იქნებოდა ძალიან სერიოზული კონკურენტი. შესაბამისად, ჩემი მხრიდან საუბარი, რომ მას არ აღვიქვამ სერიოზულ კონკურენტად, არასერიოზული იქნებოდა. „ქართული ოცნებისა“ და ბიძინა ივანიშვილის ფავორიტი დღეს ბუნებრივად არის გამარჯვების ერთ-ერთი სერიოზული კანდიდატი და ბუნებრივია, ამ რეალობიდან გაქცევას არ ვაპირებ. რაც შეეხება დანარჩენ კონკურენტებს, ბუნებრივია, ერთ-ერთ მთავარ კონკურენტად ვთვლი იმ გადაფასებებს, რომელიც მიმდინარეობს წინა ცხრა წელთან დაკავშირებით.

– რამდენად ელოდებით ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლას საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ და როგორ ფიქრობთ, როგორ შეცვლის ეს პოლიტიკურ სურათს?

– მე შემიძლია ვიმსჯელო მხოლოდ მისი განცხადებებით. როგორც მისი განცხა-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

Airzena

35 წუთი და თქვენ უკვე ბათუმში ხართ!



სიახლე ავიაკომპანია
აირზენასგან!

1 აგვისტოდან

ყოველდღიური ფრენები ბათუმში!

დაგვიკავშირდით **2 505 005**
ან ეწვიეთ საიტს www.airzena.com

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პრაიმერისის ერთ-ერთი მონაწილე სკანდალში ეხვევა

ხათუნა მგალობლიშვილი

„ურთიერთობა მქონდა არა მხოლოდ დავითაიასთან, არამედ ახალ მემარჯვენეებთანაც“

EXCLUSIVE

გიორგი თარგამაძესა და პაატა დავითაიას შორის ურთიერთობა დაიძაბა

„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი სკანდალში ეხვევა. კულუარებში არასამთავრობო პარტიები ადასტურებენ, რომ შოთა მალაშხია სხვა პარტიის წევრია და შესაბამისად, ნაციონალების პრაიმერისში მონაწილეობა, წესით, ვერ უნდა მიიღოს.

ყველაფერი კი გიორგი თარგამაძით დაიწყო. „ქდმ“-ს ლიდერმა ვერ მოილაპარაკა საკუთარი კოალიციის წევრთან, პაატა დავითაიასთან. „ქდმ“ კვალიფიციური სუბიექტია, მას აქვს დაფინანსება ბიუჯეტიდან და რაც მეტი აქვს პარტიას დაფინანსება, მით უფრო პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფება ის. არა მხოლოდ ფინანსური გაგებით, არამედ გავლენებითაც. მეტი დაფინანსება უკვე ცესკო-ში წარმომადგენლის ყოლასაც ნიშნავს. ეს კი ნამდვილი ქართული ოცნებაა ყველა პარტიისთვის. განსაკუთრებით კი არასაპარლამენტო პარტიებისთვის, რომლებიც ახლა ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ საკუთარი მიზერული, მაგრამ მაინც შესაძლებლობები სარფიანად დააბანდონ.

კულუარებში ამბობენ, რომ გიორგი თარგამაძემ გარიგება ყველა მიმართულებით სცადა, თუმცა უშედეგოდ, პაატა დავითაია მას კოალიციაში შემავალი მესამე სუბიექტის გაუქმებას სთავაზობდა: გიორგი, შენ პარტიას თუ გააუქმებ, დაფინანსებაც გაგვეზრდება და ცესკო-ში მოხვედრის შანსიცო.

საქმე ის გახლავთ, რომ გიორგი თარგამაძე არა მხოლოდ „ქდმ“-ს ლიდერია, არამედ, კობა დავითაშვილის მსგავსად, ერთკაციან პარტიასაც „ფლობს“. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, კოალიციაში, „ქდმ“-სა და დავითაიას პარტიის გარდა, კიდევ არის ერთი პარტია, რომლის არსებობაც არავინ იცის, ის მხოლოდ ოფიციალურ დოკუმენტებში არსებობს და როგორც ჩანს, მხოლოდ იმისთვის, რომ დაფინანსება თარგამაძეს ორჯერ მეტი ჰქონდეს. შეგახსენებთ, კოალიციაში შედის სამი პარტია. შესაბამისად, ფინანსები სამივეზე თანაბრად ნაწილდება.

დავითაიას წინადადებაზე – ფიქციური პარტიის გაუქმების თაობაზე თარგამაძემ უარი თქვა. ეს შეთავაზება რომ მიეღო, მაშინ კოალიციაში ფინანსები ორად გაიყოფოდა და ისინი – თარგამაძეც და დავითაიაც – ცესკო-ში ჩაანაცვლებდნენ „ფორუმსა“ და ალასანიას პარტიებს.

ეს პროექტი ჩავარდა, ამიტომაც დავითაიამ გამოსავალი სხვაგან ნახა. როგორც ჩანს, მასთან სწორედ შოთა მალაშხია გადავიდა. ეს პაატას დაფინანსებას უზრდის და შესაძლოა, „ფორუმი“ სწორედ მათ ჩაანაცვლონ. ყოველ შემთხვევაში გათვლა ასეთია. მალაშხია ამჯერად ნაციონალების პრაიმერისში მონაწილეობს და დავითაიას პარტიაში გაწევრიანებას უარყოფს, კოალიციას კი არ გამორიცხავს უფრო ფართო მასშტაბით.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ კანონში შესატანმა ცვლილებებმა პოლიტიკური კულუარები თავდაყირა დააყენა. პირველ ეტაპზე პარტიებმა ქალებზე დაიწყეს ნადირობა, რადგან გენდერული ბალანსის დაცვით პარტიები ფულად ბონუსებს იღებდნენ. ბონუსების სახეობები ამის შემდეგ კიდევ უფრო გამრავალფეროვნდა და ახლა ყველა პოლიტიკურ ძალას, რომელსაც უკანასკნელ არჩევნებში საარჩევნო ზღვარი გადალახული აქვს და პლუს ერთი დეპუტატი მაინც ჰყავს, მისი დაფინანსება კიდევ უფრო იზრდება.

ოპოზიციის ნაწილი ამდაგვარ პოლიტიკურ ხრიკებს აპროტესტებს, თუმცა ფაქტია, რომ გადადინებები ერთი პარტიიდან მეორეში სწორედ ამ ფაქტორებმა გამოიწვია. როგორც ამბობენ, შოთა მალაშხია პაატა დავითაიას „ევროპელ დემოკრატებში“ გადადის და მიზანი ამ შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ ფინანსური მოგების მოპოვებაა. თუმცა ორივე მხარე მალაშხიას „ევროპელ დემოკრატებში“ გაწევრიანებას კატეგორიულად უარყოფს. საპრეზიდენტო კანდიდატის განცხადებით, მას საკუთარი პარტია უკვე ოცდაერთი წელია ჰყავს და დიდი ისტორიის გამო მის დათმობას არ გეგმავს.

შოთა მალაშხია, საპარლამენტო უმცირესობის წევრი:

– პაატა დავითაიასთან კონტაქტები ჯერ კიდევ მაშინ მქონდა, როცა ის ოპოზიციაში იყო, მაგრამ არ იყო პარლამენტში. მასთან ურთიერთობა მქონდა პარლამენტში ყოფნის დროსაც და მასთან ურთიერთობა მაქვს დღესაც. ვფიქრობ, თემატურ საკითხებზე: ოლიმპიადა, ოკუპირებული ტერიტორიები და კანონი ოკუპაციასთან დაკავშირებით... ნებისმიერ შემთხვევაში მოგვიწევს არა მარტო პაატა დავითაიასთან, არამედ დანარჩენ ოპოზიციასთან ერთადაც ფართო კოალიციის გაკეთება. ეს იქნება პარტიულიც, საზოგადოებრივიც, არასამთავრობოც.

– ეს კონკრეტულ თემებთან დაკავშირებით?

– დიახ. ეს იქნება კოალიცია, რომელიც იმუშავებს საკითხებზე, რომელსაც ატარებს ხელისუფლება ოლიმპიადასთან დაკავშირებით, ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით... ეს საკითხები არ უნდა იქნას გატანილი. ამ საკითხებზე ჯერ კიდევ ორი თვის წინ იყო საუბარი და ურთიერთობა მქონდა არა მხოლოდ დავითაიასთან, არამედ ახალ მემარჯვენეებთანაც. მე თვითონ მაქვს პარტია, „ქრისტიან-კონსერვატული პარტია“, რომელიც 1992 წელს არის დაარსებული. საქართველოში იშვიათად მოიძებნება ამდენი ხნის ისტორიის მქონე პარტია.

მალაშხიამ, პრინციპში, დაადასტურა გაწევრიანება. როგორც ჩანს, ახალი კოალიცია კონფლიქტების საკითხების ირგვლივ გაერთიანდება და საერთო დაფინანსებას მიიღებს, თანაც გაზრდილს, რადგან ჩაითვლება, რომ აღნიშნულ კოალიციას პარლამენტში დეპუტატი ეყოლება მალაშხიას სახით.

პაატა დავითაია, „ევროპელი დემოკრატების“ ლიდერი:

– არანაირ გადმოსვლაზე არ არის საუბარი, ერთმანეთში კონსულტაციები არის და ამას დავადასტურებ.

– რა თემებზე?

– შოთა მალაშხიაც და მეც ორივე პარლამენტის წევრები ვიყავით. მალაშხიას თავად აქვს პარტია, უბრალოდ, ჩვენ აფხაზეთის თემაზე ვმუშაობდით, ახლაც იგივე საკითხებზე ვმუშაობთ. მალაშხია დღესაც არის პარლამენტის წევრი და ჩვენ გვაქვს კონსულტაცია, რომ მან პარლამენტში გააჟღეროს კონკრეტული საკითხები. ეს ჩვეულებრივი სამუშაო პროცესია. კონსულტაციები გვაქვს ყველასთან, ვინც იმ საკითხებს იზიარებს, რომლებზეც ჩვენ ვმუშაობთ. მით უმეტეს შოთა მალაშხიასთან, რომელიც აფხაზეთის თემაზე მუშაობს და მის გარდა, პარლამენტში აფხაზეთის საკითხზე არავინ აკეთებს განცხადებებს.

– პარტიაში გადმოსვლაზე არც ყოფილა საუბარი?

– ყოველთვის იყო საუბარი ჩვენს ურთიერთობაზე, ეს იყო, არის და მუდამ იქნება, სანამ ერთნაირი პოზიციები გვექნება.

შოთა მალაშხია:
„ნებისმიერ შემთხვევაში მოგვიწევს არა მარტო პაატა დავითაიასთან, არამედ დანარჩენ ოპოზიციასთან ერთადაც ფართო კოალიციის გაკეთება“

პაატა დავითაია:
„მალაშხია დღესაც არის პარლამენტის წევრი და ჩვენ გვაქვს კონსულტაცია, რომ მან პარლამენტში გააჟღეროს კონკრეტული საკითხები“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

საკრებულოში სკანდალი გრძელდება

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

ზაალ სამადაშვილს საკრებულოს თავმჯდომარის პოსტის შესანარჩუნებლად ზუსტად ხუთი დღე დარჩა. საკრებულოს კულუარებში უკვე რამდენიმე თვეა, აქტიურად საუბრობენ, ვინ გახდება მისი შემცვლელი. ვერსიები უკვე ღიად ფიქსირდება. დასახელებული კანდიდატებიდან ყველაზე მეტად ირაკლი შიხიაშვილი აქტიურობს. თუმცა ყოფილ ნაციონალებს არც ყოფილი გუნდელები და მით უფრო, არც „ოცნების“ წევრები არ უჭერენ მხარს. როგორც ამბობენ, „ოცნების“ საბჭო გიორგი ტყემალაძეს ასახელებს სასურველ კანდიდატად. ტყემალაძე ჯერჯერობით მოკლე კომენტარებით შემოიფარგლება და პროცესებს გვერდიდან აკვირდება. არ არის გამორიცხული, სწორედ ზურაბ ტყემალაძის შვილმა დაიკავოს დედაქალაქის საკრებულოს თავმჯდომარის პოსტი. თუმცა ტყემალაძესთან ერთად აქტიურად სახელდებოდა გიორგი მუსხელიშვილის კანდიდატურა. როგორც ამბობენ, მუსხელიშვილი თავად ივანიშვილმა დაბლოკა ირაკლი ალასანიას მხარდაჭერის მოპოვების გამო.

მომდევნო სხდომა საკრებულოში 26 ივლისს გაიმართება. სავარაუდოდ, იმავე დღეს აირჩევენ ახალ ხელმძღვანელსაც. ყოველ შემთხვევაში სამოქმედო გეგმა ამჟამად მთლიანად ახალი უმრავლესობის ხელშია. ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რამდენად შეთანხმებულად იმოქმედებენ ისინი.

ზაზა გაბუნია: „ჩვენ გვექნება გაცილებით სერიოზული უფლებები მერზე, ვიცე-მერებზე და საქალაქო სამსახურების უფროსებზე, მათ შორის შეიძლება საკრებულოს მიეცეს გადაყენების უფლებაც“

„ქართულმა ოცნებამ“ თბილისის საკრებულო, როგორც იქნა, „აიღო“. 25-კაციანმა უმრავლესობამ მამუკა ახვლედიანი და კიდევ 13 მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარეები თანამდებობიდან გადააყენა. მომდევნო ეტაპი კონსულტაციებია და უკვე 26 ივლისს თავად ზაალ სამადაშვილის ჩანაცვლებას აპირებენ. ჯაბა სამუშიას განცხადებით, კონსულტაციებს „ოცნების“ წარმომადგენლები გამართავენ ყველასთან, მათ შორის „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებთანაც. თავის მხრივ, მზადყოფნას გამოთქვამენ ყოფილი უმრავლესობის ლიდერებიც. თუმცა ჩატარებული რიგგარეშე სხდომით მაინც უკმაყოფილოები არიან და საკითხი სასამართლოში გაასაჩივრეს.

მამუკა ახვლედიანი:

– სხდომა იყო სრულიად არალეგიტიმური, იმდენად რამდენადაც არსებობდა ძალიან ბევრი იურიდიული ლაფსუსი ამ სხდომის მონაწილეობასთან დაკავშირებით. ამ დეპუტატებს არ ჰქონდათ არანაირი კანონიერი უფლება ამ კრების ჩატარებისა. ჩვენი პარტია არ ცნობს ამ სხდომას. ძალისმიერი მეთოდების გამოყენება, სამწუხაროდ, უცხო არ არის ჩვენი კოლეგებისთვის, კრება შეიკრიბა ძალისმიერი მეთოდებით, შანტაჟით, დაპატიმრებების მუქარით. მათ მიერ მიღებული უკანონო გადაწყვეტილება ჩვენ მიერ გასაჩივრდება.

ახვლედიანის განცხადებით, ის მზად არის, ოპონენტებს მრგვალ მაგიდასთან დაუჯდეს და ესაუბროს ნებისმიერ თემაზე, გარდა ერთისა. ეს ერთადერთი საკითხი თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატურაა. ნაციონალები წინასწარვე აცხადებენ, რომ ირაკლი შიხიაშვილს მხარს არავითარ შემთხვევაში არ დაუჭერენ. ზოგადად, შიხიაშვილი თავად უფრო აქტიურობს, ვიდრე მისი მხარდამჭერები. უფრო სწორად მხარდამჭერები არც კი ჰყავს. ივანიშვილმა ეს რამდენიმე დღის წინ ღიად დააფიქსირა. პრემიერმა განაცხადა, რომ ირაკლი შიხიაშვილს საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე „ქართული ოცნება“ არ ირჩევს.

ბიძინა ივანიშვილი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი:

– საკრებულოში ნორმალური პროცესი მიმდინარეობს, პარლამენტშიც მოხდა ფრაქციების გამოყოფა და დაფიქსირება. აქაც რაღაც პროცესები მიდის, მაგრამ გარწმუნებთ, მე არაფერ შუაში ვარ ამასთან. პროცესები მიმდინარეობს ბუნებრივად და უნდა განვითარდეს კიდეც. ეს არის დემოკრატიული პროცესები და ასეც უნდა იყოს. ირაკლი შიხიაშვილი ძალიან აქტიურია, იყო „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან და მან ეს თვითონ მოახერხა.

თავად შიხიაშვილი აცხადებს, რომ მისი კანდიდატურა ერთ-ერთ სერიოზულ ვარიანტად განიხილება. თუმცა კულუარებში ისევ გიორგი ტყემალაძის სახელი და გვარი ფიგურირებს.

თავმჯდომარის საკითხზე არანაკლებ საინტერესო ახალი უმრავლესობის საშემოდგომო გეგმაა. ისინი გიგი უგულავას გადაყენებას უფრო და უფრო სერიოზულად უყურებენ. მით უფრო მაშინ, როცა ახალი უმრავლესობა ირწმუნება, რომ ნაციონალებს უახლოეს დღეებში კიდევ ძალიან ბევრი მათი წევრი დატოვებს. ზაზა გაბუნიას განცხადებით, ნაციონალების რღვევა შეუქცევადი პროცესია, რომელიც, მისივე განცხადებით, ჯერ კიდევ 2010 წელს დაიწყო.

ზაზა გაბუნია:

– მე ჯერ კიდევ 2010 წლიდან მახსოვს უკმაყოფილება „ნაციონალურ მოძრაობაში“ და ამ პროცესში მთავარი დამნაშავე არის არა ვინმე, არამედ თავად გუნდი. რომელმაც ჯერ დაკარგა გარეთ ნდობა და შემდეგ უკვე შიგნით, გუნდშივე. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ თავისი ერთ-ერთი უკანასკნელი საყრდენი წერტილი დაკარგა. თბილისის საკრებულოში დაიწყო ნაციონალების ძალაუფლებიდან ჩამოშორების პროცესი. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ახლა იქმნება საშუალება, რეალურად მოიხსნას და გადაიჭრას ყველა პრობლემა, რომელიც ქალაქს

აქვს. ახალ უმრავლესობას არ წარმოადგენს ერთი პარტია, მასში შედიან როგორც ახალი მემარჯვენეები, ასევე კახა კუკავას პარტია, დამოუკიდებელი დეპუტატები. იმის მიუხედავად, რომ ჩვენ წარმოვადგენთ სხვადასხვა გუნდს, იმედი მაქვს, რომ ჩვენ შევძლებთ კონკრეტული საკითხების ირგვლივ გაერთიანებას. ახალი უმრავლესობის მხრიდან ყველაფერი გაკეთდა, რომ ნაციონალებს რიგგარეშე სხდომაში მონაწილეობა მიეღოთ, მაგრამ მთელი იმ დღის განმავლობაში ნაციონალების წევრები ამბობდნენ, რომ სხდომა იყო არალეგიტიმური. სამართლებრივად მათ ვერ შეძლეს, დაემტკიცებინათ, რომ ეს სხდომა მართლაც არალეგიტიმური იყო. ამიტომ სარჩელის შეტანა მხოლოდ და მხოლოდ პიარაქცია იყო და ვფიქრობ, მათ სასამართლოში საერთოდ ცარიელი ფურცლები შეიტანეს. ჩვენ მზად ვართ, სასამართლოშიც შევხვდეთ „ნაციონალურ მოძრაობას“ და იქაც ვედაოთ. ჩვენი ნაბიჯი აბსოლუტურად ჯდება სამართლებრივ ნორმებში.

– ვინ იქნება „ქართული ოცნების“ კანდიდატი?

– შიხიაშვილი არ იქნება „ქართული ოცნების“ კანდიდატი. ყველა საკითხი, რომელიც ეხება საკრებულოს, თავმჯდომარის კანდიდატს, მიღებული და გადაწყვეტილი იქნება იმ ფორმატში და ისე, როგორც ეს გადაწყდება ბატონი ბიძინა ივანიშვილის მიერ და პოლიტსაბჭოს სხდომაზე. ამიტომ დღეს კონკრეტულ კანდიდატებზე საუბარი ძალიან ნაადრევია, კონსულტაციები ჯერ კიდევ გრძელდება და ჩვენ ვიქნებით იმ კანდიდატის მხარდამჭერი, რომელიც შეირჩევა ბატონი ივანიშვილის მიერ. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი და ეს არის ძალიან ბუნებრივი, რადგან ჩვენ წარმოვადგენთ „ქართულ ოცნებას“. მე, როგორც ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე, ამას მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ. ამის მიღმა ვის რა რეაქცია ექნება, ეს უკვე სხვა საკითხია. ჩემთვის მნიშვნელოვანია ის გადაწყვეტილება, რომელიც კოალიციის მიერ კონსენსუსით მიიღება და რომელზეც იქნება პრემიერის თანხმობა.

– დადგება თუ არა თბილისის მერის გადაყენების საკითხი?

– რაც შეეხება გადაყენებას, ეს მოვიტოვოთ სექტემბრისთვის, ჩვენ გვექნება გაცილებით სერიოზული უფლებები მერზე, ვიცე-მერებზე და საქალაქო სამსახურების უფროსებზე, მათ შორის შეიძლება საკრებულოს მიეცეს გადაყენების უფლებაც. ეს არის საკონსულტაციო საკითხი, მაგრამ ეს არის საშემოდგომო განხილვის საკითხი პარლამენტში. ცვლილებების მთავარი მიზანი იქნება ის, რომ თბილისის საკრებულომ დაიბრუნოს ის უფლებები, რომელიც მას აქვს და რომლითაც გიგი უგულავა სარგებლობდა, როცა ის საკრებულოში იყო. სწორედ უგულავას მიერ მოხდა ისე, რომ საკრებულო დღეს დავიდა მხოლოდ ნოტარიუსის დონეზე. ოქტომბრიდან დაიწყება პროცესი, როცა საკრებულო დაიბრუნებს თავის ფუნქციებს. ყველა საკადრო გადაწყვეტილება ოქტომბრიდან შეთანხმდება საკრებულოსთან. იქნება ეს გამგებლები, ვიცე-მერები თუ სხვა სამსახურის უფროსები – ყველა ცვლილება შეთანხმდება საკრებულოსთან, წინააღმდეგ შემთხვევაში მერია გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს. რაც შეეხება თბილისის მერის გადაყენების საკითხს, თბილისის შესახებ კანონში აუცილებელი იყოს მუხლი თბილისის მერის იმპიჩმენტის შესახებ. დღევანდელ კანონში ეს მუხლი არ არსებობს, ის უბრალოდ გამქრალია. თბილისის მერი არჩეულია პირდაპირ და რა თქმა უნდა, მისი გადაყენება მარტივად არ უნდა ხდებოდეს, მხოლოდ ერთი ან გარკვეული ჯგუფის სურვილის შემთხვევაში, თუმცა, თუ დედაქალაქის მერს ექნება სისხლის სამართლებრივი გადაცდომა, მაშინ მისი თანამდებობიდან გადაყენება შესაძლებელი უნდა იყოს.

18 წლის რეხვიაშ

my View

მირიან ბოქოლიშვილი

საქართველოს ხელისუფლება ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის თანამშრომლის, ფრედ ვუდროფის 20 წლის წინანდელი მკვლელობის გამოძიებას გეგმავს. ამის შესახებ განცხადება იუსტიციის მინისტრმა ორიოდე თვის წინ გააკეთა. მკვლელობა თბილისის მახლობლად 1993 წლის 8 აგვისტოს მოხდა და ოფიციალურ მოტივად ნასვამი მამაკაცის მიერ უმისამართოდ ნასროლი ტყვია დასახელდა. ცხადია, ეს ვერსია იმთავითვე ბევრ ეჭვს ბადებდა. „ნიუ-იორკ ტაიმსთან“ დადებული თეა წულუკიანის პირობა, რომ ამ მკვლელობას ივანიშვილის მთავრობა გამოიძიებდა, ნამდვილად მისასალმებელია, თუმცა ამერიკის მოქალაქის მკვლელობის გარდა, თეა წულუკიანს, უფრო სწორად კი პროკურატურას, იმ დროის კიდევ ერთი გახმაურებული საქმის გამოძიებას სთხოვენ. საქმის, რომელმაც არსებობის მანძილზე 17 გამომძიებელი შეიცვალა და დღესაც ისეთივე ბურუსითაა მოცული, როგორც წლების წინათ. მით უმეტეს, ამ საქმეს კარგად იცნობს წულუკიანის პარტიული ლიდერი, თავდაცვის მოქმედი მინისტრი ირაკლი ალასანია.

მაშ ასე, დაიძვრება თუ არა 18 წლის შემდეგ თბილისში, კუტუზოვის ქუჩაზე მდებარე უშიშროების სახლის ეზოდან გაუჩინარებული ორი ახალგაზრდის საქმე? რა იციან ამ საქმეზე ირაკლი ალასანიამ და იგორ გიორგაძემ? ვინ არის დამნაშავე კუსა თოხმაიდისა და ბექა რეხვიაშვილის გაუჩინარებაში – „კულინარიელების საძმო“ თუ სპეცსამსახურები?

მანანა რეხვიაშვილი, ბექა რეხვიაშვილის დედა:

– 2012 წლის 10 დეკემბერს ოფიციალური წერილით მივმართეთ თეა წულუკიანსა და არჩილ კბილაშვილს. 6 თვის შემდეგ მოგვივიდა წულუკიანის პასუხი, რომ ეს საქმე ნამდვილად შეფერხებულია და დანაშაულის გარდა, იკვეთება ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები. 5 ივლისს 4 საათზე იგეგმებოდა ჩვენი შეხვედრა მთავარ პროკურორთან, თუმცა ბოლო წუთს გვაცნობეს, რომ არჩილ კბილაშვილი დაკავებულია და ვერ მიგვიღებს. მესმის, რომ სხვა უამრავი საქმეა ბოლომდე მისაყვანი. გული შემტკივა გირგვლიანის საქმეზეც, რობაქიძეზეც, ვაზაგაშვილზეც და ყველაზეც, მაგრამ საქმე რა არის, იცით? ისე გამოვიდა, თითქოს ამ ბიჭებს გულშემატკივრები არ ჰყოლიათ. სინამდვილეში ერთი დღე არ გაგვიცდენია, რომ ამ საქმის რაიმე ახალი დეტალი მოგვეძიებინა და, ბოლოს და ბოლოს, სიმართლე დადგენილიყო. ჩვენ არასდროს გვიხმაურია, ორი ქალი, ორი დედა დავდიოდით თავჩაღუნულები და ვეძებდით სამართალს. ჩვენ არ გვიხმაურია, მაგრამ ბევრი დაიწერა პრესაში, გამოითქვა ათასგვარი ვერსია. გირგვლიანის საქმე მართლაც დიდი ტრაგედია იყო, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ეს პოლიტიკურად გამოიყენეს და იმიტომ გახდა რეზონანსული. ჩვენ პოლიტიკა არ გვაინტერესებდა, ჩვენ მხოლოდ სიმართლის გაგება გვსურდა. სიმართლის, რომელიც დღემდე დაუდგენელია.**

ამ სკანდალური საქმის შესახებ პრესაში წლების განმავლობაში იწერებოდა და შესაძლოა, მკითხველისთვისაც ბევრი რამ ცნობილი იყოს, ამიტომ დეტალების გახსენებით თავს არ შეგაწყენთ. გეტყვით იმას, რომ დღესაც, ისევე, როგორც წლების წინათ, ძირითადად ორი ვერსია განიხილება. ერთი ვერსიით, 14 წლის ბექა რეხვიაშვილსა და 18 წლის კუსა, იგივე ალექსანდრე თოხმაიდს „კულინარიელები“ გაუსწორდნენ. მეორე ვერსიით, კვალი უშიშროებასთან მიდის. კუტუზოვის ქუჩაზე, იმ ეზოში, საიდანაც ბიჭები გაუჩინარდნენ, ძირითადად უშიშროების

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

წინათ გაუჩინარებული კუსა თოხმაიდისა და ბექა ვილის საქმე შესაძლოა, გამოძიებას დაუბრუნდეს

სად მიდის კვალი – „კულინარიელთა საქმო“ თუ სპეცსამსახურები?

„ირაკლი ალასანიამ კარგად იცის ეს საქმე. მის გარდა, კიდევ სამმა. ისინი, ყველანი, ჩვენი ეზოს ბიჭები იყვნენ“

EXCLUSIVE



ელიტა ცხოვრობდა. კუსა და ბექაც მეზობლები იყვნენ. ერთ სადარბაზოში ცხოვრობდნენ რეხვიაშვილები, ირაკლი ალასანია და იგორ გიორგაძე... სწორედ გიორგაძე ჩააყენეს ბექას მშობლებმა საქმის კურსში... უშიშროების ყოფილმა მინისტრმა მეზობლებს დახმარება აღუთქვა, თუმცა... გაუჩინარებიდან ორმოცი დღის შემდეგ მშობლებს აცნობეს, რომ მათი შვილების გვამები ლისის ტბის ტერიტორიაზე იპოვეს და მალევე ორივე თუთიის დალუქული კონტეინერებით ოჯახებს მიუსვენეს. ჭირისუფალმა ბიჭები გამოიგლოვა... გამოძიება კი ადგილიდან არ იძრო-

მანანა რეხვიაშვილი

და. ამ პროცესში გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ცხედრები, რომლებიც ოჯახებს დალუქული კონტეინერებით გადასცეს, მათ არ ეკუთვნოდათ. წელიწად-ნახევრის შემდეგ ჩატარდა ექსპერტიზა და როგორც კუსა თოხმაიდის დედა ჩვენთან საუბრისას ამბობს, გვამზე აღებული სისხლის ანალიზი მისი შვილის სისხლის ანალიზს, რომელიც მას ჯერ კიდევ სიცოცხლეში ჩაუტარდა, არ დაემთხვა. ამ ვერსიას თუ გავყვებით გამოდის, რომ მშობლებმა რეალურად სხვისი ცხედრები გამოიგლოვეს.

მანანა რეხვიაშვილი და თამარ გარსევანიშვილი, ისევე, როგორც კუსა თოხმაიდის დედა, ეჭვობენ, რომ ის, რაც რეალურად მოხდა, იმთავითვე იცოდნენ ეზოს ახალგაზრდებმა. სახელდება ოთხი გვარი – ირაკლი ალასანია, თემურ ავიძბა, ზაზა ბარკალაია და გიგი არაბიძე. მანანა რეხვიაშვილი ყვება, რომ ისინი კუსასა და ბექასთან ერთად იზრდებოდნენ და გარკვეული მიზეზების გამო, მალავენ საიდუმლოს ამ საქმის ირგვლივ.

თამარ გარსევანიშვილი, კუსა თოხმაიდის დედა:

– მით უმეტეს, ირაკლი ალასანიამ კარგად იცის ეს საქმე. მის გარდა, კიდევ სამმა. ისინი, ყველანი, ჩვენი ეზოს ბიჭები იყვნენ. ერთ-ერთი, გიგი არაბიძე თავდაცვის სამინისტროში განყოფილების უფროსად დანიშნა ახლა ალასანიამ. ირაკლის ახალი დამთავრებული ჰქონდა აკადემია და პერსპექტიულ თანამშრომლად მოიაზრებოდა. 1996 წელს ამერიკაში მიდიოდა სასწავლებლად, როცა თქვა, – მე რომ დიდი კაცი გავხდები, პირველ რიგში, ბექასა და კუსას საქმე იქნება გამოძიებულიო. სადღაა კუსასა და ბექას ამბავი? ახსოვს საერთოდ? როდესაც ირაკლის ამ თემაზე ეკითხებიან, ან ჟურნალისტები, ან ისე, პირად საუბრებში, ყოველთვის ერთსა და იმავეს იმეორებს, – ეს არის ბინძური საქმე და ამ საქმეზე პასუხს არ გაგცემთ. მე ვეკითხები მას: რა ბინძური საქმეა? ანუ იცის ხომ? გამცეს პასუხი, მოვიდეს, დაგველაპარაკოს და გვითხრას, რა იცის.

დღემდე პასუხგაუცემელი კითხვები და ვერსიები

1994 წელს, ბიჭების გაუჩინარებამდე ერთი წლით ადრე, იგორ გიორგაძემ ე.წ. „კულინარიელთა საქმოს“ წევრები დააპატიმრა. იმავე დღეს აიყვანეს 17 წლის კუსა თოხმაიდი. მას და მისი ეზოს ბიჭებს, მათ შორის ირაკლი ალასანიას „კულინარიელებთან“ მხოლოდ ის აკავშირებდათ, რომ საირმის ქუჩაზე, პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში ყველანი ერთად სწავლობდნენ. ქალაქის უშიშროების სამმართველოს შენობაში დაკითხვაზე მყოფი კუსა თოხმაიდი შეგნებულად აჩვენეს დაკავებულ „კულინარიელებს“. სწორედ აქედან ჩნდება ეჭვი, რომ თოხმაიდმა „კულინარიელთა საქმო“ ჩაუშვა. იმავე დღეს იგორ გიორგაძის უწყებაში კუსა თოხმაიდი „დაავერბოვკეს“ და საიდუმლო თანამშრომლობის შესახებ ხელწერილი დააწერინეს. გამოძიება აქტიურად ცდილობდა თოხმაიდისა და რეხვიაშვილის „კულინარიელებთან“ დაკავშირებას, თუმცა ვერც ერთ ეტაპზე ეს ინფორმაცია ვერ დადასტურდა.

ე.წ. „კულინარიელთა საქმოს“ დაჯგუფებაში შემავალი პირები სისტემატურად ეწეოდნენ დანაშაულებრივ ქმედებებს და ანტისაზოგადოებრივ ცხოვრებას... ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, „კულინარიელთა საქმოს“ წევრებს რაიმე კონფლიქტი თოხმაიდთან და რეხვიაშვილთან არ ჰქონიათ“, – ამ შინაარსის დასკვნა დადო საბურთალოს პოლიციამ, რომელსაც ხელს სამმართველოს უფროსი ა. ტაბატაძე აწერს. დასკვნას თან ერთვის დანართი „კულინარიელთა საქმოში“ შემავალი პირების სიის სახით. 36-კაციან სიაში არსად ფიგურირებს არც თოხმაიდის და არც რეხვიაშვილის გვარი. გატაცების დღეს 18 წლის კუსა თოხმაიდი მილიციის აკადემიის კურსანტი იყო, 14 წლის ბექა რეხვიაშვილი კი – ფეხბურთში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი.

ბურუსით მოცული საქმის გამოძიებას 18 წლის შემდეგ კვლავ ითხოვენ გაუჩინარებული ბიჭების მშობლები. მათ იმედი აქვთ, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში მაინც მოეფინება ნათელი მათი შვილების ლამის ლეგენდად ქცეულ ამბავს. ეჭვს, რომ საქმეში სპეცსამსახურები ფიგურირებენ, რამდენიმე ფაქტორი ამძაფრებს, მათ შორის კუსა თოხმაიდის მტკიცე უარი უშიშროების სტრუქტურებთან თანამშრომლობაზე. ეს რომ ნამდვილად ასე იყო, უშიშროების იმდროინდელი ჩინოსანი, მიხეილ ოსაძეც ადასტურებს. აი, რას ამბობდა პრესასთან საუბრისას ოსაძე, რომელიც რეხვიაშვილებისა და თოხმაიდების მეზობელი იყო.

„კუსა თოხმაიდმა მიამბო, რომ წინა დღეს, მთელი ღამის განმავლობაში უშიშროების თბილისის სამმართველოში ჰყოლიათ დაკავებული. რომელიღაც თანამშრომელმა იძულებით დააწერინა ხელწერილი თანამშრომლობაზე. ვკითხე, სურდა თუ არა თანამშრომლობა, რაზეც კატეგორიული უარი მივიღე“, – ამბობდა მიხეილ ოსაძე პრესასთან საუბრისას.

გახდა თუ არა ბიჭების გაუჩინარების მიზეზი უშიშროებასთან ართანამშრომლობაზე მიღებული გადაწყვეტილება? რატომ გაეხვია ამ ამბავში 14 წლის ბექა რეხვიაშვილი? რა საიდუმლოს მალავენ ზემოხსენებული „ეზოს ოთხი ბიჭი“ და მათ შორის ირაკლი ალასანია? იმ შემთხვევაში, თუკი გამოძიება დაიწყო, სად მივა კვალი – „კულინარიელთა საქმოსთან“ თუ სპეცსამსახურებთან? ამ კითხვებს პასუხი, ცხადია, მხოლოდ გამოძიების დაწყების შემდეგ გაეცემა, თუმცა არჩილ კბილაშვილთან ჩაშლილი შეხვედრა, დაზარალებულებს აფიქრებინებს, რომ ბურუსით მოცული ეს საქმე, კიდევ დიდხანს დარჩება პროკურატურის თაროზე შემოდებული.

თამარ გარსევანიშვილი

„იგეგმეგოდა ჩვენი შეხვედრა მთავარ პროკურორთან, თუმცა ბოლო წუთს გვაცნობეს, რომ არჩილ კბილაშვილი დაკავებულია და ვერ მიგვიღებს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მარგველაშვილი ბურჯანაძის ფონდის თავმჯდომარეა

ნინო დათაშვილი

ნინო ბურჯანაძე გიორგი მარგველაშვილს უპირისპირდება. ნინო ბურჯანაძის განმარტებით: პრინციპულად მნიშვნელოვანია საპრეზიდენტო არჩევნები არა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა მოიგონ... ამ ხელისუფლებამ არაფერი გააკეთა იმისთვის, რომ არჩევნები თავისუფალი და დემოკრატიული ყოფილიყო - განმარტა ბურჯანაძემ.

მისი ერთადერთი მოთხოვნა ნაციონალების აკრძალვა და მისთვის არჩევნებში გამარჯვების ხელისშეშლა იყო. არგუმენტი ცნობილია - ეს დანაშაულებრივი პარტიაა და უნდა აიკრძალოს. ასეთი რადიკალური გამონათქვამები ბურჯანაძეს ნამდვილად ჰქონდა, თუმცა, მოივიანებით უარყო და განაცხადა, რომ პარტიის აკრძალვა არასოდეს მოუთხოვია.

სოსო ცისკარიშვილის განმარტებით, გიორგი მარგველაშვილი ბურჯანაძის პარტიის ფონდის თავმჯდომარეა. როგორც პარტიაში აგვიხსნეს, თავმჯდომარის პოსტს მარგველაშვილი ინარჩუნებს, თუმცა, ფონდი, ფაქტობრივად, არ ფუნქციონირებს.

ნინო ბურჯანაძეს მარგველაშვილთან პრეტენზიები მას შემდეგ გაუჩნდა, რაც ეს უკანასკნელი, ქართული კოალიციის პრეზიდენტობის კანდიდატი გახდა. ხელის ბიჭი არ შეიძლება გახდეს საქართველოს პრეზიდენტიო, კოალიციას და ბიძინა ივანიშვილს მან სხვა სერიოზული რბალდებებიც წაუყენა. მისი განმარტებით, ივანიშვილმა „ნაციონალური მოძრაობა“ გააცოცხლა.

ნინო ბურჯანაძე:

- შენიშვნა არის ის, რომ საარჩევნო გარემო არათუ არ უმჯობესდება, არამედ რეალურად უარესდება; დაფინანსებას იღებს ისეთი პარტია, როგორიცაა „ნაციონალური მოძრაობა“ იმ ადამიანების ჯიბიდან, რომლებსაც სცემდა, ქონებას ართმევდა, ციხეებში აგდებდა, შემდეგ, როგორც აღმოჩნდა, ციხეში აუპატიურებდა. როგორც ჩანს, „ქართულმა ოცნებამ“ „ნაციონალური მოძრაობა“ კიდევ 3 მილიონით უნდა დააფინანსოს, იმისთვის, რომ კიდევ გააყალბონ არჩევნები, კოორდინატორებს ცალკეულ რაიონებში სრულიად უსაფუძვლოდ და უკანონოდ 600-ლარიანი ხელფასები დაუნიშნონ და ამით ყველაფერი გააკეთონ იმისთვის, რომ არჩევნების მანიპულირება მოახდინონ. ამ დროს სხვა პოლიტიკური პარტიები, რომლებიც არ არიან ისეთ პრივილეგირებულ მდგომარეობაში, როგორშიც „ნაციონალური მოძრაობაა“ უნდა დარჩნენ, პრაქტიკულად, ელემენტარული საარსებო გარემოს გარეშე, უნდა მიიღონ დაფინანსება ნული, როგორც ჩვენი პარტიის შემთხვევაში მოხდა, რაც ნიშნავს იმას, რომ ჩვენი პარტია ვერც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის მოემზადება, ვერც მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის, რომელიც, სხვათა შორის, რაც მალე ჩატარდება, მით უკეთესია ქვეყნისთვის. „ნაციონალურ მოძრაობას“ აცოცხლებს და ინარჩუნებს „ქართული ოცნება“ იმიტომ, რომ როგორც ჩანს, „ნაციონალური მოძრაობა“ მათთვის ძალიან კომფორტული ოპონენტი და კონკურენტი გახლავთ. ამიტომ, ბუნებრივია, ჩვენი წინააღმდეგობა ამ თემასთან დაკავშირებით. ჩვენი ამოცანა ყოველთვის იყო საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება, მაშინაც კი, როდესაც ქვეყნის გადატრიალებასა და რევოლუციის მოწყობას გვაბრალებდნენ. ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ აუცილებელია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება. საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება არ არის მხოლოდ ის, რომ დღეს ხალხს აღარ ეშინია. საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება არის ძალიან ბევრი კომპონენტისგან შემდგარი და დღეს საარჩევნო გარემო სამართლიანი არ არის. „ქართულ ოცნებას“ თუ რეალურად უნდოდა საარჩევნო გარემო ყოფილიყო ნორმალური, ამ ცხრა თვის განმავლობაში იმაზეც უნდა ეზრუნა, რომ ამომრჩეველთა სიები ერთხელ და სამუდამოდ დადგენილიყო და დღეს ჩვენ კიდევ არ ვატარებდეთ საპრეზიდენტო არჩევნებს იმ სიებით, რომლებიც აშკარად გაბერილი, გაყალბებულია და რომელსაც „ქართულ ოცნებაში“ შემავალი პარტიები ოპოზიციაში ყოფნისას უნდობლობას უცხადებდნენ. როგორც ჩანს, ხელისუფლებაში მოსვლა არის იმის გარანტია, რომ ძალიან ბევრი ადამიანი ბევრ რამეს ივიწყებს“.

20 წლის გოგონას ბუნდოვა

„შევხვდი დავით უსუფაშვილს და დამპირდა, რომ პირად კონტროლზე აიყვანდა ამ საქმეს. ახლა თქვენი გაზეთით მინდა, კიდევ ერთხელ შევახსენო ბატონ დავითს...“

my View
მირიან ბოქოლიშვილი

„ექიმს ვუთხარი, ეს ხომ ჯანმრთელი ბრმა ნაწლავია, რატომ ამოკვეთეთ-მეთქი? მიპასუხა, – არაუშავს, ადრე თუ გვიან თავს შეახსენებდაო“, – ამბობს ჯულიეტა ჯიქია, რომელიც დეტალურად იხსენებს თავისი ქალიშვილის ისტორიას.

20 წლის ხათუნა ბერულავა გასული წლის აგვისტოში ჟვანიას კლინიკაში ჩატარებული ქირურგიული ოპერაციის შემდეგ გარდაიცვალა, თუმცა ოჯახი დღემდე იმის დადგენას ცდილობს, რა გახდა ხათუნას გარდაცვალების მიზეზი. „პრაიმტაიმს“ პროკურატურაში განუმარტეს, რომ ამ საქმეზე გამოძიება ამჟამადაც მიმდინარეობს და სხვა დეტალების გახმაურებისგან თავს შეიკავებენ. ახალგაზრდა გოგონას ბუნდოვანი გარდაცვალების გამო პასუხისმგებლობა არავის დაკისრებია, თუ არ ჩავთვლით ერთ-ერთ ექიმს, რომელსაც საექიმო საქმიანობის უფლება მხოლოდ 3 თვით ჩამოართვეს. გარდაცვლილის დედა ჯულიეტა ჯიქია ოპერაციის დროს დაშვებულ შეცდომაზე საუბრობს, რამაც მისი ერთადერთი ქალიშვილი სიცოცხლეს გამოასალმა.

ამ საქმეში ყველაზე უცნაური კი ის გახლავთ, რომ ფატალური შედეგი, არც მეტი, არც ნაკლები, ხელის მოტეხილობაზე ჩატარებულმა ოპერაციამ გამოიწვია. ყოველ შემთხვევაში ასეთია ოჯახის მოსაზრება და ყველა გარემოებაც ამაზე მიუთითებს. ალბათ, თქვენთვისაც დაუჯერებელია, რომ 21-ე საუკუნეში ხელის მოტეხილობით ადამიანები კვდებოდნენ, მაგრამ მოდით, ვნახოთ, როგორ ვითარდება მოვლენები: ხათუნა ბერულავას ხელის შიდა მოტეხილობის ოპერაცია ჟვანიას კლინიკაში უტარდება. ოპერაციას თბილისში ცნობილი ტრავმატოლოგი ლუხუმ ჭანტურია ატარებს. მეორე დღესვე პაციენტს მაღალი ტემპერატურა, პირღებინება და გონების დაკარგვა ეწყება. სამედიცინო დაწესებულებაში ოჯახს აიმედებენ, რომ საგანგაშო არაფერია. ოპერაციიდან მე-5 დღეს სიცხიან პაციენტს სტაციონარიდან უშვებენ, სამ დღეში კი მისი მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმდება. ხათუნას მუცლის არეში ძლიერი ტკივილები ეწყება. ის სასწრაფოდ კვლავ ჟვანიას კლინიკაში გადაჰყავთ, სადაც კიდევ ერთ ოპერაციას უტარებენ. გოგონას ამჯერად ბრმა ნაწლავი ამოაჭრეს, თუმცა ჯულიეტა ჯიქია ჩვენთან საუბრისას ამბობს, რომ რეალურად ბრმა ნაწლავი არაფერ შუაში იყო, რადგან მის ქალიშვილს პირველი ოპერაციის შემდეგ ორგანიზმის მოწამვლა დაეწყო, რამაც საბოლოოდ ღვიძლისა და ფილტვების პარალიზება გამოიწვია. ოჯახი ირწმუნება, რომ ხათუნა ბერულავას სრულიად ჯანმრთელი ბრმა ნაწლავი ამოაჭრეს.

ჯულიეტა ჯიქია, გარდაცვლილის დედა:

– ის ჩემი ერთადერთი ქალიშვილი იყო, ობლად გავზარდე, რადგან მეუღლე ადრევე გარდამეცვალა. დავრჩი ახლა სრულიად მარტო. წარმოშობით სოხუმიდან ვართ. აფხაზეთის ომის დროს წლინახევრის ბავშვი ხელით გადმოვიყვანე იმ საშინელ სვანეთის გზაზე. მაშინ არაფერი დამართნია და რას წარმოვიდგენდი, ახლა ეს უბედურება თუ დამატყდებოდა თავზე. პაკეტში გახვეული მომყავდა ჩახუტებული ჩემი შვილი. შემდეგ მოსკოვში წავედით. ხათუნა იქ სწავლობდა, ორმაგი მოქალაქეობა ჰქონდა და ზაფხულობით სულ აქეთ მოეჩქარებოდა. ძალიან უყვარდა თავისი ქვეყანა. შარშანაც, არდადეგებზე იყო ჩამოსული. წავედით ქობულეთში დასასვენებლად. მატარებლის მეორე სართულის საწოლიდან გადმოვარდა და ხელი მოიტეხა. ქობულეთის საავადმყოფოს მივაკითხეთ, დახურული მოტეხილობა იყო, თაბაშირში ჩაუსვეს ხელი და პირველადი დახმარება აღმოუჩინეს ბავშვს. ქობულეთში ერთ-ერთმა ტრავმატოლოგმა გვითხრა შემდეგ, რომ „გიპსი“ არასწორად არის გაკეთებული, ქუთაისში წაიყვანეთ, ოპერაცია გაუკეთეთო. მართლაც, წამოვიყვანე ქუთაისში, სადაც მითხრეს, სამ დღეში გავუკეთებთ ოპერაციასო. ვიფიქრე, სამი დღე აქ რატომ ვიცადო-მეთქი, წამოვიყვანე თბილისში, მივედით ჟვანიას კლინიკაში, გვირჩიეს ტრავმატოლოგი ლუხუმ ჭანტურია. მეორე დილის 9 საათზე გაუკეთა ოპერაცია, იმ საღამოს დატოვეს რეანიმაციაში, საღამოს კი სიცხემ აუწია. ექიმმა დამამშვიდა, – ასე იცის, საშიში არაფერიაო. მეორე დღეს გული წაუვიდა ბავშვს. არც ამაზე ჰქონია რეაგირება, – ყვ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ნი გარდაცვალების საქმეს გამოძიება სწავლობს

EXCLUSIVE

„ჩემი შვილის ხსოვნას ვფიცავ, თუ ეს საქმე არ გამოიძიეს, მაშინ მე აღვასრულებ სამართალს. გამწარებული დედა ყველაფერზეა წამსვლელი“

ლუხუმ ჭანტურია: „მე ამ საქმესთან არაფერ შუაში ვარ“

ელაფერი ჩაწყნარდებაო. ვენდე, რაკი მეუბნებოდნენ, რომ კარგი სპეციალისტიაო. მე-5 დღეს საავადმყოფოდან გამოწერა სიცხიანი და გულწასული ბავშვი. ანტიბიოტიკები დაუნიშნა. სახლში სიცხეებმა კიდევ უფრო აუწია, ვერანაირი ანტიბიოტიკი ვერ უგდებდა ტემპერატურას, გაუძლიერდა პირღებინებაც. ლუხუმ ჭანტურიამ მითხრა, სასწრაფოდ მოიყვანე კლინიკაშიო. ბავშვი იტკიებდა ღვიძლის არეში და ელენთას. ჭანტურიამ გამოიძახა ექიმი ავთო დგებუაძე, რომელსაც ჩაგვაბარა დასაკლავი ცხვარივით. გვექაჩებოდნენ, – გინდა თუ არა ბრმა ნაწლავის ბრალია, უნდა ამოვაჭრათ, თორემ გაუსკდებაო. ბავშვი ტიროდა, არ მაწუხებს ბრმა ნაწლავიო, ღვიძლისკენ იტკიებდა. ვაპირებდი უკან წამოყვანას, მაგრამ დერეფანში შეგვაჩერეს, სახლამდე ვერ მიიყვან ბავშვს, ბრმა ნაწლავი გაუსკდებაო. ამას გვეუბნება ლუხუმ ჭანტურია. წარმოიდგინეთ ეს როგორია დედისთვის? ბოლოს ბავშვი მიხვდა, რომ ძალიან განვიცდიდი, მითხრა, – დედა, მე ბრმა ნაწლავი არ მაწუხებს, მაგრამ შენ რომ დარწმუნდე, კარგი, გავიკეთებო. მოკლედ, ერთ საათში ამოაჭრეს ბრმა ნაწლავი, აღმოჩნდა, რომ სრულიად ჯანმრთელი იყო. რომ ვიკითხე, ეს ბრმა ნაწლავი რატომ ამოაჭერით-მეთქი? ოდესმე ხომ შეაწუხებდაო, მიპასუხეს. ბავშვმა მითხრა, – დედა, მესამე ოპერაციაც გასაკეთებელი მექნება, კიდევ უფრო მტკივა ღვიძლი და ელენთაო. შევვარდი ლუხუმ ჭანტურიასთან, მოხედეთ, ბავშვი მიკვდება-მეთქი. მიპასუხა, თქვენი ექიმი მე აღარ ვარ, ავთო დგებუაძეს მიმართეთო. სამი დღის წინ სიცხიანი ბავშვი მისგან გამოვიყვანეთ და ახლა ხელებს იბანდა. ბავშვი ტირის და ყვირის, – დედა, მიშველეო. გავრბივარ ახლა ავთო დგებუაძესთან, ის კი კომპიუტერთან ზის და რაღაცას თამაშობს. ქალბატონო, ნუ ნერვიულობთ კარგად გახდებაო. დაუძახებდა ექთანს, გაუკეთებდა ანალგინ-დიმედროლს და გააბრუებდა, ასე, ყოველ ნახევარ საათში ერთხელ ამით უჩერებდა ტკივილს, თვითონ კი კომპიუტერზე ერთობოდა. შემდეგ ნარკოტიკული მედიკამენტი მისცეს, რომ გაეყუჩებინათ, – ნახე, დილამდე ისე გაითიშები, ვერაფერს გაიგებო. არ ვიცი, რა დოზა მისცეს, ბავშვი საერთოდ გაითიშა, ჩავარდა კომაში. 5-ჯერ დავურეკე ლუხუმ ჭანტურიას, არაფრით არ გაგვეკარა. არ ვიცი, რა გული ჰქონდა. მაშინ როცა მისი ოპერაციის დროს მოიწამლა ბავშვი, დაეწყო სიცხეები, პირღებინებები, გულის წასვლები და ასე, ერთადერთი შვილი, 20 წლის ანგელოზივით გოგო ხელიდან გამომაცალეს.

– სხვა სპეციალიზაციის ექიმები არ ჩართეს მკურნალობის პროცესში?

– ბოლოს, რომ უკვე ნახეს, ბავშვი იღუპებოდა, შეფუცხუნდნენ. ტომოგრაფიაზე უნდა წავიყვანოთო, მაგრამ არანაირი დაზიანება თავში არ აღმოჩნდა. გადაიყვანეს ინგოროყვაში, ვითომ იქ კარგი აპარატურა არისო, სინამდვილეში ჟვანიას კლინიკას გაარიდეს. სამ დღეში სული დალია ბავშვმა ინგოროყვას კლინიკაში. კაციშვილი არ გაგვკარებია თავის დროზე, არც თერაპევტი, არც ინფექციონისტი. ასე მომიკლეს შვილი. მას შემდეგ ჩემი სიცოცხლე არაფერი არ არის. ვიცი, შვილს ვერ გამიცოცხლებენ, მაგრამ სამართალი მაინც ხომ უნდა დადგეს, ის მაინც ხომ უნდა გავიგო, რა მიზეზით მომიკვდა შვილი, ვის მიუძღვის ბრალი 20 წლის ბავშვის დაღუპვაში? შეიძლება 21-ე საუკუნეში ხელის მოტეხილობის გამო ადამიანები იხოცებოდნენ?

– პასუხისმგებლობა არავის აუღია საკუთარ თავზე?

– ავთო დგებუაძეს, რომელიც, სულ რაღაც, 25 წლის გახლდათ და რომელმაც ბრმა ნაწლავის ოპერაცია ჩაატარა, ლიცენზია 3 თვით შეუჩერეს. ეს იყო და ეს. რეალურად ხელი შეაწმინდეს და იფიქრეს, ამით დასრულდებოდა ყველაფერი. მოვითხოვ, პროკურატურამ დროულად გამოიძიოს ეს საქმე. არსებობს ექსპერტიზა, სამედიცინო დასკვნები. გამოიძიონ და მითხრან, რა მოხდა, დაისაჯოს ჩემი შვილის მკვლელი. მე მესმის, რომ ძალიან გადატვირთულია პროკურატურა, ბევრი ითხოვს თავისი საქმის გამოძიებას, მაგრამ ჩემი შვილიც ხომ არაა მისავიწყებელი. აქ ყველაფერი სახეზეა და წესით, არ უნდა გაუჭირდეთ სიმართლის დადგენა. ბავშვი თვალწინ მომიკლეს და ამაზე პასუხი არავინ არ უნდა აგოს?ეს საქმე კარგად იცის დავით უსუფაშვილმა, რომელსაც პირადად შევხვდი. მითხრა, რომ პირად კონტროლზე აიყვანდა ამ საქმეს და ნათელი მოეფინებოდა ყველაფერს, მაგრამ ჯერ არაფერი ჩანს. თქვენი გაზეთის საშუალებით, მინდა კიდევ ერთხელ შევახსენო ბატონ დავითს და ვთხოვო, ნუ გაატარებს ყურადღების მიღმა. ერთადერთი ქალიშვილი მყავდა და ამ ქვეყნად მეტი არაფერი დამრჩენია, თუ არა დადგენა იმისა, ვინ გამაუბედურა. ჩემი შვილის ხსოვნას ვფიცავ, თუ ეს საქმე არ გამოიძიეს, მაშინ მე აღვასრულებ სამართალს. გამწარებული დედა ყველაფერზეა წამსვლელი.

20 წლის ხათუნა ბერულავას საქმეში დევს სამედიცინო დასკვნაც, სადაც გარდაცვალების რამდენიმე სავარაუდო მიზეზზეა საუბარი.

„არსებული ინფორმაციის საფუძველზე კონკრეტული მიზეზის დასახელება, რომელმაც გამოიწვია ღვიძლის მწვავე უკმარისობა, ჰეპატარგია, პოლიორგანული უკმარისობა და პაციენტის გარდაცვალება, ძნელია. სავარაუდო მიზეზები შესაძლებელია იყოს: 1. მძიმე სეფსისი, სეფტიური შოკი. 2. კვებითი ინტოქსიკაცია (ფიგურირებს სოკოს პროდუქტების მიღება, რაც ნაკლებად მნიშვნელოვანი მგონია). 3. მედიკამენტების ტოქსიკური ეფექტი. 4. ოპერაციის წინა პერიოდში არსებული პათოლოგია, რომელმაც ხელი შეუწყო გართულებების განვითარებას“, – წერია სამედიცინო დასკვნაში, რომელიც ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო რეგულირების სააგენტოსა და საგამოძიებო ორგანოს გადაეცა.

ახლა სწორედ გამოძიებამ უნდა დაადგინოს ჩამოთვლილთაგან, რომელი გახდა პაციენტის გარდაცვალების რეალური მიზეზი და შეესაბამებოდა თუ არა ხათუნა ბერულავასთვის გაწეული სამედიცინო დახმარება შესაბამის სტანდარტებს.

თავად ლუხუმ ჭანტურია „პრაიმტაიმთან“ საუბრისას მის ბრალეულობას გამორიცხავს და თავადაც გამოძიების დასრულებას ელოდება.

ლუხუმ ჭანტურია, ტრავმატოლოგი:

– მე ამ საქმესთან არაფერ შუაში ვარ. კი, მე გავუკეთე პირველი ოპერაცია, მაგრამ მას შემდეგ მას ჩაუტარდა კიდევ ერთი ოპერაცია. როგორც წესი, ხელის მოტეხილობით პაციენტი არ იღუპება და სრულიად წარმოუდგენელია, ფატალური შედეგი ჩემ მიერ ჩატარებულ ოპერაციასთან იყოს კავშირში.

– ოჯახს ეჭვი აქვს, რომ ორგანიზმის მოწამვლა სწორედ თქვენ მიერ ჩატარებულ ოპერაციას მოჰყვა...

– ამაზე ექსპერტიზა ჩატარდა, პროკურატურა სწავლობს საქმეს და იქ ტრავმატოლოგიური სამსახურის დანაშაული ნამდვილად არ იკვეთება, რამდენადაც ვიცი.

– მაშინ რა გახდა გარდაცვალების მიზეზი?

– მე ტრავმატოლოგი ვარ და ბუნებრივია, არ მაქვს ინფორმაცია, რა გახდა იმ გოგონას გარდაცვალების მიზეზი. ეს ჩემს კომპეტენციას სცილდება და ჩემი მხრიდან არაეთიკურიც იქნება ამაზე საუბარი.

„სამ დღეში სული დალია ბავშვმა ინგოროყვას კლინიკაში. კაციშვილი არ გაგვკარებია თავის დროზე, არც თერაპევტი, არც ინფექციონისტი. ასე მომიკლეს შვილი...“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ქეთი ხატიაშვილი

„კაცი არსაიდან“ – ასე თავის დროზე პუტინი მონათლეს, როდესაც ის პოლიტიკაში გამოჩნდა. მისი ნათლია ბერეზოვსკი იყო.

სხვათა შორის, ეს ისტორია პუტინმა თავად შექმნა. ბორია მაშინ რუსეთში ყველაზე ძლევამოსილ ფიგურად ითვლებოდა. თუმცა, მტრები მასაც ჰყავდა, მათ შორის კომპრომატების სახითაც. კომპრომატების მთელ წყებას კი გენერალური პროკურორი სკურატოვი ფლობდა. ამბობენ, რომ სწორედ პუტინმა ჩაწერა სკურატოვი აბანოში, ქალებთან ერთად, და ჩანაწერი ბერეზოვსკის მიუტანა. ასე ჩამოიშორა ბორიამ მტერი, ჯილდოდ კი პუტინს პრეზიდენტობა შესთავაზა, თუმცა, ეს ტიტული შესაძლოა, თავად იყო პუტინის მოთხოვნა. ცნობილია, რომ მაშინ ბერეზოვსკიმ თქვა: ჩვენ ვიპოვეთ ადამიანი, რომელიც ოჯახისა და ჩემს ინტერესებს დაიცავსო. ეს ბერეზოვსკიმ პუტინზე თქვა და დიდი შრომა არა, მაგრამ დიდი ფული ნამდვილად ჩადო იმაში, რომ ფსონი „დამკაში“ გაეყვანა. ელოდნენ, რომ „კაცი არსაიდან“ ელცინის ოჯახის დამცველი გახდებოდა და ბერეზოვსკის ბიზნესებს „დაკრიშავდა“. ანუ ის მორჩილი უნდა ყოფილიყო და არა პრეზიდენტი, სხვას ყველაფერს თავად ბერეზოვსკი „იტვირთავდა“. ეს იდეალური არჩევანი იყო, ასე ფიქრობდა ბერეზოვსკი.

კრემლში ელოდნენ, რომ პუტინი მხოლოდ ტიტულით დატკბებოდა, რეალურ გავლენებს კი ნაწილობრივ ელცინის ოჯახი, მთლიანად კი ბერეზოვსკი შეინარჩუნებდა. მაგრამ პუტინს საკუთარი გეგმები ჰქონდა, რომელიც ტიტულის მოპოვებამდე არც გაამხილა. ბერეზოვსკის რუსეთის დატოვება მოუწია, დარჩენილი ფინანსები პუტინთან ბრძოლას შეალია და ბოლოს გარდაიცვალა კიდეც.

გიორგი მარგველაშვილი – 43 წლის, ქართველი, ფილოსოფოსი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი. 1987-1992 წლებში სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1998 წელს მიიღო დოქტორის ხარისხი ფილოსოფიაში. საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ყოფილი რექტორი. 2012 წლის 25 ოქტომბრიდან ბიძინა ივანიშვილის კაბინეტში განათლების მინისტრად დაინიშნა. 2013 წლის თებერვალში მას ვიცე-პრემიერის პოსტიც შეუთავსეს. 2013 წლის 11 მაისს კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელა.

გიორგი მარგველაშვილი – „ქართული ოცნების“ ოცნება

ვიწრო წრეში

„კაცი არსაიდან“ – ასეთივე ეპითეტი შესაძლოა, გიორგი მარგველაშვილსაც მოუხდეს. პოლიტიკაში მისი ნათლიმამაც უმდიდრესი ადამიანია. ბიძინა ივანიშვილი ფსონს სწორედ მასზე დებს. აქ საინტერესო ისაა, მარგველაშვილი თავად შექმნის საკუთარ ისტორიას თუ ის ზუსტად ისეთი იქნება, როგორსაც თავად ივანიშვილი დაუხატავს თავის ფავორიტს. ერთადერთი კი, რაც მარგველაშვილს დასჭირდება, ეს „ქოფი-ფეისტის“ გამოყენება იქნება პოლიტიკაში.

ბიძინა ივანიშვილმა მარგველაშვილის კანდიდატურა პოლიტიკური მოვლენისთვის საკმაოდ უღიმღამო ატმოსფეროში წამოაყენა, არაფერი განსაკუთრებული, ამ წარდგენაში ყველაფერი უკვე ნაცნობი და გავლილი იყო. ჩვეულებრივი ოთახი, პოლიტიკური პლაკატი „ქართული ცონების“ ლოგოთი, ბიძინა ივაანიშვილი და მის უკან დამწკრივებული კოალიციის წევრები. დარბაზში ჟურნალისტები და არა ამომრჩევლები ან ექსპერტები და არასამთავროები. როგორც იტყვიან, წარდგენა ვიწრო წრეში შედგა. დატვირთვა გიორგი მარგველაშვილს პრემიერმა სიტყვებით შესძინა, საკუთარ ფსონს მან „იდეალური“ უწოდა.

რატომ არის ივანიშვლისთვის მარგველაშვილი იდეალური? რას ხედავს ის მასში ისეთს, რასაც ვერ ხედავს, მაგალითად, ამომრჩეველი? NDI-ს კლევებში მაღალი რეიტინგი ირაკლი ალასანიას ჰქონდა. თავდაცვის მინისტრს პოლიტიკური გამოცდილებაც აქვს, დასავლეთის მხარდაჭერაც და ხალხის სიმპათიებიც. მაგრამ არჩევანი მაინც გიორგი მარგველაშვილზე გაკეთდა. მინისტრზე, რომელიც ანტიირაკლია. ანუ არ აქვს მაღალი რეიტინგი, არ აქვს პოლიტიკური გამოცდილება და არც დასავლეთი იცნობს. და მაშინ, რა არის მასში იდეალური? ყველა პარამეტრით, ირაკლი ალასანია უნდა ყოფილიყო იდეალური, მაგრამ ფსონი ფილოსოფოსზე დაიდო და არა დიპლომატზე. ფილოსოფოსს „იდეალური“ უწოდა, დიპლომატზე კი განაცხადა, რომ: „ალასანია პრეზიდენტობის ეტალონს ვერ ერგება“.

დიპლომატი და ფილოსოფოსი

დიპლომატსა და თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას მთავარი კონკურენტი ფილოსოფოსი და განათლების მინისტრი გიორგი მარგველაშვილი ჰყავდა. შესაძლოა, ალასანიამ თავიდანვე იგრძნო კონკურენცია და ისიც, რომ პრემიერი მისი კანდიდატურის მხარდაჭერას არ აპირებდა. ამიტომაც იჩქარა და კოალიციის ცალკეულ სუბიექტებთან მოლაპარაკებები გამართა. პრემიერის რეაქციამაც არ დააყოვნა:

– ალასანიას პატარა შეცდომა მოუვიდა, რომ საპრეზიდენტო კანდიდატზე მსჯელობა თავის გუნდში პრემიერ-მინისტრთან შეუთანხმებლად დაიწყო... თქვენ არ იცნობთ ჩემი მმართველობის ფორმას, მე ვარ ბუნებით დემოკრატი. საქართველოს ყველა მოქალაქეს, მათ რიცხვში ალასანიასაც, ყველაფრის უფლება აქვს, ოღონდ ფორმები უნდა დაიცვას სწორად. თუ კოალიციაშია, კოალიციას უნდა ჰკითხოს, თუ არა და გამოდის კოალიციიდან და აკეთებს იმას, რასაც უნდა. ესეც გასაგებია...

პატარა შეცდომა ალასანიას დიდ პოლიტიკად დაუჯდა.

შეცდომა დაუშვა სალომე ზურაბიშვილმაც, რომელიც ასევე განიხილებოდა საპრეზიდენტო კანდიდატად. პრემიერი მას ერთხელ საგანგებოდ შეხვდა. როგორც ამბობენ, მოიხიბლა ქალბატონის პოლიტიკური შესაძლებლობებით. რამდენიმედღიანი ფავორიტობის შემდეგ კულისებშივე გაირკვა, რომ სალომე დღის წესრიგიდან მოხსნეს. პრემიერს, როგორც ითქვა, კოაბიტაციასთან დაკავშირებით სალომე ზურაბიშვილის განცხადებები არ მოეწონა. სამშობლოში საფრანგეთიდან დაბრუნებულმა ქალბატონმა კოაბიტაციას „გაუგებარი“ უწოდა. როგორც ჩანს, ზურაბიშვილის ფიგურისადმი პრემიერმა დამოკიდებულება სხვა მიზეზების გამოც შეიცვალა. მაგალითად, პრემიერი მხარს არ უჭერს ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებს, სალომე ზურაბიშვილი მის ჩატარებას მოითხოვს.

კიდევ ერთი კანდიდატი იყო, ვისაც კოალიციაში აქტიურად განიხილავდნენ, ეს კახი კალაძე გახლდათ. თუმცა, პრემიერს მის შესახებ კომენტარი არასოდეს გაუკეთებია, თითქოს არც მიაჩნდა კანდიდატად.

ირაკლი ალასანია თუ თავად ლობირებდა საკუთარ კანდიდატურას, კახი კალაძეს გულშემატკივრები კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ ჰყავდა, მათ შორის პარტია „ქართულ ოცნებაშიც“, სალომე ზურაბიშვილის შეხედულებები პრემიერისას რომ დამთხვეოდა შესაძლოა, მართლაც ასრულებოდა ერთ-ერთი წინასწარმეტყველის ნათქვამი: შემდეგი პრეზიდენტი ქალი იქნებაო. თუმცა, საბოლოოდ გიორგი მარგველაშვილმა მძიმე კონკურენციას გაუძლო.

რატომ არის მარგველაშვილი „იდეალური“?

გამოჩენისთანავე ითქვა, რომ გიორგი მარგველაშვილის მთავარი მინუსი მისი გამოუცდელობაა, განათლების მინისტრს პოლიტიკური გამოცდილება არა აქვს – ასეთი იყო დასკვნა. ოპონენტების კრიტიკას მარგველაშვილმა ჯერ შეკითხვით, – „უყურე შენ, ვინ მიწუნებს?“ – უპასუხა, შემდეგ კი კომენტარიც გააკეთა:

– თუ პოლიტიკაში მაღიარებენ ადამიანად, რომელსაც რჩევების მიცემა შეეძლო, თუმცა პოლიტიკური ამბიციები არ ჰქონდა, რატომ მიიჩნევენ დღეს, რომ პოლიტიკური გამოცდილება არ მაქვს? ამას რომ თავი დავანებოთ, მაინც ვინ არიან ჩემი კონკურენტები? არიან კი ისინი ის ადამიანები, რომელთაც პოლიტიკურ ასპარეზზე წარმატებას მიაღწიეს? – არა მგონია, ასე იყოს! მაინც რა პოლიტიკური ტრადიციის მქონეა ეს ხალხი...

ერთია, როგორ ხედავს გიორგი მარგველაშვილი საკუთარ თავს და მეორეა, რატომ დასჭირდა ივანიშვილს პრეზიდენტის პოსტზე ფილოსოფოსი პოლიტიკური გამოცდილების გარეშე და არა იურისტი სერიოზული პოლიტიკური გამოცდილებით. საუბარია ვახტანგ ხმალაძეზე. სწორედ ის იყო პირველი, ვისაც ივანიშვილმა „იდეალური“ უწოდა.

– იდეალურია და ძალიან შეესატყვისება იმ პრინციპებს, რაც საპარლამენტო რესპუბლიკის მქონე პრეზიდენტს ევალება, – აღნიშნა პრემიერმა ერთხელ ჟურნალისტებთან საუბარში, თუმცა, იქვე დასძინა, რომ კანდიდატურის შეცვლის უფლებას იტოვებს.

მართალია, მარგველაშვილს პოლიტიკური გამოცდილება ნამდვილად არ აქვს, მაგრამ აქ სხვა უფრო მნიშვნელოვანი კითხვა ჩნდება: სჭირდება კი პოლიტიკური გამოცდილება პრეზიდენტს საპარლამენტო მმართველობის პირობებში?

პრეზიდენტის უფლებები მნიშვნელოვნად იკვეცება. შესაბამისად, პრემიერმა ჩათვალა, რომ ამ პოსტზე აპოლიტიკური მარგველაშვილი აჯობებს პოლიტიკური ინტერესებითა და პასუხისმგებლობით დატვირთულ ხმალაძეს. ეს იყო, როგორც ჩანს, ივანიშვილის ამოსავალი და არა ძველი ბერძნულ-რომაული ტრადიციები, სადაც მიაჩნდათ, რომ ქვეყანა ფილოსოფოსს უნდა ემართა.

ანუ მარგველაშვილი იდეალურია იმიტომ, რომ პოლიტიკური ამბიციები არ აქვს, არ შევა სხვადასხვა პოლიტიკურ გარიგებებში, არ ითამაშებს პოლიტიკურ თამაშებს, შეეცდება, დაიცვას ნეიტრალიტეტი. ასეთ ამოცანებს უყენებს, როგორც ჩანს, პრემიერი მარგველაშვილს და დარწმუნებულია, რომ არ შეცდა. რადგანაც ის ინტელექტუალ მოაზროვნედ მიაჩნია.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

კანდიდატები 2013

სახსოვრად პრემიერისგან

პრემიერმა მარგველაშვილი არამხოლოდ საარჩევნო რინგზე აიყვანა, მას ჩინებული დახასიათებაც მისცა. ეს ერთგვარი ოქროს გასაღებია იმისთვის, რომ ფინალში გახვიდე და საპრეზიდენტო სასახლის საპატიო კარი შეაღო.

– განათლება, მეცნიერება, კრეატიულობა, კრიზისულ სიტუაციაში უნიკალურია გიორგი, მენეჯმენტი, კარგი პრაქტიკა აქვს გავლილი, ამაშიც გამოცდილია, პოლიტიკაშიც გამოცდილია, კარგი ანალიტიკოსია, კარგია ექსპერტია... ყველაზე მეტად სადაც რა გამიჭირდება, გიორგის ვეძახი და ვეკითხები აუცილებლად, 2-3 კაცი მყავს ასეთი, ვისთანაც ნებისმიერ საკითხზე შემიძლია საუბარი, – აცხადებს პრემიერი.

თუმცა, ჩვენთვის უცნობია, კონკრეტულად რა საკითხებს განიხილავს პრემიერი, მაგველაშვილთან ერთად. არაფერია ცნობილი მასზე, როგორც კრიზის-მენეჯერზე. ასეთი დეტალები პრემიერს ჩვენთვის არ უცნობებია. მხოლოდ ეს თქვა:

– მე ბედნიერი ვარ, რომ ასეთ ადამიანს ვიცნობ და ვფიქრობ, განსაკუთრებით ამ ეტაპზე, როდესაც ჩვენი დემოკრატია ჯერ კიდევ მყიფეა... ჩვენს გუნდს აქვს დიდი ამბიცია, რომ საქართველო ჭეშმარიტ დემოკრატიად ჩამოვაყალიბოთ და ასეთი პრეზიდენტი იქნება ძალიან მისაღები მთელი საზოგადოებისთვის.

ასეთი სამახსოვრო და ღირებული დახასიათების მიუხედავად, მარგველაშვილი ბიძინა ივანიშვლის გვერდით ნაკლებად ჩნდება.

ერთ-ერთი პირველი გასვლა „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატმა სენაკში ლევან ვასაძესთან ერთად მოაწყო.

ეს შეხვედრა, საერთოდაც, ამოვარდნილი იყო პოლიტიკური პროტოკოლიდან. ფოტოები, რომელიც სოციალურ ქსელებში გავრცელდა, ამის ნათელი მაგალითი გახლავთ. კოსტიუმებში გამოწყობილი ლევან ვასაძე და გიორგი მარგველაშვილი ძავი სათვალეებით მიეძართებიან სკოლისკენ. ირგვლივ სხვა არავინ ჩანს. პოლიტიკოსისთვის კი, მით უფრო საპრეზიდენტო კანდიდატისთვის ასეთი სიმარტოვე არაპოპულარობის ნიშანია. ანუ ხალხი მის დანახვაზე არ რეაგირებს, მოსახლეობას, ვისაც მარგველაშვილის არჩევას ურჩევენ და მოუწოდებენ, არ აინტერესებს, ხელი ჩამოართვას მარგველაშვილს, გაესაუბროს მას, ფოტოები გადაიღოს მასთან ერთად და ასე შემდეგ.

პოპულისტი ფილოსოფოსი?

პოლიტიკური გამოუცდელობის მიუხედავად, გიორგი მარგველაშვილმა საარჩევნო მარათონს ალღო კარგად აუღო. რინგზე პირველი ავიდა და როგორც ჩანს, განსაკუთრებული ილუზიები, რომ კონკურენტი არ ეყოლებოდა, არ ჰქონია. მას ზურგში არა მხოლოდ ნაციონალების სუნთქვა უნდა ეგრძნო, არამედ ისეთი რადიკალურად განწყობილი ფიგურისაც, როგორიც ნინო ბურჯანაძეა. ანუ განწყობების დონეზე რომ ვთქვათ, მისი კონკურენტია ის, ვინც სტაბილურობისა და განვითარების მომხრეა, ნაციონალების სახით, და ისიც, ვინც პოლიტიკაში მუდმივად ქაოსს ეძებს, მაგალითად, ბურჯანაძე – ვადამდელი არჩევნებისა და ნაციონალების თითქმის ყველა ლიდერის ციხეში გამწესებით.

გიორგი მარგველაშვილი უნდა მიხვდეს, რომ მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის ჩრდილქვეშ ყოფნა მას გამარჯვებას ვერ მოუტანს. NDI-ის კვლევებით, მასა და დავით ბაქრაძეს შორის მეორე ტური უნდა გაიმართოს. შესაძლოა, წინ საკმაოდ მძიმე მარათონია. მას რაღაც საკუთარი სჭირდება ამ რინგზე, ის, რითაც გამორჩეული იქნება და პოპულარული გახდება. ჯერ მხოლოდ ბიძინა ივანიშვილმა იცის, რომ ის უნიკალურია, მაგრამ ახლა ხალხიც უნდა დარწმუნდეს ამაში.

როგორც ჩანს, ბიძინა ივანიშვილის ახალმა სახემ ამ მიმართულებით მუშაობა უკვე დაიწყო. ამ მხრივ, საინტერესოა მისი ინიციატივა სახელმძღვანელოების უფასოდ დარიგების შესახებ. ამ ერთი გადაწყვეტილებით მან თითქმის ყველა იმ ოჯახის გული მოიგო, ვისთვისაც სახელმძღვანელოების ყიდვა ყოველწლიურად საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა და ოჯახის ბიუჯეტს ძალიან ურტყამს.

ოპონენტების მხრიდან კი ქილიკის თემად იქცა, მაგრამ გზავნილი, რომელიც მან ამომრჩეველს გაუგზავნა, ასევე მომგებიანია და პოლიტიკურს თუ ვერა, სოციალურ გამოწვევებს ნამდვილად ნათლად პასუხობს. ეს მესიჯი „ქართული ოცნების“ კანდიდატმა „რუსთავი 2“-ზე გააჟღერა, როცა „კურიერის“ წამყვანს კითხვით მიმართა: მითხარით, რა გაწუხებთ თქვენ, რაზე დარდობთ, როცა მომავალ გეგმებს განიხილავთო.

– არ ვაპირებ, რომელიმე ჩემი კონკურენტი კანდიდატი ვაქილიკო, ვლანძღო, ან გავჭორო. ვფიქრობ, არ არის საინტერესო, მე რას ვფიქრობ მათზე და რომელი უფრო მეტად მიმაჩნია კონკურენტად. მეტად მნიშვნელოვანია ამომრჩევლის მოსაზრება და ის, რა აწუხებს ამომრჩეველს... თქვენ ხართ ამოსავალი, თქვენ ხართ ამომრჩეველი, მითხარით, თქვენ რა გაწუხებთ. მინდა, ბევრ ოჯახს მდგომარეობა შევუმსუბუქო, რომ საქართველო გაიმართოს, გახდეს თავისი დანიშნულების იდენტური. საელმწიფომ უნდა შექმნას იმ სილაღის, ბუნებრიობისა და ნიჭის განვითარების შესაძლებლობა, რაც ჩვენშია, თითოეულმა ამომრჩეველმა უნდა მითხრას, როგორ შეიძლება სახელმწიფო მათ უკეთ ემსახუროს.

აქვე მარგველაშვილმა იმის დემონსტრირებაც მოახდინა, რომ მას კარგად ესმის, რა აწუხებს თითოეულ ოჯახს. დასაქმება, შემოსავალი, განათლება, ჯანდაცვა...

ვერაფერს იტყვი, მარგველაშვილმა მომგებიანი საარჩევნო ნიშა იპოვა. ამით ის რადიკალებსაც გაემიჯნა, ანუ მათ, ვისაც ვადამდელი არჩევნები, დაჭერები და პოლიტიკური რეპრესიები აღელვებთ და იქვე ისიც დააფიქსირა, რომ მისი ინტერესი სტაბილურობა და გავითარებაა. სხვანაირად თითოეული ოჯახის კონკრეტულ პრობლემებს ვერ გადაწყვეტ.

კიდევ ერთხელ და მკაფიოდ რომ გავიმეოროთ, მარგველაშვილს ესმის, რა არის ხალხის დაკვეთა: ეს არის სამუშაო ადგილები და არა ვადამდელი არჩევნები, ეს არის ხარისხიანი განათლება, ჯანდაცვის გამართული სისტემა და არა პოლიტიკური დაპატიმრებები.

დაბოლოს, ეს არის ის, სადაც წინა ხელისუფლება გაჩერდა. ანუ საკაშვილის დროს დაიგო გზები, აშენდა შენობები, გალამაზდა ფასადები... ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ხელისუფლება მოვიდა ჩვენს სახლებამდე, შემოვიდა სადარბაზოებშიც, – განათებები დააყენა, დასუფთავების სისტემა აამუშავა, ლიფტები გამოცვალა, – მაგრამ ჩვენი, თითოეული ჩვენგანის კართან შეჩერდა. სწორედ ამ კარის შეღების პირობას დებს მარგველაშვილი და ეს არის მისი მთავარი მესიჯიც.

მარგველაშვილი გვპირდება, რომ საქართველო ყველაზე კარგი საცხოვრებელი იქნება. ის ამბობს, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ (და, რა თქმა უნდა, გულისხმობს, რომ თავად გაიმარჯვებს) საქართველოში სტაბილურობა და განვითარება დაისადგურებს, რეალობა შეიცვლება.

გიორგი მარგველაშვილი, პრეზინდეტობის კანდიდატი „ქართული ოცნებიდან“:

ამბობენ

რა თქმა უნდა, საქართველოში ყველაზე ყველაფერს ამბობენ. შემთხვევით არ დადო მარგველაშვილმა პირობა, სკანდალები ჩემი პრეზიდენტობის დროს დასრულდებაო. როგორ აპირებს ის სკანდალს აყოლილი და გადაყოლილი მედიის „მორჯულებას“, ძნელი სათქმელია. და საქმე მხოლოდ მედიაშიც არ არის. თუმცა, ეს სულ სხვა ისტორიაა.

„ქართული ოცნების“ კანდიდატი სკანდალებს თავადაც ვერ ასცდა. პირად ცხოვრებაზე თავად არ საუბრობს, ამიტომაც ყველა მის მაგივრად ლაპარაკობს. მაკა ჩაჩუა, საპრეზიდენტო კანდიდატის მეგობარი ქალბატონი, დღეს, მგონი, უფრო პოპულარულია, ვიდრე თავად მარგველაშვილი. ყველას აინტერესებს დეტალები, თუმცა, არაფერი იმის გარდა, რაც ადრევე იყო ცნობილი, მაკა ჩაჩუას შესახებ არ გაჟღერებულა. ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით ასეა. მომავალი პირველ ლედი (მარგველაშვილის გამარჯვების შემთხვევაში) ვიზაჟისტად მუშაობდა ტელეკომპანია ПИК-ში, ჰყავდა მეუღლე, ახლა გიორგი მარგველაშვილის მეგობარია. ეს არის ყველაფერი, რაც ოფიციალურად იწერება. თავად პრეზიდენტობის კანდიდატიც მთელ პირად ცხოვრებას ერთ ფრაზაში ატევს: „მყავს მეგობარი ქალბატონი. ჩემი და მაკა ჩიჩუას შვილები ერთად გაიზარდნენ“.

მეორე თემა – ეს გიორგი მარგველაშვილის პოლიტიკური ორიენტაციაა. ლევან ვასაძესთან მეგობრობა და ის ინფორმაციები, რომელიც სოციალურ ქსელებში გამოჩნდა, ზოგიერთს იმის მტკიცების საფუძველს აძლევს, რომ გიორგი მისი პრეზიდენტობის შემთხვევაში ჩრდილოეთისკენ შეაბრუნებს სახელმწიფო მართვას. მიუხედავად იმისა, რომ მარგველაშვილმა დააფიქსირა: გავაგრძელებ ნატოსკენ და ევროკავშირისკენ მიმავალ კურსსო, ეჭვები მაინც გაჩნდა. შესაძლოა, პირველ რიგში, იმის გამო, რომ ბიძინა ივანიშვილის მსგავსად, მარგველაშვილიც დასაშვებად მიჩნევს ნატოში განევრიანების პარალელურად „რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზებას“ და მასთან „რაციონალური დიალოგის“ გამართვას. მაგრამ როგორ შეიძლება ამის მოხერხება, როცა ჯერ მედვედევისა და მერე პუტინის აღიარებით 2008 წლის ომი სწორედ ნატოში საქართველოს გაწევრიანების რეალურმა საფრთხემ გამოიწვია.

– 2008 წელს ჩვენ რომ შევმდრკალიყავით, ახლა სხვაგვარი იქნებოდა გეოპოლიტიკური განლაგება და მთელი რიგი ქვეყნები, რომლების ხელოვნურად შეთრევასაც ცდილობდნენ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში, დიდი ალბათობით უკვე იქ იქნებოდნენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენს სიახლოვეს ჩნდება არა მხოლოდ მეზობელი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები, არამედ ჩნდება სამხედრო ბლოკი... ბლოკი, რომელიც, სრულიად გასაგები მიზეზებით, გვიქმნის გარკვეულ უხერხულობას, – ეს სიტყვები დიმიტრი მედვედევმა ჯერ კიდევ მისი პრეზიდენტობის დროს თქვა.

ასე რომ, როგორ წარმოუდგენელია გიორგი მარგველაშვილს რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზების პარალელურად დასავლეთისკენ სვლა, ჯერ ვერავინ ამოხსნა, თავად მარგველაშვილი კი ამ თემაზე კონკრეტულს არაფერს ამბობს.

კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ გაიმარჯვა გიორგი მარგველაშვილმა. ფსონი პირადად ივანიშვილმა დადო, ეს მისი არჩევანი იყო და სხვებმა ის დიდი სიხარულით გაიზიარეს. იმის დემონსტრირებისთვის, რომ კოალიციაში წყენა არავის დარჩა, წარდგენის დროს ყველა პრეტენდენტი მარგველაშვილს უმშვენებდა გვერდს და ბედნიერი იღიმებოდა. ირაკლი ალასანიამაც და კახი კალაძემაც განაცხადეს, რომ მათი კანდიდატი ღირსეულია და რომ კოალიცია გაიმარჯვებს.

და კიდევ ერთი მთავარი დეტალი, ერთი სიტყვა, რომელიც მალევე გახდა გიორგი მარგველაშვილის ბრენდი პოლიტიკაში. „პლასტენილივით ვარ, სადაც მიმაგდებთ, იმ ფორმას მივიღებ“, – ეს სიტყვებიც მარგველაშვილს ეკუთვნის.

მთავარი ინტრიგა მთელ ამ ისტორიაში ისევ მარგველაშვილია. შეძლებს ის საკუთარი ისტორიის დაწერას, თუ პლასტენილის წყალობით ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური შეხედულებების ფორმას მიიღებს. და ხომ არ დაეშვებავსება კოალიცია „ქართული ოცნება“ მადამ ტუსოს მუზეუმს?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გაბედავს თუ არა კბილაშვილი ხუხაშვილის ფავორიტისა

ДАВИТ ЧХАТАРАШВИЛИ

БЕСИК ТХЕЛИДЗЕ

ყოფილი პროკურორი დავით ჩხატარაშვილსა და ბესო თხელიძეს ამხელს...

„კანონით ბრალის მოხსნის უფლება მაშინაც კი არ მქონდა, როცა აშკარად დავინახავდი, რომ უკანონობა ხდებოდა. ამაზე დეპარტამენტის უფროსს უნდა მოეცა თანხმობა“

მარიამ ნადირაძე

ერთ მშვენიერ დღეს პროკურორი, რომელიც 2008 წელს ღირსების მედლით დააჯილდოვეს, 3 წლის შემდეგ გაამწესეს იმ პატიმრებთან, რომლებსაც 7 წლის განმავლობაში იჭერდა, მხოლოდ იმიტომ რომ კუდ-ის კამერამ კახი კალაძის შვილის ნათლობაში დააფიქსირა.

ეს ისტორია დღეს ჩვენი ინტერვიუს თემაა. მაშ ასე, „პრაიმტაიმს“ ექსკლუზიურ ინტერვიუს აძლევს ყოფილი პროკურორი კახა ცნობილაძე, რომელიც 2005-2012 წლებში საპროკურორო ზედამხედველობას უწევდა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას და სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თბილისის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს:

– ზოგჯერ ხელმძღვანელობის დავალებით შსს-ს კრიმინალურ პოლიციას. დეპარტამენტში ნდობით ვსარგებლობდი და რთულ საქმეებს მავალებდნენ. სადაც სირთულე იყო, იქ ვინიშნებოდი ზედამხედველ პროკურორად.

– თქვენი უშუალო უფროსი ვინ იყო?

– ბესიკ თხელიძე. ის იყო იმ დეპარტამენტის უფროსი, რომელიც კურატორობდა შსს-ს გენერალურ ინსპექციასა და სოდ-ს ნარკოტიკების კუთხით, კრიმინალურ პოლიციას. ჩემს ხელში ბევრმა ხმაურიანმა საქმემ გაიარა. მათ შორის იყო ლევან კალაძის საქმეც, როცა ის საბოლოოდ გაიხსნა. იმდენად წარმატებულ პროკურორად მთვლიდნენ, რომ 2008 წელს ღირსების მედლითაც დამაჯილდოვეს და დღეს უკვე მრცხვენია ამის, რადგან მას შემდეგ, რაც მე-8 საპყრობილეში მოვხვდი, როგორც პატიმარი და დავინახე, რა ხდებოდა იქ, გამიჩნდა არასრულფასოვნების კომპლექსი, გამიჩნდა პროტესტი, რა რეჟიმს ვემსახურებოდი. ეს ყველა ნორმალურ ადამიანს გაუჩნდებოდა.

– თქვენ მუშაობდით სისტემაში, სადაც, როგორც ამბობენ, ერთი კაცი წყვეტდა ყველა საქმის ბედს. როგორ მოახერხეთ 7 წლის განმავლობაში ამ პირობებში ყოფნა?

– მე ვიყავი რიგითი პროკურორი, ე.წ. ინტელექტუალური მუშა. ჩვენი მოვალეობა იყო მხოლოდ ინფორმაციის მიტანა სასამართლომდე და იმის მხარდაჭერა, რასაც უფროსი გეტყოდა. რიგითი პროკურორი საქმეზე ვერაფერს წყვეტდა და არც არავინ ეტყოდა, იმის იქით რა ხდებოდა. ხშირად მეცოდებოდა ის ადამიანი, ვისაც ციხეში ვუშვებდი, მაგრამ უფლება არ გაქვს, ამ დროს ემოციებით იმოქმედო. კანონით ბრალის მოხსნის უფლება მაშინაც კი არ მქონდა, როცა აშკარად დავინახავდი, რომ უკანონობა ხდებოდა. ამაზე დეპარტამენტის უფროსს უნდა მოეცა თანხმობა. ხშირად ხდებოდა, რომ ვხედავდი, რეალურად საქმე ნარკოტიკების რეალიზაციასთან არ გვქონდა, მხოლოდ იმიტომ აკერებდნენ იარლიყს, რომ ამის შესახებ ოპერატიული ინფორმაცია არსებობდა. შეძენა-შენახვისთვის ადამიანს იმხელა სასჯელს მისცემდნენ, როგორც რეალიზატორს – ვთქვათ, 18 წელს, იმიტომ, რომ შინაგანი რწმენითა და ოპერატიული ინფორმაციით, ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე, ის გამსაღებლად ითვლებოდა.

– რატომ ხდებოდა ასე?

– ალბათ, მე არ ვარ ის ადამიანი, ვინც ამაზე პასუხი უნდა გასცეს, მაგრამ, როგორც ვხედავ, სახელმწიფო იმართებოდა შიშით, მხოლოდ ასე იქნებოდა სახელმწიფო მართული და საკუთარი მოქალაქეების უბედურებისა და პირის ხარჯზე ქმნიდნენ მარტო შთაბეჭდილებებს... ამის შესახებ ხმამაღლა ვლაპარაკობდი პროკურატურის დერეფნებში.

– და რას ამბობდით?

– რომ ჩვენ არაფერი არ ვართ, რიგითი პროკურორები და ზემოთ წყდებოდა ყველაფერი, ჩვენ კი სისულელეებს გვაკეთებინებდნენ.

– ხშირად გიწევდათ ამ სისულელეების კეთება?

– სისულელეს ვეძახი იმას, რომ 18-20 წელს რომ მისცემ ადამიანს შეძენა-შენახვისთვის, სისულელე არ არის? ის შეიძლება მართლა იყო რეალიზატორი, მაგრამ ამას დამტკიცება ხომ სჭირდებოდა? ამის დამტკიცებისთვის თავს არავინ იტკიებდა.

– პროკურატურაში გყავდათ თანამოაზრეები?

– პროკურატურაში იმდენად მართული და შეშინებული იყო ხალხი, რომ ხმას ვერავინ იღებდა. მეც იცით, რისი მსხვერპლი გავხდი? კახა კალაძე იყო ჩემი ბავშვის ნათლია და მე ვიყავი კახას ცოლისძმის ბავშვის ნათლია. ანუ ძალიან ახლო ურთიერთობა გვქონდა. გამაფრთხილეს და დამარიგეს, რომ მისთვის თავი დამენებებინა.

– ეს როდის მოხდა?

– 2011 წლის ბოლოს, როცა კახამ განცხადება გააკეთა იმის შესახებ, რომ ოპოზიციაში გადავიდა და კრიტიკა დაიწყო. მე გამაფრთხილა ჩემმა ხელმძღვანელმა, რომ მასთან ურთიერთობა აღარ უნდა მქონოდა.

– ვინ?

– ბესო თხელიძემ. მან კარგად იცოდა ჩვენი ურთიერთობის შესახებ.

– თქვენ მაშინ დამეგობრდით, როცა ლევან კალაძის გატაცების საქმეს იძიებდით?

– დიახ... ამის შემდეგ ჩვენ მეილებით გვქონდა მიწერ-მოწერა. კახას მე მოვუწონე ფილარმონიაში გაკეთებული ოპოზიციური განცხადება.

– კონკრეტულად რა მისწერეთ?

– მომეწონა შენი განცხადება, თამამ ადამიანებს პატივს ვცემ, ვინც საკუთარ აზრს თამამად გამოხატავს-მეთქი. 2011 წლის დეკემბერში კახამ ბავშვის ნათლობა „რედისონში“ გადაიხადა. მეც ვიყავი ნათლობაში დაპატიჟებული. მივედი მეუღლესთან ერთად. ეს წვეულება ჩუმად გადაიღო კუდ-მა და მეც, ბუნებრივია, კადრში მოვხვდი. იქიდან დაიწყო ჩემი დევნა.

– მარტო თქვენ იყავით სახელმწიფო სტრუქტურებიდან?

– როგორც აღმოჩნდა, მარტო მე ვიყავი. ამის შემდეგ აშკარად ვატყობდი, რომ, რაკი გაფრთხილებული ვიყავი და მიუხედავად ამისა, თავი არ დავანებე კახასთან ურთიერთობას, ისევ ვაგრძელებდი ჩემი მოსაზრებების ხმამაღლა გამოთქმას, დაიწყეს ჩემი ტელეფონების მოსმენა.

– იცოდით ეს?

– ვხვდებოდი და ეჭვი არ მეპარებოდა, რომ არაოფიციალურად მომისმენდნენ, მაგრამ თუ ოფიციალურადაც გააკეთებდნენ ამას, არ მეგონა. დაიგეგმა ჩემი დაპატიმრება...

– ეს ყველაფერი მაშინვე გაიგეთ?

– არა, ახლა ვიცი ზუსტად, რა მოხდა მაშინ. ყველაფერი დაიგეგმა მთავარი პროკურორის მოადგილის, დავით ჩხატარაშვილის კაბინეტში, რომელიც კურაციას უწევდა კუდ-ს, პროკურატურის გამოძიებას, კონტრდაზვერვას, სოდ-ის ორგანიზებულ დანაშაულს. მას მიუყვანეს კუდ-ის აგენტები და გადაწყვიტეს, რომ დადგმული სცენის მიხედვით მე დავეჭირე. მათ უნდა დაეკავებინათ პირი ნარკოტიკების შეძენა-შენახვისთვის, რომელიც მე მთხოვდა ადვოკატის მოყვანას, შინაურულად. ამის შემდეგ ბრალდებული თანხას გადაუხდიდა ჩემს მოყვანილ ადვოკატს და მე დამიჭერდნენ. ვინაიდან იანვრის დასაწყისში მე ბავშვი რეანიმაციაში მეწვინა, გასაკვირია, მაგრამ ეყოთ ნამუსი, რომ მაშინვე არ დამიჭირეს...

– ეს ყველაფერი ასე ადვილად გასაკეთებელი იყო?

– მაგათთვის ყველაფერი ადვილი იყო, განსაკუთრებით პოლიტიკური შეხედულებების შეუთავსებლობას როცა შეეხებოდა საკითხი. იქ უკვე აღარ არსებობდა არავითარი ავტორიტეტი. ჩემი შვილი იყო 6 წლის და ჰქონდა შიდა ტვინის ანთება. მე მაშინ რეანიმაციიდან არ გამოვდიოდა და იქ აღარ შემომივარდნენ. როგორც კი ბავშვი საავადმყოფოდან გამოვიყვანე, ეს სცენა მაშინვე დადგეს.

– რაში მდგომარეობდა სცენა?

– სოდ-ის უფროსს, კოდუას შემცვლელს, ჭელიძეს დაავალეს, რომ ვითომ მისი დეპარტამენტი დაიჭერდა ადამიანს ნარკოტიკების შეძენა-შენახვაზე. კუდ-მა, პროკურატურის მხრიდან ზაზა ქაჩიბაიამ და დათო ჩხატარაშვილმა, სოდ-ის მხრიდან ჭელიძემ და ქალაქ თბილისში ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს უფროსმა, გიგი დალაქიშვილმა, დამიდგეს ასეთი სცენარი: გლდანში იქირავეს ბინა და დასვეს თავიანთი აგენტი, ვინმე როინ ქამუშაძე, რომელსაც მისცეს 24 აბი „სუბუტექსი“ და უთხრეს, რომ მჯდარიყო იმ ბინაში. ამის შემდეგ, მეორე აგენტს, ჯამბულ გიკაშვილს მისცეს 1 აბი და დააყენეს ავლაბრის მეტროსთან. უთხრეს, – შენთან მოვა სოდ-ი, დაგიჭერს, როცა წაგიყვანენ, იტყვი, რომ პროკურორთან შეხვედრამდე ნარკოტიკების რეალიზატორს არ დაასახელებ. როცა პროკურორი შეგხვდება, მას ეტყვი, რომ არ ენდობი სოდ-ს და ნარკოტიკების რეალიზატორს მის მოყვანილ ადვოკატთან დასახელებ. სანამ პროკურორი არ მოგიყვანს თავისი ნდობით აღჭურვილ ადვოკატს, მანამდე არაფერს იტყვი და როცა მოგიყვანს, მერე დაასახელებ როინ ქამუშაძეს. მართლაც დააკავეს ჯამბულ გიკაშვილი და ჩემმა ხელმძღვანელმა, ბესიკ თხელიძემ დამავალა, რომ წავსულიყავი და დავხმარებოდი სოდ-ს, ვინაიდან ბრალდებული გამოძიებასთან არ თანამშრომლობდა პროკურორთან შეხვედრის გარეშე. იქ წასვლა პროცედურულად არ მევალებოდა, ვინაიდან 260-ე მუხლის პირველი ნაწილით იყო დაკავებული, მე კი მხოლოდ იმ ბრალდებულებს ვხვდებოდი, რომელთა სავარაუდო დანაშაული თავისუფლების სამუდამოდ აღკვეთას ითვალისწინებდა, ან ხელს არ აწერდა ჩხრეკის ოქმებზე, რათა გამერკვია, რატომ არ აწერდა. სხვა შემთხვევაში ბრალდებულთან შეხვედრას კანონი არ მავალდებულებდა. გიკაშვილის მიმართ წაყენებული მუხლი კი ნულიდან 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა. მაგრამ ვინაიდან დეპარტამენტის უფროსმა დამავალა, მე მას მაინც შევხვდი.

– არ გაგჩენიათ კითხვა, როცა პროცედურულად არ გევალებოდათ, მაინც რომ გიშვებდნენ ასეთ საქმეზე?

– არ გამჩენია ეს კითხვა, რადგან მართალია, არ მევალებოდა, მაგრამ კანონით აკრძალულიც არ მქონდა. თუმცა ფაქტია,

РОИН ДЖАМУШАДЗЕ

ДЖАМБУЛ ГИКАШВИЛИ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

და მოქმედი მაღალჩინოსნების პასუხისგებაში მიცემას?

„მთავარ პროკურატურაში ამ აგენტს შეჰპირდნენ, რომ მისცემდნენ პოლიციის მაიორობას და მთელი ცხოვრების მანძილზე ექნებოდა იარაღის ტარების უფლება“

კახა ცნობილაძე

EXCLUSIVE

როგორ დასაჯეს ღირსების მედალოსანი პროკურორი კახი კალაძესთან მეგობრობის გამო?

რომ სოდ-ს მანამდე არასდროს დასჭირვებია ჩემი დახმარება ნარკორეალიზატორის გამოვლენაში. მცირე ეჭვი კი გამიჩნდა, მაგრამ იქვე ვიფიქრე, რომ, ეტყობა, ვიღაც ჭკვიანი აღმოჩნდა, რომელიც სოდ-ს არ ენდობა-მეთქი. როგორც კი ბრალდებული ვნახე, მან ზუსტად ეს მითხრა, რომ სოდ-ს არ ენდობოდა. რომ ითანამშრომლოს და ნარკოტიკების რეალიზატორი დაასახელოს, ამით საფრთხეს გაუჩენს საკუთარ ოჯახს, საკუთარ ბიზნესს... მეუბნებოდა, რომ იყო ბიზნესმენი ყაზახეთიდან, იყო ახალი ჩამოსული გასართობად და დაიჭირეს. მითხრა, რომ სჭირდებოდა ადვოკატი და მხოლოდ ჩემს მიყვანილ ადვოკატს ენდობოდა. ეს იყო პირველი მოთხოვნა. მეორე მოთხოვნით კი მე ის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან სრულად უნდა გამეთავისუფლებინა, ისე, რომ პირობითიც არ უნდა მიგვეცა. უნდა გამეშვა ყაზახეთში, ვინაიდან იქ ჰყავდა ცოლ-შვილი. მოგვიანებით გავარკვიე, რომ სინამდვილეში მას საზღვრის გადმოკვეთა ჰქონდა გაყალბებული, ახალი გადმოკვეთილი სულაც არ ჰქონია. ბუნებრივია, ეს გაუყალბა სოდ-მა, ან კუდ-მა. ის იყო ადგილობრივი, მუშაობდა გუდაურში, სასტუმრო „მარკოპოლოს“ დაცვაში. ეს ყველაფერი პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ დავადგინე. ერთი სიტყვით, მაშინვე დავურეკე თხელიძეს და ვუთხარი, რომ ბრალდებული ულტიმატუმებით მელაპარაკებოდა. ჩემი პოზიციაც ვუთხარი, თუ არ დაასახელებს რეალიზატორს, ნუ დაასახელებს-მეთქი და წავედი სახლში. ღამის თორმეტ საათზე მირეკავს თხელიძე და მეუბნება, რომ სოდ-ს თურმე ჩემი დახმარება სჭირდება, დაზუსტებით იციან, რომ სადღაც დიდი ოდენობით ნარკოტიკი დევს და თუ გიკაშვილი ახლა არ დაასახელებს რეალიზატორის ვინაობას, საქმის გახსნას დააგვიანდებაო. სხვა გზა არ იყო, ისევ დავბრუნდი ქალაქ თბილისის დროებითი დაკავების იზოლატორში, ისევ შევხვდი გიკაშვილს და მან ისევ იგივე პირობები წამომიყენა, არაფერი შეცვლილა. ისევ დავურეკე თხელიძეს და მან მითხრა, – ყველაფერი გააკეთე იმისთვის, რომ მან ითანამშრომლოსო. მითხრა, რომ ბრალდებულს გაათავისუფლებდნენ, მაგრამ ეს ვერ მოხერხდებოდა პირობითი სასჯელის გარეშე, საზღვარგარეთ მისი გამგზავრებაც პრობლემა არ იქნებაო. იქ საუბარი იყო გარკვეული ჯარიმის გადახდაზეც ბიუჯეტში, ასევე ის ამბობდა, რომ მანქანებს უყიდდა სოდ-ს.

– რის ბიზნესი ჰქონდა?

– არ ჩავძიებივარ. რაში მაინტერესებდა, ის ფულს საიდან შოულობდა? როცა საქმე ისევ ადვოკატზე მიდგა, მითხრა, ადვოკატი მერე ჩემს სამეწარმეო საქმიანობაშიც დამჭირდებაო...

– თქვენ რატომ გენდობოდათ ასე, ეს არ აუხსნია?

– ის თურმე მე კი არა, პროკურატურას ენდობოდა და იმ შემთხვევაში პროკურატურას მე წარმოვადგენდი. ისე, ეს ნათქვამი ბუნებრივადაც ჟღერდა, რადგან ზოგჯერ სხვა ბრალდებულებიც ამბობდნენ, რომ არ ენდობოდნენ სოდ-ს სათანამშრომლოდ, ვინაიდან საპროცესო შეთანხმებას წყვეტდა პროკურორი, პოლიციელი კი შეიძლებოდა შეპირებოდა და მოეტყუებინა. ერთი სიტყვით, მას შემდეგ, რაც ხელმძღვანელს ყველაფერი შევუთანხმე, დავურეკე ერთ ახლობელ ადვოკატს და ვთხოვე, გიკაშვილთან ჩემი სახელით შესულიყო და ოპერატიული სამსახურებისთვის ინფორმაცია მიენოდებინა, ვინ იყო რეალიზატორი და დაერწმუნებინა, რომ ეს ინფორმაცია საჯარო არ გახდებოდა და არც მის სიცოცხლეს დაემუქრებოდა საფრთხე. ამის გარდა, გიკაშვილი კიდევ ერთ პირობას აყენებდა, რომ არ დაწერდა ჩვენებას, ვინაიდან ეშინოდა. ამ პირობას ხელმძღვანელობა დასთანხმდა.

– ასეთ დათმობებზე სხვა ბრალდებულებთანაც წასულან?

– კი. ოღონდ ეთანამშრომლათ და ასეთ დათმობებზე პროკურატურა მიდიოდა ხოლმე. ადვოკატთან შეხვედრის შემდეგ გიკაშვილი დადგენილებით გამათავისუფლებინეს. პრაქტიკაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ ასეთი მუხლით დაკავებული ადამიანი პროკურორის დადგენილებით განთავისუფლებულიყო. ის გირაოთი გადიოდა სასამართლოს დადგენილებით, მაგრამ დაკავებისთანავე გამეთავისუფლებინა? – ასეთი რამ პრაქტიკაში არ მქონია. ასეთი რამ რომ მომხდარიყო და პროკურორს საკუთარი ინიციატივით ასეთი დადგენილება მართლა გამოეტანა, ხელმძღვანელობა მას აუცილებლად დახევდა. ეს მე რომ მომენდომებინა, ზემდგომი პატიმარს არც ერთ შემთხვევაში არ გაუშვებდა. მაგრამ დამავალა ხელმძღვანელობამ და რა უნდა მექნა? გიკაშვილი წაიყვანეს გლდანში, წინასწარ დაქირავებულ ბინაში და... იქ ქამუშაძე დაიჭირეს.

– ამ ადვოკატთან, უბრალოდ, მეგობრული ურთიერთობა გქონდათ?

– ის იყო ერთ-ერთი საადვოკატო ფირმის ადვოკატი, რომლის დირექტორად ითვლებოდა ჩემი მეუღლე. ეს ფირმა ეწეოდა სამოქალაქო სამართალში მომსახურებას, კონტრაქტები ჰქონდა დადებული ფირმებთან იურიდიულ მომსახურებაზე – შრომითი ხელშეკრულებები, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებები... სისხლის სამართლის საქმეებს ეს ფირმა არასდროს ეხებოდა. ვერც ერთი ფაქტი ვერ დამიდეს, რომ ოდესმე ეს ადვოკატი გამოყენებული მყავდა სისხლის სამართლის სხვა საქმეში.

– ანუ, რაკი იცოდნენ, რომ არსებობდა საადვოკატო ფირმა, რომელიც ფორმალურად თქვენს მეუღლეს ეკუთვნოდა, დიდი ალბათობით, ადვოკატს სწორედ ამ ფირმიდან დაუძახებდით?

– დიახ. ამ ფირმის შესახებ ჩემმა ხელმძღვანელობამ იცოდა. ამაში რა იყო დასამალი? პროკურორის ცოლს, რა, ეკრძალება სამეწარმეო სამართალი და იურიდიული ფირმის ჩამოყალიბება? ამის შემდეგ ბრალდებული გამოდის, მას გირაოს სახით ეფარდება 35 ათასი ლარი, მერე ის ხვდება „მერიოტში“ ჩემს მეგობარ ადვოკატს, ფულის მისაცემად, ამას თურმე ჩუმად იღებდნენ, მაგრამ ადვოკატი მას არ ართმევს ფულს და ეუბნება, რომ ამ მომსახურებაში ფულს არ იღებს. ჩაიშალა ეს ოპერაცია და გაგიჟდნენ. ამის მერე გიკაშვილმა უთხრა, ჩემს ფირმას დაუდექი ადვოკატად, თქვენი კომპანიის ანგარიში დამიწერე და მას გადავურიცხავ ფულსო. მართლაც წავიდა და შპს-ს ანგარიშზე თვითონ შეიტანა 5000 ლარი. როცა მე დამაკავეს, პროფილაქტიკაში მივდიოდი. გადამიდგა კუდ-ი და გენერალური ინსპექციის ხალხი. არ ჩაუტარებიათ არავითარი ჩხრეკა და მითხრეს, რომ მივყავდი ხელმძღვანელობასთან. იქნებოდა შუა დღის ორი საათი. ისე ვიჯექი გენერალურ პროკურატურაში 4-5 საათი, რომ საერთოდ არ ვიცოდი, რა ხდებოდა. მერე მითხრეს, რომ თითქოს ჩემი მანქანიდან 2500 ლარი ამოიღეს. მე უკვე მივხვდი, რომ, თუ საპროცესოს არ გამიკეთებდნენ, 9-10 წლით მიშვებდნენ ციხეში. ამის მიხვედრას არაფერი უნდოდა, როცა თეთრზე გეუბნებიან, რომ შავია. ამიტომ ვუთხარი, რომ, რაც უნდოდათ, ყველაფერს დავიბრალებდი.

– მარტო დაგიჭირეს?

– არა, ადვოკატთან ერთად... გაჩეჩილაძეც იმიტომ აიყვანეს, რომ ვიღაც ჰყოლოდათ, ვინც მე ხელს დამადებდა. ის სცემეს და ათქმევინეს, რაც გამოძიებას უნდოდა.

– თქვენ არ გცემეს?

– არა, ჩემზე სერიოზულ ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენდნენ.

– გიკაშვილმა და ქამუშაძემ რომ დავალება მიიღეს, ამის შესახებ საიდან შეიტყვეთ?

– გიკაშვილმა თავად აღიარა ჩემს ადვოკატთან. ამის გარდა, მას დოკუმენტაციით ნაჩვენები აქვს, რომ თითქოს 2009-ში გავიდა საქართველოდან და 2011 წლის დეკემბერში დაბრუნდა საქართველოში, მაგრამ ჩვენ მოვიპოვეთ მტკიცებულება, რომ 2010-ში მას თბილისში მანქანა აქვს გაყიდული და „მარკოპოლოში“ ადასტურებენ, რომ იქ მუშაობდა. რაც შეეხება ბინას, რომ ის პოლიციის ნაქირავები იყო, ამას მიდასტურებს ბინის პატრონი. ნარკოტიკები მათ მისცა სოდ-მა. საქმის მასალებიდან გამქრალია ჩემი და ბესო თხელიძის სატელეფონო საუბრები, არსად ჩანს...

– თქვენ დეტალური ამონაწერი არ გაგიკეთებიათ?

– ამის ამოღების უფლება მე არ მაქვს, რადგან ჩემი ნომერი პროკურატურაზე იყო გაფორმებული.

– ქამუშაძე, ანუ რეალიზატორი დაიჭირეს?

– როინ ქამუშაძეს 24 აბ „სუბუტექსზე“ გაუფორმეს 1 წელი პირობითი, ჯარიმის გარეშე საპროცესო, გიკაშვილსაც მისცეს 1 წელი პირობითი ჯარიმის გარეშე. იმ პერიოდში, შეიძლება ახლაც, ნარკოტიკების რეალიზატორს 15 წლიდან სამუდამო პატიმრობამდე უსჯიდნენ. ანუ 15 წელზე დაბალი სასჯელი არ არსებობდა მისთვის, ვინც რეალიზაციის ფაქტზე იყო დაჭერილი. 1 წელი პირობითი ასეთი მუხლით დაკავებულ ადამიანზე, თან ჯარიმის გარეშე, ყოვლად წარმოუდგენელია.

– გიკაშვილი ნასამართლევი იყო? რატომ წავიდა ასეთ შეთანხმებაზე სოდ-თან?

– მთავარ პროკურატურაში ამ აგენტს შეჰპირდნენ, რომ მისცემდნენ პოლიციის მაიორობას და მთელი ცხოვრების მანძილზე ექნებოდა იარაღის ტარების უფლება. ამიტომ დასთანხმდა. ეს თავად კუდ-ის წარმომადგენელმა მითხრა მოგვიანებით, როცა გამოვედი.

– თქვენ რა ბედი გეწიათ?

– ვიცოდი რა, რომ მინიმუმ 9 წელი მელოდა, სახლში კი ავადმყოფი ბავშვი მყავდა. ჩავვარდი დიდ სტრესში და გადავწყვიტე, ყველაფერზე მომეწერა ხელი. მომიტანეს ისეთი ბრალი, დღესაც რომ წაიკითხოთ, იქ დანაშაულის ნიშნებს ვერ აღმოაჩენთ. არ შეიძლება ჩაითვალოს უკანონო სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობად, თუ არ არის მფარველობა, შეღავათი და უპირატესობის მინიჭება. თუ შპს-ს თანამდებობის პირი უწევს მფარველობას, შეღავათსა და უპირატესობის მინიჭებას, არ შეიძლება მას ეს ბრალი წაუყენო. დღეს უკვე აშკარაა, რომ ეს იყო დადგმული პროვოკაცია. ჩემი ძმა მუშაობდა კახეთის პოლიციაში პატრულ-ინსპექტორად. დაიბარა კახეთის საპატრულოს უფროსმა და პირდაპირ უთხრა, რაკი შენი ძმისშვილის ნათლიაა კალაძე, დიდი ხათრი გვაქვს, მაგრამ უნდა წახვიდეო. ეს მოხდა ჩემი დაჭერიდან ორ თვეში. ჩემი ძმა იყო ერთადერთი ადამიანი, რომელიც ოჯახში მუშაობდა და მე ციხეში მირიცხავდა ფულს. ისიც კი უმუშევარი დამიტოვეს. სამსახურში მხოლოდ ამ ხელისუფლების მოსვლის შემდეგ აღადგინეს. დაკავების შემდეგ წამიყვანეს მერვე საპყრობილეში. როგორც კი საპყრობილის კარს გადავაბიჯე და კამერებში სისხლი დავინახე, მესმოდა წამების ხმა, გამიჩნდა საშინელი კომპლექსი, რომ მე ვემსახურებოდი ჯალათებს. კამერაში იატაკი მორეცხილი იყო, მაგრამ ნაპირებზე დარჩენილი იყო გამხმარი სისხლი. ბოლოს და ბოლოს, გამომძიებლად ვარ ნამუშევარი და ეს ჩემს თვალს არ გამორჩებოდა. მილიონი შემთხვევის ადგილი მაქვს დათვალიერებული. ეს ვნახე ფუქსებში, კარანტინში.

– როგორ გაიარეთ კარანტინი?

– მართალია, ჩემთვის ხელი არავის დაუკარებია, მაგრამ ჩემს თვალწინ ჩვეულებრივ პატიმრებს საშინლად ურტყამდნენ. ყოფილ ოფიცრებს ინდობდნენ, როგორც ჩანს. ჩვენს თვალწინ ურტყამდნენ, რათა ჩვენთვის ეს მაგალითი ყოფილიყო, საპყრობილეში როგორ უნდა მოვქცეულიყავი. საპყრობილეში შესვლის შემდეგ ამეხილა თვალები, თუ რა ხდებოდა ამ ქვეყანაში. მანამდე ვინმეს რომ ეთქვა, ხალხს ციხეში ანამებენო, ვერ დავიჯერებდი.

– კარგით, რა... არავის უთქვამს? არსად წაგიკითხავთ?

– ვკითხულობდი, მაგრამ არ მჯეროდა. რომში მონებს ეძახდნენ მოლაპარაკე ინსტრუმენტებს. მათ ლაპარაკის უფლება ჰქონდათ მხოლოდ. ჩვენ, პატიმრებს, ეს უფლებაც წართმეული გვქონდა. მხოლოდ ჩურჩული შეგვეძლო. ნარდი კამერაში დაშვებული იყო, მაღაზიაშიც იყიდებოდა. შეეძლოთ მთელი კამერა გაეყვანათ და იმის გამო ეცემათ, რომ კამათელს გაგორების დროს თურმე ხმა ჰქონია. 11 თვე ვიყავი ასეთ პირობებში და ბოლოს საპატრიარქოს დახმარებით გამოვედი შეწყალებით.

– კალაძე არაფერში დაგხმარებიათ?

– დღეს მინდა ვთხოვო კახა კალაძეს, რომ დამეხმაროს სამართლიანობის აღდგენაში.

– აპირებთ იმ ხალხს უჩივლოთ, ვინც თქვენ ეს სცენარი დაგიდგათ?

– უკვე 6 თვეა, თანამდებობის ბოროტად გამოყენების ფაქტზე საქმის გამოძიება დაწყებულია და 6 საგამოძიებო მოქმედება არ არის ჩატარებული.

– თქვენ წარუდგინეთ პროკურატურას რამე მტკიცებულება?

– რა თქმა უნდა, წარვუდგინეთ გიკაშვილის გამოკითხვის ოქმი. დალაპარაკებული ვარ იმ ადამიანთან, რომელმაც უშუალოდ მიიყვანა ის პროკურატურაში, სადაც ინსტრუქციები მიიღო. სწორედ მისგან შევიტყვე, რომ გიკაშვილს მაიორობასა და იარაღის ტარებას შეჰპირდნენ.

– ქამუშაძეს რა დაინტერესება ჰქონდა?

– მასაც ექნებოდა რამე, მაგრამ ამას ახლა ვერ ვიძიებ, ზეწოლაში რომ არ ჩამითვალონ.

– იმას რით ადასტურებთ, რომ ყველაფერი ჩხატარაშვილის კაბინეტში იგეგმებოდა?

– სადაც გიკაშვილი მიიყვანეს, ის ადამიანი პირდაპირ ჩხატარაშვილის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა.

– თქვენ უჩივით იმ ადამიანს, რომელიც, როგორც ამბობენ, გია ხუხაშვილის მფარველობის ქვეშ არის. მიაღწევთ სამართლიანობას?

– მე ვგრძნობ ამ წინააღმდეგობას. არ ვიცი, ხუხაშვილს რაში სჭირდება ასეთი ადამიანი? ჩხატარაშვილი იყო დათა ახალაიას მოადგილე და როდესაც წყდებოდა საკითხი, ვინ ყოფილიყო ამ პოსტზე, სწორედ ამ ნიშნით შეარჩიეს ის, რათა კუდ-ს იქაც თავისი კაცი ჰყოლოდა. რეალურად პროცესებს პროკურატურაში ჩხატარაშვილი წყვეტდა და არა მურთაზ ზოდელავა. დღეს მე შურისძიება ნამდვილად არ მინდა, ყველასთვის ყველაფერი მიპატიება. ჩემი ერთადერთი მიზანი საკუთარი თავის რეაბილიტაცია და პროფესიული საქმიანობის გაგრძელებაა. არავის დაჭერას არ ვითხოვ. გიგი დალაქიშვილი, რომელიც უშუალოდ ჩადიოდა გიკაშვილთან და არიგებდა, როგორ მოქცეულიყო, დღეს ერთ-ერთ მაღალ თანამდებობაზეა, ბესო თხელიძე ისევ თანამდებობის პირია გენერალურ პროკურატურაში, ის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილეა.

– ამის მიუხედავად, მაინც დაიწყო საქმის გამოძიება?

– დაიწყო, მაგრამ საქმე წინ არ მიდის.

„როგორც კი საპყრობილის კარს გადავაბიჯე და კამერებში სისხლი დავინახე, მესმოდა წამების ხმა, გამიჩნდა საშინელი კომპლექსი, რომ მე ვემსახურებოდი ჯალათებს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დატოვებს თუ არა პოლიტიკას ბიძინა ივანი

ხათუნა მგალოშვილი



EXCLUSIVE

„თუ ივანიშვილმა არ აიძულა, საკუთარი ნება-სურვილით არავინ არ წავა ვადამდელ არჩევნებზე“

სოსო ცინცაძე: „სააკაშვილი თავად სააკაშვილმა დაამარცხა და არა სხვამ...“

როგორც „ქართული ოცნების“ კულისებში ამბობენ, ბიძინა ივანიშვილი არც საინფორმაციოებს უყურებს და არც გაზეთებს კითხულობს. მისთვის პოლიტიკური კარიერა ჯერ კიდევ ტვირთად ითვლება და სწორედ ამიტომ მისი გუნდი უფრო და უფრო ხშირად საუბრობს „ოცნების“ ლიდერის პოლიტიკიდან წასვლაზე. აქტიურ პროცესებში მაქსიმუმ ორი წლით ჩართულ ბიზნესმენს დათქმული ვადა ოქტომბერში ეწურება. არ არის გამორიცხული, ეს ერთადერთი პირობა შეასრულოს და ზუსტად ორ თვეში ისევ ძველ ცხოვრებას დაუბრუნდეს.

ლოგიკურად ყველაფერი ამისკენ მიდის. საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელიც მზადებისა და განხილვის პროცესშია, ოქტომბერში ამოქმედდება. ცვლილებებიდან ერთ-ერთი პუნქტის თანახმად, მოქმედ პრემიერს პრემიერობა აეკრძალება, თუკი წლის ბოლომდე საქართველოს მოქალაქეობას არ მიიღებს. ამ მიმართულებით კი პრემიერი ჯერ ნაბიჯსაც არ დგამს. თუმცა შეთავაზება სააკაშვილმა ღიად დააფიქსირა. პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ყველა მსურველის მისამართით გაავრცელა განცხადება, რომ მიმართონ შესაბამის უწყებებს და უპრობლემოდ მიიღებენ საქართველოს მოქალაქეობას. ამბობენ, რომ ივანიშვილი მარგველაშვილის გაპრეზიდენტებას ელოდება და სწორედ მისგან მიიღებს საქართველოს მოქალაქეობას, თუმცა ესეც ვარაუდია... ამასობაში ვადა მცირდება და ხალხშიც კითხვის ნიშნები მრავლდება – დატოვებს თუ არა ვადაზე ადრე ივანიშვილი პრემიერის პოსტს და თუ დატოვებს, ვინ იქნება მისი შემცვლელი...

ექსპერტები სხვადასხვა ვერსიებს განიხილავენ. თავად უმრავლესობა ყველანაირ რადიკალურ ცვლილებას გამორიცხავს და ირწმუნებიან, კონსტიტუციით გათვლილ ვადებში ვიმოქმედებთო, თუმცა პრემიერის წასვლა-დარჩენით მხოლოდ ერთი კონკრეტული პიროვნების კარიერის ბედი არ წყდება. ივანიშვილის ირგვლივ გაერთიანებული კოალიცია დაშლის საფრთხის წინაშე დგას. ერთადერთი საკითხი, რომელზეც ყველა ერთხმად თანხმდება, ეს კოალიციის დაუყოვნებლივ დაშლაა. თუ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკას დატოვებს, ავტომატურად წარსულში გადაინაცვლებს კოალიციის არსებობაც. ამის გარანტიას ყველაზე მეტად ამ საქმეში გამოცდილი ირაკლი ალასანია იძლევა, შემდეგ რესპუბლიკელები, რომლებსაც პირველობაზე დაუფიქრებლად გაუჩნდებათ პრეტენზია...

სოსო ცინცაძე, ექსპერტი:

– ერთი წლის წინათ განცხადება გავაკეთე, რომ ივანიშვილი არ არის პოლიტიკოსად დაბადებული. მაშინ ჩემს შეფასებას თავად ივანიშვილის რეაქციაც მოჰყვა – მან კომენტარიც გააკეთა. ვინ იყო მართალი, ახლა გამოჩნდა, როდესაც თავად ალაპარაკდა პოლიტიკიდან წასვლაზე. ის, რომ ივანიშვილი პოლიტიკოსად არ იყო დაბადებული, შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს. პოლიტიკაში სულ სხვა კანონები რომ მოქმედებს, ვიდრე ბიზნესში, ამის აღმოჩენა სულაც არ იმსახურებს ნობელის პრემიას. კი ბატონო, მოვიდა და დაამარცხა სააკაშვილი. გავა დრო და შემდეგი თაობის მკვლევარები დაადასტურებენ, რომ სააკაშვილი თავად სააკაშვილმა დაამარცხა და არა სხვამ. მან ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ პირველივე ნორმალური არჩევნები წაეგო.

– შემცირებულია კოალიციის რეიტინგიც. ფიქრობთ, რომ ამაზე გავლენა მოახდინა ივანიშვილის გადაწყვეტილებამ, წავიდეს პოლიტიკიდან?

– ოქტომბრიდან მოყოლებული, ივანიშვილის რეიტინგი მცოცავად, მაგრამ მაინც იკლებს. ეს, წესით, ივანიშვილისთვის უცხო არ უნდა ყოფილიყო. მაგრამ, როგორც ჩანს, ივანიშვილზე რეიტინგის კლებამ სხვაგვარად იმოქმედა. როდესაც პოლიტიკაში მოდის ლიდერი თანამებრძოლთა გუნდით და არა თანამოაზრეთა გუნდით და მხოლოდ პოლიტიკური თანამგზავრები ჰყავს, რომლებსაც საშუალება ეძლევათ, მარგინალობიდან ხელისუფლებაში მოხვდნენ, სიტუაციის ასე განვითარება ბუნებრივია. „რესპუბლიკური პარტიის“ რეიტინგი, მიუხედავად იმისა, რომ მას ოცდაათწლიანი ისტორია აქვს და დამსახურებულად უწოდებენ ლიდერების პარტიას, ძალიან დაბალია. შეიძლება ცოტათი ახლა გაიზარდა, მაგრამ ეს არავინ იცის. დღეს ყველა მათგანს ბიძინა ივანიშვილის რეიტინგი კვებავს. მათი ცალკეული ძალის გაზომვა მოხდება მაშინ, როცა ისინი ცალ-ცალკე წავლენ.

– ეს, ალბათ, მაშინვე მოხდება, როგორც კი ივანიშვილი პოლიტიკიდან წავა...

– არა მგონია, დაუყოვნებლივ მოხდეს, რადგან ეს არც ერთ მათგანს არ აწყობს. ვფიქრობ, კოალიცია ცალ-ცალკე ფრაქციებად დარჩება პარლამენტში, ან შესაძლოა, ფორმალურად დარჩეს ერთიანი კოალიცია და რეალურად არაფერი ჰქონდეთ საერთო. თუმცა, პირველ რიგში, მათ ინტერესში შედის, რომ საპარლამენტო ვადა ბოლომდე დაასრულონ. მოემზადონ მამა-მარჩენალის გარეშე არჩევნებში მონაწილეობისთვის. აქაც ივანიშვილზეა ყველაფერი დამოკიდებული. თუ ივანიშვილმა არ აიძულა, საკუთარი ნება-სურვილით არავინ წავა ვადამდელ არჩევნებზე.

– ფიქრობთ, რომ ივანიშვილი კოალიციას გააძლიერებს და მერე წავა?

– ივანიშვილის წასვლას არაფერი კარგი არ მოჰყვება. სიტუაცია ისევ აირევა, მთავარი პრობლემა არასტაბილურობა იქნება. ივანიშვილმა რაც წამოიწყო, ჯერ არც ერთი პროექტი ბოლომდე მისული არ არის. მას შეუძლია, თქვას, რომ მისი მთავარი მიზანი – სააკაშვილის დამარცხება – შესრულებულია, მაგრამ წინასაარჩევნო დაპირებები ყველას კარგად ახსოვს. ის ჰპირდებოდა ხალხს კარგ ცხოვრებას, სად არის ეს კარგი ცხოვრება? ხელისუფლება შეეცადა, ამომრჩევლისთვის სამართლიანობის აღდგენის პროცესის დაწყება შეეჩჩენინა, მაგრამ ეს, რბილად რომ ვთქვათ, არასწორი ფორმულირებაა. როგორც კვლევები გვიჩვენებს, მოსახლეობისთვის პრიორიტეტი სულაც არ არის სამართლიანობის აღდგენის პროცესი. თანაც თავად ცნება – სამართლიანობის აღდგენა უფრო ფილოსოფიური ცნებაა, პოლიტიკაში ამას შურისძიება ჰქვია. მარგველაშვილმა, რომელსაც ფილოსოფიური განათლება აქვს, მგონი, ეს კი უნდა იცოდეს. დღეს მის საყვარელ სიტყვად იქცა ლაღი არჩევნები – რასაკვირველია, მარგველაშვილისთვის არჩევნები ლაღი იქნება, რადგან ის ივანიშვილის ჩრდილში დგას. მზის მხურვალების ატანა მხოლოდ ივანიშვილს მოუწევს მთელი თავისი სიცხელით. სხვათა შორის, ეს სილაღე დაუმსახურებელია. მე ვერ ვხედავ ერთ თვისებასაც კი, რომ ვთქვა, მარგველაშვილი არის ქართველი ხალხის პრეზიდენტობის კანდიდატი. მიუხედავად იმისა, რომ ის ზოგიერთი ტელევიზიით ყოველდღე ერთი საათი ჩნდებოდა, პოპულარული მაინც ვერ გახდა. მარგველაშვილი პოპულარული მხოლოდ ერთი ადამიანისთვის გახდა და ეს ადამიანი ივანიშვილია.

– როგორი იქნება კოალიცია ივანიშვილის გარეშე?

– დაშლილ კოალიციაში ყველაზე კოშმარულ სიზმარშიც კი არ სურს კოალიციის არც ერთ წევრს, თავისი თავი ივანიშვილთან დაპირისპირებაში ნახოს. ისინი კოალიციაში იქნებიან თუ ცალკე, მაინც ივანიშვილისტები იქნებიან. იქიდან ოპოზიცია არ გამოვა, კოალიციის წევრები ერთმანეთს ჩაუდგებიან ოპოზიციაში, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ივანიშვილს. ეს მათთვის პოლიტიკური სიკვდილი იქნება. ამიტომ ჩვენ რა პასიანსი გველის, არ ვიცით.

– როგორ ფიქრობთ, ივანიშვილს წარმოდგენილი აქვს, როგორ დალაგდება მოვლენები, როცა ის პოლიტიკიდან წავა?

– რასაკვირველია, წარმოდგენილი აქვს. მაგრამ ისე არ იქნება ყველაფერი, როგორც ივანიშვილი ფიქრობს. როგორც კი ის პოლიტიკიდან წავა, კოალიციის ყველა ლიდერი ჩათვლის, რომ პირველობა მას დამსახურებულად ეკუთვნის, არავითარ შემთხვევაში ორი პარტია არ ჩათვლის, რომ ერთნაირი დამსახურება აქვთ.

– ანუ დაპირისპირება გარდაუვალია?

– კოალიციაში, რასაკვირველია, იქნება დაპირისპირება. თუმცა ჯანსაღი დაპირისპირება ხელისუფლებაში აუცილებელიც არის და კარგიც, მაგრამ ჩვენთან დაპირისპირება მახინჯ ფორმებს იღებს ხოლმე, ხშირად შურისძიების სახესაც. ამიტომ ივანიშვილის ვადაზე ადრე წასვლა არ იქნება გამართლებული ნაბიჯი. გარდა პოლიტიკური შეცდომისა, ივანიშვილის გადადგომას უფრო სხვა კვალიფიკაცია შეიძლება მიეცეს ამ ყველაფრის გათვალისწინებით და ვფიქრობ, მიეცემა კიდეც. მე ერთი რამ ზუსტად ვიცი, დიდი ხალისით არავინ წავა ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე, რადგან კოალიციის წევრებს, უმრავლესობას მოსახლეობასთან თავის მოსაწონებელი არაფერი გაუკეთებია, სატრაბახო არაფერი აქვთ. რაზე უნდა ესაუბრონ მოსახლეობას? სოფლის მეურნეობის პროექტებზე, თუ გაზრდილ პენსიებზე? იცით, რა ხდება ვაუჩერების საკითხში? ჩვენ ეს ეტაპიც გავიარეთ, სააკაშვილი ვაუჩერებსაც არიგებდა და მეტიც, საწვავსაც კი, მაგრამ ეფექტი ნული იყო. თუ ივანიშვილს რაიმე პროექტი აქვს, მის განსახორციელებლად ძალიან ცოტა დრო დარჩა. გარდა ამისა, ძალიან ბევრია დამოკიდებული სასამართლო ვერდიქტები იგივე ახალაიას, მერაბიშვილის, მერიის თანამშრომლების პროცესებზე. ამ ყველაფერზეა დამოკიდებული ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკა.

– როგორ ფიქრობთ, ვინ იქნება ადამიანი, რომელსაც ივანიშვილი დატოვებს?

– იმას, ვისაც ენდობა. ბოლო დღეებში პრივატული საუბარი მქონდა მმართველი გუნდის წევრებთან და როდესაც გულახდილად დავსვი კითხვა, რატომ აირჩია მარგველაშვილი, ასევე გულახდილად მიპასუხეს, რომ ის პრობლემებს არ შეუქმნის. ეს უკვე შეცდომაა, ახალი ხელისუფლება ძველი ხელისუფლების შეცდომებს იმეორებს. მე მახსოვს, როდესაც სააკაშვილმა ნოღაიდელი დანიშნა პრემიერად ჟვანიას სიკვდილის შემდეგ, მაშინ სააკაშვილმა სწორედ

„მე უკმაყოფილო ვარ, რომ ივანიშვილმა მიიღო გადაწყვეტილება, ასე მალე წავიდეს პოლიტიკიდან“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„მარგველაშვილი პოპულარული მხოლოდ ერთი ადამიანისთვის გახდა და ეს ადამიანი ივანიშვილია“

„კოალიცია აუცილებლად დაიშლება და დაპირისპირებაც იქნება“

იგივე არგუმენტი მოიყვანა: ნოღაიდელი გადასახადებს აკრეფს, ბიუჯეტს შეავსებს და პოლიტიკურ პრობლემებს არ შეექმნისო. არ შეუქმნა?

– ანუ თქვენ ამბობთ, რომ მარგველაშვილიც შექმნის პრობლემებს?

– არა, ამით იმის თქმა მინდა, რომ არჩევანის გაკეთების პრინციპია მცდარი. არ ვფიქრობ, რომ მარგველაშვილს პოლიტიკური ამბიცია, ან თუ გნებავთ, სიჯიუტე აქვს. მარგველაშვილი უფრო რბილი და უინიციატივოა.

– ასეთივეს აარჩევს თავის შემცვლელადაც?

– სავარაუდოდ, პრემიერადაც აარჩევს ისეთ ადამიანს, რომელიც პრობლემებს არ შეუქმნის. აქაც შემიძლია, ალასანიას მაგალითი მოვიყვანო, რომელიც ამბიციის დაფიქსირებისთანავე დასაჯეს. ირაკლი ალასანიას მხრიდან საკუთარი სურვილის დაფიქსირება იყო პატარა კეკლუცობა, მაგრამ რა მკაცრად დაისაჯა? დემონსტრაციულად დასაჯა ივანიშვილმა. თანაც მისთვის ჩამორთმეულ თანამდებობაზე დანიშნა ადამიანი, რომელსაც პოლიტიკური გამოცდილება არასოდეს ექნება ალასანიას მემილიონედიც კი.

– ამბობენ, რომ ისე დაიღალა, არც საინფორმაციოებს უყურებს და არც გაზეთებს კითხულობსო...

– ადამიანი, რომელიც 8 თვეში იღლება პოლიტიკისგან... მაშინ რა უნდა თქვას იმ პოლიტიკოსმა, რომელიც 10 და 20 წელია პოლიტიკაში? მე უკმაყოფილო ვარ, რომ ივანიშვილმა მიიღო გადაწყვეტილება, ასე მალე წავიდეს პოლიტიკიდან, თუმცა, მეორე მხრივ, კმაყოფილი ვარ, რომ ჩემი პატივმოყვარეობა დააკმაყოფილა და თავად აღიარა, რომ სწორი ვიყავი, როცა ეჭვი შევიტანე მის პოლიტიკოსობაში.

კახი კახიშვილი, ექსპერტი:

– დღეს კოალიციის შემაკავებელი ფაქტორი არის ბიძინა ივანიშვილი და მიუხედავად ამისა, მაინც არის მცდელობები დაპირისპირების, მცდელობა, რომ მეტი ბერკეტი ჩაიგდონ ხელში. თქვენ წარმოიდგინეთ ივანიშვილი რომ წავიდეს, რა მოქმედებებს ექნება ადგილი საქართველოს პარლამენტში, ვინ ვისთან შეიკვრება და თან რა მიზნებით, ამის პროგნოზირება ძალიან რთულია. მეტიც, მოსახლეობამ 2012 წლის პირველ ოქტომბერს სწორედ ივანიშვილს მისცა ხმა და არა კოალიციას. სწორედ ამიტომ არის სამართლიანი იმის თქმა, რომ დღევანდელი პარლამენტი არ ასახავს საზოგადოების ინტერესს. როდესაც ხალხი გირჩევს ოთხი წლით, სწორედ ოთხ წელზე ხარ პასუხისმგებელი. ივანიშვილმა ზუსტად იცის, როგორ აირევა სიტუაცია, თავად რომ არ იყოს და ისიც იცის, რომ ირიბად სწორედ მას მოსთხოვენ ამაზე პასუხს.

– თქვენი საუბრიდან გამომდინარე, კოალიციაში დაპირისპირება გარდაუვალია?

– კოალიცია აუცილებლად დაიშლება და დაპირისპირებაც იქნება.

– ამ შემთხვევაში, ალბათ, ვადამდელი არჩევნებიც გარდაუვალი იქნება...

– ვადამდელი არჩევნები ნებისმიერ შემთხვევაში დაინიშნება, ბიძინა ივანიშვილი წავა პოლიტიკიდან თუ არ წავა, მაინც. ჩემი პროგნოზებით ერთი წლიდან ორ წლამდე. პარლამენტი რეალურად მაინც არ მუშაობს ისე, როგორც უნდა მუშაობდეს. ასე დიდხანს ვერ გაგრძელდება. მოსახლეობისთვის და ქვეყნის განვითარებისთვის არ არის ეს პარლამენტი მომგებიანი. მე ვფიქრობ, საპარლამენტო უმრავლესობას ბევრად ჯანსაღი ძალები უნდა უწევდნენ ოპონირებას, რომ ბევრი კარგი სასიკეთო საქმე გაკეთდეს.

– ვინ იქნება მმართველი ძალა ივანიშვილის წასვლის შემდეგ?

– პარლამენტში ასეთი ძალა, ბუნებრივია, რესპუბლიკელები იქნებიან. აღმასრულებელ ხელისუფლებაში ვინ იქნება მმართველი, ეს დამოკიდებულია იმაზე, ვინ დარჩება ივანიშვილის მაგივრად. არა მგონია, ეს ღარიბაშვილი იყოს, რადგან ის ძალიან მნიშვნელოვანი სამინისტროს ხელმძღვანელია. სჯობს იყოს ძლიერი შინაგან საქმეთა მინისტრი, ვიდრე სუსტი პრემიერი, რადგან ივანიშვილის მსგავსი ძლიერი პრემიერი ვერავინ იქნება. სიძლიერეში ვგულისხმობ მის ავტორიტეტს. ივანიშვილის მსგავსად, მთელი კოალიციისთვის ავტორიტეტი ვერავინ ვერ გახდება, ამიტომ ღარიბაშვილს, სავარაუდოდ, დატოვებენ იქ, სადაც არის, წინააღმდეგ შემთხვევაში მასზე დაიწყება დარტყმები. ამ დარტყმებს ახლა მხოლოდ იმიტომ ვერ უბედავენ, რომ მას ივანიშვილი იცავს. ამის პარალელურად დაიკარგება კონტროლი სამინისტროზე. თავის დროზე, სხვათა შორის, ვანო მერაბიშვილმაც ვერ გაქაჩა ძლიერი პრემიერობა და პარალელურად კონტროლიც დაკარგა სამინისტროზე, როდესაც ახალაია დაუპირისპირდა. ამიტომ ეს შეცდომა არ უნდა გამეორდეს.

– ვინ შეიძლება მაშინ შემცვლელად დასახელდეს?

– არ ვიცი, ის პიროვნება, ვისი ნდობაც ივანიშვილს ექნება.

– თქვენ თქვით, რომ ივანიშვილის წასვლის შემთხვევაში პარლამენტში სერიოზული გადაჯგუფებები დაიწყება, შეგიძლიათ, უფრო დეტალურად გვითხრათ?

– თქვენ ხედავთ, რომ უმრავლესობის მხრიდან კეთდება განცხადებები, რომ ყველა ნაციონალი არ არის დაკავშირებული და ასოცირებული ძალადობასთან. „ოცნებაში“ არიან პოლიტიკოსები, რომლებიც ერთმანეთს მხოლოდ ივანიშვილის გამო იტანენ. თუ ივანიშვილი წავა, ბუნებრივია, ეს ადამიანები, რომლებსაც ბევრად კარგი ურთიერთობები აქვთ ნაციონალების ზოგიერთ წევრთან, მათთან დაიჭერენ საქმეს. ბუნებრივია, ეს გამოიწვევს გადაჯგუფებებსა და გადათამაშებებს. ეს რამდენად კარგი იქნება პროცესებისთვის, კონკრეტული შეფასების გაკეთება ძნელია, თუმცა პასუხისმგებლობა ამაზეც ივანიშვილს დაეკისრება. თუ პრემიერ-მინისტრს ნამდვილად აღარ შეუძლია პოლიტიკაში ყოფნა, მაშინ მან უნდა უზრუნველყოს ახალი კარგი საარჩევნო კოდექსის მიღება, მისი მთავრობაში ყოფნის პერიოდში უზრუნველყოფილი უნდა იყოს კარგი არჩევნების ჩატარება, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს ვგულისხმობ და მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია წავიდეს პოლიტიკიდან.

„ღარიბაშვილს, სავარაუდოდ, დატოვებენ იქ, სადაც არის, წინააღმდეგ შემთხვევაში მასზე დაიწყება დარტყმები“



კახი კახიშვილი: „ივანიშვილმა ჯერ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარება უნდა უზრუნველყოს და მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია, პოლიტიკიდან წავიდეს“

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

„ყაზტრანსგაზ-თბილისი“ გაფრთხილებთ

KazTransGas TBILISI

- **გაუმართავი გაზის ხელსაწყოებისა და არასტანდარტული საკვამლე და სავენტილაციო არხების ხმარებისას შესაძლებელია სათავსში მხუთავი აირის – CO-ს გამოყოფა, რომელიც უფერო, უსუნო, უგემო და ძლიერ მომწამლავია. გარემოში CO-ს 0.5%-ს დაგროვება 20-30 წუთში ახდენს ადამიანზე სასიკვდილო ზემოქმედებას, ხოლო 1% შესუნთქვისას 1-2 წუთში იწვევს სიკვდილს.**
- **უსაფრთხოების პირობების დაუცველობა დიდ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ გაზის დანადგარების მომხმარებელს, ასევე მისი მეზობლების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.**

ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ შეგახსენებთ:

- **ნუ მიანდობთ გაზის დანადგარების სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებას პირს, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია;**
- **სათავსი, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, უზრუნველყოფილი უნდა იქნას ვენტილაციით; გაზის ხელსაწყოებით სარგებლობის დროს ხშირად გაანიავეთ სათავსი;**
- **გამათბობლის ან წყალგამაცხელებლის ჩართვამდე შეამოწმეთ კვამლსადენში წევა;**
- **შენობაში გაზის სუნის შემჩნევისას შეწყვიტეთ გაზის მოხმარება, გადაკეტეთ გაზის ონკანები, გამოაღეთ კარ-ფანჯრები, გაანიავეთ სათავსი. არ იხმაროთ ღია ცეცხლი, ელექტროხელსაწყოები და არ ჩართოთ ან არ გამორთოთ შუქი.**

დარეკეთ 114-ზე!

- **გაზის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში აბონენტი ვალდებულია, შეამოწმოს, გადაკეტილია თუ არა ონკანები: გაზის მრიცხველთან, გაზქურასთან, წყალგამაცხელებელთან და გამათბობელ ხელსაწყოებთან;**
- **ნება მიეცით გაზის მეურნეობის მუშაკს, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიერ გაცემული სამსახურებრივი მოწმობის წარმოდგენის შემდეგ, შემოვიდეს თქვენს ბინაში მრიცხველიდან ანათვლების აღების, გაზგაყვანილობების, გაზის ხელსაწყოების დათვალიერებისა და ტექნიკური მომსახურების ჩასატარებლად.**

კატეგორიულად აკრძალულია!

- **საცხოვრებელ სახლებში, სკოლებში, ბაგა-ბაღებში, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებში გაზზე მომუშავე ყველა სახეობის გამათბობელი და წყალგამაცხელებელი მოწყობილობების მონტაჟი და ექსპლუატაცია, რომელთა გამოყენებისას წვისთვის საჭირო ჰაერი აიღება სათავსიდან და წვის პროდუქტების გაწოვა არ ხდება კვამლსადენების მეშვეობით (ვინაიდან წვის პროდუქტები სათავსშივე რჩება);**
- **სავენტილაციო არხების საკვამლე არხებად გამოყენება;**
- **არასტანდარტული და თვითნაკეთი გაზის ხელსაწყოებისა და სანთურების გამოყენება;**
- **გაზის ხელსაწყოებისა და გაზგაყვანილობის თვითნებური მონტაჟი, გადაადგილება, შეერთება, გაზგაყვანილობის შეცვლა, მისი გაჯის, ცემენტის ხსნარის, შპალერის, ხის პანელის, კარადების ქვეშ მოქცევა, სავენტილაციო ცხაურის დაფარვა (დაგმანვა);**
- **დასასვენებლად და დასაძინებლად იმ სათავსების გამოყენება, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, გარდა სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებული გამათბობელი ღუმელისა;**
- **გაზის ხელსაწყოების ჩამკეტი მოწყობილობების, საკვამლე-სავენტილაციო არხების არარსებობის შემთხვევაში ბუნებრივი გაზის გამოყენება;**
- **ანთებული გაზის ხელსაწყოების უმეთვალყურეოდ დატოვება;**
- **გაზსადენიდან ან გაზის ხელსაწყოებიდან გაზის გაჟონვის დადგენის მიზნით ღია ცეცხლის გამოყენება.**

გახსოვდეთ, რომ:

- **პასუხისმგებლობა საცხოვრებელ სახლებში გაზის საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების ექსპლუატაციაზე ეკისრებათ მომხმარებლებს.**

პატივცემულო მომხმარებლებო!

გთხოვთ, დაიცვათ გაზის უსაფრთხოდ სარგებლობის წესების მოთხოვნები.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCLUSIVE

ნანა კაკაბაძე: „პრეზიდენტობის კანდიდატმა პირობა უნდა დადოს, რომ აუცილებლად ჩაატარებს ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს“

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

უფლებადამცველები ახალ-ახალ შეთავაზებებს ხელისუფლების მისამართით ყოველდღიურად აკეთებენ. ამ მხრივ, განსაკუთრებით ნანა კაკაბაძე აქტიურობს. ის ივანიშვილს მოწყენის საშუალებას არ აძლევს. თუმცა ბოლო მოთხოვნა კოალიციაში მხოლოდ გიორგი მარგველაშვილს ეხება. ყველამ ვიცით, რომ ივანიშვილი არ ეთანხმება ვადამდელი არჩევნების იდეას. არაერთხელ განაცხადა, რომ არჩეულმა პარლამენტმა თავისი ვადა ბოლომდე უნდა ჩაამთავროს. მით უფრო, არ აწყობთ არჩევნები პარლამენტში შესულ ცალკეულ ძალებს. საზოგადოების ნაწილი კი ირწმუნება, რომ დღევანდელი პარლამენტი არ ასახავს საზოგადოების ინტერესებს და სწორედ ამ მიზეზით მოითხოვენ ახალი პარლამენტის შერჩევას.

ნანა კაკაბაძე პოლიტპატიმრების სახელით საუბრობს და ამბობს, რომ მთელი წინასაარჩევნო პერიოდი კონკრეტული კანდიდატის წინააღმდეგ იმუშავებს, თუ არ იქნება პირობა ვადამდელი არჩევნების ჩატარების. ერთადერთი, ვინც ჯერჯერობით ღიად აფიქსირებს საკუთარ პოზიციას, ეს ნინო ბურჯანაძეა. კაკაბაძეც და პოლიტპატიმრებიც ბურჯანაძეს მხარს უჭერენ. იგივეს ითხოვენ მარგველაშვილისგან. კითხვა დასმულია და რატომღაც ფიქრობენ, რომ მარგველაშვილი პრემიერისგან განსხვავებულ პოზიციას დააფიქსირებს. არადა არ არის გამორიცხული, მარგველაშვილმა კაკაბაძის კითხვა, უბრალოდ, „გაატაროს“...

ნანა კაკაბაძე, უფლებადამცველი:

– არ არის ცნობილი გიორგი მარგველაშვილის პოზიცია. „ქართული ოცნება“ სხვა არის და მათი პრეზიდენტობის კანდიდატის პოზიცია – სხვა.

– თქვენ ფიქრობთ, რომ მარგველაშვილის პოზიცია განსხვავებული იქნება?

– მე ვფიქრობ, რომ „ქართულ ოცნებაში“ არიან ძალები და პოლიტიკური ინდივიდები, რომლებიც ნამდვილი არჩევნების შემთხვევაში პარლამენტში ვერ მოხვდებიან. ბუნებრივია, რომ ასეთ ძალებს არ აქვთ სურვილი, ჩატარდეს ვადამდელი არჩევნები. ჩვენ გვაინტერესებს უშუალოდ პრეზიდენტობის კანდიდატისგან: როგორ ფიქრობს, ქვეყანაში თავისი გუნდის, თავისი პოლიტიკური ჯგუფის მერკანტილური დაკვეთა უნდა გაატაროს, თუ ქართველი ხალხის? ნებისმიერ პოლიტიკურ ლიდერს, რომელიც ვერ იტყვის, რომ საჭიროა ვადამდელი არჩევნების ჩატარება, მხარს არ დავუჭერთ და ხალხსაც მოვუწოდებთ, რომ მხარი არ დაუჭირონ.

– ცნობილია, რომ „ოცნება“ მხარს არ უჭერს, სამაგიეროდ ცნობილია, რომ ბურჯანაძე ითხოვს ვადამდელ არჩევნებს...

– ნინო ბურჯანაძის მხარდამჭერები ვართ არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის ვადამდელ არჩევნებს უჭერს მხარს. ჩვენ დღეს გვჭირდება დამოუკიდებელი პარლამენტი. ჩვენ არ გვჭირდება არც ნაციონალების გაყალბებული პარლამენტი და არც მხოლოდ ივანიშვილის გამო მიცემული ხმებით შექმნილი. ჩვენ გვჭირდება ქართველი ხალხის მიერ არჩეული პარლამენტი, რომელსაც დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ვერ ვეღირსეთ. ეს არჩევანი უფრო და უფრო უარესობისკენ მიდის. მოხდა გაყალბების დახვეწა, უბრალოდ ფორმები დაიხვეწა. ჩვენ გვინდა, რომ პარლამენტში ერთხელ და სამუდამოდ აირჩეს ისეთი პოლიტიკური ძალა, რომელიც დამოუკიდებელი იქნება. ამიტომ ახლავე უნდა დადოს პრეზიდენტობის კანდიდატმა ამაზე პირობა და სიტყვა, რომ აუცილებლად ჩაატარებს ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს. შემდეგ, როგორც კი მოვა ის ხელისუფლებაში ჩვენ მოვთხოვთ დაპირების შესრულებას, შევახსენებთ, თქვენ ხომ დადეთ პირობა...

– თუმცა სიტყვის უკან წაღებაც შესაძლებელი იქნება...

– თუ უკან წაიღებს საკუთარ სიტყვებს, მაშინ ხალხიც უკან წაიღებს საკუთარ ხმებს. კონსტიტუციაში პირდაპირ წერია, რომ ძალაუფლება ხორციელდება ან რეფერენდუმის გზით, ან არჩეული პარლამენტის საშუალებით, ან სხვაგვარი ფორმით. ეს სხვაგვარი ფორმა როგორია, კონსტიტუციაში არ არის დაკონკრეტებული. ჩვენ ყველანაირ ფორმას გამოვიყენებთ, რომ ამ ქვეყანაში იყოს დემოკრატია.

„ჩვენ არ გვჭირდება არც ნაციონალების გაყალბებული პარლამენტი და არც მხოლოდ ივანიშვილის გამო მიცემული ხმებით შექმნილი“

– თქვენ განაცხადეთ, რომ მოსახლეობას მოუწოდებთ, არ დაუჭირონ მხარი იმ კანდიდატს, რომელიც, თავის მხრივ, არ დადებს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების პირობას...

„ვინ იქნება პრეზიდენტი, დღეს მნიშვნელოვანი არ არის, იმდენად, რამდენადაც მნიშვნელოვანია მისი პირობა ვადამდელ არჩევნებთან დაკავშირებით“

– კი, მოვუწოდებთ და ამას გავაკეთებთ. ჩვენ ყველას მოვუწოდებთ, რომ მხარი არ დაუჭირონ ისეთ კანდიდატს, რომელიც ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე დღიდან არ დაიწყებს ბრძოლას დამოუკიდებელი პარლამენტის შესაქმნელად.

– ანუ კონკრეტული კანდიდატის საწინააღმდეგოდ იმოქმედებთ?

– არა, ეს არ იქნება კანდიდატის საწინააღმდეგო კამპანია. ჩვენ გვინდა, რომ პრეზიდენტი იყოს დამოუკიდებელი პიროვნება, ასევე გვინდა, რომ პარლამენტიც დამოუკიდებელი იყოს. როგორი პრეზიდენტიც არ უნდა იყოს, უფრო მნიშვნელოვანი პარლამენტის დამოუკიდებლობაა. თუ პარლამენტი დარჩება ისეთი, როგორიც დღეს არის, ის ნებისმიერი პრეზიდენტის დაკვეთებსაც შეასრულებს, კონსტიტუციაშიც შეიტანს ცვლილებებს. ის არ იქნება დამოუკიდებელი.

– ცნობილია, რომ „ოცნება“ მხარს არ უჭერს ვადამდელ არჩევნებს, ანუ თქვენ მოსახლეობას მოუწოდებთ, რომ მხარი არ დაუჭირონ მის კანდიდატს. არ ფიქრობთ, რომ მარგველაშვილი მის საწინააღმდეგო კამპანიის გატარებაში დაგდებთ ბრალს?

– რაშიც უნდათ, იმაში დამდონ ბრალი. მე ამ ადამიანს დავადანაშაულებ იმაში, რომ ისინი არ გამოხატავენ ქართველი ხალხის ნებას. წარმოიდგინეთ, დღეს „ქართულ ოცნებას“ პარლამენტში ჰყავს 86 დეპუტატი. ანუ 86 კაცს დღეს შეუძლია, მოახდინოს პარლამენტის პარალიზება და ვადამდელ არჩევნებამდე მისვლა. თუ 86 კაცს აქვს ამის უფლება, როგორ ფიქრობთ, 200 ათასს ადამიანს არ აქვს ამის უფლება? გამოდის, რომ 86 კაცი, რაც მოუნდება, იმას გააკეთებს, ხოლო ვინც ამ 86 კაცს მისცა ძალაუფლება, ამომრჩეველს ვგულისხმობ, იმას არ აქვს არაფრის უფლება? ვინ იქნება პრეზიდენტი, დღეს მნიშვნელოვანი არ არის, იმდენად, რამდენადაც მნიშვნელოვანია მისი პირობა ვადამდელ არჩევნებთან დაკავშირებით.

– თუ თქვენი კითხვის იგნორირებას მოახდენენ კანდიდატები?

– ხალხის იგნორირებას ვერ მოახდენენ. ეს არის ქართველი ხალხის სურვილი, ეს რომ იყოს ჩემი პირადი ახირება, მაშინ ამის იგნორირებას შეძლებდნენ, მაგრამ ხალხი რომ ქუჩაში გამოვა და მათი რიცხვი ასი ათასი რომ იქნება, ამის იგნორირებას ვერ შეძლებენ. მასე, შევარდნაძესაც არ უნდოდა წასვლა, მაგრამ მოუწია, როცა ხალხი ქუჩაში გამოვიდა... ასე მოხდება ახლაც.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„სტიაუას“ მწვრთნელი:

„თბილისის „დინამოს“ შესასწავლად საკმარისი დრო გვექნება“

19 ივლისს შვეიცარიის ქალაქ ნიონში გამართული ჩემპიონთა ლიგის 2013/13 წლების სეზონის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის კენჭისყრის შემდეგ ბუქარესტის „სტიაუას“ მთავარმა მწვრთნელმა ლაურენტიუ რეგეკამპმა კომენტარი გააკეთა.

„თბილისის „დინამო“ ძალიან ძლიერი გუნდია. ამ ზაფხულს მათი ამხანაგური მატჩი ვნახე დონეცკის „შახტიორთან“. მათ კარგი ფეხბურთელები ჰყავთ და ნებისმიერი გუნდისთვის შეუძლიათ პრობლემების შექმნა.

წინ, ორი რთული მატჩი გველის, მაგრამ ჯერ „ვარდარში“ უნდა ჩავატაროთ საპასუხო შეხვედრა. ძალიან ბევრი დრო გვექნება, რომ საქართველოს ჩემპიონის თამაში შევისწავლოთ“, - თქვა „სტიაუას“ თავკაცმა.

ვილანოვა ბარსელონას დატოვებს

გავრცელებული ინფორმაციით, ბარსელონას მწვრთნელი ტიტო ვილანოვა დატოვებს. ამ ამბავს კლუბის პრეზიდენტი სანდრო როსელი და სპორტული დირექტორი ანდონი სუბისარეტა საგანგებო პრესკონფერენციაზე გამოაცხადებენ.

ელ მუნდო დეპორტივოს ცნობით, ვილანოვას ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა და ხელახლა უნდა წავიდეს სამკურნალოდ ამერიკაში. ვარაუდობენ, რომ ახალ სეზონს „ბარსელონა“ ვილანოვას თანაშემწის ჟოან ფრანსესკ ფერერის ხელმძღვანელობით დაიწყებს, მოგვიანებით კი, კლუბი ახალ მწვრთნელს დანიშნავს.

„ბარსელონამ“ ფაბრეგასის ტრანსფერს ვეტო დაადო

პრესაში დიდი ხანი ვრცელდებოდა ხმები სესკ ფაბრეგასის კლუბის დატოვების შესახებ. ფეხბურთელის გადაბირების მთავარ პრეტენდენტად კი „მანჩესტერ იუნაიტედი“ ითვლებოდა. თავდაპირველად, რომ ფაბრეგასი „ბარსელონას“ არ დატოვებდა, განცხადება არსენ ვენგერმა გააკეთა. შეგახსენებთ, რომ ფაბრეგასს კონტრაქტში უწერია, რომ მისი გამოსყიდვის უპირველეს უფლებას ლონდონის „არსენალი“ ფლობს. ხოლო დღეს ოფიციალური განცხადება ესპანურმა მხარემაც გააკეთა. რაც შეეხება კატალონიური კლუბის განცხადებას, იქ წერია, რომ ფრანსესკ ფაბრეგასი მიმდინარე ზაფხულს „ბარსელონას“ არ დატოვებს. გავრცელებული ინფორმაცია საზოგადოებას კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ხოსეპ მარია ბართომეუმ გააცნო.

მომზადებულია სხვადასხვა სააგენტოებზე დაყრდნობით

ეკონომიკურ

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

უფასო სახელმძღვანელოები;
უფასო მშობიარობა;
უფასო ბაღები;
უფასოდ მიწების მოხვნა;

და ეკონომიკის ნულოვანი ზრდა, რომელიც უკვე დაფიქსირდა.

ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ მომავალ წელს სწორედ იმ ტერმინმა გაიუღეროს, რაც უკვე დიდი ხანია დაგვავიწყდა – სეკვესტრი. ფინანსთა მინისტრი აცხადებს, რომ სამინისტრო უკვე მუშაობს მომავალი წლის ბიუჯეტზე, თუმცა ძირითად პარამეტრებზე ჯერ არაფერს ამბობს. ექსპერტები კი თითქმის დარწმუნებულები არიან, რომ, თუ ასე გაგრძელდა, ეკონომიკური კრიზისი გარდაუვალია. მათი განმარტებით, კრიზისს იმდენად უფასო პროექტები არ ქმნის, რამდენადაც ცალკეული მინისტრების უსუსურობა – მათ აქვთ ბიუჯეტი, რომელსაც არ ხარჯავენ, ეს კი საკმაოდ ცუდის ნიშანია.

ვიცით, რომ სკოლებში უფასო სახელმძღვანელოების პროექტი ბიუჯეტს 12 მილიონი დაუჯდება, ასევე ვიცით, რომ პირველი ივლისიდან დაწყებული უფასო მშობიარობა მთავრობის სავარაუდო გამოთვლებით 37 მილიონამდე მიაღწევს და ამას ემატება თინათინ ხიდაშელის ინიციატივა უფასო ბაღებთან დაკავშირებით, რომელიც პარლამენტმა უკვე დაამტკიცა. ეს ყველაფერი მძიმე ეკონომიკური პერიოდისთვის საკმაოდ დიდი ტვირთია. თუმცა ხელისუფლება მასზე უარს არ ამბობს და ექსპერტები ამბობენ, რომ ეს სწორი პოლიტიკური გადაწყვეტილებაც არის, რადგან მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს ივანიშვილზე დიდი გათვლები ჰქონდათ. შესაბამისად, უარს ისინი, უბრალოდ, ვერ გაიგებენ. თუმცა პრობლემა სხვა რამეა – რის ხარჯზე უნდა აიღოს ათობით მილიონიანი ვალდებულება მთავრობამ, მაშინ როცა ეკონომიკა წინასაკრიზისო პერიოდშია.

წიგნების პროექტი მარგველაშვილის დიდი პლუსია. ეს მას, როგორც საპრეზიდენტო კანდიდატსაც წაადგება. სხვათა შორის, სწორედ ამას საყვედურობენ მისი ოპონენტებიც. განათლების უკვე ყოფილი მინისტრის განცხადებით, 12 მილიონი არც ისე ბევრია და მაგალითად წინა ხელისუფლება მოჰყავს.

გიორგი მარგველაშვილი:

– წინა ხელისუფლებას შეეძლო, უფასო სახელმძღვანელოების პროექტი განეხორციელებინა, თუმცა ამის სურვილი მათ არ ჰქონდათ. წინა ხელისუფლება 12 მილიონს ერთი შენობის მოპირკეთებისთვის ხარჯავდა... ჩვენი ვარაუდით, წიგნების ბაზარი 9 წლის განმავლობაში 50-80 მილიონ ლარს აღწევდა, რომელიც ქართული ოჯახების ჯიბეებიდან ამოდიოდა. წიგნი არ არის საბაზრო პროდუქტი, მშობელს არ ჰქონდა არჩევანის უფლება, მას უარი უნდა ეთქვა შვილის განათლებაზე ან „დაქსეროქსებული“ წიგნები მიეცა ბავშვისთვის.

ამავე 12 მილიონის ხარჯზე მარგველაშვილმა გამომცემლების გულის მოგებაც სცადა და პირობა დადო, რომ ისინი ღირსეულ ანაზღაურებას მიიღებენ, „გროშების“ ნაცვლად...

მარგველაშვილისთვის თუ წიგნების პროექტი იყო ღირსების ამბავი, ხიდაშელისთვის იგივე ღირსებას უფასო ბაღები წარმოადგენდა. დაპირება მან ჯერ კიდევ ოპოზიციაში ყოფნის დროს გააკეთა და შესაბამისად, მისი შესრულება ვალდებულებად ექცა... თუმცა აქ ერთი მთავარი შეცდომაა. საბავშვო ბაღები უფასო ხდება ყველასთვის: შეძლებულისთვისაც და გაჭირვებულისთვისაც. ოპონენტები სწორედ ამას უწუნებენ ხიდაშელის ინიციატივას.

ზურაბ ჯაფარიძე:

– სახელმწიფომ საბავშვო ბაღებში მხოლოდ გაჭირვებული ოჯახების ბავშვების სწავლა უნდა დააფინანსოს, ხოლო შეძლებულმა ოჯახებმა შვილების სწავლა თავად უზრუნველყონ. კანონპროექტის ამოქმედება სახელმწიფოს მხრიდან თანხების არაეფექტურ ხარჯვას გამოიწვევს.

როგორც ჩანს, ჯაფარიძე ერთ-ერთია, ვინც შეცდომებს ხედავს, მისგან განსხვავებით, პრემიერი დარწმუნებულია საკუთარი ეკონომიკური გადაწყვეტილებების სისწორეში და ამ ყველაფერს კიდევ 100 სანარმოს პროექტს უმატებს...

ბიძინა ივანიშვილი:

– ეკონომიკური პოლიტიკა და დაპირებები წარმატებით სრულდება იმ დროში, რა დროშიც იყო დაგეგმილი... წლის ბოლომდე 100-მდე საწარმოს დაფინანსება მოხდება.

ამასობაში ეკონომიკური ექსპერტები მთავრობასა და მის ეკონომიკურ გუნდს წითელს უნთებენ და გაფრთხილებებს აძლევენ, თუმცა ხელისუფლება ვერც წითელ ფერს ამჩნევს და არც კრიტიკას იღებს.

ექსპერტ დემურ გიორხელიძის განცხადებით, სექტემბრის ბოლოს რეალური სურათი დაიდება, რა მდგომარეობაშია ეკონომიკა... თუმცა, თუ მისი განვითარება ასე გაგრძელდა, შედეგად კრიზისს აუცილებლად მივიღებთ.

დემურ გიორხელიძე, ეკონომისტი:

– მე უკვე ხუთი თვეა, ვსაუბრობ, რომ ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკური აქტივობა ძალიან დაბალია, რადგან ეკონომიკური აქტივობის ათასობით მოსურნეს ჯერჯერობით არანაირი ხელშემწყობი ფაქტორი არ აქვს და ეს იანვრის ბოლოს კარგად გამოჩნდა. არანაირი ინსტიტუციონალური ცვლილება არ არის, არ ხორციელდება ეკონომიკის განვითარებისთვის ხელშემწყობი პროცესები. ეს ქმნის პრობლემებს, საქართველოში ფულის საშინელი დეფიციტია, არის მახინჯი საბანკო სისტემა და ბუნებრივია, ადამიანები ვერ ახერხებენ მუშაობას. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ჯერჯერობით არ გვაქვს ორი კვარტალის შედეგები, წითელი ნათურები მთავრობისთვის უკვე ანთებულია.

„მაჩვენეთ ჯადოსნური ჯოხი, რომელიც ახლანდელი, 2013 წლის ბოლოს მძიმე გადასახედიდან 2014 წელს მოგვცემს საუკეთესო შედეგებს“

დღეს მე, როგორც ფინანსთა მინისტრის მრჩეველთა საბჭოს წევრმა, შემიძლია ვთქვა, რომ ბიუჯეტს კრიზისი არ აქვს. თუმცა ბიუჯეტის შევსება ეკონომიკის მდგომარეობაზეა დამოკიდებული და თავისთავად ცხადია, რომ ნულოვანი ზრდის შემთხვევაში სერიოზული პრობლემები გაჩნდება წლის ბოლოსკენ საბიუჯეტო თანხების მობილიზაციის თვალსაზრისით.

– ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან ცვლილებებს ელოდებით?

– რაკი წინასაარჩევნო პერიოდია, აშკარაა, რომ მთელი ყურადღება გადატანილი იქნება ამ პროცესზე და



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ი კრიზისი ახლოს არის



„ჩემი გათვლებით, ეკონომიკური ზრდის მაქსიმუმი 2,5-3% იქნება, ესეც კარგ ვარიანტში...“

„მითხარით, 68% უმუშევარი ადამიანებისა, რომლებსაც იმედი ჰქონდათ, რომ მათი მდგომარეობა გაუმჯობესდებოდა და ეს იმედები გაუცრუვდებათ, რა განწყობაზე დადგება?“

დემურ გიორგელიძე:

„მთავრობა არ რეაგირებს... რეალობა ასეთია: ეკონომიკაში არის ძალიან სერიოზული პრობლემები“

ეკონომიკაში რაიმე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, რომელიც სიტუაციას გააუმჯობესებს, მთავრობისგან არ უნდა ველოდოთ. საუბარია, რომ შემოდგომაზე ამოქმედდება რაღაც ფონდები. ასევე, საუბარია ანტიმონოპოლიური კანონის განხილვაზე, თუმცა ეს ყველაფერი, როგორც ამბობენ, შემოდგომის ბოლოს მოხდება, ანუ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ. მე პირადად სერიოზულ ცვლილებებს ამ პერიოდში არ ველი. შესაბამისად, თუ ეს სიტუაცია არ დამუხრუჭდა, აშკარაა, რომ ეკონომიკური ზრდის ტემპები იმაზე ბევრად ნაკლები იქნება, ვიდრე სავალუტო ფონდმა მთავრობასთან შეთანხმებით გამოაქვეყნა. ჩემი გათვლებით, ეკონომიკური ზრდის მაქსიმუმი 2,5-3% იქნება, ესეც კარგ ვარიანტში. დღევანდელი გადასახედიდან ტენდენცია ასეთია. ჩვენ გვაქვს სისტემური პრობლემები და თუ ასე გაგრძელდა, ეს ძალიან მალე აისახება ეკონომიკაზე.

– თქვენ ამბობთ, რომ ჯერ ეკონომიკური კრიზისი არ არის, თუმცა ბიუჯეტში უკვე არის 300 მილიონის ნაკლებობა...

– შეიძლება საუბარი იყოს დაგეგმილ თანხებზე, ანუ არ შემოვიდა იმდენი, რამდენიც იყო დაგეგმილი. ეს არ ნიშნავს, რომ ბიუჯეტში არის ჩავარდნა. რაც შეეხება სოციალურ პროგრამებს, ყველა პროგრამა, რომელსაც ხელისუფლება ამ ეტაპზე ატარებს, სიმართლე გითხრათ, საკრიტიკო არ არის, რადგან ქვეყანა ისეთ სიღარიბეში იხრჩობა, რომ ასეთი ელემენტარული ხელშემწყობი ნაბიჯების გადადგმა სავალდებულოც კი არის.

– თუმცა რა სახსრებით ან რის ხარჯზე, ამას ხომ დიდი მნიშვნელობა აქვს?

– რა თქმა უნდა. როდესაც სოციალური პოლიტიკის სტრატეგია არ არსებობს, ეს, ბუნებრივია, პრობლემაა, თუმცა ამ ყველაფრის დაძლევა შეიძლება, მაგრამ ფაქტია, რომ განგაშის ზარი შემოკრულია. ყველაზე სერიოზული ნაკლი და პრობლემა ის არის, რომ მთავრობა არ ისმენს კრიტიკას.

– ანუ ისინი რეალურად ვერ აღიქვამენ პრობლემას?

– მთავრობა არასდროს არ რეაგირებს, ეს ძალიან ცუდი ნიშანია, რადგან ხვალ თუ ზეგ რეალობას უბრალოდ ვეღარ გაექცევი და ეს რეალობა ასეთია: ეკონომიკაში არის ძალიან სერიოზული პრობლემები. რა იქნება ხვალ და ზეგ, ეს მალე გამოჩნდება. თუმცა დღეს თუ შესაბამისი ბაზა არ იქნა მომზადებული, ხვალ და ზეგ გამოსავლის პოვნა გაძნელდება. ჩემთვის ასატანი იქნება ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპები, თუ დავინახავ, რომ მზადდება საკანონმდებლო ბაზა, გამოდის კანონები, რომლებიც თვეების შემდეგ მოგვცემს შედეგს. თუმცა ჯერჯერობით არც ეს კეთდება. შესაბამისად, ვსვამ კითხვას: მაჩვენეთ ჯადოსნური ჯოხი, რომელიც ახლანდელი, 2013 წლის ბოლოს მძიმე გადასახედიდან 2014 წელს მოგვცემს საუკეთესო შედეგებს. არ მაქვს ინფორმაცია, რომ მზადდება სერიოზული პაკეტები საკანონმდებლო დონეზე, აქ საუბარია არა ერთ და ორ კანონზე, არამედ მთელ რიგ საკანონმდებლო პაკეტებზე. ყაჩაღური პირობები ბანკებში, სრული იგნორირება ხელისუფლების მხრიდან მცირე და საშუალო ზომის ბიზნესის ხელშეწყობისთვის – ეს ყველაფერი სერიოზულ ეკონომიკურ კრიზისს ქმნის. სწორედ ამიტომ დაეცა ეკონომიკური ზრდის ტემპები.

– რამდენად სწორია ასეთ დროს ამხელა ვალდებულებების აღება?

– ეს პროგრამები, ცხადია, სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაფინანსდეს. მიუხედავად პრობლემებისა, იმ სიღარიბის მასშტაბების პერიოდში ნებისმიერი ხელისუფლება ვალდებული იყო, ეს ნაბიჯი გადაედგა. ამის სახსრები დღეს სახელმწიფოს აქვს. რესურსი, რომ ეს პროგრამები დაახლოებით ორი წლის განმავლობაში შენარჩუნდეს, არის. უბრალოდ, საჭიროა სწორი პოლიტიკის გატარება.

– ეს ისედაც პრობლემურ ეკონომიკას არ დააწვება და ეკონომიკურ კრიზისს არ გამოიწვევს?

– ეს არ დააწვება, თუ ეკონომიკა არ გაჩერდა. არ იქნება სწორი, დღეს რომ გავაკეთო პოლიტიკური კრიზისის პროგნოზირება. ჩვენ უნდა ველოდოთ, არა პოლიტიკურ კრიზისს, არამედ იმ საფრთხეს, რომელიც გამოკვეთილია ახალი ხელისუფლებისთვის. ეს არის გადაფასებები საზოგადოების დიდ ნაწილში. მე ჯერ კიდევ იანვარში ვთქვი, რომ შემოდგომის ბოლოდან დაიწყებოდა გადაფასებები. ახლა კიდევ უფრო გამიმყარდა ეს მოსაზრება, რადგან რეალობა გვკარნახობს, რომ ეს მოსალოდნელია. უდიდესი პრობლემა რჩება ქვეყანაში – საარსებო მინიმუმის გამომუშავება. ბოლო კვლევების მიხედვით, 68%-ს მიაჩნია თავი უმუშევრად. მითხარით, 68% უმუშევარი ადამიანებისა, რომლებსაც იმედი ჰქონდათ, რომ მათი მდგომარეობა გაუმჯობესდებოდა და ეს იმედები გაუცრუვდებათ, რა განწყობაზე დადგება? ეს სიტუაცია აბსოლუტურად პროგნოზირებადია და ეს მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბერი ილია – პირველად „პრაიმტაიმში“

საკავშირო სკანდალიდან ბერობამდე

my View
თამარ გორთამაშვილი

ერისკაცობაში ის სანდრო კავსაძე იყო, დღეს ბერი ილიაა. ერისკაცობაში – სახელმწიფო მოხელე, დღეს – ღვთის მსახურია.

სპორტსმენი, ცეკას ინსტრუქტორი, გორის რაიკომის პირველი მდივანი, 7 წელი შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, წოდებით გენერალი, ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე, მთავარი სახელმწიფო არბიტრი, დეპუტატი, ვიცე-პრემიერი და პრივატიზაციის მინისტრი, ადამიანის უფლებათა და ეროვნებათა შორის ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარე – ეს იმ რეგალიათა არასრული ჩამონათვალია, რომელიც ბერ ილიას დღეს უკვე უკან აქვს მოტოვებული, წინ მხოლოდ უფალი და სიყვარულია, რომელსაც მან მთელი ცხოვრება მიუძღვნა, სიყვარული, რომელიც დაკარგა მეუღლის გარდაცვალებასთან ერთად და ახლა მასთან შესახვედრადაც ემზადება.

ვფიქრობდი, როგორ დამეწყო საუბარი ბერთან მის წარსულზე, თუმცა ეს დაბრკოლება თავადვე მომიხსნა... ბერი ილია, ხილიანზე, წმინდა ბარბარეს სახელობის მამათა მონასტერში ვნახე. ინტერვიუზე ვერ დავითანხმე, მითხრა: მხოლოდ ვისაუბროთ და ყველაფერს მოგიყვები, რა იყო, რა არის და საით მივდივარო.

რაც იყო

დატვირთული ცხოვრება მქონდა, დადებითიც ბევრი იყო და უარყოფითიცო, – მითხრა. იქვე ბოდიში მომიხადა, ინტერვიუს ვერ გაძლევ და ეს საუბარიც ჟურნალისტთან რაღაც პერიოდის განმავლობაში ბოლო იქნებაო. მიზეზი ამიხსნა: „ბერობას ბევრი რამ მოსდევს, რომელიც აქამდე არ ვიცოდი. რაც მთავარია, ბერობას არ უხდება სიტყვამრავლობა, ადამიანებისა და მოვლენების განსჯა, საზოგადოებრივი აქტივობა.“

მისი დიდი ბაბუა მღვდელი ყოფილა, თავად, ისევე როგორც მთელი მისი თაობა, რელიგიისგან შორს იყო. ვერც დღეს ხსნის ბოლომდე, რამ განაპირობა მისი დღევანდელი მდგომარეობა. ამბობს, რომ უფალი წყვეტს იმ საკითხებს, რომელსაც ადამიანის გონება ვერ სწვდება.

ის კომუნისტური პარტიის წევრი, მაშინდელი რეჟიმის შვილი იყო. წარმატებულ კარიერას იკეთებდა. როგორც მითხრა, პარტიაში კორუფციასთან საბრძოლველად შევიდა.

19 წლისა სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაიწვიეს. აკადემიური ნიჩბოსნობის ნაკრების წევრი იყო. საბჭოთა კავშირის პირველობა ახლოვდებოდა და რესპუბლიკაში დატოვეს.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ 32 წლის ასაკში გადაიყვანეს, 36 წლისა კი უკვე გენერალი იყო, ყველაზე ახალგაზრდა გენერალი მთელ საბჭოთა კავშირში, საკავშირო მინისტრმა დეპეშით აცნობა ამის შესახებ...



ამბობს, რომ ურწმუნო საზოგადოებაში გაიზარდა და თავადაც, როდესაც ახალგაზრდა იყო, ვერასოდეს წარმოიდგენდა, თუ ბერად აღიკვეცებოდა. იარაღი არასოდეს გამოუყენებია. აფრასიძეების გახმაურებული ამბავი მომიყვა, სვანეთში გაქცეული, 20 წლის ძებნილის დაკავების ოპერაცია დაუგეგმავს 1980 წელს. ოლიმპიური თამაშები იწყებოდა და დავალება მიუღიათ: „არც ერთი ძებნილი, პირდაპირ ლიკვიდაცია მოხდესო“. პირველი ოპერაცია რომ ჩაატარეს, 60 კაცი წაუყვანიათ მთაში, ტყე-ღრე უვლიათ. ძებნილის შვილს გაუგია და მოკლე გზით გაქცევა გადაუწყვეტია. ჩასაფრება იყო გზაზე. ჯგუფს მსოფლიო ჩემპიონი გივი ყვარელაშვილი ხელმძღვანელობდა. კავსაძისთვის მოუხსენებია, შეგვიძლია, ლიკვიდაცია მოვახდინოთო, მაგრამ მცირეწლოვან შვილთან ერთად არის და როგორც გვეტყვით, ისე მოვიქცევითო. მინისტრის მოადგილემ სროლაზე უარი თქვა, ოპერაცია ჩავარდა. ამის გამო ლამის თანამდებობიდან მოხსნეს, თუმცა მეორე ჯერზე გაუმართლათ. ძებნილთა შეპყრობა კარგად დადგმული სპექტაკლის მოქმედებას დაემსგავსა, ოპერაცია პროფესიონალმა, პოლკოვნიკმა ვახუშტი ჯაფარიძემ მოამზადა...

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე კავსაძე სპეცოპერაციაზე უიარაღოდ მიდიოდა. იარაღს სპეციალურად სეიფში კეტავდა და შიშველი ხელებით გადიოდა, მსხვერპლი არც ერთი მხრიდან არ უნდა დაეშვა...

არ ამბობს, რომ მძიმე ცხოვრება განვლო. უბრალოდ, ახალგაზრდობიდან მოუწია ხელისუფლების მაღალ საფეხურზე ყოფნა, რამაც დიდი პასუხისმგებლობა დააკისრა. უკან რომ იხედება, მასზე ცოდვილი ამ ქვეყნად არავინ ჰგონია, თუმცა მაშინ, როდესაც დანაშაულს ებრძოდა, სხვანაირად ფიქრობდა, დღეს აზრი შეეცვალა, ადამიანებს კი არ უნდა ებრძოლო, თავად მოვლენა უნდა აღმოფხვრაო, ის მახვილი კი ადამიანის წინააღმდეგ იყო მიმართული. ალბათ, ამას გულისხმობდა, როდესაც ცოდვებზე საუბრობდა.

პირველი სრული აღსარება მარტყოფში თქვა. ცუდად გამხდარა, რამდენი ცუდი გამიკეთებიაო. მანამდე მოძღვარი არ ჰყოლია, ორმოცსგადაცილებული მეუღლემ „მოაქცია“. მაშინ ცენტრალურ კომიტეტში განყოფილების გამგე იყო.

მამა როსტომი (როსტომ ლორთქიფანიძე) იყო პირველი, ვინც დაეხმარა. ყოველთვის კარგად იხსენებს, იმიტომ რომ მან სირთულეები შეუმსუბუქა. არასოდეს დაავიწყდება მამა იოანე (ოქროპირიძე), მამა ბენიამინი (მარტყოფის ღვთაების მონასტრის წინამძღვარი), მამა ელისე, რომელმაც არა მარტო მოძღვრობას, არამედ ქრისტიანული ძმობისა და სიყვარულის გრძნობას აზიარა. ყველა მათგანს ბერი ილია საკუთარ მოძღვრებად მიიჩნევს.

მორწმუნე კომუნისტურ პარტიაში

ცეკაში ბოლო ყრილობა რომ იყო, დელეგატების ერთმა ჯგუფმა სთხოვა, პირველ მდივნობაზე დათანხმებულიყო. მაშინ სანდრო კავსაძემ ერთი პირობა წამოაყენა: იმ შემთხვევაში იქნებოდა ხელმძღვანელი, თუ მიიღებდნენ წინადადებას, რომ პარტიას ბოდიში მოეხადა რელიგიური ძალადობისთვის. მაშინ იმ ყრილობაზე ამხანაგი კავსაძე მკაცრად გააკრიტიკეს, ღმერთისთვის ბოდიშის მოხდა როგორ მოითხოვაო.

სანდრო კავსაძე, ევგენი აფრასიძე, პოლკოვნიკი ჯაფარიძე და ოპერაციის მონაწილე

თუმცა მეუღლემ შეძლო ის, რომ პარტიულმა კავსაძემ აღსარება თქვა. ზოდაგად, მეუღლეს სანდრო კავსაძის ცხოვრებაში ყველაზე დიდი ადგილი ეჭირა. ბერობა სწორედ მეუღლის გარდაცვალების შემდეგ გადაწყვიტა, რადგან იგრძნო, რომ რაღაც ძალიან დიდი გატყდა ცხოვრებასა და საზოგადოებაში, სადაც ისინი ორნი ცხოვრობდნენ, სადაც მათ თავისი სამყარო ჰქონდათ. ყველგან თან დაჰყავდა. ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი რომ ჩამოაყალიბა, საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელად დანიშნა. როდესაც შაბათ-კვირას საპატიმროებში ტუსაღებს ხვდებოდა, გულიკო თან მიჰყავდა. უკვირდათ, ცოლს რომ დაატარებდა ყველა შეხვედრაზე, მას კი არ შეეძლო მის გარეშე, მიიჩნევდა, რომ გულიკო ყველა სიყალბეს ადვილად შენიშნავდა, რადგან თავად იყო მართალი და კეთილი. „რადგან დიდი სიყვარული გვქონდა, სიყალბე არ ჩანდა, ამიტომ იქაც მართალი იყო, იმ ადამიანებთან“, – ამბობს დღეს ბერი ილია.

სხვათა შორის, სახალხო დამცველის ინსტიტუტი საქართველოში სწორედ სანდრო კავსაძის სახელს უკავშირდება. ეს მათი ინიციატივა იყო – ინსტიტუტის სახელი, „სახალხო დამცველი“ ესპანური მოდელიდან არის გადმოღებული.

1997 წელს კავსაძემ, ოჯახთან ერთად, საქართველო დატოვა, შვეიცარიაში წავიდნენ, ჟენევაში საქართველოს წარმომადგენლები იყვნენ. როგორც ჩანს, სწორედ მაშინ შეეყარა გულიკო დვალს უკურნებელი სენი, მეუღლე თავს ვერ პატიობს, რომ მაშინ ეს „გამოეპარა“.

საკავშირო სკანდალი

სანდრო კავსაძისა და გულიკო დვალის სიყვარულის ამბავი ორი ათეული წლის წინათ, ალბათ, ყველაზე გახმაურებული სკანდალი იყო თბილისში. მოსიყვარულე წყვილის უკან ორი დანგრეული ოჯახი იდგა. 46 წლის ასაკში სანდრო კავსაძემ ოჯახი დატოვა და პირველად დაიწერა ჯვარი. ბერი ილია ამბობს, რომ მაშინ მათ მთელი სამყარო დაუპირისპირდათ. გულიკო დვალმა სიყვარული ლექსებში ჩადო, დღეს მის ლექსებს ბერი ილია ინახავს:

***

„ამ ქვეყნად შენს მეტი
არავინ არ მინდა,
უშენოდ სიცოცხლე
მტვერი და ქარია“.

***

„და დღესაც მსხვერპლს
ითხოვს, ისე ვით ოდესღაც,
უმსხვერპლოდ ვინ გახსნა,
კარები აღსავლის“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ეს მინისტრის ყოფილი მოადგილე ბერად აღიკვეცა

EXCLUSIVE

სიყვარულმა ის ტაძრამდე მიიყვანა



ფოტო პირველად 1992 წელს New York Times–ში გამოქვეყნდა, მეორედ კი დღეს იბეჭდება – „პრაიმტაიმში“

***

„სიყვარულს ჩვენსას ქარიშხლებმა გადაუარეს, მაგრამ ღვართქაფმა ცეცხლოვანმა ის ვერ მოცელა, მჯერა გაუძლებს სიყვარული წარღვნას უარესს, თუ ვეყოლებით აღმსარებლად, ერთგულ მლოცველად“.

***

ამ ლექსების კრებული 1989 წელს გამოიცა, მაშინ გულიკო დვალმა არ იცოდა, რომ მათ სიყვარულს წინ დიდი გამოცდა ელოდა, თუმცა 23 წლის სიყვარულმა „წარღვნად“ მოვლენილ სიკვდილსაც გაუძლო, და დღეს მას მლოცველად ბერი ილია ჰყავს.

„ძალიან რთული იყო ამ გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ ტყუილში ცხოვრება – კიდევ უფრო რთული. 42 წლის ვიყავი, რომ შემიყვარდა. შეიძლებოდა სიყვარულზე უარის თქმა, მაგრამ ვერ შევძელი. ასეთი სიყვარულის ნახვა, როგორიც გულიკომ მომიტანა, შეუძლებელია. არ არსებობს ასეთი სიყვარული, არც გამიგია, არც წამიკითხავს“.

საერთო შვილები არ ჰყოლიათ, რადგან ისინი ცხოვრების დასაწყისშივე ვერ შეხვდნენ ერთმანეთს. ხშირად ამბობდნენ, რომ მეორე ქორწინება ამ სიყვარულის საფასურია. ეს მათთვის სიმძიმე იყო და ამიტომ შვილებსა და შვილიშვილებს ყოველთვის ურჩევდა, რომ სწორედ ისეთი სიყვარული ეპოვათ, როგორიც მათ ჰქონდათ.

„ადამიანები სიყვარულისთვის იბადებიან და ყველაფერი ღმერთის სიყვარულისკენ მიდის. კაცის შემდეგ, ღმერთი იძულებული იყო, შეექმნა ქალი. ერთიანობა შექმნა ქალისა და კაცის. დასაბამიდან ასეა, ქალი კაცისკენ მიდის და კაცი – ქალისკენ. თუ აღმოაჩენს თავის ნეკნს, ხომ კარგი... თავის ნეკნს 5-6 პროცენტი თუ აღმოაჩენს ხოლმე ამ ქვეყანაზე. ეს არის ძალიან დიდი ბედნიერება. მე ჩემი ნეკნი ვნახე“.

ფოტო რომელზეც ტყვეობიდან დახსნილი სანდრო კავსაძის და გულიკო დვალის ემოციური შეხვედრაა აღბეჭდილი, პირველად 1992 წელს New York Times-ში გამოქვეყნდა, მეორედ კი დღეს იბეჭდება – „პრაიმტაიმში“. 1992 წელს სანდრო კავსაძეს ჩხოროწყუში ზვიადისტები დაესხნენ თავს და 40 დღე ტყვეობაში ჰყავდათ. გულიკოს თანადგომას ტყვეობაშიც გრძნობდა. უწმიდესი დასდგომიათ გვერდში დროებითი განშორების ჟამს.

როდესაც გულიკო დვალი გარდაიცვალა, წელიწად-ნახევრის განმავლობაში, დღეში ორჯერ მიდიოდა საფლავზე. მიდიოდა და ელაპარაკებოდა. სანამ ბერად აღკვეცას გადაწყვეტდა, ჯერ მორჩილი იყო მონასტერში. შემდეგ შორს, მარტყოფში, ამაღლების მონასტერში წასვლა გადაწყვიტა. 2010 წლის 20 სექტემბერს ბერად აღიკვეცა. ამბობს, რომ იქ შეიგრძნო ჰარმონია, თითქოს წრე შეიკრაო. ადრე თუ ხშირად დადიოდა მეუღლის საფლავზე, ეს სურვილი აღარ ჰქონია. „თითქოს შევერთდით და თითქოს ერთად ვიყავით უკვე. მე ვფიქრობ, რომ მას მივუძღვენი სიყვარული, საპასუხო სიყვარული გადავეცი, წავიდა ის და ზემოდან მიყურებს. მისი ზემოქმედება აღარ არის, ჩემი პასუხი ის არის, რომ მე ისევ ისეთი ერთგული ვარ, როგორიც ვიყავი. ვარ ბერი ღმერთისა და მისკენ მივდივარ ისევ. ვემზადები მასთან შესახვედრად“.

ბერი ილიას შვილი – მამა იოანე

ბერობამდე სანდრო კავსაძის ცხოვრებაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა. მისმა შვილმა გადაწყვიტა ბერად აღკვეცილიყო. მამა იოანე ბერ-მონაზონია ლოს-ანჯელესსა და სანფრანცისკოში. ახლა 34 წლისაა, სამი წელია, რაც წავიდა. მაშინ გულიკო დვალი ცოცხალი იყო. ერთ დღეს სანდრო კავსაძესთან შვილი მივიდა და უთხრა: მამა, ეკლესიაში მივდივარ და კურთხევა მინდა შენგანო. უწმინდესს უთქვამს, მამის კუთხევაა საჭიროო.

მამას უკითხავს, კურთხევა რად გინდაო? და პასუხად მიუღია: ბერად უნდა აღვიკვეცოო.

სანდრო კავსაძემ ვერ მიიღო შვილის ეს გადაწყვეტილება. უფიქრია, მეორე ოჯახი რომ მაქვს, ამან გაართულა ყველაფერიო. უთხოვია შვილისთვის – დათო ნუ ჩამაყენებ ამ მდგომარეობაში, მე როგორ შემიძლია, ბერად გაკურთხო, რას იტყვიანო... შვილმა არ დაიშალა... გულიკოც წინააღმდეგი ყოფილა, პატრიარქისთვისაც უთხოვიათ, იქნებ თეთრი სამღვდელოება ურჩიოთო, მაგრამ...

ბერი ილია ამბობს, რომ ის მისი შვილის ასაკში ამას ვერ შეძლებდა, მით უფრო, რომ დღეს კარგად ხვდება, რას ნიშნავს ბერობა.

ბერი ილიას შვილი – მამა იოანე

შვილის გადაწყვეტილებაში მიზეზის ძიება აღარ დაუწყია, რადგან იცის, რომ, „როდესაც ღმერთთან გაქვს საქმე, მიზეზი არ უნდა ეძებო და როგორი ახსნაც არ უნდა გააკეთო, ადამიანურია და ვერ სწვდება უფლის არსს. რამეთუ აუხსნელია უფლის გზები და მას ვერავინ შეაჩერებს!“

რაც არის

დღეს ბერის კაბაში მხოლოდ ახალგაზრდობა ენატრება, თუმცა იცის, რომ ყველაფერს თავისი დრო აქვს. ამბობს, რომ წარსულის დაბრუნება რომ შეეძლოს, იგივე გზას არ აირჩევდა, უფრო რელიგიური იქნებოდა... ბევრ რამეს შეცვლიდა...

მოძღვართან აღსარების დროსაც ხშირად ამბობს და მეც გამიმეორა: ცხოვრებიდან იმ ფურცლებს ამოხევ, რაც შენს თავს გაუკეთე, მაგრამ სხვას თუ ცუდი გაუკეთე, იმას როგორ ამოხევო? – ვერაფერს იტყვი, ჭეშმარიტებაა...

დღეს ბერი ილია ყველა თავის წოდებასა და რეგალიას ერთ გროვად ხედავს, რომელიც წამში დაიკარგა. ის, რაც სამუდამოდ დარჩა, სიყვარულია, ამისთვის კი ღმერთს მადლობას ეუბნება. „ეძებეთ სიყვარული და თუ იპოვით, თვალის ჩინზე მეტად გაუფრთხილდით“ – ეს არის ბერი ილიას გზავნილი ერისკაცებისთვის.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნუგზარ კალანდაძე - კაპრალი

2010 წლის 30 სექტემბერს კალანდაძეების ოჯახი ავღანეთიდან შვილის ზარს ელოდა. იცოდნენ დარეკავდა და თავის ამბებს მოუყვებოდა, შემდეგ, შეშინებულ დედას დაამშვიდებდა და დაბრუნების პირობას მისცემდა. ზარი იგვიანებდა... იმ დღეს დედამ შვილის ხმა ვერ გაიგო... სატელეფონო ზარის ნაცვლად, კალანდაძეების ოჯახში უამრავი ადამიანი მივიდა, მწუხარების გასაზიარებლად...

კაპრალი ნუგზარ კალანდაძე ბავშვობიდან სამხედრო შემართებით იზრდებოდა... ეს თავად მოუნდომებია... ბავშვობიდან სამხედრო სამსახურის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი გამოუმჟღავნებია და გადაწყვეტილებაც ყრმობის ასაკში მიუღია - ის ჯარისკაცი უნდა გამხდარიყო. საყვარელ საქმესთან ურთიერთობა სავალდებულო სამსახურით დაიწყო. სავალდებულო სამსახურის წარმატებით დასრულების შემდეგ, ნუგზარ კალანდაძემ, სამხედრო სამსახურში დარჩენის გადაწყვეტილება მიიღო. როგორც დედა, მარო კალანდაძე ამბობს, „ნუგოს“ თავისი საქმე ყველაზე მეტად უყვარდა... დედა გრძნობდა, რომ ის სამშობლოს ახალ ქართველ გმირს უზრდიდა...

მარო კალანდაძე, ნუგზარის დედა: „სკოლის დასრულებისთანავე ჩემმა შვილმა სამხედრო სამსახურში წასვლის გადაწყვეტილება მიიღო. იარაღისადმი განსაკუთრებული ინტერესით ნუგზარი ბავშვობიდან გამოირჩეოდა, პატარა იყო, მაგრამ სანადიროდ წასული ისეთი ნანადირევით დაბრუნდა სახლში, გაოცებას ვერ ვმალავდით. ბავშვობიდან ჯარისკაცების მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა. ყურადღებიანი, ერთგული, თბილი და მოსიყვარულე იყო. ტელევიზორში სულ სამხედრო თემატიკაზე მომზადებულ ფილმებს უყურებდა და მეც ვამჩნევდი, რომ ინტერესი ჰქონდა. ამ ინტერესს კი მუდამ შიშით შევცქეროდი, ვგრძნობდი, რაც უნდა მომხდარიყო და, ალბათ, ამით იყო განპირობებული ჩემი შიში ამ საქმის მიმართ. ჯერ კიდევ სავალდებულო სამსახურში ყოფნის დროს გამანდო გადაწყვეტილება... დედა, ეს არის ადგილი სადაც მე უნდა ვიყო, სადაც ყველაზე კარგად ვგრძნობ თავს და გეხვეწები არ შემეწინააღმდეგოო... წინააღმდეგობის გაწევა არც მიფიქრია, რადგან ვგრძნობდი, ვერაფერს გავხდებოდი. როდესაც ავღანეთში წასვლის შესახებ გავიგეთ, ასე მითხრა, დედა, ავღანეთში ახლაც წავალ და შემდეგ მისიებსაც გავყვებიო... არავითარი შიში არ ჰქონია. „ნუგო“, ასე ვეძახდით ოჯახის წევრები, ნუგოსთვის ეს პირველი საკონტრაქტო სამსახური იყო. მახსოვს, 2008 წლის მოვლენების დროს კოდორში ჰყავდათ წაყვანილი, იქიდან დაბრუნებული, ორი თვის მანძილზე იყო სახლში... ყოველდღე ურეკავდა მეგობრებს, რას შვრებით ბიჭებო, არ უნდა გამომიძახოთო... ძალიან ღელავდა... ერთ დღეს გახარებული მოვიდა სახლში, დედა, გამომიძახეს და ისევ ჯარში მივდივარო! მაგრად ჩავიხუტე ჩემი შვილი, ვგრძნობდი, რომ ბედნიერებისგან ქვეყანაზე არ იყო! ზუსტად ასეთივე შემართებით წავიდა ავღანეთში, იქ ჩასვლის შემდეგ ხშირად გვირეკავდა, გვეკონტაქტებოდა, ყველაფერი კარგად არის, არაფერზე ინერვიულოთო... სანამ ეს უბედურება მოხდებოდა, რამდენიმე დღით ადრე ველაპარაკე. მითხრა, დედა, ველარ დაგირეკავ, ისეთ ადგილას მივდივარ, იქ ტელეფონი არ იჭერს და რომ ჩამოვალ აუცილებლად დაგირეკავო. 30 სექტემბერს, იმ ავბედით დღეს, ველოდი მე ჩემი ვაჟის ზარს, ველოდი, რომ დამირეკავდა და მეტყოდა, დედა, კარგად ვარ მალე ჩამოვალო! მაგრამ 30 სექტემბერს სულ სხვა რამის მოწმე გავხდი... ჩემი სახლის ტელეფონზე ავღანეთიდან ჩემი შვილის ზარი არ შემოსულა... სამაგიეროდ ძალიან ბევრი ხალხი მოვიდა ჩემთან... 30 სეტემბერს, ღამის ორ საათზე გავიგე ეს ყველაფერი, იაშვილის კლინიკაში ვმუშაობდი, იქ მომაკითხეს სამხედრო პოლიციის თანამშრომლებმა და იქ მითხრეს მომხდარის შესახებ. ისე წავიდა ჩემი შვილი ამ ქვეყნიდან, რომ არაფერი დარჩენია, მაგრამ ჩემმა შვილმა გმირობის მაგალითი დატოვა და მე ამ გმირობით ვცოცხლობ დღეს...

ერთ თვეში ავღანეთში მისი მისია იწურებოდა. ერთ თვეში ის სამშობლოში უნდა დაბრუნებულიყო გამარჯვებული, იმით, რომ საქმეს თავი წარმატებით გაართვა. ამაყი იყო, რომ ასეთ მნიშვნელოვან მისიას ასრულებდა და ზუსტად იცოდა, რომ ამას მისი ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის აკეთებდა. ვაჟკაცი იყო გულით, სული კი პოეტური ჰქონდა... დედას უკანასკნელი სახსოვარიც გაუკეთა, ლექსი მიუძღვნა. ამ ლექსის კითხვისას, დღეს, გმირის დედა, ტკივილთან ერთად, სიმაყესაც გრძნობს, მისი ნუგზარი გმირია, რომელიც სამაგალითო უნდა გახდეს მომავალი თაობისთვის და მისი ნათესავებისთვის...

ზურაბ კალანდაძე, ბიძაშვილი: „ნუგზარი გამოირჩეოდა ჩვენს ნათესაობაში. ძალიან კარგი ადამიანი იყო და ბიძაშვილობაში განსაკუთრებით გამოირჩეოდა. ავღანეთში წასვლამდე გერმანიაში გადიოდა სწავლებას. ძალიან უხაროდა სამხედრო სამსახურში ყოფნა. ერთი თვე ჰქონდა დარჩენილი, მაგრამ ამ ერთ თვეში მოხდა ეს უბედურება და ასე დაასრულა სიცოცხლე... ნუგზარი ამ საქმისთვის იყო დაბადებული“.

ვეფხვია მაჭარაშვილი, ბიძა: „ნუგო ჩემს ხელში გაიზარდა, ჩემ თვალწინ აიდგა ფეხი, განსაკუთრებულად მიყვარდა... დღეს ძალიან ამაყი და ბედნიერი ადამიანი ვარ იმით, რომ ასეთი გმირი ბიჭი გავზარდეთ... ყველასთვის სამაგალითო და მთელი ქვეყნისთვის საამაყო“...

დედისთვის მიძღვნილი ლექსი ქალბატონმა მარომ ნუგზარის გარდაცვალების შემდეგ მის დღიურში იპოვა, და დღესაც უბის წიგნაკით ატარებს...

დედა

„შენით ღამდება, შენით თენდება,
ჩემო ძვირფასო დედავ,
გთხოვ, მაპატიე შენი სიცოცხლე
მე თუ გიქციე ცრემლად...
დედა, შვილისთვის ყველაფერია,
შვილი დედისთვის - სევდა...
ფიქრით გაჭაღარავდი განა ვერ
გამჩნევ, გხედავ,
გკოცნი, გეხვევი, გეალერსები,
თვალცრემლიანს რომ გხედავ.
შეცდომებს აღარ გავიმეორებ
თუ კი მეორედ მოვალ!
უცებ ბავშვივით გადავიქცევი,
როცა მომაპყრობ მზერას.
წარსულს, დღევანდელს და
მომავალსაც, ბავშვის თვალებით ვხედავ!
იმედიანი დღე ხვალინდელი, თუ
გათენდება ნეტავ...
ქვეყნად ორია ჩემი მშველელი,
მაღლა ღმერთი, აქ - დედა“.

ნუგზარ კალანდაძე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გიორგი კოლხიტაშვილი -კაპრალი

21 წლის კაპრალმა გიორგი კოლხიტაშვილმა სამშობლოს სამსახურში ყოფნის გადაწყვეტილება 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის დროს მიიღო. იმხანად, გიორგის უფროსი ძმა, გელა კოლხიტაშვილი, სამხედრო სამსახურში ირიცხებოდა და ომში იბრძოდა. ოჯახის წევრები გიორგის სამხედრო სამსახურისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ბავშვობიდან ამჩნევდნენ, მაგრამ, იმის გამო, რომ ერთი შვილი სამხედრო იყო, დედა მეორე ბიჭს ჯარში წასვლაზე წინააღმდეგობას უწევდა. წინააღმდეგობა ოჯახის მხრიდან იქამდე გაგრძელდა, სადამდეც შესაძლებელი იყო. 2008 წლის აგვისტოში გიორგი ოჯახის წევრებს სახლიდან გაეპარა და ომში წავიდა. მიუხედავად ქართველი ახალგაზრდის განსაკუთრებული აღტკინებისა, გიორგიმ ბრძოლის ველამდე ვერ მიაღწია. სამხედრო პოლიციის თანამშრომლებმა კონფლიქტის ზონის მისადგომებთან მისული ახალგაზრდის შემჩნევა და შეჩერება ოპერატიულად შეძლეს და სახლში დააბრუნეს. როგორც გიორგის დედა, ნათელა კოლხიტაშვილი, იხსენებს, იმ წუთიდან მისთვის უკვე ნათელი იყო, რომ ის შვილის გაჩერებას ვერ შეძლებდა. აგვისტოს ომი დასრულდა და გიორგი ქართული არმიის რიგებში 33-ე ბატალიონში ჩაირიცხა. სამხედრო სამსახურში თავიდანვე განსაკუთრებული მობილიზებით გამოირჩეოდა, მუდამ მოწესრიგებული და საქმეზე ორიენტირებული იყო. იმხანად ავღანეთში წასასვლელად 31 ბატალიონი ემზადებოდა, გიორგი კი 33-ში ირიცხებოდა. ახალგაზრდა, სამხედრო მოსამსახურემ ავღანეთში წასასვლელად ენერგია და მონდომება არ დაიშურა, სპეციალური მომზადების კურსები საკუთარი სურვილით გაიარა, ყველა გამოცდას წარმატებით გაუძლო, 31-ე ბატალიონში გადავიდა. ავღანეთში წასვლიდან რამდენიმე თვეში კი იწყება ქართველი გმირის გიორგი კოლხიტაშვილის გმირობის რეალური ისტორია...

ნათელა კოლხიტაშვილი, გიორგი კოლხიტაშვილის დედა: „გიორგის სამხედრო სამსახურისადმი განსაკუთრებულ ინტერესს ბავშვობიდან ვამჩნევდი, იარაღისადმი სიყვარული და ჯარისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა, მიუხედავად ამისა, მე ჯარში მისი წასვლის წინააღმდეგი ვიყავი, რადგან ჩემი უფროსი შვილი, გელა, სამხედრო სამსახურში ირიცხებოდა, კარგად ხედავდა გიორგი როგორ ვღელავდი მასზე და ამიტომაც სანამ შესაძლებელი იყო მისი შეჩერება, მაქსიმალურად შევაჩერე. 2008 წლის აგვისტოს ომი, როგორც ყველამ, ჩემმა ოჯახმაც გამოიარა. ჩემი მეორე შვილი ამ პერიოდში აგვისტოს ომში იბრძოდა, გიორგის კი ამ ომის დროს უფრო მეტად ჰქონდა მომძლავრებული ომში წასვლის სურვილი. როდესაც ტელევიზიით კადრებს გადმოსცემდნენ, ვხედავდი, რომ განსაკუთრებით ღელავდა, აშკარა იყო, რომ ჩემს შვილს ომში სურდა ყოფნა, სამშობლოს სამსახურში ხედავდა საკუთარ თავს, ალბათ, ამიტომ. ცოტა ხანში რუსებმა სენაკის ბაზა აიღეს, ამ ბაზიდან ბევრ სხვა ნაქურდალთან ერთად ჩემი შვილის გელას ტელეფონიც წაუღიათ. გიორგი სულ ურეკავდა თავის ძმას და ერთ-ერთ ზარზე რუსმა სამხედრომ უპასუხა. გიორგიმ ჩათვალა, რომ მისი ძმა უკვე ცოცხალი არ იყო და სახლიდან გაიპარა. მე ამის შესახებ არაფერი ვიცოდი, ვერ წარმომედგინა თუ ომში გამეპარებოდა. ორი დღე ფეხით უვლია, იმისთვის, რომ ომის წერტილამდე მისულიყო, თუმცა იქამდე მიღწევა ვერ შეძლო, რადგან სამხედრო პოლიციას მისი შემჩნევა არ გასჭირვებია და უკან მოაბრუნეს. საერთოდ, ძალიან უშიშარი ბიჭი იყო და ავღანეთში წასვლის გადაწყვეტილება მისთვის განსაკუთრებულ სირთულეს არ წარმოადგენდა. აგვისტოს ომიც დასრულდა და გიორგის შეჩერება ვერავინ შეძლო. მითხრა, დედა მე სამხედრო სამსახურში მივდივარ და ამ აზრს უნდა შეეგუოო.

მალევე მიიღო ავღანეთში წასვლის გადაწყვეტილებაც, ეს პირველი საკონტრაქტო იყო და ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ იმ ბატალიონში მიეღოთ, რომელიც ავღანეთში მიდიოდა. აგვისტოს ომი ჩავლილი იყო და მერე მეც ვიფიქრე, ომმა ჩაიარა და აწი რაღა უნდა მოხდეს-მეთქი. თავიდან საცდელ სწავლებას ქუთაისში გადიოდა, ავღანეთში წამსვლელი იყო 31-ე ბატალიონი, გიორგიმ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ამ ბატალიონში გადასულიყო, სანამ არ დაამტკიცეს, ქუთაისიდან გორში გარკვეული პერიოდი არ ჩამოსულა. გიორგის კატეგორიული მოთხოვნა იყო ავღანეთში წასვლა და წავიდა კიდეც. ჩემი ძალიან ახლო ნათესავი მყავდა თბილისში, დედის გული ხომ იცით, ალბათ, ვგრძნობდი, რომ რაღაც უბედურება მელოდა და ვღელავდი, ვიფიქრე, იმას შევაწუხებ და იქნებ ჩუმად შეუშალოს გიორგის წასვლაში ხელი მეთქი, მაგრამ გიორგი ისეთი აღტკინებული იყო, მივხვდი, არაფერი გამომივიდოდა და გავჩერდი. გიორგი ძალიან ძლიერი და მომზადებული იყო ფიზიკურად, ტყვედ რომ ჩავარდნილიყო ავღანეთში, დარწმუნებული ვარ, თავს მაინც უშველიდა. დღესაც თვალწინ მიდგას მისი ღიმილიანი, სიხარულით სავსე თვალები და ის წამები, როდესაც დავემშვიდობე, თვალზე ცრემლი მადგებოდა, მითხრა, ახლა შენი ცრემლები არ დამანახაოო და კიბეებზე სიხარულით ჩაირბინა. ასე სირბილ-სირბილით გავაცილე ჩემი ვაჟკაცი სამშობლოს სამსახურში და რას წარმოვიდგენდი, რომ უკანასკნელად ვხედავდი. ეზოში უამრავი ადამიანი იყო შეკრებილი, მეზობლებს დაემშვიდობა, არავითარი შიში და აღელვება არ ჰქონია, პირიქით, ძალიან ბედნიერი იყო იმით, რომ სანადელს მიაღწია. არ მახსოვს რამეზე დაეწუწუნოს. არასდროს არ უნახია ავღანეთში ყოფნა, პირიქით, ძალიან კმაყოფილი იყო, ამბობდა,

მე კარგად ვარ, თქვენ არ ინერვიულოთ აქ არაფერი საშიში არ არის და ერთმანეთს გაუფრთხილდით, მალე ჩამოვალო. მახსოვს 10 სექტემბერს დაგვირეკა ბოლოს და გაგვაფრთხილა, თვის ბოლომდე მეტს ველარ დაგელაპარაკებით, რადგან ტელეფონზე ბალანსის შევსებას ვერ შევძლებო... მე დავიჯერე, იმან იცოდა, ალბათ, რომ მისიის შესასრულებლად მიჰყავდათ, მაგრამ ჩვენ არ გვანერვიულა და ამის შესახებ არაფერი გვითხრა. ეს იყო ჩვენი ბოლო საუბარი, დედა-შვილი ერთმანეთს იმედიანად დავემშვიდობეთ... თვის ბოლოს კი, ზუსტად 30 სექტემბერს, ამ უბედურების შესახებ მაცნობეს. თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლების დანახვისთანავე ჩემთვის უკვე ნათელი იყო იმ უბედურების შესახებ, რაც თავს დამატყდა.

არადა, ძალიან ბევრი გეგმები ჰქონდა... შეყვარებულიც კი არ ჰყოლია, სად ეცალა ამისთვის, სულ ოჯახზე ფიქრობდა და ჩვენზე ზრუნავდა, ბიჭებისთვის უთქვამს, სამშობლოში რომ დავბრუნდები ოჯახისთვის მანქანას ვიყიდიო... ჩემი შვილი მხედრული, მამაცი სულის პატრონი იყო და ის სიცოცხლის ბოლომდე სამხედრო სამსახურში აპირებდა ყოფნას. ალბათ, ასეთი იყო ღვთის ნება, რომ მას გმირულად დაესრულებინა სიცოცხლე... დღეს მე ვიცი, რომ ჩემი შვილი ცოცხალი აღარ არის, დავდივარ მის საფლავზე და ვეფერები... ჩემთვის მთავარი მისი სახელის უკვდავყოფაა... ღმერთმა ნათელში მიმყოფოს მისი სული, ამისთვის ვლოცულობ დაჩოქილი... გიორგი, დე, ძალიან მენატრები“!..

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ჩაძირული ქალაქი -

კანადელმა მეცნიერებმა სენსაციური აღმოჩენა გააკეთეს. „ბერმუდის სამკუთხედის“ ტერიტორიაზე მათ ჩაძირული ქალაქი იპოვეს. მკვლევარების გუნდს ცოლ-ქმარი პოლ ვაინცვეიგა და პოლინა ზალიცკი ხელმძღვანელობდნენ. სენსაციურ აღმოჩენაში მათ მყვინთავი რობოტი დაეხმარათ. სწორედ მისი წყალობით შედგა სენსაცია. ქალაქი 180 მეტრის სიღრმეზეა, კუბის სანაპიროდან 700 მეტრში მდებარეობს. იგი მოიცავს გზებს, გვირაბებს, პირამიდებს და სხვა შენობებს. აღწერილობაში ნათქვამია, რომ ერთ-ერთი პირამიდა მინისგანაა აშენებული, აქვე ჩანს სფინქსის მსგავსი სკულპტურა. შენობების კედლებზე წარწერები შეიმჩნევა.

„ბერმუდის სამკუთხედი“ დღემდე აუხსნელი და მეცნიერებისთვის გამოუცნობი მოვლენებით არის ცნობილი. ჯერ ვერავინ შეძლო ამოეხსნა რატომ იკარგებიან სამკუთხედში ადამიანები. ისტორიები ლეგენდებს ჰგავს, თუმცა, ფაქტია, რომ ნაპოვნი გემებიდან მხოლოდ ადამიანები არიან გაუჩინარებული, ნივთები ხელუხლებელია, დაკარგული თვითმფრინავებიდანაც მხოლოდ პილოტების კვალს ვერ მიაგენს. ვერსიების დონეზეც კი ჭირს რაიმეს ახსნა.

wikipedia-ს მონაცემებით: „ბერმუდის სამკუთხედში“ „საიდუმლო გაუჩინარებები“ პირველად Associated

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბერმუდის სენსაცია

Press-ის კორესპონდენტმა ჯონსმა ახსენა, 1950 წელს მან ამ რაიონს „ეშმაკის ზღვა“ უწოდა. „ბერმუდის სამკუთხედის“ შესიტყვების ავტორად, ჩვეულებრივ, ვინსენტ გლადისი მიიჩნევა. მან 1964 წელს სპირიტიზმისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ ჟურნალში გამოაქვეყნა სტატია „მომაკვდინებელი ბერმუდის სამკუთხედი“.

XX საუკუნის 60-იანი წლების დასასრულსა და 70-იანი წლების დასაწყისში გამოჩნდა მრავალრიცხოვანი პუბლიკაცია „ბერმუდის სამკუთხედის“ საიდუმლოებების შესახებ“.

რამდენიმე ისტორიული ფაქტი:

ევენჯერების რგოლი (გაფრენა № 19)(რედაქტირება)

„ბერმუდის სამკუთხედთან“ დაკავშირებით ხსენებად ყველაზე ცნობილ შემთხვევას წარმოადგენს „ევენჯერის“ ტიპის ხუთი ბომბდამშენ-ტორპედოსანი რგოლის გაუჩინარება. ამ თვითმფრინავების აფრენა მოხდა 1945 წლის 5 დეკემბერს აშშ-ს სამხედრო-საზღვაო ძალების ბაზიდან ფორტ-ლოდერდეილში (ფლორიდა). ისინი უკან არ დაბრუნებულან. მათი ნამსხვრევები ჯერაც ვერ იპოვეს.

ბერლიცის თანახმად, 14 გამოცდილი პილოტისგან შემდგარი ესკადრილია საიდუმლო მიზეზებით გაუჩინარდა ჩვეულებრივი ფრენის დროს, ნათელ ამინდში, მშვიდი ზღვის თავზე. ასევე ცნობილია, რომ ბაზასთან რადიოგადალაპარაკებებისას პილოტები თითქოსდა საუბრობდნენ სანავიგაციო მოწყობილობის აუხსნელი გაფუჭებისა და უჩვეულო ვიზუალური ეფექტების შესახებ – „ჩვენ არ შეგვიძლია მიმართულების დადგენა, ოკეანე კი არ გამოიყურება ისე, როგორც ყოველთვის“, „ჩვენ თეთრ წყლებში ვეშვებით“.

კუშეს ვერსიით, სინამდვილეში ეს რგოლი შედგებოდა კურსანტებისგან, რომლებიც ასრულებდნენ სანვრთნელ ფრენას. გამოცდილი პილოტი გახლდათ მხოლოდ მათი ინსტრუქტორი, ლეიტენანტი ტეილორი, მაგრამ ის სულ ახლახან გადმოიყვანეს ფორტ-ლოდერდეილში, რის გამოც, იგი, ჯერ კარგად არ იცნობდა ფრენათა რაიონს.

დაფიქსირებულ რადიოგადალაპარაკებებში არაფერია ნათქვამი რაიმე საიდუმლო მოვლენების შესახებ. ლეიტენანტმა ტეილორმა განაცხადა, რომ მან ორიენტირება დაკარგა და ორივე კომპასი გაუფუჭდა. საკუთარი ადგილმდებარეობის დადგენის მცდელობისას მან შეცდომით იფიქრა, რომ რგოლი ფლორიდაკისის კუნძულების თავზე, ფლორიდისგან სამხრეთით იმყოფებოდა, ამიტომაც მას შესთავაზეს ორიენტაციის მოხდენა მზის მიხედვით და გაფრენა ჩრდილოეთის მხარეს. შემდგომმა ანალიზმა აჩვენა, რომ, შესაძლოა, თვითმფრინავები იმყოფებოდნენ ბევრად აღმოსავლეთისკენ და, ეჭირათ რა ჩრდილოეთის კურსი, მოძრაობდნენ სანაპიროს პარალელურად. რადიოკავშირის ცუდი პირობები (დაბრკოლებები სხვა რადიოსადგურებიდან) ხელს უშლიდნენ ესკადრილიის ზუსტი მდგომარეობის დადგენაში.

რამდენიმე ხანში ტეილორმა გაფრენა დასავლეთის მხარეს გადაწყვიტა, მაგრამ სანაპიროს ვერ მიაღწია, რადგან თვითმფრინავებში საწვავი თავდებოდა. ევენჯერთა ეკიპაჟები იძულებულნი გახდნენ წყალზე ეცადათ დასხდომა. ამ დროისთვის უკვე დაბნელდა, ხოლო ზღვა, იმ რაიონში იმ დროს მყოფი გემების თქმით, ძალზედ აბობოქრებული იყო. ევენჯერთა გაუჩინარების შემდეგ მათ საძებნად სხვა თვითმფრინავები გაგზავნეს და ერთ-ერთი მათგანი – ჰიდროთვითმფრინავი „მარტინ მარინერი“ – ასევე უკვალოდ გაუჩინარდა... კუშეს მოსაზრებით, ასეთი ტიპის თვითმფრინავებს გარკვეული ნაკლოვანება გააჩნიათ, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ საწვავის ორთქლი კაბინაში აღწევს და საკმარისია ერთი ნაპერწკალი იმისთვის, რათა აფეთქება მოხდეს. „გეინე მილსის“ (Gaines Mills) ტანკერის კაპიტანმა განაცხადა, რომ იგი აფეთქებას და ნამსხვრევებს თვალს ადევნებდა, შემდეგ კი ზღვის ზედაპირზე ზეთის ლაქა აღმოაჩინა.

სატვირთო გემი „სანდრა“(რედაქტირება)

ეს შემთხვევა საინტერესოა იმით, რომ სწორედ იგი გახდა 1951 წელს ჯონსის პუბლიკაციის გამოჩენის მიზეზი.

გემი, რომელიც აშშ-დან ვენესუელაში მიდიოდა, უკვალოდ გაქრა შტორმის დროს, რის შედეგადაც სხვა გემებიც ჩაიძირა. „სანდრას“ ძებნის პროცესი გაუჩინარებიდან მხოლოდ ექვს დღეში დაიწყო, როდესაც გემი დანიშნულების პორტში არ მივიდა. ვერ იპოვეს ვერც ადამიანთა გვამები და ვერც ხომალდი...

წყალქვეშა ქალაქის არქიტექტურა მეცნიერებს უძველეს ლათინოამერიკულ, მათი აზრით, ტეოტიუკანების ცივილიზაციის არქიტექტურას აგონებს...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბევრი ლუდი, კარგი მუსიკა და გართობა შუაგულ თბილისში

სუპერმარკეტი თბილისის ლუდის ფესტივალი „ნატახტარისაგან“ - ტრადიციად ქცეული სიამოვნება „სმარტი“ ხორცპროდუქტების ასორტიმენტს ზრდის

თბილისის ლუდის ფესტივალი „ნატახტარისაგან“ უკვე ტრადიციად ქცეული სიამოვნებაა შუა ზაფხულში. ორი დღის განმავლობაში ვარდების მოედანზე დიდი რაოდენობის ლუდი დაილია, საინტერესო მუსიკა ჟღერდა და უამრავი გალაღებული ადამიანი ერთობოდა.

კომპანია „ნატახტარმა“ ლუდის ფესტივალის ტრადიცია 4 წლის წინ შემოიღო. თბილისის ლუდის ფესტივალი მსოფლიოში არსებული სხვა ანალოგების მსგავსად, სრული საფესტივალო სტანდარტით ჩატარდა. ლუდის მოყვარულებს „ნატახტარმა“ ბევრი საფესტივალო ატრიბუტი, ორიგინალური ქუდები, მაისურები, სათვალეები და ლუდის კათხები შესთავაზა. ფესტივალის სტუმრების განწყობაზე ეს მხიარული ატრიბუტები საუკეთესოდ მოქმედებდა. ორი დღის განმავლობაში „ნატახტარმა“ თავისი ყველაზე პოპულარული 5 ლუდი („ნატახტარი“, „მთიელი“, „კოზელი“, „ეფესი“ და „კაიზერი“) შესთავაზა სტუმრებს.

კარგი ლუდის დაგემოვნება წარმოუდგენელია ასევე კარგი მუსიკის გარეშე. ეს ფესტივალის ორგანიზატორებმაც შესანიშნავად იცოდნენ და ამიტომაც მუსიკალური პროგრამა საინტერესოდ იყო შედგენილი. ორი დღის განმავლობაში ლუდის ფესტივალის სტუმრების განწყობაზე ზრუნავდნენ ცოცხალი მუსიკის შემსრულებლები _ „მელოუ“, „სვანსიკი“, „ლაუდსფიქერსი“, „სალიო“, „ზარები“, „ზურგი“ და ელენე კალანდაძე. ფესტივალი კი ჯგუფმა „შინ“-მა დახურა.

ფესტივალს თან ახლდა უამრავი სახალისო შეჯიბრება და გათამაშება, სადაც საუკეთესო ლუდის მსმელებიც გამოვლინდნენ.

ნინო სურმავა, „ნატახტარის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელი:

- ლუდის ფესტივალი „ნატახტარისგან“ ყოველწლიური ტრადიციაა და ლუდის მოყვარულებს ნელს უკვე მეოთხედ ვუმასპინძლეთ. ამ ფესტივალის შექმნის იდეა ჩვენი კომპანიის მხრიდან ერთგვარი მადლობის გამოხატულება იყო მომხმარებლების მისამართით. გვინდოდა, შუა ზაფხულში გაგვეკეთებინა ღონისძიება, სადაც ჩვენი მომხმარებელი დროის მხიარულად, საინტერესოდ გატარებას და თავისი საყვარელი ლუდის დაგემოვნებას შეძლებდა. პირველივე ლუდის ფესტივალის ჩატარების შემდეგ მივხვდით, რომ ეს ღონისძიება ყოველწლიური უნდა გამხდარიყო. უკვე მეოთხე წელია, ლუდის მოყვარულებს ვმასპინძლობთ და ვცდილობთ, წლიდან წლამდე უფრო საინტერესო პროგრამა შევთავაზოთ ფესტივალის სტუმრებს. ლუდის მოყვარულებისათვის ყველანაირი კომფორტი შევქმენით, „ნატახტარის“ ყველაზე პოპულარული ლუდებიდან 5 სახეობა შევარჩიეთ და 50 მეტრი სიგრძის ბარი გავაკეთეთ. მომხმარებლებისათვის შევქმენით უფრო იოლი ტალონების სისტემა, რათა ლუდის ჩამოსასხმელებთან ფულისა და ხურდის პრობლემა არ ყოფილიყო. ჩვენი მიზანია, ყოველი შემდგომი ლუდის ფესტივალი წინანდელს ჯობდეს, ამ პროგრესით მივდივართ წინ.

- მსოფლიოს არც ერთ ლუდის ფესტივალს არ აქვს ცალკე მოედანი ბავშვებისათვის, სადაც ისინი ლიმონათით გაგრილდებიან.

- ნამდვილად, ეს „ნატახტარის“ უნიკალურობაა. ჩვენ მსოფლიოში ლუდის მწარმოებლებისგან იმითაც განვსხვავდებით, რომ გემრიელ ლიმონათს ვაწარმოებთ, ამიტომაც ლუდის ფესტივალის ფარგლებში ცალკე ტერიტორია გამოვყავით ბავშვებისა და მათი საყვარელი ლიმონათისათვის. ეს ჩვენს მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, ლუდის ფესტივალზე მთელი ოჯახით მოვიდნენ და ისიამოვნონ.

- თამამად შეიძლება ითქვას, რომ თბილისში ლუდის ფესტივალის ტრადიცია „ნატახტარს“ ეკუთვნის.

- ოთხი წლის წინანდელ მონაცემებთან შედარებით, როცა ლუდის ფესტივალი „ნატახტარმა“ პირველად ჩაატარა, წელს სტუმრების რაოდენობა ორნახევარჯერ არის გაზრდილი. შარშან ლუდის ფესტივალს 25 ათასზე მეტი სტუმარი ჰყავდა, წელს ეს რიცხვი კიდევ რამდენიმე ათასით გაიზარდა. ლუდის ფესტივალის ერთ-ერთი მიზანი ისიც იყო, რომ ლუდის მოხმარების კულტურა დაგვეხვეწა საქართველოში. როგორც ლუდის ბაზრის ლიდერებს, ჩვენ საქართველოში ეს მოვალეობა გვაკისრია და სიამოვნებით ვიღებთ ამ პასუხისმგებლობას. ლუდი იძლევა იმის საშუალებას, რომ კეთილად და მხიარულად გავერთოთ. Ⓐ



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვასილ ხახიშვილი – დეკანოზი, რომელიც სიმღერამ ციმბირში სიკვდილს გადაარჩინა

თორნიკე ყაჯრიშვილი

სიმღერით გადარჩენილი სასულიერო პირის ცხოვრება და ისტორია, რომელიც აქამდე მხოლოდ რამდენიმე ადამიანმა იცოდა. დიდგორის ეკლესიის მოძღვრის უცნობი ფოტოები და 30-იან წლებში განვითარებული მოვლენები, რომელიც სტალინს უკავშირდება...

მიუხედავად იმისა, რომ იოსებ ჯუღაშვილი ჯერ გორის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ კი თბილისის სასულიერო სემინარიაში ეუფლებოდა ღვთისმეტყველებას, დედის მოლოდინი არ გაამართლა. სასულიერო ცხოვრებას სახელმწიფო მმართველობა არჩია და ქვეყანას ჩაუდგა სათავეში.

მართალია, სტალინს სასულიერო ცხოვრება არ გაუგრძელებია, თუმცა მისი ჯგუფელებიდან ბევრი გახდა მოძღვარი, მათ შორის იყო ვასილ ხახიშვილი, რომელიც, ბელადთან ერთად, თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა და მგალობელთა გუნდში გალობდა. როცა საბჭოთა ქვეყნებში გაუთავებელი რეპრესიები დაიწყო, ბევრი ქართველი, მათ შორის სასულიერო პირი, ანტისაბჭოთა საქმიანობაში დაადანაშაულეს. ამის გამო ბევრი ციმბირის გზას გაუყენეს, ზოგი დააპატიმრეს, დახვრიტეს. „საბჭოთა კლანჭებს“ ვერც ძმები ვასილ და ნიკო ხახიშვილები ასცდნენ, ციმბირში გადაასახლეს. როდესაც სტალინს იუბილეზე საქართველოდან ჩასული სასულიერი სემინარიის ჯგუფელები ესტუმრნენ, მასპინძელს სუფრა გაუშლია. სტუდენტობა გაუხსენებიათ, ღვინო მიურთმევიათ და უმღერიათ. ერთ-ერთი სიმღერის დასრულების შემდეგ, სტალინს უთქვამს, ამას ვასილ ხახიშვილი კარგად მღეროდა, სად არის ახლა, ალბათ, რომელიმე სოფელში მოძღვარიაო. მამა ვასილი იმ დროს უკვე ციმბირში იყო, ძმასთან ერთად, გადასახლებული, თუმცა ამის შესახებ ბელადისთვის არაფერი უთქვამთ. სტუმრებს შორის პარტიული მუშაკებიც ყოფილან, რომლებიც საქართველოში დაბრუნებისთანავე მამა ვასილის ადგილსამყოფელით დაინტერესებულან. მოძღვარი საქართველოში ისე დაუბრუნებიათ, რომ სტალინს ამ ფაქტის შესახებ არაფერი გაუგია. რა გახდა სასულიერო პირის ციმბირიდან სამშობლოში დაბრუნების კონკრეტული მიზეზი, ამის შესახებ დღემდე მხოლოდ რამდენიმე ადამიანმა იცოდა.

„ასე გადაარჩინა სიმღერამ ვასილ ხახიშვილი სხვა ქვეყანაში სამუდამო გადახვეწასა და სიკვდილს...“

ლუარსაბ ტოგონიძის უნიკალური არქივი ბევრი სასულიერო პირის ფოტოსა და ისტორიას ინახავს. დეკანოზ ვასილ ხახიშვილის ფოტოები მკვლევარმა ცოტა ხნის წინ მის შთამომავლებთან გადაიღო. სამუდამო გადასახლებისა და საიდუმლო გადმოსახლების ისტორია, რომელიც სიმღერას უკავშირდება, პირველად „პრაიმტაიმში“ იბეჭდება.

„ეს ფოტოები, რომელზეც მამა ვასილ ხახიშვილია აღბეჭდილი, ცოტა ხნის წინ მის შთამომავლებთან გადავიღე“

ლუარსაბ ტოგონიძე: „ყველასთვის ცნობილია, რომ სტალინი სასულიერო სემინარიაში სწავლობდა და მგალობელთა გუნდში გალობდა. სემინარიაში სწავლის პერიოდში მას ყოველთვის გამოარჩევდნენ, კარგი ხმა ჰქონდა. ცოტა ხნის წინ წიგნი „სტალინის დედის მოგონებები“ გამოიცა, სადაც კარგად არის მოთხრობილი, მისი გორის სასულიერო სასწავლებელსა და თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის ამსახველი პერიოდი.

ეს ფოტოები, რომელზეც მამა ვასილ ხახიშვილია აღბეჭდილი, ცოტა ხნის წინ მის შთამომავლებთან გადავიღე. ასეთი საინტერესო ისტორია მიამბეს: 30-იან წლებში საქართველოდან მოსკოვში სტალინისთვის იუბილეს მისალოცად ჩასულან მისი ყოფილი ჯგუფელები როგორც გორის სასულიერო სასწავლებლიდან, ისე თბილისის სასულიერო სემინარიიდან... იმ პერიოდში მასობრივი რეპრესიები ჯერ არ იყო დაწყებული, მაგრამ ბევრი სასულიერო პირი უკვე საპყრობილეში იჯდა. მათ შორის იყვნენ ვასილ ხახიშვილი და მისი ძმა ნიკო. ვასილი სასულიერო პირი გახლდათ, ნიკო – ერისკაცი, მაგრამ ორივეს ანტისაბჭოთა საქმიანობაში დასდეს ბრალი. ეს ადამიანები ეროვნულ პოზიციებზე იდგნენ, მაგრამ აქტიურ ანტისაბჭოთა საქმიანობას არ ეწეოდნენ. ჩვეულებრივ, როგორც მაშინ ხდებოდა, შეიძლება ვიღაცას ენა მიეტანა ცუდად და ეს საკმარისი იყო იმისთვის, რომ ადამიანები და განსაკუთრებით სასულიერო პირები, გადაესახლებინათ ან დაეხვრიტათ. ძმები ხახიშვილები გადაასახლეს. ამ პერიოდში მოსკოვი სტალინის იუბილესთვის ემზადებოდა. როგორც უკვე მოგახსენეთ, საქართველოდან ჩასულები იყვნენ მისი ყოფილი ჯგუფელები, მათ შორის იყო პეტრე კაპანაძე, რომელსაც სტალინთან ახლო მეგობრობა აკავშირებდა. ვასილ ხახიშვილის შთამომავლებთან შემორჩენილია ასეთი ისტორია: თბილისიდან მოსკოვში ჩასულ ჯგუფელებს სტალინმა უმასპინძლა. ღვინოც დაულევიათ და ბელადიც კარგ ხასიათზე ყოფილა. მათთან ერთად უმღერია და ერთ-ერთი სიმღერის შემდეგ უთქვამს, ამას ვასო ხახიშვილი რა კარგად მღეროდა, ნეტავ, ახლა სად არის, ალბათ, რომელიმე სოფელში მღვდელიაო... ბუნებრივია, ამ სუფრას პარტიული მუშაკებიც ესწრებოდნენ და რადგან სტალინმა ეს პიროვნება მოიკითხა, საქართველოში დაბრუნებისთანავე დაიწყეს გარკვევა, სად იყო ხახიშვილი. ამ დროს ვასილი, თავის ძმასთან ერთად, უკვე შორეულ ციმბირში ჰყავდათ გადასახლებული. ის სასწრაფოდ დააბრუნეს საქართველოში. სამშობლოში დაბრუნებულმა კი კვლავ გააგრძელა სასულიერო მოღვაწეობა. ასე გადაარჩინა სიმღერამ ვასილ ხახიშვილი სხვა ქვეყანაში სამუდამო გადახვეწასა და სიკვდილს. სამწუხარო ბედი ეწია მის ძმას, ნიკოს, რომელიც გადასახლებაში გარდაიცვალა“.

ვასილ ხახიშვილი 1876 წელს სოფელ ხოვლეში დაიბადა. გორის სასულიერო სასწავლებლის დასრულების შედეგ, 1902 წელს თბილისის სასულიერო სემინარიაში ჩაირიცხა. 1902-1914 წლებში, ქვაბისხევის მონასტრის სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა, იყო მედავითნე მთაწმინდაზე. 1914-1917 წლებში პირველ მსოფლიო ომში მონაწილეობდა. 1917-1952 წლებში საერო სამსახურში მსახურობდა, ხოლო 1952 წლიდან გარდაცვალებამდე დიდგორის ეკლესიის მოძღვარი გახლდათ. ვასილ ხახიშვილი 1960 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია კუკიის სასაფლაოზე, ტაძართან ახლოს.



ილიას საფლავის კურთხევა, აკაკი წერეთელთან ერთად

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

აჭარაში საპატრულო ეკიპაჟების რაოდენობა 30 პროცენტით გაიზარდა

მირიან ბოქოლიშვილი

აჭარაში საკურორტო სეზონი აქტიურ ფაზაში შედის, ადგილობრივებისა და დამსვენებლების უსაფრთხოების მიზნით კი შინაგან საქმეთა სამინისტრო დამატებით ზომებს მიმართავს. გასულ კვირას, ირაკლი ღარიბაშვილმა პოლიციის რებრენდინგის ფარგლებში აჭარისა და ბათუმის საპატრულო პოლიციას დამატებით ახალი ავტომანქანები და კატარღები გადასცა.

„ტურისტული სეზონის დაწყებასთან დაკავშირებით, ჩვენ დამატებითი ზომები მივიღეთ აჭარის მოსახლეობისა და დამსვენებლების უსაფრთხოების მიზნით. შესაბამისად, საპატრულო ეკიპაჟების რაოდენობა გავზარდეთ 30 პროცენტით. მოძველებული ავტომანქანები შევცვალეთ ახლებით, სპეციალურად გამოვყავით „მინი კუპერების“ მარკის ავტომობილები, რომლებიც ტურისტულ ზონებში პატრულირებას უფრო ეფექტურს და მოქნილს გახდის“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა ბათუმში გამართულ ღონისძიებაზე.

თბილისის შემდეგ აჭარა პირველი რეგიონია, სადაც საპატრულო პოლიციის რებრენდინგი განხორციელდა და როგორც შსს-ში განმარტავენ, ეს პროცესი ეტაპობრივად საქართველოს ყველა რეგიონს მოიცავს.

საპატრულო პოლიციის განახლებული ავტოპარკს გადაეცა „შკოდა“-ს მარკის 21 ახალ ავტომობილი, რომელიც თანამედროვე სტანდარტებითაა აღჭურვილი.

ბათუმის ქუჩების სპეციფიკიდან გამომდინარე, მხოლოდ ბათუმის საპატრულო პოლიციას გადაეცა 7 ახალი „მინი კუპერი“-ს მარკის საპატრულო ავტომანქანა. ავტოპარკი განახლდა ელექტრორ ტრანსპორტითაც და მას 4 ერთეული ე.წ. „სეგვეი“ დაემატა. აჭარის საპატრულო პოლიციამ საზღვაო პატრულირებისთვის 1 კატარღაც მიიღო.

პოლიციის რებრენდინგის ფარგლებში რა რაოდენობის და რა მარკის ავტომობილები გადასცა ირაკლი ღარიბაშვილმა აჭარის საპატრულოს?

უწყებაში აცხადებენ, ზაფხულის საკურორტო სეზონის დადგომასთან დაკავშირებით საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში მომზადდა და შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დამტკიცდა ქვეყნის საკურორტო ადგილებში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად გასატარებელ ღონისძიებათა გეგმა, რომლის განხორციელებაშიც აქტიურად არიან ჩართულები შესაბამისი რეგიონების საპატრულო პოლიციის დამატებითი ძალები და საშუალებები. ამ საკითხზე ბათუმში თავად ღარიბაშვილმაც გაამახვილა ყურადღება.

„ჩვენ შეგვწევს უნარი, რომ ღირსეულად წარვსდგეთ საზოგადოების წინაშე იმ მიღწევებით, რომელიც უკანასკნელი 9 თვის განმავლობაში განხორციელდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში, სახელმწიფო უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების კუთხით. პატრულის საქმიანობის მარეგულირებელი ახალი სამართლებრივი ბაზა ითვალისწინებს, პოლიციის საზოგადოებასთან, მოქალაქეებთან ურთიერთობის, მათთან დაახლოების, დანაშაულის პრევენციისა და მასზე ეფექტური რეაგირების ახალი სტანდარტების შემოღებას“, – განაცხადა შს მინისტრმა.

გასულ კვირასვე პატრულ-ინსპექტორებს გადაეცათ ყველა საჭირო ატრიბუტიკა, მათ შორის, ახალი სამხრე კამერებით აღჭურვილი საპატრულო პოლიციის ახალი უნიფორმა.

10 აგვისტოდან პატრულის თანამშრომლები ბათუმის ბულვარში პატრულირებას ელექტრომობილებითაც განახორციელებენ.

ლიტერატურული პრემია „საბას“ ფინალისტები გამოცხადდა

ჟიურიმ 265 წიგნიდან 60 ფინალისტი დაასახელა

ლიტერატურული პრემია „საბას“ ფინალისტების ვინაობა უკვე ცნობილია! კონკურსის პირველი ეტაპი დასრულდა და „საბას“ ჟიურიმ დაასახელა ფინალისტები - ე.წ. შორტლისტები, სადაც პრემიაზე წარდგენილი 265 წიგნიდან მხოლოდ 60 მოხვდა.

ამით „საბას“ წინასაკონკურსო ციებ-ცხელება მთავარ ფაზაში გადავიდა, ვინაიდან სექტემბერში სწორედ ამ 60 ფინალისტიდან დასახელდება გამარჯვებულები - ისინი, ვინც საქართველოში ყველაზე ავტორიტეტული ლიტერატურული ჯილდოს და, მასთან ერთად, თიბისი ბანკის მიერ დაწესებული ფულადი პრემიების მფლობელები გახდებიან.

„საბას“ რიგით მე-11 საზეიმო დაჯილდოება სექტემბრის შუა რიცხვებში გაიმართება, რომელზეც კონკურსის ჟიური გამარჯვებულ ავტორებს 10 ნომინაციაში გამოავლენს. საპრემიო ფონდი 44 ათას ლარს შეადგენს, რომელსაც გამარჯვებულ ავტორებს „საბას“ კონკურსის დამფუძნებელი და ორგანიზატორი, თიბისი ბანკი გადასცემს.

ყოველწლიური ლიტერატურული პრემია „საბა“ 2003 წელს დააფუძნა თიბისი ბანკმა, „პენ-ცენტრმა“ და „რუსთავი-2“-მა. პრემიის მიზანია წლის საუკეთესო წიგნების გამოვლენა. ჟიურის მიერ პრემიაზე განიხილება საქართველოში წინა წელს გამოცემული ყველა ორიგინალური ლიტერატურული ნაწარმოები, უცხოური ნაწარმოების ქართული თარგმანი და, ასევე, ქართული ნაწარმოების უცხოური თარგმანები. ცალკე გაიცემა პრემია „ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის“.

წლევანდელი ნომინაციების ფინალისტების სია ასეთია:

საუკეთესო პოეტური კრებული

1. ანდრო ბუაჩიძე, „ღამის ნათელი“;
2. ლია სტურუა, „დავიწყების დღე“;
3. ბესიკ ხარანაული, „მთავარი გამთამაშებელი“;
4. გაგა ნახუცრიშვილი, „სტროფი“.
5. გივი ალხაზიშვილი, ეპისტოლეთა წიგნი;
6. დიანა ანფიმიადი, „ახლოხედვის ტრაექტორია“;
7. ვაჟა ხორნაული, „როგორც ბაღიდან სურნელება - ლექსი გამოვიდა გულიდან“;
8. იაკი კაბე, ლექსები;
9. კატო ჯავახიშვილი, „ნაცვალი სახელი“.

საუკეთესო პროზაული კრებული

1. გიორგი შერვაშიძე, „ჩემი იერუსალიმი“;
2. ზაალ სამადაშვილი, „ავტოპორტრეტი წიგნების ფონზე“;
3. ირაკლი ლომოური, „ავტონეკროლოგი“;
4. ირაკლი სამსონაძე, „შემკრთალი ქუჩა“;
5. ნატა ვარადა, „დედის კერძი“;
6. ნელი ბატიაშვილი, „გამჭოლი ქარი“;
7. ცოტნე ჩიქოვანი, „ცხოვრების გზაზე“;
8. გიო მგელაძე, „SMS“.

საუკეთესო რომანი

1. ერეკლე დეისაძე, „დამლაგებელი“;
2. ირაკლი ბერიაშვილი, „იუდა“. 1982;
3. ირაკლი სამსონაძე, „ღრუბელი სახელად დარინდა“;
4. ლადო კილასონია, „ფანტომასის კვალდაკვალ“;
5. ლაშა იმედაშვილი, „თბილისური ამბავი“;
6. მიხო მოსულიშვილი, „ჰელესა“;
7. ნაირა გელაშვილი, „მე ის ვარ“.

საუკეთესო ლიტერატურული დებიუტი

1. თამთა დოლიძე, „წყლის სახლი“;
2. ლევან ორახელაშვილი, „მისტერ მემედ ეფენდის მისტერიები“;
3. მარი ბექაური, „ელექტროთაობა“;
4. მარინა ელბაქიძე, „გაცვლა“;
5. ნათია მერებაშვილი, თარგმანისათვის - ტუვე იანსონის „საზაფხულო წიგნი“;
6. ნუკრი ბერეთელი, „ჩიხი“;
7. სოფიკო ალავერდაშვილი, „ბალეტი ტროტუარზე“;
8. კატია ვოლტერსი, „იერიქონის ვარდი“;
9. ზაზა კოშკაძე, „შუაღამის ცეკვა კიბოსთვის“.

საუკეთესო პიესა

1. ალექს ჩიღვინაძე, „ქალაქის მერის ცოლის საყვარელი“;
2. ბასა ჯანიკაშვილი, „ლაბადა და ფეხსაცმელი“;
3. ბექა ქურხული, „აჰა, საცაა ხე წაიქცევა“;
4. დათო ტურაშვილი, „დოდოს მოლოდინში“;
5. ირაკლი სამსონაძე, „კლინიკური ქორწინება“;
6. ვანო ჩხიკვაძე, „20 წლის წინათ“.

საუკეთესო თარგმანი

1. გია ბერაძე - ჯ. მ. კუტზეეს „სირცხვილი“;
2. გია ბერაძე - ჯეიმს ჯოისის „ხელოვანის პორტრეტი ახალგაზრდობისას“;
3. გია ჭუმბურიძე - პ.გ ვუდჰაუსის „დაიკიდე, ჯიგზ!“;
4. გიორგი შაყულაშვილი - ომერ სეიფედინის „პირველი ცოდვა“;
5. გიორგი ქაჯაია - გაიუს პეტრონიუს არბიტერის „სატირიკონი“;
6. დალი ფანჯიკიძე - გრიგოლ რობაქიძის „ქალღმერთის ძახილი“;
7. ზაზა ჭილაძე - იულიამ ფოლკნერის „დროშები მტვერში“;
8. თამარ ჯაფარიძე - ჰენრი მილერის „კირჩხიბის ტროპიკი“;
9. ლია ჩლაიძე - ორჰან ფამუქის „მდუმარე სახლი“;
10. ნანა გოგოლაშვილი - გრიგოლ რობაქიძის „მეგი - ქართველი გოგონა“;
11. ნანა ჯანაშია - ოია ბაიდარის „დაფერფლილები“;
12. ნიკა სამუშია - ჩაკ პალანიკის „მებრძოლთა კლუბი“;
13. ხათუნა ცხადაძე - ანტონიო ტაბუკის „მიაჩნია პერეირას“.

საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა

1. ელგუჯა თავბერიძე, კოლიმგრაფი;
2. ოქტაი ქაზუმოვი, 129 გვერდი ლიტერატურაზე.

საუკეთესო ესსეისტიკა და დოკუმენტური პროზა

1. არჩილ ქიქოძე, ესსეები;
2. გიორგი მაისურაძე, დაკარგული კონტექსტები;
3. ზაზა ბურჭულაძე, ნორმა;
4. ლევან ბრეგაძე, ყოფითი რწმენა-წარმოდგენები;
5. პეტრე მამრაძე, ავანტიურა 08.08.08;
6. რუსუდან გორგილაძე, კერძთაყვანისცემა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

შსს-მ ექვსთვიანი მუშაობის ანგარიში წარადგინა

სიახლეები, რომლებიც განსაკუთრებით საინტერესოა მძღოლებისთვის

გასულ კვირასვე ირაკლი ღარიბაშვილმა შესაბამისი უწყების პირებთან ერთად საზოგადოებას სამინისტროს ექვსი თვის მუშაობის ანგარიში წარუდგინა. როგორც უწყებაში განმარტავენ, 2013 წლის პირველ ექვს თვეში შინაგან საქმეთა მინისტრის ინიციატივით განხორციელდა საპატრულო პოლიციის სრული რებრენდინგი: როგორც დედაქალაქში, ისე საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე ავტოპარკი განახლდა თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ახალი ავტომანქანებით; აღნიშნულ ავტომანქანებზე განთავსდა ახალი დიზაინის წარწერები და ლოგოები, ისინი აღიჭურვა ვიდეოსამეთვალყურეო კამერებით, ბორტ-კომპიუტერებითა და ახალი საკომუნიკაციო საშუალებებით; ასევე დაიხვეწა და მთლიანად შეიცვალა საპატრულო პოლიციის ფორმა, ტანსაცმელი, ის აღიჭურვა ისეთი თანამედროვე, სპეციალური საშუალებებით, როგორიცაა: სამხრე ვიდეოკამერები და ელექტროშოკები, ალკოტესტები (პრომილეს საზომი დაბეჭდვითი ფუნქციით) და სხვა.

სამართალდარღვევის ეფექტური აღკვეთის და პრევენციის მიზნით საქართველოს ძირითად საავტომობილო გზებსა და ქალაქების ქუჩებში დამატებით დამონტაჟდა 29 ახალი ზედამხედველობის ავტომატიზებული სისტემები (ე.წ.რადარი): ავტომაგისტრალებზე – 12, ხოლო თბილისში – 17 რადარი. რადარების წინ განთავსდა შესაბამისი საგზაო ნიშნები. რადარის მიერ დაფიქსირებული გადაჭარბებული სიჩქარით მოძრავი ავტომანქანა ფიქსირდება სპეციალური კამერის მეშვეობით და მფლობელს შესაბამისი ადმინისტრაციული ჯარიმა მისდის რეგისტრაციის ადგილზე. ამავდროულად, საპატრულო პოლიცია საჯარიმო ქვითრის ჩაბარებამდე დამრღვევ მძღოლს SMS-ით აფრთხილებს. ჯარიმის გადახდის ვადის ამოწურვამდე 5 დღით ადრე მოქალაქეს SMS-ით მისდის შეხსენება.

შსს-ში განმარტავენ, რომ იგეგმება საგზაო სატრანსპორტო შემთხვევების მონაცემთა ბაზის დახვეწაც, რისთვისაც საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები აღიჭურვა ჯიპიეს სისტემით, რათა საგზაო სატრანსპორტო შემთხვევის დროს მოხდეს ადგილის ზუსტად დაფიქსირება, ე.წ. „შავი წერტილების“ დადგენა, შემდგომში პრევენციული ზომების განხორციელებისათვის.

იმ რეგიონებში, სადაც აქამდე არ ვრცელდებოდა საპატრულო პოლიციის უფლებამოსილება და მომსახურება, დღეისთვის ის ხელმისაწვდომი გახდა, როგორც თბილისის გარეუბნებში, ასევე კახეთის, იმერეთის, მცხეთის, ქვემო ქართლის და აჭარის სხვადასხვა ტერიტორიაზე. ამ ეტაპზე მიმდინარეობს სამუშაო პროცესი გომი-საჩხერე-ჭიათურა-ზესტაფონის მიმართულებით საპატრულო პოლიციის ახალი დანაყოფის შექმნასთან დაკავშირებით.

დღეისთვის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში სულ 3 564 თანამშრომელი მუშაობს, საპატრულო პოლიციის ავტოპარკში ავტომანქანების რიცხვი 245-იდან 300-მდე გაიზარდა: თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოს 280 პატრულ-ინსპექტორი და 35 ავტომანქანა დაემატა, ხოლო სამეგრელო-ზემო სვანეთის მთავარ სამმართველოს – 40 პატრულ-ინსპექტორი და 7 ავტომანქანა; შიდა ქართლის მთავარ სამმართველოს – 18 პატრულ-ინსპექტორი და 3 ავტომანქანა; კახეთის მთავარ სამმართველოს – 18 პატრულ-ინსპექტორი და 3 ავტომანქანა; აჭარის მთავარ სამმართველოს – 42 პატრულ-ინსპექტორი და 7 ავტომანქანა.

გარდა ამისა, სამინისტროს მიერ პარლამენტში ინიცირებულია ახალი კანონპროექტი, რომლის მიხედვით სამართლის ნორმების ნაწილი გამკაცრდა, ხოლო ნაწილი შემსუბუქდა.

რაც შეეხება, სასაზღვრო პუნქტებს, 2009 წლიდან შსს საპატრულო პოლიცია სახელმწიფო სასაზღვრო-გამტარ პუნქტებში პასუხისმგებელია სასაზღვრო რეჟიმის დაცვასა და სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლზე. დღეისთვის საქართველოში ფუნქციონირებს 19 სასაზღვრო გამტარი პუნქტი, აქედან 3 აეროპორტი, 3 პორტი, 2 სარკინიგზო საზღვარი და 11 სახმელეთო საზღვარი.

ამერიკის ენერგეტიკის დეპარტამენტთან ინტენსიური თანამშრომლობის შედეგად, დღეის მონაცემებით, საქართველოს ყველა სასაზღვრო გამტარ პუნქტზე სრულდება რადიაციულ ნივთიერებათა აღმომჩენი პორტალური მონიტორების მონტაჟი.

„ვისოლ ჯგუფი“ აჭარაში „ვისოლის“ სერვის-ცენტრსა და „ვიანორის“ ავტო-ტექმომსახურების ცენტრს ხსნის

„ვისოლ ჯგუფი“აჭარაში „სმარტის“ ორ სუპერმარკეტს, „ვისოლის“ სერვის-ცენტრსა და „ვიანორის“ ავტო-ტექმომსახურების ცენტრს ხსნის.

„ვისოლის ჯგუფი“ აჭარის რეგიონში ბიზნესის გაფართოებას განაგრძობს და სუპერმარკეტების ქსელის „სმარტის“ ერთდროულად 2 ახალ ობიექტს ხსნის. ამასთან, დღესვე „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიასა“და ავტო-ტექმომსახურების ქსელის „ვიანორის“ ახალი ცენტრები გაიხსნა.

„ვისოლ ჯგუფის“ წარმომადგენელთა განცხადებით, ბათუმში, აღმაშენებლის ქუჩასა და ახალსოფელში მდებარე სუპერმარკეტების გახსნით „ვისოლ ჯგუფმა“ „სმარტის“ ქსელის შექმნა უკვე აჭარაშიც დაიწყო და უახლოეს პერიოდში კიდევ დამატებით რამდენიმე, როგორც პატარა ფორმატის, ასევე დიდი ფორმატის სუპერმარკეტები გაიხსნება. დიდი ფორმატის სუპერმარკეტი 7,000 კვადრატული მეტრის მქონე სავაჭრო ცენტრში განთავსდება, რომელსაც „ვისოლ ჯგუფი“ ბათუმის ცენტრში აშენებს.

„ვისოლ ჯგუფის“ შვილობილი კომპანიების ქსელის განვითარება აჭარის რეგიონში აქტიურ ფაზაში შედის. მოხარული ვართ, რომ დღეიდან, ადგილობრივ მოსახლეობასა და დამსვენებლებს საშუალება ექნებათ „სმარტში“ უმაღლესი ხარისხის პროდუქტის ფართო არჩევანით, ექსკლუზიური შეთავაზებებითა და ევროპული სტანდარტის მომსახურებით ისარგებლონ. „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ მომსახურების ახალი ცენტრი კი კიდევ უფრო გაუმარტივებთ ავტომაგისტრალზე მოძრავ სატვირთო თუ მსუბუქი ავტომობილების მძღოლებს სრულყოფილი მომსახურება მათთვის მოსახერხებელ ადგილას მიიღონ. ავტო-ტექმომსახურების ქსელის „ვიანორის“ კიდევ ერთი ცენტრი კი კვლავ გაანებივრებს მომხმარებლებს უმაღლესი ხარისხის მომსახურებითა და „ტოტალის“, „ფინასა“და „შევრონის“ საავტომობილო ზეთებითა თუ სხვა ავტომანქანებისათვის აუცილებელი ექსკლუზიური პროდუქტებით. „ვიანორი“ უმსხვილესი, მულტინაციონალური კომპანიაა და ჩვენ მოხარული ვართ, რომ საქართველოში ამ ბრენდის განვითარება ექსკლუზიურად „ვისოლ ჯგუფს“ ერგო წილად. ახლადგახსნილ ობიექტებზე „ვისოლ ჯგუფმა“ დღეს დამატებით 110 ადამიანი დაასაქმა და ეს ჩვენი ბიზნესჯგუფის ყველაზე დიდი მიღწევაა. ყველა თანამშრომელი უფასო კვებითა და ჯანმრთელობის დაზღვევით ისარგებლებს“, - აცხადებს „ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტი სოსო ფხაკაძე.

„სმარტის“ ახალი სუპერმარკეტები მომხმარებლებს ყოველდღიური მოხმარების ევროპული თუ ადგილობრივი წარმოების უმაღლესი ხარისხის პროდუქტების ფართო არჩევანს შესთავაზებენ. ორივე სუპერმარკეტში განთავსებულია „სმარტ კაფე“ უგემრიელესი საკონდიტრო პროდუქტებით, მზა კერძებით, სასმელებით და უფასო ინტერნეტ (WIFI) ზონით. აქვე მომხმარებელს საშუალება ექნება ისარგებლოს ბანკომატით და სწრაფი გადახდის ტერმინალებით. „სმარტის“ სუპერმარკეტები მომსახურების გამორჩეული ხარისხით მომხმარებლებს სრულ კომფორტს უქმნიან.

„ვისოლ ჯგუფმა“ „სმარტის“ ქსელის განვითარება 2010 წელს დაიწყო. ახალგახსნილი სუპერმარკეტების გარდა, „სმარტი“ დღესდღეობით ფუნქციონირებს თბილისში აღმაშენებლის ხეივნის მე-13 კილომეტრზე, რუსთაველის გამზირზე, ვაზისუბნის მეორე მიკრო რაიონში, კახეთის გზატკეცილზე, გუდაურში, ზუგდიდში, მარნეულში, ახალციხეში, ყვარელსა და ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გორის მონაკვეთზე.

„ვისოლ ჯგუფის“ წარმომადგენელთა განცხადებით, „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ პირველი მომსახურების ცენტრი ბათუმში 2007 წლიდან ფუნქციონირებს და ადგილობრივ მომხმარებლებს მომსახურების სრულყოფილ პაკეტს სთავაზობს. „ვიანორის“ ავტო-ტექმომსახურების პირველი ცენტრი კი ბათუმში, თამარ მეფის გამზირზე 2012 წელს გაიხსნა და ადგილობრივ მომხმარებლებს უმაღლესი ხარისხის „ტოტალის“, „ფინასა“ და „შევრონის“ საავტომობილო ზეთებს, „ფრამის“ საავტომობილო ფილტრებს, „ვალეოს“ ავტონაწილებს, ვულკანიზაციისა და ბალანსირების სრულ მომსახურებასა და სხვადასხვა მომსახურებებს სთავაზობს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

საავტორო უფლებების დაცვა და კულტურული

ნათია ქანთარია

ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდმა „ოქროს ფრთამ“ რეგიონალური მედიის მხარდაჭერის ფარგლებში, რეგიონის ჟურნალისტებისთვის, საავტორო უფლებების დაცვის და კულტურული მემკვიდრეობის გარშემო არსებული დავების შესახებ სემინარი გამართა. სემინარის მიზანი, აღნიშნულ თემებზე ჟურნალისტებისთვის ამომწურავი ინფორმაციის გაცნობა იყო, რაც მათ შემდგომ საქმიანობაში დაეხმარება და შესაბამის კომპეტენციას შესძენს. სემინარზე მოწვეულმა ექსპერტებმა მედიას არსებული კანონმდებლობაც გააცნეს და სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების კონკრეტული მაგალითები მოიყვანეს. როგორ უნდა დავიცვათ საავტორო უფლებები და რა როლი ენიჭება მედიას ამ კუთხით. ამის შესახებ ჟურნალისტებს საავტორო უფლებათა ასოციაციის ხელმძღვანელი, იურისტი, მედეა შენგელია ესაუბრა.

მედეა შენგელია: - იმისთვის, რომ ჟურნალისტმა არ დაარღვიოს საავტორო უფლება, მან უნდა იცოდეს რა საავტორო უფლებები არსებობს, რომელი ექვემდებარება დაცვას და რომელი არ ექვემდებარება. იმისთვის, რომ ჟურნალისტმა სხვისი საავტორო უფლება დაიცვას, აუცილებელია, პირველ რიგში, განსაზღვროს რა უფლებასთან არის შემხებლობაში. თუ ის კონკრეტული საავტორო უფლებით დაცულ ნაწარმოებს იყენებს, ამისთვის საავტორო უფლებით დაცულია ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების ნაწარმოები. თუ ამ სამიდან ერთ-ერთს იყენებს, აუცილებლად, პირველ რიგში კანონი ავალდებულებს, ნებართვა მიეცეს უშუალოდ ავტორისგან ან საავტორო უფლებების სხვა მფლობელისგან და ასევე, შეუთანხმდეს საავტორო ჰონორარის გადახდაზე. შეიძლება ნაწარმოების გამოყენების უფლება უსასყიდლოდ მიიღოს. ეს მთლიანად მოლაპარაკების საგანია, შეიძლება ნაწარმოების გამოყენების უფლება, ან ნებართვა მიიღოს სასყიდლიანად და ესეც შეთანხმების საგანია, სად რა პირობებში მიიღებს ის ნაწარმოებს. რა თქმა უნდა, საავტორო უფლებაზე ნებართვა რომ გამოიყენო, კანონი სავალდებულოდ მიიჩნევს, რომ ეს იყოს აუცილებლად წერილობითი ფორმით, წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე დაიდოს მხარეებს შორის შეთანხმება, სადაც კონკრეტულად აისახება რა ნაწარმოების გამოყენების უფლება აქვს, რა პირობებით აქვს, რომელ ტერიტორიაზე უნდა გამოიყენოს, რამდენი წლის ვადით პერიოდი, თანხა, ფინანსური პირობები, ანუ ყველაფერი უნდა იყოს ხელშეკრულებით განსაზღვრული და სწორედ ამ ხელშეკრულების ფარგლებში უნდა იმოქმედოს ჟურნალისტმა, თუ ის შეეცდება სხვისი საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოები გამოიყენოს.

ჩვენი ორგანიზაცია, უახლოეს მომავალში, გამოსცემს ჟურნალისტების უბის წიგნაკს, ეს არის ძალიან კომფორტული უბის წიგნაკი, რომელიც შეიცავს დეტალურ აღწერას იმ უფლებებისა, რაც ჟურნალისტს შეეხება და ასევე იმ უფლებების, რაც ზოგადად არსებობს საავტორო უფლებით დაცულ ნაწარმოებთან დაკავშირებით. ეს უბის წიგნაკი ასევე ითვალისწინებს გარკვეული სახის გამონაკლისებსაც, რომელიც კანონმდებლობით არსებობს და ეს არის ის გამონაკლისები, რომელიც ნებისმიერ პირს და მათ შორის ჟურნალისტს, საავტორო ჰონორარის გადახდისაგან და ასევე ნებართვის აღებისგან ათავისუფლებს. თუ ის საავტორო უფლებით დაცულ ნაწარმოებს იყენებს. მაგალითისთვის შემიძლია გითხრათ, ილუსტრაცია, ციტირება, ასევე მიმოხილვითი ხასიათის საინფორმაციო გადაცემების შექმნა და ა.შ. გარკვეული სახის გამონაკლისების, რომელიც დეტალურად იქნება აღწერილი ამ უბის წიგნაკში და ჟურნალისტს შეექმნება ზუსტი წარმოდგენა რა უფლებები აქვს ავტორს, ეს იქნება პირადი ქონებრივი უფლებები, არაქონებრივი უფლებები, რა შემთხვევაში უნდა დაიცვას ჟურნალისტმა საავტორო უფლებები, რა შემთხვევაში არა, აბსოლუტურად ვრცელი და საკმაოდ საინტერესო ხასიათის პატარა უბის წიგნაკი იქნება, რომელსაც ნებისმიერ დროს კომფორტულად ატარებს ჟურნალისტი და ნებისმიერ დროს მისთვის საინტერესო თემას აუცილებლად ამოიკითხვას.

ყველასთვის ცნობილია, რომ ინტელექტუალური საკუთრების მითვისება მსოფლიოში გავრცელებული დანაშაულია და ის თითქმის ყველა ქვეყანაში ხდება. მსგავსი პრობლემების თავიდან ასაცილებად იქმნება უამრავი საერთაშორისო ორგანიზაციები. 1983 წელს, პრაღაში, შეიმუშავეს ჟურნალისტთა პროფესიული ეთიკის პრინციპები, სადაც გათვალისწინებულია ის, რომ მან პატივი უნდა სცეს ინტელექტუალურ საკუთრებას. ეს პრინციპი ასევე გათვალისწინებულია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერაც. მედიის წარმომადგენლები აღიარებენ ჩამოთვლილი პრინციპების დაცვის ვალდებულებას და იმ პასუხისმგებლობას, რომელიც თან ახლავს ამ ვალდებულებას შეუსრულებლობას. საავტორო უფლება არის ინტელექტუალური საკუთრების ერთ-ერთი სახე, რომელიც ადამიანის გონებრივ, შემოქმედებით საქმიანობას გულისხმობს, რომელიც შესაბამისად ვრცელდება მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის გონების ქმნილებებზე. საავტორო უფლებებს საქართველოში არეგულირებს საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ.

კანონში მედიის საავტორო უფლებები ძირითადად გადმოცემულია მე-14 მუხლში: „დაუშვებელია გაზეთში, ჟურნალში ან სხვა პერიოდულ გამოცემაში შესული ნაწარმოებების გამოყენება სხვა პირის მიერ, ამ გამოცემის, გამომცემლის ავტორის თანხმობის გარეშე“, - ნათქვამია კანონში. ამავე კანონის მიხედვით, იმ შემთხვევაში თუ მედია გამოიყენებს ინფორმაციის სხვა საშუალებაში გამოქვეყნებულ ექსკლუზიურ მასალას, აუცილებელია დაიმოწმოს ის გაზეთი თუ ჟურნალი, სადაც ეს მასალა პირველად გამოქვეყნდა. კანონში, რომელიც საავტორო უფლებებს იცავს, არაფერია ნათქვამი ინტერნეტ-მედიაზე და შესაბამისად, ამ სფეროში არც რეგულაციები არსებობს.

პლაგიატი ქართულ მედიაში დიდ სირთულეს წარმოადგენს, მისი აღმოჩენის შემთხვევაში, თუკი მხარეებს შორის არ არის შეთანხმება და მოლაპარაკება არ შედგა, დაზარალებულ მხარეს აქვს უფლებამოსილება მიმართოს სასამართლოს, რადგან ავტორმა თავად უნდა იზრუნოს საკუთარი საავტორო უფლების დასაცავად და მოახდინოს რეაგირება მისი უფლების დარღვევაზე; პლაგიატის შემთხვევაში, მას შეუძლია თავი დაიცვას სამოქალაქო სამართლებრივი წესით. შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, მოქმედების აღკვეთა, რომელიც არღვევს მის უფლებას, ასევე, შესაძლებელია მოითხოვოს მორალური ზიანის ანაზღაურებაც, თუკი ადგილი ჰქონდა მისი რეპუტაციისა და ღირსების შელახვას. დაუშვებელია გაზეთში, ჟურნალში ან სხვა პერიოდულ გამოცემაში შესული ნაწარმოების გამოყენება სხვა პირის მიერ ამ გაზეთის, ჟურნალის ან პერიოდული გამოცემის, გამომცემლის, ანდა ნაწარმოების ავტორის თანხმობის გარეშე. ასევე მნიშვნელოვანია, რომ პრესაში ან მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებაში გამოქვეყნებული ექსკლუზიური მასალის სხვა საინფორმაციო საშუალების მიერ გამოყენების შემთხვევაში, აუცილებელია იმ საინფორმაციო საშუალების დამოწმება, რომელშიც ეს მასალა პირველად გამოქვეყნდა.

უცხოეთის ქვეყნებს შორის საფრანგეთი წარმოადგენს ერთ-ერთ გამონაკლისს, სადაც საავტორო უფლებები განსაკუთრებით მაღალ დონეზეა აყვანილი; პირველი დოკუმენტიც, ბერნის კონვენცია, მიღებულ იქნა ფრანგი კლასიკოსების მიერ, რადგან მათი მთავარი პრობელმა პლაგიატი იყო.

თანამედროვე ეპოქაში, სადაც ინტერნეტი ფართოდ გამოყენებადია, საავტორო უფლებების დარღვევა გვევლინება ინტერნეტ-პლაგიატობის სახით, რაც უამრავი ადამიანისთვის წარმოადგენს პრობლემას. აშკარაა, რომ საქართველოში ჯერ კიდევ ძალიან ბევრი რამაა გასაკეთებელი ამ კუთხით, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს საავტორო უფლებებს, იძლევა იმის საშუალებას, რომ დაცული იყოს ავტორის უფლებები; პრაქტიკაში მისი განხორციელება საკმაოდ რთულია, ალბათ, იქიდან გამომდინარე, რომ თვითონ საავტორო უფლების მქონდე პირები არ მიიჩნევენ სერიოზულ პრობლემად ამ ფაქტს, იმისთვის, რომ საზოგადოებას ამ საკითხისადმი დამოკიდებულება შეეცვალოს, აუცილებელია, ცნობიერების ამაღლება, რათა მათ უკეთ გაიგონ რა სარგებლის მოტანა შეუძლია საავტორო უფლებების დაცვას და რომ საკუთარ ნაწარმზე უფლებების დაცვა კანონიერად შეუძლიათ.

საავტორო უფლებების დაცვის თემაზე ჟურნალიტებს უფლებადამცველთა გაერთიანების იურისტი, ადვოკატი, ბაია ოტიაშვილიც ესაუბრა.

ბაია ოტიაშვილი: - მოგახსენებთ, დღეს, საქართველოში რა მდგომარეობაა საავტორო უფლებების დაცვასთან დაკავშირებით. აღნიშნული კანონი რეგულირდება მა-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ოქროს ფრთამ“ რეგიონალური ჟურნალისტებისთვის სემინარი გამართა

ნამდე, კონსტიტუციასთან ერთად. სამოქალაქო კოდექსით მიღებულია კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ, 1998 წლიდან ცოტა სახეცვლილებით, მას შემდეგ შევიდა რამდენიმე ცვლილება. აღნიშნული კანონის რეალიზაციას, ანუ დაცვას, ახორციელებს საავტორო უფლებათა დაცვის ასოციაცია, რომელიც პრეზიდენტის ბრძანებით 2008 წლიდან შეიქმნა და ამ ორგანიზაციის შექმნის შემდეგ თვითშეგნება, ამ კუთხით, ქართულ საზოგადოებაში ნამდვილად ამაღლდა. ის, რომ სხვის სახელს პატივს, ღირსებას, სხვის უფლებას ვცეთ პატივი, ბოლო პერიოდში, რა თქმა უნდა, პროგრესია. მანამდე აღინიშნა კიდეც, ის რასაც ვერ ვხედავთ, არ ვეხებით, არ აღვიქვამთ, ის არ გვეგონა, რომ იყო საავტორო უფლება, ანუ სახელის ტარების უფლება. ვინც თვლის, რომ არ გაქვს შენი სახელის ტარების უფლება, შეგიძლია მიმართო სასამართლოს. სასამართლოში მიმართვის საფუძველი შეიძლება იყოს ორიდან ერთ-ერთი ან ორივე. ანუ მოვთხოვოთ მას პატივის და სახელის უფლების აღდგენა და კომპენსაციაც. კომპენსაციის ოდენობა არ არის დადგენილი, უნდა იყოს მინიმუმი, თუ უნდა იყოს მაქსიმუმი. მსოფლიოში აპრობირებულია, რომ მილიონებს ითხოვენ. საქართველოში ეს ასე არ არის. იყო ასეთი პრაქტიკა, რომ სიმბოლურად ითხოვდა ერთ ლარს, ერთი ლარის დაკმაყოფილებასთან ერთად მას დაევალა ბოდიში მოხდა.

რეგიონალური ჟურნალისტებისთვის გამართულ სემინარზე, უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარემ, ნიკოლოზ მჟავანაძემ, ყურადღება კულტურული მემკვიდრეობის შესახებ არსებულ დავებზე და ქვეყანაში ამ მხრივ შექმნილ პრობლემებზე გაამახვილა.

ნიკოლოზ მჟავანაძე: - საქართველოში მემკვიდრეობის ძეგლების მიმართ პოლიტიკა სამწუხაროდ, არაადეკვატური იყო და რეალურად შემიძლია ვთქვა, დანაშაულებრივიც, ვინაიდან ხდებოდა უხეში ჩარევა კულტურულ მემკვიდრეობით ძეგლებზე, არ ხდებოდა საზოგადოების, ექსპერტების სპეციალისტების პოზიციების გაზიარება. ამის დასტურია თუნდაც ბაგრატის ტაძარი, როდესაც ყველა მოუწოდებდა ხელისუფლებას: ექსპერტები, სპეციალისტები, საპატრიარქო, იუნესკო, რომ ისინი გაჩერებულიყვნენ, არ მოეხდინათ ამ ძეგლის იმდაგვარად რეკონსტრუქცია, რომ რეალურად ამისი ავთენტურობა დაკარგულიყო და სამწუხაროდ, ეს ყველაფერი არ იქნა გაზიარებული და ჩვენ დავკარგეთ ეს ძეგლი, იმ კუთხით, რომ აღარ არის ის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში, ანუ იუნესკომ ამოიღო ეს თავისი სიიდან, რაც საკმაოდ ცუდი ფაქტია და მე ვფიქრობ, რომ ამაზე პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს იმ ადამიანებს, ვინც ამ გადაწყვეტილებას იღებდა. ზოგადად, ძალიან ხშირად ხდება უხეში ჩარევები სხვადასხვა სარეკონსტრუქციო სამუშაოების დროს და ამით გარკვეულწილად პრობლემები იქმნება, როგორც თბილისის შემოგარენში, ასევე მთელ საქართველოში. რეალურად ძეგლები არის ისეთი თემა, რომლებშიც აუცილებლად უნდა იყოს ჩართული საპატრიარქო, სპეციალისტები და საელჩო. სამწუხაროდ ამის განხორციელება არ ხდებოდა.

პრობლემა გვხვდება არა მარტო შიგნით ქვეყანაში, არამედ იმ ტერიტორიებზე, რომელსაც ჩვენ ვერ ვაკონტროლებთ, იგივე თურქეთში და დავიდ გარეჯში. საქართველო შესაბამის საერთაშორისო კონვენციებს მიერთებული ქვეყანაა. არსებობს თურქეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს პირველი პირების ხელმოწერილი დოკუმენტი თანამშრომლობის შესახებ. რეალურად აქ გვაქვს ჩვენ ისეთი დოკუმენტები, რომლებზე დაყრდნობითაც შეგვიძლია გავაპროტესტოთ და ჩავრთოთ იუნესკო, საერთაშორისო სტრუქტურები, იმაში, რაც თურქეთში ხდება. თურქეთში წაშალეს ქართული კვალი. რეალურად იქ გაანადგურეს ის, რაც იყო მანიშნებელი იმისა, რომ ეს ქართული ძეგლები იყო, რეალურად, იქ რკინა-ბეტონის კონსტრუქციებით აშენებენ კედლებს და ჩამოფხიკეს ყველაფერი.

მართალია ხელისუფლების მხრიდან იყო მოწოდება, რომ შეჩერებულიყო, მაგრამ ის საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც სწორედ ამ კუთხით მუშაობდნენ, არ იყვნენ გამოყენებულნი და ჩართულნი ამ პრობლემაში. მეზობელ ქვეყნებთან ჩვენი ძალთა თანაფარდობა სხვადასხვაა, მაგრამ როდესაც შენს კვალს შლიან, ამაზე რაღაც საერთაშორისო მიმართულებითაც უნდა იაქტიურო. საერთაშორისო ტრიბუნა უნდა გამოიყენო, რაც არ იყო და არ არის დღესაც გამოყენებული. იგივე, რაც დავით გარეჯთან მიმართებაში ხდება, ესეც აღმაშფოთებელია, იქ რაღაც სამუშაოები დაიწყეს. იგივე აფხაზეთთან, ილორთან დაკავშირებით. მესმის, ჩვენ ვერ ვაკონტროლებთ ტერიტორიას, მაგრამ იქ, სადაც ვაკონტროლებთ, სამწუხაროდ, აქაც განადგურება ხდება. იგივე შემიძლია გითხრათ სვეტიცხოველთან დაკავშირებით, შეიძლება ამხელა ძეგლზე ასეთი უხეში ჩარევა?! სვეტიცხოველში კონდიციონერები დააყენეს, ადრე დრენაჟი იყო გაკეთებული, ამოყარეს... ზოგადად, ქალაქი მცხეთა სერიოზული პრობლემის წინაშეა, იმიტომ რომ ამ მიმართულებით იქაც აქტიური ჩარევა ხდება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სახელმწიფომ ამ მიმართულებით უნდა გადადგას ნაბიჯები, რათა ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა იქნას დაცული. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ არის მარტო ეკლესია-მონასტრები. არის მაგალითად, პარკები, სკვერები, შენობები... ჩვენ გვქონდა ერთ-ერთი შემთხვევა, როდესაც ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში მოხდა უნიკალური ხეების მოჭრა.

როდესაც გამოდიოდა კულტურის მინისტრი (ამ შემთხვევაში წინა მინისტრზე გვაქვს საუბარი), მედიის მხრიდან უნდა დასმულიყო კითხვები - რატომ არ იყენებთ საერთაშორისო ტრიბუნას, იმ კონვენციებს, რომლებზეც მიერთებული ვართ. საზღვრისპირა შემთხვევებზე მაქვს საუბრაი, მაგრამ ქვეყნის შიგნით არსებულ შემთხვევებზეც, ხელისუფლებასთან უნდა დასმულიყო კითხვები... პრინციპში, ბაგრატთან დაკავშირებით მედიას რაც შეეძლო გააკეთა, უბრალოდ, ამ ადამიანს ვერაფერი გააგებინეს. იუნესკომაც უთხრა, საპატრიარქომაც, მაგრამ ბოლომდე მიიყვანა და ბაგრატის ტაძარი 21-ე საუკუნის ძეგლად აქცია. ამიტომაც ამოღებულ იქნა ის სიიდან და რომ დაცლოდათ კიდევ სხვებსაც მიუყენებდნენ ამ გზას...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დეა თავზერიძე

ლენკა ზვიადაძის მორიგი გამარჯვება

პატარა ქართველმა მომღერალმა ლენკა ზვიადაძემ ჟიურის წევრები მოხიბლა და საერთაშორისო კონკურსის - „სლავიანსკი ბაზარი“ - გამარჯვებული გახდა. ეს კონკურსი ბელორუსში, ქალაქ ვიტებსკში წლებია იმართება. ეს ნიჭიერი, მომხიბვლელი და არტისტული გოგონა ჩვენს მაყურებელს კარგად ახსოვს ჯერ სატელევიზიო შოუდან „ნიჭიერი“, შემდეგ კი „ვერის უბნის მელოდიებიდან“. როგორც თავად ამბობს, მისი ამ კონკურსზე მოხვედრაც „ნიჭიერის“ დამსახურებაა. პირველ ადგილთან ერთად ლენკა პრიზით სამი ათასი დოლარითაც დაჯილდოვდა.

ლენკა ზვიადაძე: „გასულ წელს ამ კონკურსზე ჩემს მასწავლებელს ნანა ჟღერიას ჩემი მეგობარი მარიამ ბიჭოშვილი ჰყავდა წაყვანილი, რომელმაც „გრან-პრი“ ჩამოიტანა. მან ასევე აჩვენა ჩემი „ნიჭიერში“ გამოსვლები, იქ კი უთქვამთ - „ჩტო ეტა ზა ჩუდა“... მერე კი ოფიციალური მოწვევა გამომიგზავნეს... გამარჯვება, რა თქმა უნდა, ძალიან გამიხარდა. ცოტათი ვნერვიულობდი, მაგრამ როდესაც გავიგე პირველ ტურში ყველაზე მაღალი ქულები მე მქონდა, დავწყნარდი, იმედი მქონდა, რომ გავიმარჯვებდი. საბოლოოდ ყველაფრი მართლა ძალიან კარგად დასრულდა. გადამწყვეტი იყო, ეროვნული, ქართული სიმღერა. ოთარ ყუფუნიას არანჟირებით გაკეთებული სიმღერა შევასრულე „ჩემს სიმღერას ვინ გაიგებს“ ქართული ბაიათი, ხოლო მეორე ბარბარა სტრეიზანდის სიმღერა. კონკურსზე 21 ქვეყანა იყო, ჩვენი ჩათვლით, იქ სხვადასხვა ბავშვების პროდიუსერები იყვნენ, ბევრს ძალიან მოვეწონე. და პატარ-პატარა მიწვევებიც მივიღე, შუა აზიიდან, ესპანეთიდან, გერმანიიდან. როცა ოფიციალური მოწვევა მომივა, სადმე აუცილებლად გავემგზავრები.

- გამარჯვების გარდა კიდევ რა დაგამახსოვრდა ყველაზე მეტად?

- ძალიან კარგი დრო გავატარეთ. ყველა მონაწილე ბავშვს გვართობდნენ, თითოეულს თითო კოსტიუმირებული ზღაპრის გმირი გვყავდა მიჩენილი და ძალიან გვამხიარულებდა. იყო ატრაქციონები, იახტებით სეირნობა, შეიძლება ითქვას, რომ ფანტასტიკური დრო გავატართ. იქ ერთი კვირა ვიყავი... მონაწილეებიც გავიცანი და ყველას დავუმეგობრდი.



ლელა წურწუმიას ტურნე და განსხვავებული კონცერტი კახეთში

ლელა წურწუმიას სოლო კონცერტი 30 ივლისს თელავის ევროპარკშია დაგეგმილი. მომღერალს ტურნე საქართველოს მასშტაბით აქვს დაგეგმილი. შესრულდება ძველი და ახალი ჰიტები. მომღერალი სულ 15 სიმღერას შეასრულებს. კონცერტის ორგანიზატორის თქმით კახეთში ჩატარებული კონცერტი ყველასგან განსხვავებული იქნება.

ბექა ხალათაშვილი, კონცერტის პროდიუსერი: - კონცერტი 8 საათზე დაიწყება და დაახლოებით ორსაათნახევარს გასტანს. იქნება ძალიან განსხვავებული შოუს ელემენტებით. იქნება გათამაშებები. შეჯიბრებებიც. ერთ-ერთი შეჯიბრი იქნება წყალში ყვინთვა. გამარჯვებული ლელა წურწუმიას ახალ ალბომს მიიღებს საჩუქრად, ლელას ავტოგრაფით. ასევე იქნება კარაოკე, სამი მსურველიდან ვინც უკეთ შეასრულებს ლელას ცნობილ ჰიტს, მას თვითონ მომღერალი დაასაჩუქრებს. თუ რა პრიზით, საიდუმლოდ რჩება, ლელა არ ამხელს. კონცერტზე მოსულ მაყურებელს სასიამოვნო საღამოს ვპირდებით. ეს კონცერტი ყველას დაამახსოვრდება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ჩვენ გამოgViVA“-ს ახალი პროექტი - მემორანდუმი და არტ თერაპია რეგიონებში

17 ივლისს „Akhundov House“-ს არტ გალერეაში დიზაინერ ანუკი არეშიძის ინიციატივითა და არასამთავრობო ორგანიზაცია „დიალოგის და განვითარების“ ფონდის ორგანიზებით მოეწყო ქართულ-აზერბაიჯანული არტკულტურა სახელწოდებით - „ჩვენ გამოgViVA“. საქველმოქმედო ხასიათის ღონისძიება მიეძღვნა არტთერაპიის განვითარების ხელშეწყობას საქართველოში. ერთი თვის წინ, 19 ივნისს, სწორედ დიზაინერ ანუკი არეშიძის ინიციატივითა და „ხელოვნების სახლის“ ორგანიზებით, საქველმოქმედო პროექტის - „ჩვენ გამოgviva“-ს პრეზენტაცია შედგა. პროექტის ფარგლებში არტთერაპია უტარდებათ ონკოლოგიური პრობლემის მქონე ქალბატონებს, უფრო კონკრეტულად კი „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ თხუთმეტ წევრ ქალბატონს. ეს ის ქალბატონები არიან, ვინც კიბო დაამარცხეს და მათ კლუბს, რომელიც 300 ქალს აერთიანებს, ასეთი სახელი დაერქვა. ამ ქალბატონებს თექაზე, თიხასა და ქსოვილზე მუშაობას ასწავლიან. ზოგი მათგანი თიხის შემსწავლელთა ჯგუფშია, ზოგი კონსტრუირების, ზოგი თექის მოთელვის. თითოეული კურსის შესწავლა სამთვიანია, კვირაში ორ-ორი გაკვეთილით. პროექტის პრეზენტაციიდან ერთ თვეში ამ წამოწყებით აზერბაიჯანული არასამთავრობო ორგანიზაცია „დიალოგის და განვითარების“ ფონდი დაინტერესედა. სწორედ ამ ფონდისა და „ჩვენ გამოgViVA”-ს ორგანიზატორებს შორის „Akhundov House“-ს არტგალერეაში გაფორმდა მემორანდუმი, რომლის თანახმადაც ეს აზერბაიჯანული არასამთავრობო ორგანიზაცია მხარში დაუდგება საქველმოქმედო პროექტის - „ჩვენ გამოgviva“-ს მიერ საქართველოში განხორციელებულ ყველა პროექტს.

სპეციალურად ამ დღისთვის აზერბაიჯანიდან ჩამოსული იყო სამი დიზაინერი. მათ წარმოდგენილი ჰქონდათ ნაციონალურ მოტივებზე შექმნილი ნამუშევრები. წარმოდგენილი იყო ცნობილი აზერბაიჯანული ბრენდები - „არშინი“, „ზეჰრა“, „ბაქოს ეროვნული სამოსის სახლი“. ხელოვნების სახლს და დიზაინერ - ანა ჩანგიანს გამოფენილი ჰქონდა თექის აქსესუარები, მათ შორის აზერბაიჯანული ორნამენტებით შექმნილი შარფები და მოსაცმელები. თექის ელემენტებითა და ეროვნული სამოსის დეტალებით გაფორმებული იყო მოდის სახლის - „ბისონის“ კოსტიუმები. ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, ბიზნესსტრუქტურების წარმომადგენლები და სპეციალურად ამ ღონისძიებისთვის აზერბაიჯანიდან ჩამოსული სტუმრები. გაყიდული ნივთების ფული მთლიანად მოხმარდება ონკოლოგიური პრობლემის მქონე ქალბატონებს.

ანუკი არეშიძე: „არასამთავრობო ორგანიზაცია „დიალოგის და განვითარების“ ფონდის დამფუძნებელი რამილია ალიევა ჩვენი პროექტის პრეზენტაციაზე იყო მოსული და ურთიერთთანამშრომლობის სურვილი ძალიან მალევე გამოთქვა. შუა ზაფხულში, როცა ყველა დასვენებაზე ფიქრობს, ამ პროექტის ფარგლებში ბაქოდან სამი დიზაინერი ჩამოვიდა და ამ საქველმოქმედო საღამოსთვის თავიანთი ნამუშევრები ჩამოიტანა. ჩემი დიდი სურვილია ამ პროექტით - არტთერაპიით გავიდეთ რეგიონებში, იქ, სადაც ონკოლოგიური დაავადების მხრივ ყველაზე ცხელი წერტილებია. აქ გაფორმებული მემორანდუმიც ამ იდეას მოიცავს. აზერბაიჯანულ მხარესთან ერთად არტთერაპიას იქაც გავაკეთებთ. დიდი მადლობა რამილია ალიევას, რომ ამ პროექტს გვერდით დაუდგა. ეს იქნება მაგალითი სხვისთვის, რომ ასეთი პრობლემის წინაალმდეგ გაერთიანდით“.

ანა ჩანგიანი: „ძალიან საინტერესო წინადადება ჰქონდა რამილია ალიევას, მოგვეწყო ასეთი ერთობლივი ღონისძიება. აზერბაიჯანელმა დიზაინერებმა, ტრადიციულ

კოსტიუმებთან ერთად, შარფები ჩამოიტანეს. ორი საუკუნის კოსტიუმებიც კი ჩამოიტანეს. ეს კოსტიუმები ძალიან იშვიათად ტოვებენ თავიანთ სამყოფელს აზერბაიჯანში. გეტყვით, რომ „დიალოგი და განვითარების“ ფონდი სამომავლოდაც აპირებს ჩვენთან თანამშრომლობას“.

შთამბეჭდავი იყო რუსლან ჰუსეინოვის ხელნაკეთი თოჯინები. ეროვნულ სამოსში გამოწყობილი ხანუმები აზერბაიჯანულ კულტურაზე უტყვად საუბრობდნენ.

რუსლან ჰუსეინოვი: „ეს სულ ხელნაკეთია. კაბები, სამკაული ჩემი გაკეთებულია. გამოყენებული მაქვს ნატურალური ტყავი და ქსოვილი. თოჯინებს ოქროს წყალში ამოვლებული სამკაული ამშვენებს. თითოეული მათგანი ორიგინალია, არ მეორდება და 250 ევრო ღირს“.

არზუ ჰუსეინოვა: „ჩემთვის დიდი პატივია ცნობილი აზერბაიჯანული ბრენდების „არშინის“, „ზეჰრასა“ და „ბაქოს ეროვნული სამოსის სახლის“ წარმოდგენა. ჩვენს სამოსში ყველა დეტალს დატვირთვა აქვს, შემთხვევით არც ერთი არ არის მათზე. სამოსი მფლობელის სოციალურ მდგომარეობაზე მეტყველებს. მიხარია ამ პროექტში ჩართვა. ამ ერთობით ხაზი გაესვა ორი ერის თანამეგობრობას“.

რამილია ალიევა, არასამთავრობო ორგანიზაცია „დიალოგის და განვითარების“ ფონდის დამფუძნებელი: „ეს არასამთავრობო ორგანიზაცია ერთი წელია არსებობს. ჩვენ სხვადასხვა პროექტებზე ვმუშაობთ, ადამიანის უფლებებზე, ქალთა უფლებებზე... ერთი თვის წინ ამ პროექტში ჩართულობის სურვილიც გაგვიჩნდა. ჩვენთვის დიდი პატივია, რომ პატარა ნვლილის შეტანა შეგვიძლია ამ მშვენიერ პროექტში. აზერბაიჯანელი დიზაინერები და ქართული მოდის სახლები თავიანთი შემოქმედებით არიან ამ საქველმოქმედო აქციის მონაწილენი. ეს ის საქმეა, რომელიც ქვეყანას სჭირდება. მე საქართველოს მოქალაქე ვარ. გაფორმებული მემორანდუმის თანახმად კი ყოველთვის მხარს დავუჭერთ დიზაინერ ანუკი არეშიძის წამოწყებას. საქველმოქმედო აქციებში და არტთერაპიაში ერთობლივად ვიქნებით ჩართული. მადლობა ანუკის, ასეთი კარგი ინიციატივისთვის“.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნინა სუბლატი ახალი ცხოვრებით - პრ

my View
თამარ გონგაძე

„ლონდონში რომ ჩავალ, ვნახავ - რა შანსები შეიძლება მქონდეს“

ნინა სუბლატს პროექტმა „საქართველოს ვარსკვლავმა“ ცხოვრება შეუცვალა - გახდა გამარჯვებული, პოპულარული, მამასთან ურთიერთობა ააწყო, სასწავლებლად ლონდონში მიდის, მუშაობას იწყებს ალბომზე, შეყვარებულს დაშორდა... ზოგჯერ რა სწრაფად იცვლება ცხოვრება, ზოგჯერ კი წლები სჭირდება უბრალო ცხოვრებისეული სტატუსის შეცვლას. ნინა ჯერ მხოლოდ 18 წლისაა და ნამდვილად კარგი სტარტი აიღო. გამორჩეულია, ნიჭიერი და ზომიერად ამბიციური. საინტერესოა, როგორ გააგრძელებს კარიერას და რეალურად შეცვლის თუ არა ამინდს იმ შოუბიზნესში, რის არსებობასაც თვითონ უარყოფს.

ახლა ბათუმშია. ჯაზფესტივალის მოგებული ბილეთით მარიკო ლეჟავასთან ერთად წავიდა. „მარიკო ამ პროექტამდეც ჩემი დაქალი იყო. ყოველ წელს ერთად ვისვენებთ ზღვაზე და წელსაც ასეა“.

აგვისტოში ალბომზე მუშაობას გეგმავს. იმიჯის შეცვლას არ აპირებს, სამაგიეროდ მეცხრე ტატუს დამატებას გეგმავს. „არ ვიცი, სად და რას დავიხატავ, ცოტა დიდი ტატუ მინდა გავიკეთო. ბევრი ადგილიც აღარ დამრჩა სხეულზე. თუ დამეტევა რაც მინდა, აუცილებლად გავიკეთებ“.

„მინდა აქ დარჩენის მიზეზი მქონდეს“

- ნინა, ერთ ინტერვიუში მოგებულ ბინაზე თქვი, არც აქამდე მიფიქრია 23 კვადრატულ ჰაერზე და არც ამიერიდან ვიფიქრებო. რატომ? გგონია არ აშენდება?

- არ არის აშენებული და იმიტომ ვთქვი. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჩემთვის მატერიალურ საჩუქარს არ ჰქონია. უძრავი ქონება ყოველთვის კარგია, როცა გაქვს. ძალიან გამიხარდა ბინა, მით უმეტეს ბათუმში (ბათუმში ბინა ყველას უნდა), თუმცა მე ყოველთვის მინდოდა კარიერული წინსვლა მიმეღო. ეს ბინა, ალბათ, მალე აშენდება. ამ დღეებში ვხვდები „ორბის“ წარმომადგენლებს და ამიხსნიან - რა არის ჩემ საკუთრებაში.

- ალბომზე იწყებ მუშაობას?

- მსმენელს იმედი რომ არ გაუცრუვდეს და არ თქვას - ზარმაცობსო - გადავწყვიტეთ ალბომი მალე ჩავწეროთ. მეც მაქვს იდეები, „ბრავო რექორდსაც“. ერთმანეთთან ვათანხმებთ. 99 პროცენტით დარწმუნებული ვარ, კარგი ალბომი გამოვა. ეტაპობრივად თითო თითო ტრეკს დავდებთ ინტერნეტში, მოისმენს მსმენელი და შეაფასებს. ასე მივხვდები, როგორი შეიძლება იყოს ალბომის საბოლოო ვარიანტი. გადავწყვიტე წინასწარ არ ვილაპარაკო, როგორი და რა სტილის იქნება. გეტყვით იმას, რომ ალბომი იქნება როგორც ინგლისურ, ასევე ქართულენოვანი სიმღერებით დატვირთული. სულ ათი კომპოზიცია უნდა ყოფილიყო, თუმცა ემატება ერთი ბონუს-ტრეკიც. ზაზა შენგელია ყველას ეხმარება, ვინც „ბრავო რექორდსში“ მუშაობს. ჩემ შემთხვევაშიც ასეა, მეხმარება და კარგ რჩევებს მაძლევს. ორივე ვითვალისწინებთ ერთმანეთის აზრებსა და იდეებს. შეიძლება ითქვას, რომ ამ ალბომის მუსიკალური პროდიუსერი ის არის.

- ამიერიდან საქართველოში რიანას ნაცვლად მე მომისმინონო, ინტერვიუში თქვი და თვლი, რომ ასეთი კომერციული გამოვა შენი ალბომი?

- ვთქვი ასეთი რაღაც:). კონცეფციას ვერ გეტყვით, მაგრამ თანამედროვე, საინტერესო და ყველა ჟანრის მსმენელისთვის მისაღები ალბომი იქნება. მის გაყიდვაზე დიდად არ ვფიქრობ, არც მაქვს იდეაში, რომ კომერციული იყოს, რადგან ვიცი - სადაც ვცხოვრობ. ჩემთვის მთავარია მეტმა მოისმინოს ალბომი და ის ვიდეოები, რასაც აუცილებლად გადავიღებთ, ნახონ. ინტერნეტს გამოვიყენებ ამ ყველაფრისთვის. ჩემ მსმენელს იმედები არ გაუცრუვდება. ალბომის გამოსვლის დღეს „რუსთავი 2“-ში ცოცხალი კონცერტი მექნება.

- ის მუხტი რომ არ დავარდეს, რამაც მაყურებლის 47 პროცენტს შენ ნომერზე დაარეკინა და „საქართველოს ვარსკვლავი“ გაგხადა, რის გაკეთებას აპირებ?

- როგორიც ამ პროექტის განმავლობაში ვიყავი, ალბათ, იგივენაირი ვიქნები. არანაირად არ ვაპირებ იმიჯის შეცვლას. ყოველთვის ძალიან თავისუფალი ვიყავი, სცენაზე თამამად გამოვდიოდი და რეპერტუარიც, მგონი, ნორმალური მქონდა - ეს მოსწონდა ჩემს მაყურებელს. ჩემი სტილიდან ამოვარდნას არ ელოდონ. მაყურებელს ისევ იგივე რაღაცები მიიზიდავს ჩემში.

- საზღვარგარეთ გინდოდა წასვლა, ჩვენთვის მოცემულ ინტერვიუში თქვი...

- ბანკმა „თიბისი“-მ სავარაუდოდ ჩემი საკონკურსო გამოსვლები გადაგზავნა ლონდონის სამუსიკო სასწავლებელში და პასუხს ველოდები, რომელ დონეზე, ანუ ლეველზე დამსვამენ. სულ ოთხი ლეველია. აქ ეროვნული გამოცდების პასუხებსაც ველოდები, დიდი იმედი მაქვს, სამხატვრო აკადემიაში დიზაინზე ან ინტერიერის დიზაინზე მოვხვდები. ლონდონში ათკვირიანი სასწავლო კურსი მელოდება.

- როგორ გამოიყენებ იმ ათ კვირას?

- მაქსიმალურად გამოვიყენებ, ყველაფერს ვისწავლი რისი სწავლაც შეიძლება. მანამდე ალბომის კომპოზიციები თუ მექნება გაკეთებული, ჩემი სურვილია წავიღო და ლეიბლებში ვატარო. იქნებ მოეწონოთ და რამე გამოვიდეს. ლონდონში რომ ჩავალ, ვნახავ - რა შანსები შეიძლება მქონდეს.

- და შენით, შიშველი ხელებით აპირებ გზის გაკვალვას?

- მე თვითონ რაღაცნაირად მოვახერხებ ამ ყველაფერს. არ მიჭირს არც საზოგადოებასთან კონტაქტი და არც ინგლისურად ვსაუბრობ ცუდად. არ გამიჭირდება ლონდონში ცხოვრება. ვერ გეტყვით, რომ რომელიმე ღირსშესანიშნაობების ნახვა მინდა-მეთქი, ეგრე არ არის. მე სწავლა მინდა და იქიდან მაქსიმუმის წამოღება. თუ დრო მექნება, რაღაც ადგილებს შეძლებისდაგვარად დავათვალიერებ. იმაზე ბევრად უკეთესი მინდა დავბრუნდე, ვიდრე ვარ. მინდა ჩემ სფეროში განათლებული ვიყო და მეტი სტიმული მქონდეს, რომ რაღაც გავაკეთო და შევცვალო ჩემ ქვეყანაში. იქ დარჩენაც მინდა, მაგრამ უფრო მეტად მინდა ჩამოვიდე და აქ გავაკეთო ბევრი რამ. მინდა აქ დარჩენის მიზეზი მქონდეს. მინდა ისეთი კონცერტები ტარდებოდეს, რომ „იუთუბიზე“ ნახვის სურვილი გვიჩნდებოდეს. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ასეთი მომღერალი ვიყო, მქონდეს კონცერტები და ვიდეოები.

„მისგან არაფერი მწყენია“

- აქ ესტრადა არ შემიმჩნევია, არ არსებობსო, ამბობ. ნოდიკო ტატიშვილი, ოთო ნემსაძე, გიორგი სუხიტაშვილი ხომ იგივე ტიპის შოუს პროდუქტები არიან, როგორისაც შენ ხარ და ისევე წარმატებულად მღერიან, როგორც შენ.

- ვიღაცას რაღაცები უმღერია... მაგრამ განსხვავება რა არის, იცით? ჩემი გამოსვლები, როგორც კარგად ნამღერი არ ახსენდებათ, არამედ როგორც კარგი გამოსვლა. ნინამ რა კარგად იმღერაო, ასე არ უთქვამთ ჩემ გარშემო. რა კარგად გამოვიდა სცენაზეო - ძირითადად ასეთი შეფასება კეთდებოდა. თქვენ ბიჭები ჩამოთვალეთ, ქალებს კი უფრო მეტის გაკეთება შეუძლიათ სცენაზე, ვიდრე მამაკაცებს.

- გავიმარჯვე და მოდი, შემარგეთო, რატომ თქვი? განაწყენებული ხარ?

„მიხარია, რომ ასე დასრულდა... მე და პიტო კარგი მეგობრები აღმოვჩნდით. ამ დაშორებას არც ერთი არ განვიცდით. ორივე კარგად ვართ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ეკამ, ალბათ, ცხელ გულზე გააკეთა ეს კომენტარი. ნუკას რომ გაემარჯვა, დედაჩემი ეგეთ კომენტარს არ გააკეთებდა. დედა და ეკა კვალიაშვილი ერთმანეთისგან განსხვავდებიან და ამიტომ“

„ბერას მადლიერი ვარ, „საქართველოს ვარსკვლავში“ როგორიც გამოვედი, მისი დამსახურებაა“

EXCLUSIVE

- ეს ისე ვთქვი, არავისზე ნაწყენი არ ვარ. ბედნიერი ვარ, მთელი 47 პროცენტი მოვიგე, პროექტის მაყურებლების თითქმის ნახევარმა მე მომცა ხმა. კარგი იქნება თუ ცუდ კომენტარს არ გააკეთებენ. მე მიხარია ყველაფერი...

- „რუსთავი 2“-ის რჩეულად მოგიხსენია ეკა კვალიაშვილმა. არც ამაზე განაწყენდი?

- არც ეგ არის ცუდი. მთელ ქართულ სატელევიზო სივრცეში საუკეთესო ტელეკომპანიაა. „რუსთავი 2-ის“ რჩეულიც შეიძლება ვიყო და „საქართველოს რჩეულიც“.

- ეკას რჩევა რომ მოეცა გავითვალისწინებდი, კომენტარს ყურადღებას არ ვაქცევო, თქვი. რა რჩევას მიიღებდი მისგან?

- ნებისმიერს. კონკრეტული რჩევის მოცემის სურვილი ნამდვილად არ მქონია. ყველას რჩევას ვითვალისწინებ, თუ აზრს მოკლებული არ არის. კომენტარებს, თანაც ცუდს არ ვაქცევ ყურადღებას. ეკა კვალიაშვილს დიდ პატივს ვცემ, ჩემი მეგობრის დედაა და კარგი მომღერალია. მისგან არაფერი მწყენია. ეკამ, ალბათ, ცხელ გულზე გააკეთა ეს კომენტარი, ნუკა ხომ მისი შვილია. ნუკას რომ გაემარჯვა, დედაჩემი ეგეთ კომენტარს არ გააკეთებდა. დედა და ეკა კვალიაშვილი ერთმანეთისგან განსხვავდებიან და ამიტომ.

- ეკამ თქვა, ჩემი შვილი მაქინაციის გარეშეა საქართველოს რჩეულიო და შენ რა მაქინაცია გააკეთე ვარსკვლავი რომ გახდი?

- ის მაქინაცია გავაკეთე, რაც მაყურებელს იმ მომენტში სჭირდებოდა და აუცილებლად დასჭირდება მომავალში.

ბერა

- ჭორებზე გადავიდეთ. ბერამ მოაგებინა, ზარებით დაეხმარაო, ამბობენ.

- უამრავი ჭორი გავრცელდა, თითქოს ბერამ მომაგებინა. ხან ამბობდნენ, მიშა მშვილდაძემ, თითქოს ჩემმა ყოფილმა შეყვარებულმაც... ბევრმა მომაგებინა, ვერ გეტყვით:)

- ბერასთან რა ურთიერთობა გაკავშირებს?

- ბერას სტუდიაში „GDS“-ში იყო ერთწლიანი სასწავლებელი, სადაც ვოკალის და ქორეოგრაფიის კურსებს გავდიოდი, ვსწავლობდი მუსიკის ისტორისა და თეორიას. სიმღერის დროს ბექების ჩაწერა რომ სჭირდებოდა, ვეხმარებოდი ბერას. მარიკო ლეჟავაც სწავლობდა ამ სტუდიაში. ბერას მადლიერი ვარ, „საქართველოს ვარსკვლავში“ როგორიც გამოვედი, მისი დამსახურებაა. ჩემ თავში რომ რაღაცები ჩამომეყალიბებინა, ყველა ის ადამიანი დამეხმარა, ვინც იმ სტუდიაში მასწავლიდა.

- მოგილოცა გამარჯვება?

- არა, ჩვენ ასეთი ხშირი ურთიერთობა არ გვქონია. არც მე ავსულვარ მის სტუდიაში. როგორც გავიგე, ალბომს წერს და ჯერჯერობით ერთმანეთს არ შევხმიანებივართ. იმედია მომავალში დავკონტაქტდებით.

- ჭორი, რომ შეყვარებულები იყავით, საიდან იღებს სათავეს?

- არ ვიცი. სტუდიაში ჩვიდმეტნი ვიყავით, იქ იყო მარიკოც და წარმოდგენა არ მაქვს ჩემზე ასე რატომ გამახვილდა ყურადღება. ეს ჩემთვის პიარია. ამ ჭორს საფუძველი კი არ ჰქონია.

„ამ დაშორებას არც ერთი არ განვიცდით“

- ნინა, პროექტის ფინალის დღეს ინტერნეტში დაიდო კადრები, შენ ხელში ლუდის ბოთლი გიჭირავს, ხარ ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ და ამბობ, რთული ხასიათი მაქვს და შეყვარებული ვერ შემეწყოო...

- ფინალის დღემდე სტატუსი დავდე ჩემს „ფეისბუქზე“, რომ მე და პიტო ერთად აღარ ვიყავით. ვიდეოს რაც შეეხება, ინტრიგა იყო. ჟურნალისტმა მკითხა, დაშორდით თუ არაო და ვუპასუხე. მეგობრებთან ერთად ვერთობოდი, ვსვამდი და არაფერი საინტერესო არ მომხდარა. კლუბში სიარული მიყვარს. ახლაც დავდივარ და აქ დაშორება არაფერ შუაშია.

- რა იყო შეყვარებულთან დაშორების მიზეზი? შენ გვერდით ყოფნის კომპლექსი გაუჩნდა? რა არ მოეწონა შენს ახალ ცხოვრებაში?

- ვერ გეტყვი, რა არ მოეწონა. როცა ორი ადამიანიდან ერთ-ერთი რაღაცის მიღწევას ცდილობს და გარკვეულწილად აღწევს, მეორეს იმის კომპლექსი უჩნდება - აი, ეს აღწევს და მე ისე ვზივარ. ეს კომპლექსი ადამიანის ქვეცნობიერს უჩნდება.

კარგია, რომ ასე მოხდა. მიხარია, რომ ასე დასრულდა. დღეს მე და პიტო ვმეგობრობთ და ცუდი არაფერი ხდება.

- რატომ გიხარია?

- მე და პიტო კარგი მეგობრები აღმოვჩნდით. ამ დაშორებას არც ერთი არ განვიცდით. ორივე კარგად ვართ. ალბათ, აზრი არ ჰქონდა გაგრძელებას. როცა ხედავ, რომ შენ მეგობარ ბიჭს ისეთი თვისება აქვს, როგორიც არ უნდა ჰქონდეს, ის გრძნობა მინელდება კი არა, საერთოდ დაგავიწყდება.

- მოგილოცა გამარჯვება?

- ფინალზეც იყო და მომილოცა კიდეც. ჩვენ ვმეგობრობთ.

- პოპულარული ქართველი გოგონებისგან ხშირად მსმენია, ქართველ ბიჭებს უჭირთ მათ გვერდით. შენ კიდევ ადრე ამბობდი, პიტო არ არის მენტალობით ქართველიო...

- არა, მხოლოდ ქართველ ბიჭებს და მხოლოდ კაცს არ უჭირს პოპულარული ქალის გვერდით, ქალსაც გაუჩნდება კომპლექსი პოპულარული კაცის გვერდით. მეც ასე ვიქნებოდიმეთქი, ვამბობ.

- რომ არა ეს პროექტი, ერთად იქნებოდით?

- წარმოდგენა არ მაქვს. შეიძლება არც ვყოფილიყავით.

- იმაზეც ითქვა, ირაკლი ქიმერიძესთან ერთად ვხედავთ და რომანი გააბესო...

- ქიმერიძე ჩემი ბავშვობის მეგობარია. ვგიჟდები იკაზე. რაღაც ინტერვიუ მისცა და ისე გამოვიდა, თითქოს მომწონს თუ მოვწონდი... არა, არა... ჩვენ ფაქტობრივად და-ძმა ვართ.

პოპულარობა... მამა

„მომზადებული ვიყავი პოპულარობისთვის, ვიცოდი - რაც მოჰყვებოდა ამას. ყურადღება არ მაწუხებს. იმ ხალხს დიდ პატივს ვცემ, ვინც მე მცა პატივი და მომაგებინა. მსიამოვნებს ამხელა სიყვარული რომ მოდის. როცა ნეგატიური ენერგია მოდის, ვუმკლავდები. იმდენ ხალხს ვუყვარვარ, რომ იმათთან შედარებით ნეგატივი მართლა არაფერია“.

- მამასთან ააწყვე ურთიერთობა?

- კი, ფანტასტიკური.

- დაუმტკიცე, რომ შემდგარი პიროვნება ხარ?

- ეს არა მხოლოდ მას დავუმტკიცე, არამედ ყველას, ვისაც ჩემზე სხვანაირი წარმოდგენა ჰქონდა. ჩემი საყვარელი საქმით თავს კარგად გამოვხატავ. მამას რეაქციებით დავრწმუნდი, მოსწონდა ის, რასაც ვაკეთებდი, რჩევებს მაძლევდა. ახლა დიდი სურვილი აქვს, რომ მე ამ საქმეში მოღვაწეობა გავაგრძელო. მეხმარება სიმღერების არჩევასა და დაწერაში. გიტარაზე კარგად უკრავს და მელოდიებს წერს. თუ ალბომის შესაბამისი მუსიკა გამოგვივა, ჩავწერ კიდეც.

„როცა ხედავ, რომ შენ მეგობარ ბიჭს ისეთი თვისება აქვს, როგორიც არ უნდა ჰქონდეს, ის გრძნობა მინელდება კი არა, საერთოდ დაგავიწყდება“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„გიო და ბიჭები“ - ქართული ბოს

„50 წლის ასაკში ახალი სუნთქვა გამეხსნა“

„გიომ ჩვენი გადმოქართულება მოინდომა და სიხარულით შევხვდით“

my View
თამარ გონგაძე

„გიო და ბიჭები“ ასე ჰქვია პროექტს, რომელზეც გიო ხუციშვილი რამდენიმე თვეა მუშაობს. ბიჭებში „ლათინო ბოის ბენდი“ იგულისხმება, ექვსკაციანი ჯგუფი, რომელიც, სახელწოდების თანახმად, ლათინო ამერიკული ჟანრის მუსიკას უკრავს, ბოსანოვას სტილში. მათი ამ პროექტის ფარგლებში შეკრება გიო ხუციშვილის იდეაა. თუმცა ქართული სიმღერების ლათინურ რიტმებზე მორგება ბენდის ადრეული სურვილიც ყოფილა. ქართული ჰანგები და აკორდები ლათინური რიტმებით, მენდეთ, არაჩვეულებრივად ჟღერს. ჩვენთვის კარგად ნაცნობ სიმღერებს გიო და ბენდი ამ ორი სხვადასხვა მენტალობის ქვეყნის მელოდიის სინთეზით და ერთნაირი ტემპერამენტით ისე ასრულებენ, აუცილებლად მოიხიბლებით. „ჩემო ცისფერთვალება“, „ნუ ფრთხიალებ, ჩემო ჩიტო“, „მთვარე“, „თბილისო“ - წარმოიდგინეთ ლათინური რიტმებით პლაჟზე... ორწლიანი პროექტი 16 აგვისტოს ბათუმში „სოჰო ლაუნჯის“ კონცერტით იწყება. ზღვა, ბოსანოვა, ლაუნჯი და გემრიელი შესრულება - ზაფხულში, რელაქსის დროს, რა გინდა მეტი...

გიო 50 წლისაა (ნამდვილად ვერ მისცემ ამდენს), 13 კილო დაიკლო და ვიპრანჭებიო, ამბობს. ასაკს არ ებრძვის, შინაგანად ისევ ისე ვარ, არაფერი შეცვლილაო, აყოლებს. ახალი პროექტით ანთებულია, უნდა ახალმა სტილმა თავისი ნიშა მალე დაიკავოს. „თქვენი გაზეთით მინდა ყველას ვამცნო, გიო ხუციშვილი ისევ იწყებს ახალ ეტაპს. ჩვენ ვართ პირველები ლათინური და ქართული მუსიკის სინთეზში. ვინმემ თუ მომბაძა, მეორე იქნება. თბილისში არის მიმბაძველობის ტენდენციებია. ცოტა ხანი გვაცალონ და ნუ მოგვბაძავენ. ნიშა აუცილებლად უნდა იპოვო. ქალაქური სტილი ყოველთვის იქნება და მე მას ყოველთვის ვიმღერებ. 50 წლის ასაკში ახალი სუნთქვა გამეხსნა და კიდევ ორი-სამი წელი სულ სიახლეები მექნება...“

„მინდა ამ პროექტმა თავისი ნიშა დაიკავოს“

„ლათინო ბოის ბენდი“ ერთ დროს ცნობილი ბარ-რესტორან „ტუკანიდან“ იღებს სათავეს. ბენდი 1998 წლიდან სხვადასხვა შემადგენლობით არსებობს. ათი წელია ამ შემადგენლობით არიან, ორი წყვილი ძმით. უკრავენ კლუბებში, თუმცა ყველგან და ყველა სიტუაციაში - არა. გარემოს საგულდაგულოდ არჩევენ. გასვლითი პროექტებიც აქვთ - აზერბაიჯანში, სომხეთსა და უკრაინაში. ბენდთან ხუციშვილს დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს.

გიო ხუციშვილი: „სამსახურის გამო ვერასდროს ვახერხებდი ამ პროექტის განხორციელებას. ამ ბენდს კი სულ ვუსმენდი. ბავშვობიდან სამბასა და ლათინურ მუსიკაზე ვარ გაზრდილი. ქართულშიც ზის ეს რიტმი და ჩვენ ერთობლივად გავაღვიძეთ. დიდი შრომა სჭირდება. რამდენიმე თვეა ამ სიმღერებზე ვმუშაობთ. ათი სიმღერა გვაქვს უკვე მზად. რაღაც სიახლე თუ არ შემატე ქართულ შოუბიზნესს, ისე არაფერი გამოვა. მინდა ამ პროექტმა თავისი ნიშა დაიკავოს. გაყიდვადი უნდა იყო, სხვის იმედად ვერ იქნები, თვითონ უნდა გააკეთო რაღაც ახალი. სახელმწიფო პროდუქციას რომ ნახავს, მერე აუცილებლად მოგეხმარება. მე მჯერა, ეს ჩვენი ახალი პროდუქტი გაიყიდება. ქართული ტემპიანი სიმღერები ახალი სტილით შეიძლება გაკეთდეს. რასაც ვმღეროდით - მე და მამუკა ჩარკვიანი, მე და ლიზა ბაგრატიონი, მე და ნატო, იმას ბრაზილიურ ლათინურ რიტმში ვაკეთებთ. ახლა ეს ორი დუეტი - ჩემი და ლიზას და ჩემი და მამუკას სიმღერები მაქვს გაკეთებული. გაუხარდებათ ამ კონცერტში მონაწილეობა. ჩემმა კოლეგებმა ჯერ არ იციან, ამ ინტერვიუდან შეიტყობენ ამ კონცერტის შესახებ. აი, ასე... სიახლე თუ არ შემატე უკვე არსებულ სიმღერებს, ხალხიც დაიღალა, ისედაც დაძაბულია ცხოვრება.

ყველა ქართულ სიმღერას თავისი ადგილი აქვს. ჩვენი სიმღერები იქნება კლუბური. პირველ ორ ტაქტზე ვერც მიხვდებით, რომელი სიმღერაა. სულ მარაკასებით და შეიკერებით ვქმნით განწყობას. ოთხი გიტარა, პერკუსია, ტამტამი, ექვსი ბიჭი და მე. რომ მოუსმენთ ფეხზე ადგომა, ხელის გაშლა და ერთმანეთის მოსიყვარულება მოგინდებათ. ამ ყველაფერს სიყვარულისთვის, ზაფხულისთვის, ზღვისთვის ვაკეთებთ.

„13 კილო დავიკელი, კიდევ ხუთი კილოს დაკლებას ვაპირებ. ბევრი ხტუნაობა მომიწევს. განსხვავებული ქართული ბენდი მყავს. რომ შემოგვხედავენ, ვერ წარმოიდგენენ ასეთ რიტმში თუ შეგვეძლება დაკვრა და სიმღერა“

თბილისზე ოთხი სიმღერა გვაქვს ახლებური არანჟირებით გაკეთებული. გიორგი ცაბაძის, ეთერ ჭელიძის, ოთარ რამიშვილის, ნუნუ დუღაშვილის. მე ეს ქალაქი მიყვარს და ამ ქალაქზე მემღერება. კახა ცაბაძესთან კი ვმეგობრობ, მაგრამ საქმის კურსში უნდა ჩავაყენო, რომ ახალი ჟღერადობით გაიჟღერებს მამამისის მუსიკა. ცაბაძე ყოველთვის ცაბაძეა. ეს სიმღერა ამ ჟანრში პირველად მოხვდება. გვაქვს პოპურები.

მინდა გითხრათ, რომ ბოსანოვა ქართულ მუსიკაზე კარგად მიდის. ეს ქართველი კომპოზიტორები ნოვატორები იყვნენ. ისეთი ჯაზური აკორდები აქვთ, რომელიც ყველაფერზე მიდის, კლასიკაა. ყველა ჟანრში შეიძლება შეასრულო, თანაც ისე, რომ ჰარმონია არ იცვლება.

შვიდი შარვალი და ერთი ჩითის კაბა

მთელი ამ ახალი რეპერტუარის არანჟირებას მუსიკოსი მაია ჯორჯაძე აკეთებს, გიოს ცოლი. როგორც ყოველთვის, გვერდში უდგას ქმარს. შეწყობილად მუშაობენ. სცენაზეც არა ერთი დუეტი შეუსრულებიათ. „შვიდი შარვალი და ერთი ჩითის კაბა ვართ :) ახლა კლავიშს, „კორგს“ ვყიდულობთ მაიკოსთვის და შეიძლება კონცერტებზე ისიც დაგვემატოს“, - ამბობს გიო.

მაია ჯორჯაძე: „ეს პროექტი უცხო გამოვიდა. არ არის მოსაბეზრებელი რეპერტუარი. მგონია, რომ გაამართლებს. ბენდია საინტერესო. სულ დავდიოდით იმ კლუბში, სადაც ისინი უკრავდნენ. ნამდვილად კარგი სინთეზი გამოდის“.

16 აგვისტოს „სოჰო ლაუნჯში“ საღამო გიოს ოთხი სიმღერით დაიწყება, მერე ბენდი თავის ოთხ კომპოზიციას შეასრულებს და მერე უკვე ახალი პროექტით წარსდგებიან მსმენელის წინაშე. საღამო საათ-ნახევარი გაგრძელდება. „აჭარა ბეთი“ (ჩემი მეგობრები არიან) პრინტებით და ღუზებით მაისურებს გვიკეთებენ და ამ მაისურებით ვიქნებით“, - ამბობს გიო.

შესაძლოა ამ საღამოს ზუკამაც იმღეროს. ახალი არანჟირება „ჩიორა ჩიტოსაც“ უკეთდება. ზუკა კალიფორნიაში სწავლობს, სოციოლოგიურ ფაკულტეტზე. „იქ ბევრ ხალხს ვამღერებთ. ცოცხალი სიმღერა სულ სხვა რამაა“.

ბენდი

პაატა ილურიძე, პერკუსიო: „ლათინო ბოის ბენდს“ სულ ჰქონდა ქართული სიმღერების გაკეთების იდეა. მერე გიომ მოგვისმინა და ჩვენგან დამოუკიდებლად გაუჩნდა ამ პროექტის გაკეთების იდეა, იდეები გავცვალეთ და ასე დავქოქეთ“.

ირაკლი კაპანაძე, აკუსტიკური გიტარა: „კარგია და სასიამოვნოა გიოსთან მუშაობა. მასთან ერთად სიმღერას ქართული ეშხი აქვს. ლათინური მუსიკა ჩვენს სისხლში დუღს. გიომ ჩვენი გადმოქართულება მოინდომა და სიხარულით შევხვდით. ლამაზი გამოვიდა სინთეზი“.

რამაზ ქიმერიძე, გიტარა: „ქართულ სიმღერას ულამაზესი ჰარმონია აქვს და უხდება ყველა მუსიკას. ეს სიმღერები ქართველ მსმენელს მოეწონება. მშვენიერი საღამო გამოვა“.

შერმადინ კაპანაძე, ტამტამი: „ქართული, ქალაქური და ლათინური მუსიკის შერწყმა ჯერ საქართველოში არ გაკეთებულა, გიოს იდეაა და მომწონს. ძალიან კარგი შერწყმა გამოვიდა. მომავალი გვიჩვენებს, როგორ აიტაცებს ხალხი. ტამტამზე და აკუსტიკურ გიტარებზე ბევრი სიმღერის გაკეთება შეიძლება. მე მგონი არა მხოლოდ ქართული სიმღერებით შემოვიფარგლებით“.

გეგმები

გიო ხუციშვილი: „სექტემბერში ყაზბეგში „რუმს ჰოტელში“ ტერასაზე გვინდა ერთი საღამოს მონყობა. სექტემბრის ბოლოს, ოქტომბრის დასაწყისში კი „ივენთ ჰოლში“ ვგეგმავთ სოლო კონცერტის გაკეთებას. ასევე იგეგმება შარდენზე „ელ ცენტროში“ ერთი ლამაზი საღამო, მთაწმინდის რესტორანში... თვეში ორ ახალ სიმღერას სულ მივამატებთ რეპერტუარს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ანოვა „ლათინო ბოის ბენდთან“

„თქვენი გაზეთით მინდა ყველას ვამცნო, გიო ხუციშვილი ისევ იწყებს ახალ ეტაპს. ჩვენ ვართ პირველები ლათინური და ქართული მუსიკის სინთეზში. ვინმეემ თუ მოგბაძა, მეორე იქნება. ცოტა ხანი გვაცალონ და ნუ მოგვბაძავენ“

EXCLUSIVE

სპორტის სასახლე

რვა თვეა სპორტის სასახლის დირექტორია. მისი გამოცვლილი სამსახურების სია დიდია - ყოფილა გამგებლის მოადგილე, უმუშავია საბაჟოზე, ღვინის კომპანიაში, თავდაცვის სამინისტროში... ყველა ამ სამსახურს კი სიმღერა ლაიტმოტივად მოჰყვება.

„სიახლეებს მუდმივად ვეძებ. მიყვარს სპორტის სასახლის შენობა, თბილისის სავიზიტო ბარათია. მთელი ბავშვობა მესმოდა - სად შევხვდეთ? სპორტის სასახლესთან, თბილისია რაა. აქ სულ გამოჩენილი ხალხი იყო დირექტორები. ჩემთვის პრესტიჟული და საამაყოა სპორტის სასახლის დირექტორობა. გულით ვეპყრობი ამ საქმეს. ბევრი რამ გავაკეთეთ. კიდევ ბევრ სპორტულ ღონისძიებას ვგეგმავთ. სერიოზულ ტურნირებს ვუმასპინძლეთ. თავი გამოვიჩინეთ. სექტემბრიდან ბევრ სიახლეს ველოდებით. საქართველოში ახალგაზრდული ოლიმპიადა ტარდება და ძირითადი დატვირთვა სპორტის სასახლეზე იქნება. ვემზადებით. აქ მრავალფეროვანი ცხოვრებაა“.

„ეს ასაკთან ბრძოლაც არის და მეორე სიცოცხლეც“

- გიო, რა ასაკია მამაკაცისთვის 50 წელი?

- 20 წლის წინ როგორიც ვიყავი, ისევ ისეთი ვარ, არაფერი შეცვლილა. გავხდი, გოგოებს ისევ ვეპრანჭები და ისევ იგივე „დუხზე“ ვარ, როგორც ყოველთვის ვიყავი. 13 კილო დავიკელი, კიდევ ხუთი კილოს დაკლებას ვაპირებ. სცენაზე ვიზუალი საჭიროა. მინდა ფორმაში ვიყო, ბევრი ხტუნაობა მომიწევს. განსხვავებული ქართული ბენდი მყავს, ჭარბონიანების და მოჭიდავეების. რომ შემოგვხედავენ, ვერ წარმოიდგენენ ასეთ რიტმში თუ შეგვეძლება დაკვრა და სიმღერა.

- ასაკს ბრძოლა გამოუცხადეთ?

- კი, ეს ასაკთან ბრძოლაც არის და მეორე სიცოცხლეც.

„ჩვენი სიმღერები იქნება კლუბური. პირველ ორ ტაქტზე ვერც მიხვდებით, რომელი სიმღერაა. სულ მარაკასებით და შეიკერებით ვქმნით განწყობას. რომ მოუსმენთ მოგინდებათ ფეხზე ადგომა, ხელის გაშლა და ერთმანეთზე მოსიყვარულება“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

კახი ლაზარიშვილი საქართველოს აღდგენის მოლოდინში

my View
დეა თავგერიძე

ხელოვნებასთან დაკავშირებულ პრობლემებსა და იმედგაცრუებაზე „პრაიმტაიმს“ ხელოვნებათმცოდნე კახი ლაზარიშვილი ესაუბრა. მისი თქმით, ესა თუ ის ხელისუფალი, რომელიც ლიმიტითაა მთავრობაში მოსული, ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეასრულოს და შეუსრულოს მოსახლეობას ის დაპირება თუ დაპირებები, რომლის წყალობითაც მიიღეს ამომრჩევლის ნდობა, მხარდაჭერა და ჩასხდნენ ფუმფულა სავარძლებში... ხელოვნებათმცოდნე ოპერის მმართველზე განაწყენებულ გუნდის მომღერლებზეც საუბრობს, ასევე იხსენებს წლების წინათ „მეცხრე არხზე“ შექმნილ პრობლემებს და დღემდე იმ დაპირებას ელოდება, რომელმაც მაშინ გაიჟღერა.

„ესა თუ ის ხელისუფალი, რომელიც ლიმიტითაა მთავრობაში მოსული, ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეასრულოს და შეუსრულოს მოსახლეობას ის დაპირება თუ დაპირებები, რომლის წყალობითაც მიიღეს ამომრჩევლის ნდობა, მხარდაჭერა და ჩასხდნენ ფუმფულა სავარძლებში“...

„ძალიან მიკვირს, ყველა ხელმოცარული, წუნიანი და თავის პროფესიაში გამოუსადეგარი და გამოუყენებელი პერსონაჟი ყოველ 4 წელიწადში ერთხელ როგორ უნდა აღმოჩნდეს საქართველოს პარლამენტში?!

კახი ლაზარიშვილი, ხელოვნებათმცოდნე: „ქვეყანაში შექმნილი სოციალურ-პოლიტიკური, თუ ეკონომიკური ვითარება, მნიშვნელოვნად უარყოფით დაღს ასვამს სახელოვნებო დარგების განვითარებასაც... მავანს და მავანს, რატომღაც ჰგონია, რომ საზოგადოებას დავიწყებული აქვს და აღარ აინტერესებს ჩვენი კულტურა, რომელიც გვეამაყება და ყოველთვის საქართველოს სავიზიტო ბარათი იყო საერთაშორისო ასპარეზზე... ლიტერატურა, მხატვრობა, თეატრალური ხელოვნება, მუსიკა აბა, გავიხსენოთ, რამდენი მსოფლიო მასშტაბის ვირტუოზი გვყავდა, რომლებიც ჩვენი სამშობლოს წინსვლასა და განვითარებას სრულიად უანგაროდ უძღვნიდნენ თავს და ქმნიდნენ შედევრებს, ყველაფერს ძვირფასს, გემოვნებიანს, ზედმიწევნით დახვეწილსა და შთამბეჭდავს...

დღეს კი რა ხდება?! - ნუთუ საერთოდ გადაგვაგვარა ამდენმა პოლიტიკამ, დაგვავიწყა წიგნი, მუსიკალური თუ ფერწერული ნიმუში, კარგი დრამატული, ან საოპერო სპექტაკლი...?!

შეასრულეთ დაპირებები!

მე მაინც მინდა მჯეროდეს, რომ ქართველთათვის, ზოგადად ადამიანისთვის, უმნიშვნელოვანეს ფასეულობას წარმოადგენს მისი ქვეყნის კულტურა, კულტურის მოღვაწენი და არა პოლიტიკა და პოლიტიკაში დროებით (ხშირად შემთხვევით) მოსული ადამიანები. მაგრამ ლიტერატურული, მუსიკალური თუ სხვა სახელოვნებო ჟანრებისთვის რომ განეწყოს ადამიანი, ამისთვის ცხადია, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს, - ესა თუ ის ხელისუფალი, რომელიც მთავრობაში ლიმიტითაა მოსული, ვალდებულია დაუყოვნებლივ შეასრულოს და შეუსრულოს მოსახლეობას ის დაპირება თუ დაპირებები, რომლის წყალობითაც მიიღეს ამომრჩევლის ნდობა, მხარდაჭერა და ჩასხდნენ ფუმფულა სავარძლებში...

ძალიან მიკვირს, ყველა ხელმოცარული, წუნიანი და თავის პროფესიაში გამოუსადეგარი და გამოუყენებელი პერსონაჟი ყოველ 4 წელიწადში ერთხელ როგორ უნდა აღმოჩნდეს საქართველოს პარლამენტში?! რაღა ეშველება ქვეყანას? ვინ გასწევს შრომას ჩვენი გაწამებული, მშიერი, შეჭირვებული და უკვე მერამდენედ შეურაცხყოფილი და მოტყუებული მოსახლეობის უკეთესი მომავლისთვის...? რა თქმა უნდა, არასოდეს მქონია იმის ილუზია, თითქოს თეატრალური სცენიდან პარლამენტში გადასული თოვლის ბაბუები, მენასოსეები, ან კიდევ საკუთარი სატრფოს ქორწილის მაყარი, მოსახლეობაზე დარდისა და ფიქრის გამო ჩაესვენენ ლამაზ წითელ სავარძლებში, ცხადია არა, იქ უმრავლესობამ თავშესაფარი საკუთარი ოჯახის კეთილდღეობისთვის, უზრუნველყოფილი აწმყოსთვის და მომავლისთვის ჰპოვა, ცხადია დროებით, მაგრამ...

„სასტიკი და დაუნდობელია პატარა ადამიანი“

ბოლო დროს ძალიან ხშირად მახსენდება ჰოფმანის ზღაპრის „პატარა ცახესის“ წაკითხვის დროს მიღებული უარყოფითი შთაბეჭდილება და შიში, თუ როგორი სასტიკი და დაუნდობელია პატარა ადამიანი, როცა იგი დაუმსახურებლად მნიშვნელოვან თანამდებობას ჩაიგდებს ხელში... ნამდვილად არაა ჩემ ინტერესში კონკრეტული გვარების ხსენებით ფეშენებელურ და კომფორტულ კაბინეტებში მოკალათებულ თანამდებობის პირებს შეურაცხყოფა მივაყენო, ისინი თავიანთი უსუსურობითა და იმ პოზიციებზე ყოფნით, სადაც ამჟამად არიან, თვითონ საუკეთესოდ დასცინიან საკუთარ თავს და ხალხს იმის „ფუფუნებასაც“ გვაძლევენ ამ გაჭირვების დროს, უფასო სპექტაკლებით გაგვართონ და გაგვახალისონ... მე, უბრალოდ, მინდა ვთქვა - გამოფხიზლდით!

მშიერ საზოგადოებას ხვევნა-კოცნის აკრძალვა არ აღელვებს

დიდ ესპანელ მხატვარს - გოიას აქვს ნათქვამი, „როდესაც გონებას სძინავს ურჩხულებს შობსო“... მე არ ვიცი კიდევ რამდენ ურჩხულს მოვიგერიებთ, განა დაგვრჩება ამის ენერგია და ძალა?.. მაგრამ მჯერა ქართველი ადამიანი ისე არ დაუძლურდება ცბიერსა და ქვეყნის მოღალატეს საკადრისად არ აგებინოს პასუხი! ცდება თუ ვინმეს ჰგონია ხელისუფლებაში, რომ ადვილად მოსატყუებელი საზოგადოება გვყავს, ათასგვარი პრობლემებისგან თავის არიდებისა და ყურადღების გადატანის მიზნით, ხელოვნურად შექმნილ, ადამიანისთვის არააქტუალურ, დღევანდელობისთვის სრულიად სასაცილო თემებზე რომ გადააქვთ ყურადღება. ჩვენ ახლა, ყველაზე მეტად ეკონომიკური განვითარების, გადასახადების შემცირების, ხელფასების გაზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის მოლოდინში ვართ და ნურავინ იფიქრებს, თუ ამ ყველაფერზე მეტად ის გვაინტერესებს, დაისჯება თუ არა 21-ე საუკუნის ადამიანი ქუჩაში ან სკვერში შეყვარებულის კოცნისთვის... თითქოს სხვა პრობლემა არ არსებობს ქვეყანაში და მშიერ საზოგადოებას მხოლოდ ხვევნა-კოცნის აკრძალვა აღელვებს... ძვირფასებო, მოგიწოდებთ, რა დაპირებებითაც მოხვედით ხელისუფლებაში, ის განახორციელოთ, ხელისუფლების სათავეებში მოქცევამ არ უნდა დაგავიწყოთ ხალხისთვის შეპირებული ფოჩიანი კანფეტები და კეთილდღეობა...

„ველოდები სამართლიანობის აღდგენას“

სამწუხაროდ, ბოლო დროს ჩვენში ისე არანორმალურად ვითარდება პროცესები, რომ მოსახლეობის დიდი პროცენტი აბსოლუტურად დაუმსახურებლად გახდა უსამართლობის მსხვერპლი, უსამართლობა მეც შემეხო, ბევრ ჩემს მეგობარს და ნაცნობ-ახლობელსაც... ბევრი ფიქრობდა, რომ პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ქვეყანაში სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვლებოდა. არასოდეს მქონია იმის ილუზია, თითქოს საპარლამენტო არჩევნებიდან წელიწად-ნახევარში მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებს გავუტოლდებოდით ცხოვრების დონით (როგორც ამას გვპირდებოდნენ), თუმცა ჩემს გარშემო ბევრმა დაიჯერა, რომ ყველაფერი „ცუდი“, რაც 9 წლის განმავლობაში ხალხმა ნახა და გადაიტანა, წარსულს ჩაბარებოდა და პოზიტიური ცვლილებების იმედით და სამართლიანობის აღდგენის სურვილით, ახალი პარლამენტი, როგორც გვჩვევია, სპონტანურად ახალი უმრავლესობით დავაკომპლექტეთ. სწორედ იმ დღიდან ველოდები სამართლიანობის აღდგენას, როგორც უსამართლობის ერთ-ერთი მსხვერპლი. 2004 წელს „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში მოსვლიდან მალევე, ზუსტად პირველ აპრილს, ჟურნალისტებს გამოგვიცხადეს, რომ დაიხურა „მეცხრე არხი“. ცხადია, ყველა გაგვაკვირვა და გაგვაოცა ამ ამბავმა, მაშინ ტელევიზიის დახურვასთან დაკავშირებით ბევრი ჭორი გავრცელდა, მაგრამ სიმართლე, ალბათ, მხოლოდ არხის მფლობელმა იცოდა. ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე აღმოვჩნდით ქუჩაში, ბევრი მცდელობის მიუხედავად, ჩვენი წუხილით და ტკივილით არავინ დაინტერესებულა, არავის ანაღვლებდა ჩვენი ბედი. „მეცხრე არხის“ თანამშრომელთა მხოლოდ მცირე ნაწილმა მოახერხა სხვადასხვა ტელეკომპანიებში მუშაობის დაწყება, უმრავლესობა კი „სამართლიანობის აღდგენის“ მოლოდინში ისე მოვედით 2013 წლამდე, საყვარელ საქმეში რეალიზებას მხოლოდ სიზმრებში ვახერხებთ. მალე წელიწადი შესრულდება, რაც ტელეკომპანია „მეცხრე არხმა“ მაუწყებლობა განაახლა, მაგრამ, სამწუხაროდ, 2004 წელს სამსახურის გარეშე დარჩენილი თანამშრომლების უმრავლესობა არავის გახსენებია (მიუხედავად იმისა, რომ ხშირად იყო საუბარი იმის შესახებ, თუ ტელევიზია მაუწყებლობას აღადგენდა ძველ თანამშრომლებს აუცილებლად დაბრუნებდნენ). ვიდრე ამ ქვეყანაში ნათესაური კლანის, მეგობრებისა და ახლობლების დასაქმებას არ მოვიშლით და არ დავაფასებთ ნიჭიერ და თავისი საქმის მცოდნე, შრომისმოყვარე, კომპეტენტურ ადამიანებს, მანამდე უკეთესობისკენ არაფერი არც შეიცვლება და ცხადია, არც გვეშველება. გამოცდილ და კვალიფიციურ სპეციალისტს რომ ქუჩაში გააგდებ, მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარი უვიცი და ტვინგამორეცხილი ახლობელი დაასაქმო, აბა მითხარით, რომელ პროფესიონალიზმზე და მით უმეტეს გადარჩენაზეა ლაპარაკი?

გუნდის მსახიობების ჩივილი

ვისაც თანამდებობა ღირსებია, დამსახურებულად, უფრო ხშირად კი დაუმსახურებლად, ყველა ცდილობს ისეთი უფერული და არაფრისმაქნისი ადამიანი დაიყენოს გვერდით (თვითონ რომ უკეთესი გამოჩნდეს), ვინც მასზე მეტი კი არა, ნაკლები იცის, ან საერთოდ არაფერიც არ იცის. ჯერჯერობით ასეთი ტენდენცია გრძელდება, არაფერი შეცვლილა, არც მაქვს იმის იმედი, რომ საქართველოში, ამ მხრივ, რაიმე შეიცვლება... თუ ვცდები, რაშიც ეჭვი მეპარება, მაშინ აგვიხსნას ვინმემ და პირველ რიგში თბილისის ოპერის თეატრის კოლექტივს უთხრან, რა დამსახურებისთვის დაინიშნა იქ მმართველის მოვალეობის შემსრულებლად ერთი ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული დირიჟორი გიორგი ჟორდანია? მუსიკოსი, რომელიც არასოდეს ბრწყინავდა დირიჟორის პულტთან. ივლისის ბოლოს დასი ერთი კვირით ბალტიისპირეთში მიემგზავრება საოპერო ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად, იქიდან 29-30 ივლისს ბრუნდებიან, ხოლო პირველ აგვისტოს გუნდის მოსმენაა დანიშნული. მხოლოდ ეს ფაქტია საკმარისი იმისთვის, შეფასდეს მისი „პროფესიული“ დონე. ყოვლად წარმოუდგენელია საგასტროლო ტურნედან დაბრუნებული ვოკალისტი მინიმუმ 10 დღე ან 2 კვირა არ დაასვენო, რომ ძალები აღიდგინონ, აკლიმატიზაცია გაიარონ და ისე მიიღონ მონაწილეობა კონკურსში.

რას არ ეცადნენ, ვისთან არ დაიჩივლეს გუნდის მსახიობებმა ამ პრობლემის შესახებ, მაგრამ მათი წუხილი გულთან არავის მიუტანია (პრინციპში ეს პრობლემა გუნდის მთავარ ქორმაისტერს უნდა მოეგვარებინა, თუმცა...). ბოლოს გადაწყვიტეს პირადად შეხვედროდნენ და დალაპარაკებოდნენ ჟორდანიას, რომ ეთხოვათ რამდენიმე დღით გადაეწია მოსმენის თარიღი. საკუთარი კაბინეტიდან გამოსული „მმართველი“, 23 ადამიანს, ძირითადად ყველა ქალბატონს ნაძალადევად მიესალმა თურმე, შემდეგ კი უთხრა, რომ ვერ მიიღებდა მათ, რადგან მნიშვნელოვან შეხვედრაზე აგვიანდებოდა და გაარიდა თავი. მაინტერესებს, ხელმძღვანელისთვის უფრო მნიშვნელოვანი რა უნდა იყოს, თუ არა იმ თეატრის მომღერლების პრობლემების მოსმენა და გათვალისწინება, რომელსაც იგი ჯერჯერობით ხელმძღვანელობს...

თეატრიდან გაშვებული მომღერლები

თავნებობა და უხეშობა ბევრ საერთაშორისო სტატუსის დირიჟორს არ აპატიეს, მომღერლების მიმართ აგდებული დამოკიდებულებისთვის კინწის კვრით გააგდეს „ლა სკალადან“ რიკარდო მუტი.

ჩვენ გვაქვს მაგალითები, თუ როგორ გახდნენ საკუთარი ამბიციების მსხვერპლნი მისი წინამორბედი ხელმძღვანელები, როცა თანამდებობაზე ყოფნის დროს ცა ქუდად არ მიაჩნდათ და დედამინა ქალამნად და საკუთარი შეხედულებებისა და პირადი ანტიპათიის გამო თეატრიდან გაუშვეს საუკეთესო მომღერლები - გია გაბელაია, ირმა ბერძენიშვილი, თინიკო ჩხიკვაძე, ნინო ლეჟავა, ბევრი კი საერთოდ ჩამოამორეს რეპერტუარს... ეს ის სოლისტი მომღერლებია ჯანსუღ კახიძის მოღვაწეობის ბოლო წლებში ვის მხრებზეც იდგა ოპერის თეატრი. მიკვირს, როგორ ბედავენ მუსიკოსის უპატივცემულობას, 2004 წლიდან მოყოლებული, მერამდენედ შეიძლება ეჭვის ქვეშ დააყენონ მათი შესაძლებლობები? იმასაც ხომ აქვს მნიშვნელობა, ვინ მოგისმენს, ვინ შეგაფასებს, რომელია ჟიურის წევრებს შორის თავისი პოტენციალით ზუბინ მეტტა, ჰერბერტ კარაიანი, ევგენი მიქელაძე, ოდისეი დიმიტრიადი, ჯანსუღ კახიძე, მედეა ამირანაშვილი, ცისანა ტატიშვილი, თენგიზ მუშკუდიანი?.. ნუთუ ისინი, ვინც ყველა დროს, ყველა ხელმძღვანელს გადაწყვეტილებას-კარგსაც და ცუდსაც, ერთნაირი წარმატებით უწონებდნენ?!.. მაშინ შეფასდეს მათი პროფესიული დონეც! შეიქმნას ალტერნატიული კომისია, კვალიფიციური, კომპეტენტური ადამიანებით დაკომპლექტებული, ვინც თეატრში გამართულ მოსმენებზე მსხდომ ჟიურის წევრებსაც გასინჯავს და შეაფასებს! ბოლოს და ბოლოს, ოდესღაც ხომ უნდა დადგეს დრო ამ ქვეყანაში, როცა ადამიანები თანაბარი უფლებებით ისარგებლებენ და არ იქნებიან პრივილეგირებულები და დაჩაგრულები!..

ამიტომ, ვიდრე თეატრში ჯერ კიდევ სიმშვიდეა შენარჩუნებული, გადაწყდეს და აუცილებლად დაიგეგმოს ჟიურის წევრების პროფესიული დონის შემოწმება, საშუალო დონის მუსიკოსი არ უნდა წყვეტდეს თეატრის მსახიობის ბედს! მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მიეცეთ საშუალება, ვინ გუნდთან იმუშავებს, ვინ ორკესტრის დირიჟორად, ვინ კიდევ დაწუნებული დატოვებს იქაურობას!..

ბოლოს კი, აუცილებლად გავიმეორებ, რაც არაერთხელ მითქვამს - არც ერთი მუსიკოსი არ უნდა მივიდეს თეატრში ხელმძღვანელ თანამდებობაზე, ვინც დამარცხებული, შერცხვენილი, სუსტი, სასონარკვეთილი, სრულიად უუნარო და უსუსური ბიოგრაფიით დაგვამახსოვრა თავი !!!

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბათუმის Black Sea Jazz Festival-ი და უფინანსობით გამოწვეული კრიზისი

my View
დეა თავგერიძე

„იქნებ მომავალ წელსაც დამპატიჟოთ, დიდი სიამოვნებით ჩამოვალ საქართველოში, რადგან განსაკუთრებით მომწონს აქაურობა“, - თქვა ელ ჯერომ კონცერტის ბოლოს და დასძინა, იმედი მაქვს, დღეს ყველამ კარგი დრო გავატარეთ. ამაში კი ნამდვილად არ შემცდარა... მიუხედავად წვიმიანი ამინდისა, საღამო ენერგიული და საკმაოდ შთამბეჭდავი გამოდგა. ბათუმის **Black Sea Jazz Festival**-ი რვა „გრემის“ მფლობელმა, ამერიკული ჯაზის ცოცხალმა ლეგენდამ ელ ჯერომ გახსნა. კონცერტი დაგეგმილზე მეტ ხანს გაგრძელდა. ელ ჯერომ ბისზე 4 სიმღერა შეასრულა. ლეგენდარულმა მუსიკოსმა დოლზეც დაუკრა. ქართული ინსტრუმენტის გამოყენება ელ ჯეროს მხრიდან განსაკუთრებით სასიამოვნო აღმოჩნდა. ამ ყველაფერმა სულ სხვა რიტმზე გადაიყვანა მისი შემოქმედება... ასე რომ, წლევანდელი ფესტივალი ბათუმში განსაკუთრებული ენერგიით დაიწყო და კიდევ სამ დღეს გაგრძელდა.

მიშა გიორგაძე, კომპანია **eastern promotion**-ის დირექტორი: „მოხარული ვართ, რომ შემოქმედებითად, დატვირთული და სიურპრიზებით აღსავსე აღმოჩნდა დღევანდელი საღამო. მუსიკოსმა კონტრაქტით გათვალისწინებულ ყველა დროს გადააჭარბა. სასიამოვნოა, რომ ბათუმის ჯაზფესტივალს ყოველწლიურად ძალიან მაღალი დონის მუსიკოსები სტუმრობენ. ამიტომაც განსაკუთრებულ მადლობას იმსახურებს ღონისძიების გენერალური სპონსორი „თიბისი სტატუსი“. ასევე დიდი მადლობა ბათუმის მერიას და ბათუმის კულტურის სამინისტროს“.

ჯაზფესტივალების სერიამ ჯაზი რომ საქართველოში პოპულარული გახადა და მსმენელს გემოვნება დაუხვეწა, მგონი ამაზე არავინ შემედავება. ვერც იმას უარყოფს ვერავინ, რომ ამდენი ცნობილი მუსიკოსის საქართველოში სტუმრობამ ჩვენი ქვეყნის პრესტიჟი ბევრად უფრო აამაღლა. არც ის არის საკამათო თემა, რომ ჯაზმა ტურისტიც მოიზიდა, ბიუჯეტში თანხამაც იმატა, ჯემსეიშენებმა კი ქართველ მუსიკოსებს სიმტკიცე შემატა... მოკლედ, დადებითი მხარე ბათუმის Black Sea Jazz Festival-ს უამრავი აქვს, მიუხედავად ამისა კულტურის სამინისტროს მიერ დაფინანსება მაინც შეუწყდა. მიზეზი ერთია „იმდენად პოპულარული გახდა ჯაზი საქართველოში რომ თავის თავს შეინახავსო“! შედეგად - წელს ბათუმში არ არის უფასო კონცერტები ხალხისთვის, არც რამდენიმე სცენა, ვერც მოსიარულე ორკესტრანტებს შეხვდებით ქუჩებში... ერთი სიტყვით, წინა წლებთან შედარებით წლევანდელი ჯაზფესტივალი კრიზისს განიცდის. არადა, პირიქით უნდა ყოფილიყო. მაგრამ ზემოთაღნიშნული მიზეზის გამო ორგანიზატორებს ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩათ.

კახი კანდელაკი, eastern promotion-ის მარკეტინგის დირექტორი: „გვინდოდა წლევანდელი ჯაზფესტივალი უფრო მასშტაბური ყოფილიყო, მაგრამ კულტურის სამინისტროდან დაფინანსება შეგვიწყდა და ამიტომ პირიქით გამოვიდა. 7-დღიანის ნაცვლად ოთხდღიანი ჩატარდა, ხოლო 25 ჯგუფის ნაცვლად, მხოლოდ 6 ჯგუფი გამოვიყვანეთ. მაგრამ ხარისხს ვიცავთ. ჰაი კლასის მუსიკოსები ჩამოვიყვანეთ.

- კულტურის სამინისტროდან დაფინანსება ყოველწლიურად გქონდათ?

- თბილისის ფესტივალი არ ფინანსდებოდა, ფინანსდებოდა მხოლოდ ბათუმის ფესტივალი. ესეც ბოლო სამი წელი. ჩვენ ვაკეთებდით აგვისტოში, გვთხოვეს ივლისის შუაში გადმოგვეტანა, რომ სეზონი გაზრდილიყო ბათუმისთვის. ბოლო სამი წელი სეზონის გახსნა ფესტივალით იწყებოდა. ოღონდ, მინდა ხაზი გავუსვა, ეს არ იყო დაფინანსება, ეს იყო თანადაფინანსება. 60% -ს იხდიდა სამინისტრო, 40%-ს ჩვენს მიერ მოზიდული სპონსორები, ან ბილეთების გაყიდვით ვავსებდით. რადგან ძალიან ძვირადღირებული ფესტივალია. შედეგად იყო უფასო კონცერტები ქუჩაში, ხალხისთვის, რამდენიმე სცენა იყო. ახლა მხოლოდ ერთი კომერციული სცენა გვაქვს და კლუბი TAKE FIVE.

„ეს ფესტივალი ზუსტად იმის ერთ-ერთი შანსია, მსოფლიოს დაანახო ვინ ხარ“...

- კულტურის სამინისტრომ რატომ არ გაფინანსებთო?

- შევხვდით მინისტრს, მოადგილესაც, სანამ იგეგმებოდა, გვითხრეს - რა მაგარ საქმეს აკეთებთო, მაგრამ ბოლოს ინტერვიუში წავიკითხე, მინისტრი ამბობს - ვისაც ეს მუსიკა უყვარს, ის ბილეთში თავისუფლად გადაიხდის ფულს, ჯაზი ძალიან პოპულარულია საქართველოში და ამიტომ ეს თავის თავს შეინახავსო.

- თქვენ რა პასუხი გაქვთ ამ ყველაფერზე?

- მე სხვანაირად ვფიქრობ. ორგანიზატორებმა იციან, რომ ჩადებულ თანხას ბილეთის ფასებით ვერ ამოიღებ. ჰონორარის ნაწილსაც კი ვერ ამოიღებს. მე ვფიქრობ, რაც უფრო მეტ ფულს ჩადებს სახელმწიფო, უფრო მეტ თანხას ამოიღებს... ერთი სასიამოვნო ინფორმაცია ის არის, რომ აჭარის მთავრობა დაგვიდგა მხარში, ბათუმის მერია და აჭარის კულტურის სამინისტრო. მათ მაქსიმალური გააკეთეს. თუ სცენის ქირაობა შარშან თანხა გვიჯდებოდა, წელს ეს თანხა მოგვიხსნეს. ადგილობრივებმა უფრო იციან, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ბათუმისთვის და აჭარისთვის ეს ფესტივალი და მაქსიმალურად გვერდში უდგანან. მართალია ისეთ თანხებზე არ არის ლაპარაკი, რამდენითაც კულტურის სამინისტრო გვეხმარებოდა შარშან და შარშანწინ.

- სამაგიეროდ ელ ჯერო წამოვიდა ფინანსურ დათმობაზე.

- კი, მაგარზე, თავიდან გვეგონა, რომ კულტურის სამინისტრო რაღაცას მაინც მოგვცემდა, მაგრამ ბოლოს, საერთოდ რომ აღარ დაფინანსდა, იმედი გადაგვეწურა და საშიშროება იყო, რომ ჩაშლილიყო. მერე კი „თიბისი“ დაგვიდგა გვერდზე და წინასწარ გვასესხა ფული. თბილისის ჯაზფესტივალის ბიუჯეტი გამოვიყენეთ ბათუმის ფესტივალზე, საბოლოოდ, გაყიდული ბილეთების თანხას მოვახმართ თბილისის ჯაზფესტივალს. 2007-08 წლებში ასე ვაკეთებდით ფესტივალს. ელ ჯეროს რაც შეეხება, ის ძალიან კარგად გვიცნობს ჩვენ, ბევრი პროექტი გაგვიკეთებია ერთად, ამიტომ თავისი ჰონორარის 40% აიღო და ამით მხარდაჭერა გამოხატა და დაეხმარა ფესტივალს. ნელს, თანხების სიმცირის გამო ბევრ დიდ ვარსკვლავზე მოგვიხდა უარის თქმა. შემცირებული ვარიანტი გვქონდა, მაგრამ ხარისხი და დონე იგივეა.

- ყოველ წელს გყავდათ ბათუმის ჯაზფესტივალზე ქართველი შემსრულებლები, წელს კი ისინი ვერ ვნახე...

- წელს ვერ იქნებოდნენ. იმაზე, რაზეც ბილეთები შეიძლება არ გაყიდულიყო, ის ვერ გავაკეთეთ, დაფინანსების გარეშე რთულია. ჩანაფიქრში კი იყო. საერთოდ, ყოველ წელს ასეა, ფესტივალი უნდა გაიზარდოს... წელსაც გვინდოდა ბევრი არტისტი ყოფილიყო, მათ შორის ქართველებიც. შარშან პროდიუსერები და მენეჯერები ძალიან აკვირდებოდნენ ქართველ მუსიკოსებს, მერე კი მათი მინვევა სხვადასხვა კონკურსებსა და ფესტივალებზე ხდებოდა. ნიუ ორლეანელი დირექტორი იყო ჩამოსული და სალომე კორკოტა იპოვა. სალომე იქ მოხვდა ფესტივალზე და 40 000 მსმენელის წინაშე გავიდა. ჯემსეიშენზე ბექა გოჩიაშვილმა და DJ LOGIC-მა დაუკრეს ერთად, მერე კი ისე მოხდა, რომ დღეს ნიუ-იორკში სტუდიაში არიან და ერთობლივ ალბომს უშვებენ. აქედან გამომდინარე, ქართული საქმე კეთდება ფესტივალებით. რაც არ უნდა მაგრად იმღერო და კონკურსებში გამოხვიდე თბილისში და საქართველოს მასშტაბით ეს არ არის არაფერი, თუ საერთაშორისო არენაზე არ გახვედი. ეს ფესტივალი კი ზუსტად იმის ერთ-ერთი შანსია, მსოფლიოს დაანახო ვინ ხარ... ამიტომ იმდენად დიდი ხარჯები სჭირდება ასეთ ფესტივალებს, რომ სახელმწიფოს დახმარების გარეშე წარმოუდგენელია. ამ ეტაპზე კი მთავარია, რომ ტარდება. ერთი წელი რომ ამოვარდეს ფესტივალი, მერე ხუთი წელი გინდა, რომ ამ დონეზე დაბრუნდე, საერთაშორისო იმიჯი უნდა შეინარჩუნო. ამიტომ გვირჩევნია არ ჩავარდეს, გავაკეთოთ და ნელ-ნელა გავაფართოვოთ.

18 ივლისი - AL JARREAU;
19 ივლისი - MIKE STERN / VICTOR WOOTEN BAND;
20 ივლისი - CARMEN SOUZA QUARTET;
21 ივლისი - JOSE JAMES.

„ამ ეტაპზე კი მთავარია, რომ ტარდება. ერთი წელი რომ ამოვარდეს ფესტივალი, მერე ხუთი წელი გინდა, რომ ამ დონეზე დაბრუნდე“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პიანისტი დეპის რეალური

my View
დეა თავგერიძე

თამარი შვეიცარიაშია - ბერნში, ნათია საქართველოში - თბილისში. უკვე 4 წელია რაც ასეა. მანამდე კი ერთმანეთის გარეშე ერთ წუთსაც ვერ ძლებდნენ... ამჯერად ის ბედნიერი შემთხვევაა, როცა მონატრებული დები ზაფხულის რამდენიმე კვირას ერთად ატარებენ. ისინი იმ პროგრამაზეც მუშაობენ, რომელიც უცხოეთში, რამდენიმე ქვეყანაში ერთად უნდა დაუკრან. თამარსა და ნათია ბერაიებს მუსიკალურ სამყაროში, როგორც კარგ დუეტს ისე იცნობენ. თამარმა პოპულარობა ევროპაში საკმაოდ ახალგაზრდამ მოიპოვა. შვეიცარია, გერმანია, საფრანგეთი, ესპანეთი, ავსტრია - ეს ის ქვეყნებია, სადაც მისი კონცერტები წინასწარ, რამდენიმე წლით ადრეა დაგეგმილი... ერთი წელია პიანისტის კონცერტებზე აგენტი ზრუნავს, მან თამარი ერთ-ერთ კონკურსზე აღმოაჩინა.

თამარ ბერაია: „ეს ესპანეთის სანტანდერის საერთაშორისო კონკურსზე იყო, მე იქ 16 დღე დავყავი. საკმაოდ რთული, ოთხტურიანი კონკურსია. ჯერ სიდი უნდა გაგზავნო, მერე მსოფლიოს სხვადასხვა მნიშვნელოვან ქალაქში ჟიურომ მონაწილეებს უნდა მოუსმინოს და მხოლოდ ამის შემდეგ ირჩევა 170-დან 25 კონკურსანტი. სიდის გაგზავნის შემდეგ შესარჩევი ტური პარიზში გავიარე, მერე კი სანტანდერში მიმიწვიეს. ჯერ 2 სოლო ტური მქონდა, შემდეგ, კაზალსის ცნობილ კვარტეტთან ერთად შევასრულე კამერული ანსამბლი, ამას მოჰყვა მოცარტის კონცერტი ფილარმონიის კამერულ ორკესტრთან და ბოლოს ფინალი მადრიდის სიმფონიური ორკესტრის თანხლებით. ეს ყველაფერი იმით დაგვირგვინდა, რომ ფინალისტი გავხდი, მესამე პრემიის მფლობელი და ასევე პუბლიკის სიმპათია დავიმსახურე. ყველაზე სასიამოვნო და მთავარი იყო ის ფაქტი, რომ კონკურსზე იყო სპეციალურად გერმანიიდან ჩამოსული აგენტი, რომელსაც კონკურსთან შეთანხმება ჰქონდა, რომ პირველი პრემია სააგენტოში უნდა აეყვანა, მაგრამ პირველი პრემია არ გაიცა“.

როგორც მოგვიანებით პიანისტმა შეიტყო, აგენტმა თავიდანვე შეამჩნია და თქვა - მე არ მაინტერესებს პირველი პრემია, ამყავს თამარი. კონტრაქტს ხელი მალევე მოაწერეს და უკვე ერთი წელია თანამშრომლობენ, ამ ერთი წლის მანძილზე ძალიან ბევრი კონცერტი ჩატარდა, განსაკუთრებით ესპანეთში. თამარით პოპულარული ფესტივალები და ცნობილი ლეიბლები დაინტერესდნენ. შედეგად ნოემბერში, გერმანიაში, მისი სოლო დისკი ჩაიწერება ... აგენტმა სურვილი გამოთქვა დების დუეტიც მოესმინა.

თამარ ბართაია: - ჩვენ გავუგზავნეთ მას ჩანაწერები, ძალიან მოეწონა, არაჩვეულებრივი დუეტიაო თქვა და ევროპული ტურიც დაგვიგეგმა. თავიდან იქნება საფრანგეთი-გერმანია-შვეიცარია, ვიმედოვნებ, რომ მომავალშიც გაგრძელდება. ცნობილი კანადელი პიანისტის იანინა ფიალკოვსკას მიწვევით კი ყოველწლიურად მონაწილეობას ვიღებთ გერმანიაში მის მიერ გამართულ ფესტივალზე.

- დღეში რამდენ საათს გიხდებათ მეცადინეობა?

- ჩემთვის იდეალურია, როდესაც 4-5 საათს ვუკრავ დღეში, რა თქმა უნდა, კონკურსის პერიოდში უფრო მეტს ვუკრავ. დაღლა არ არის, უფრო სწორად სასიამოვნო დაღლაა ჩემთვის. მაძლევს ენერგიას, რომ მერე დღე კარგად გავატარო. ის დღე როდესაც ნაყოფიერად ვიმეცადინებ ჩემთვის კარგია.

- კლასიკური მუსიკის მოსმენა რა მხრივ ცვლის ადამიანს?

- კლასიკური მუსიკა სუფთას ჰხდის ადამიანს, ყოველდღიურობიდან სხვა სამყაროში გადაჰყავს ... ალბათ, ამიტომ უყვართ ხელოვანებს მეცადინეობა, დაჯდები თუ არა ინსტრუმენტთან, ეგრევე სხვა სამყაროში აღმოჩნდები.

- რა მოგცათ შვეიცარიაში გატარებულმა წლებმა და იყო თუ არა რთული შეგუებოდით უცხო ქვეყანას?

- იქ ცხოვრების ოთხმა წელმა დიდი დამოუკიდებლობა მომცა, თბილისში პედაგოგებზე ვიყავი დამოკიდებული, ასევე დედაზე, რომელიც მუსიკის მასწავლებელია, ჩემი დაც აქ იყო, ყველაფერს ერთად ვაკეთებდით. ხელოვანისთვის, განსაკუთრებით პიანისტისთვის, რომ გაიზარდოს, აუცილებელია უცხოეთში წასვლა და იქაური ცხოვრების ნახვა. იქ ძალიან ბევრი საინტერესო რამ ხდება, ძალიან კარგი კონცერტები, ურთიერთობები, კონკურსები, სააგენტოები, ეცნობი იქაურ პუბლიკას... ჩემმა პედაგოგებმა ქალბატონმა დოდო ცინცაძემ და ქალბატონმა ნანა ხუბუტიამ იმდენი რამ მოგვცა მე და ჩემს დას, რომ, პროფესიის მხრივ, არ გამიჭირდა. დარწმუნებული ვიყავი საკუთარ შესაძლებლობებში, ცოდნაში, ძალიან დიდი საფუძველი მოგვცა ამ ორმა ადამიანმა, ეს ბევრს ნიშნავს. მე შვეიცარიაში ორი წელი ვისწავლე ლუზერნის კონსერვატორიაში, ძალიან კარგ მუსიკოსთან ივან კლანსკისთან, წარმატებით დავასრულე კონსერვატორიის უმაღლესი საფეხური. ივან კლანსკი ძალიან დამეხმარა და ბევრი საჭირო თვისება შემძინა.

ამ ქართველი პიანისტის ვიდეორგოლს მუსიკალურ არხ „მეცოზე“ წლების წინათ ნახავდით. სწორედ მაშინ, გერმანიის ქალაქ ვერნიგეროდეში პირველი საერთაშორისო კონკურსის „ახალი ვარსკვლავების“ გამარჯვებული გახდა. მაშინ „პრაიმტაიმისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ის თავის ემოციებს ასე გადმოსცემდა.

„სამტურიანი კონკურსი იყო, საკმაოდ დიდი პროგრამით. სამივე ტურში სოლო პროგრამა უნდა დაგვეკრა. ჟიურიში ძალიან ბევრი ცნობილი პიანისტი იჯდა. გერმანიიდან, ავსტრიიდან, ამერიკიდან, რუსეთიდან... სულ სამი ლაურეატი იყო. სანამ გვარებს გამოაცხადებდნენ ვღელავდი. მერე კი ბედნიერებისგან თითქოს მიწა გამომეცალა. - მე პირველი პრემიის მფლობელი გავხდი.

თამარ ბერაია: - როდესაც კონკურსისთვის ვემზადებოდი, ჩემს ქმარს ერთკვირიანი არდადეგები ჰქონდა, დასასვენებლად იტალიაში წავიდეთო. მე ვუთხარი, სახლში დარჩენა და მეცადინეობა მირჩევნია-მეთქი. რა პრობლემა არისო. წაიყვანა ბავშვი და დამტოვა ჩემთვის, სიწყნარეში. როდესაც კონცერტები მაქვს ბავშვს ყოველთვის ჩემი ქმარი უვლის.

- ე. ი. მუსიკოსი მეუღლის ყოველდღიური ოთხსაათიანი მეცადინეობა ქმარს ნერვს არ უშლის?

- პირიქით. ყველანაირად ხელს მიწყობს, თავიდანვე იცოდა, რომ პიანისტი ვარ და მეცადინეობა მჭირდება. იქ უფრო თავისუფალი გაგებაა ამის, ეს ჩემი პროფესიაა, და არავის არა აქვს უფლება, რომ ხელი შემიშალოს. ეს იმას ნიშნავს - ცხოვრება წამართვან. მას ჩემი წარმატება ძალიან უხარია. თავადაც ცდილობს ჩემი კონცერტების ორგანიზება გააკეთოს. ისედაც ხელს ვერანაირად შევუშლი, რადგან დილით გადის და საღამოს 6 საათზე ბრუნდება, როდესაც ის მოდის, მე არ ვუკრავ. მუა დღით კი, როცა შემოირბენს დიასახლისის როლს ვითავსებ და ჩემ მიერ მომზადებულ სადილს ვახვედრებ. მოსწონს ქართული სამზარეულო. მეც, ვცდილობ, რაც უყვარს ის გავუკეთო, თუმცა ავუხსენი ქართულ საჭმელს ხშირად ვერ მოგიმზადებ, ამას ძალიან ბევრი დრო მიაქვს-მეთქი. ამიტომ ვცდილობ ევროპულად, ადვილად გამოვიდე. ჩემი მეუღლე მუშაობს ბერნში საგარეო საქმეთა სამინისტროში.

თამუნა ბერაია - „კლასიკური მუსიკა სუფთას ჰხდის ადამიანს, ყოველდღიურობას ავიწყებს და სხვაგან გადაჰყავს... დაჯდები თუ არა ინსტრუმენტთან, ეგრევე სხვა სამყაროში აღმოჩნდები“

თამუნა ბერაია: „ეს ჩემი ჰროფესიაა, და არავის აქვს უფლება, რომ ხელი შემიშალოს. ეს იმას ნიშნავს - ცხოვრება წამართვან“

თამუნა ბერაია: „დოდო ცინცაძემ და ნანა ხუბუტიამ იმდენი რამ მოგვცა მე და ჩემს დას, რომ უცხოეთში, პროფესიის მხრივ, საერთოდ არ გამიჭირდა. ჩემს შესაძლებლობებში, ჩემს ცოდნაში, დარწმუნებული ვიყავი, ეს ბევრს ნიშნავს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

საქმე და სამომავლო გეგმა

„მას აქვს უნაკლო ტექნიკა, ძალიან საინტერესო ინტერპრეტაციები და თან ბუნებრივი, საოცარი მუსიკალურობა - ასევე ის არის თავმდაბალი, ლაღი და უშუალო, რაც იშვიათია პიანისტებში“...

ნათია ბერაია: „მთელი ცხოვრება ერთმანეთის პარალელურად მოვდივართ. ერთმანეთის წარმატება ჩვენთვის დიდი სტიმულია.“

ნათია ბერაია: „მინდა, სახელმწიფო მიხვდეს რა არის პრიორიტეტი, მიხვდეს, რომ ხელოვნება გადაარჩენს საქართველოს“

- უცხოეთში პუბლიკა როგორ ხვდება ხოლმე თქვენს გამოსვლებს?

- სხვადასხვა ქვეყანა სხვადასხვანაირად გამოხატავს ამას. გერმანიაში ყოველთვის სიამოვნებით ვუკრავ. იქ მსმენელი ძალიან დიდ პატივს სცემს ამ ხელოვნებას, კონცერტზე მოდიან კულტურის გასაცნობად, ახალი პიანისტის აღმოსაჩენად და არა ლამაზი სამოსის წარმოსაჩენად. ესპანეთშიც ოვაციებს ხმამაღლა გამოხატავენ, მერე ფეხზე დგებიან, მოდიან და გეუბნებიან, რომ ძალიან კარგი იყავი და მათ დიდი სიამოვნება მიანიჭე. ეს დიდი ბედნიერებაა. შვეიცარიაში, ამ მხრივ, პირიქითაა, ბევრად თავშეკავებულები არიან, იქ უხერხულია კონცერტის მერე შეაწუხო არტისტი.

ეს უცხოეთში, ქართველი თაყვანისმცემლები კი ახალგაზრდა მუსიკოსს ასე აფასებენ: „თამარ ბერაია თანამედროვე ქართველი მუსიკოსებიდან ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფიგურაა. მას აქვს უნაკლო ტექნიკა, ძალიან საინტერესო ინტერპრეტაციები და თან ბუნებრივი, საოცარი მუსიკალურობა - ასევე ის არის თავმდაბალი, ლაღი და უშუალო, რაც იშვიათია პიანისტებში... საქართველოში კონცერტი ბოლოს 2009 წელს ჰქონდა. როგორც პიანისტი ამბობს, თავის სამშობლოში დაკვრა დღეს მისი ყველაზე დიდი სურვილია. თამარისგან განსხვავებით, ნათია კლასიკური მუსიკის კონცერტებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში უკრავს. კონცერტები, კონკურსები, პრიზები და ცნობილი მუსიკოსების ქება არც საქართველოში მყოფ დას აკლია.

ნათია ბერაია: - მთელი ცხოვრება ერთმანეთის პარალელურად მოვდივართ. ერთმანეთის წარმატება ჩვენთვის დიდი სტიმულია. ერთმანეთის დაკვრას ყველაზე მეტად განვიცდით. როდესაც თამუნას სოლო კონცერტი ჰქონდა, მე დარბაზში მასზე მეტად ვნერვიულობდი. თამუნაც ასეა. არ ვნერვიულობთ მხოლოდ მაშინ, როცა ერთად ვუკრავთ... ჩვენი პირველი პედაგოგი დედა, თინათინ სხირტლაძე იყო. ის ამჟამად ნიჭიერთა ათწლედის პედაგოგია. მახსოვს, პირველად კონცერტზე რომ წავედით, დედა სწორედ თავის მეგობართან ერთად უკრავდა დუეტში. ეს იყო ათწლედის დარბაზში, მე სამი წლის ვიყავი, თამუნა ორის. ვიდეოც არის, კონცერტი მორჩა თუ არა თამუნა სცენაზე ავარდა და რაღაცების დაკვრა დაიწყო, ანუ ინსტრუმენტზე ტყაპუნი, ძალიან სასაცილო იყო.

ბავშვობა, სტუდენტობა და პედაგოგები

დუეტის დაკვრა არც მახსოვს როდის დავიწყეთ. ძალიან მხიარული და ბედნიერი ბავშვობა გვქონდა. მუსიკასთან ერთად ვიზრდებოდით. ეს ყველაზე კარგად მახსენდება, ნიჭიერთა ათწლედში სწავლისას, გაკვეთილზე მისვლა ისე გვიხაროდა, რომ ერთმანეთს ვასწრებდით ხოლმე, რომელი დაჯდებოდა პირველი ინსტრუმენტთან. ნიჭიერთა ათწლედში ძალიან ცნობილი პედაგოგი, დოდო ცინცაძე გვასწავლიდა, მან ბევრი ქართველი პიანისტი აღზარდა.

სულ პატარები ვიყავით, 9-10 წლის, როდესაც სანკტ-პეტერბურგში გამართულ დუეტების საერთაშორისო კონკურსზე პირველი ადგილი მოვიპოვეთ, ყველას მოსწონდა ჩვენი დაკვრა, დუეტი, ხალხისგან იმდენ სითბოს ვგრძნობდით, რომ ამის გარდა არაფერი გვინდოდა. დაკვრა იყო ჩვენი ბედნიერება. მე და ჩემს დას უცხოეთში გასვლები, კონცერტები და კონკურსები ყოველ წელს გვქონდა.

9 წლის იყო თამუნა, როდესაც ვილნიუსში პირველ კონკურსზე გავიდა და პირველი ადგილი მოიპოვა. მერე სანკტ-პეტერბურგი იყო, რასაც იტალია მოჰყვა, „ბრავო-ბრავისიმოს“ ფესტივალი. ეს იყო სატელევიზო ფესტივალი, რომელიც კრემონაში ტარდებოდა. ეს იყო 1997 წელი. საქართველოსთვის იყო უმუქობის, სიცივის და არეულობის პერიოდი, ჩვენ კი ამ მუსიკის მეშვეობით სხვა სამყაროში შევაბიჯეთ. ეს ძალიან დიდი სტიმული იყო ჩვენთვის.

მერე კონსერვატორიის წლები გავიარეთ, გენიალურ ქართველ პროფესორთან ნანა ხუბუტიასთან 6 წელი ვისწავლეთ. მაგისტრატურაც დავამთავრეთ, კონსერვატორიაში სწავლის პერიოდში ძალიან ბევრი გასვლები გვქონდა. თამუნა პირველი პრემიის მფლობელი გახდა, თბილისის საერთაშორისო კონკურსზე, მე უკრაინაში მესამე პრემიის მფლობელი, ასევე კონკურსის საუკეთესო ქალ პიანისტად დამასახელეს.

სოლო კონცერტები ამერიკაში

„2007 წელს ამერიკაში, ქართველმა პიანისტმა, ეთერ ანჯაფარიძემ ჩაგვიყვანა. გვქონდა სოლო კონცერტებიც, დუეტშიც დავუკარით. მერე ჩიკაგოს რადიოში მიგვიწვიეს. გვეგონა, ჩვეულებრივი ჩაწერა იქნებოდა, მაგრამ პირდაპირი ჩართვა აღმოჩნდა, რომელსაც ხალხი ესწრებოდა, იქვე იყო კონცერტიც. ასე რომ, პირდაპირ ეთერში თან ვუკრავდით, თან ვსაუბრობდით. თავიდან ძალიან დავიბენით, ამგვარი შემთხვევა არასდროს გვქონია. დიდი სიურპრიზი იყო ჩვენთვის, მაგრამ ყველაფერმა წარმატებით ჩაიარა“.

რეალური საქმე და სამომავლო გეგმა

„კლასიკური მუსიკა საქართველოს ყველა კუთხეში, - ეს პროექტი ჩემი და ჩემი მეუღლის დაჩი თაქთაქიშვილის ინიციატივით კეთდება, ჩემი მეუღლეც პიანისტია. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში ძალიან რთულია მუსიკოსის ცხოვრება და პიანისტებისთვის თითქმის არაფერი ხდება, გადავწყვიტეთ დაგვეწყო ეს პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციას საქართველოში. იმდენ სხვა დაბალი დონის მუსიკაზეა ახალგაზრდობის ყურადღება გადატანილი, ტელევიზიის, რადიოს, ხალხის და სახელმწიფოს მხრიდან, რომ ამის საჭიროება ნამდვილად არსებობს. გადაშენების პირასაა კლასიკური მუსიკა საქართველოში. ამიტომ გადავწყვიტე ამ პროექტის განხორციელება რეგიონებიდან დამეწყო. იქ მცხოვრებ ბავშვებს პირველ რიგში, ვასმენინებთ კლასიკური მუსიკის კონცერტს, რომელსაც მე ვმართავ, მერე კი ჩემი მეუღლე ატარებს მასტერკლასს, თვითონაც აქვთ იმის საშუალება, რომ დაუკრან, თავიანთი თავი გაგვაცნონ და სამომავლოდ ნიჭის რეალიზება მოახდინონ.

ვიყავით რუსთავში, მცხეთაში, გორში, ქარელში, ქუთაისში და თელავში. ექვს ქალაქში დავუკარი ექვსი სოლო კონცერტი და ასევე ჩატარადა მასტერკლასები. თავიდან ეს პროექტი ჩემი ინიციატივით დავიწყე, შემდეგ კულტურის სამინისტროსაც გავაცანი და ბოლო სამ კონცერტში მხარდაჭერა გამოიცხადეს. არ ვაპირებ გაჩერებას, მინდა რომ ამ პროექტმა მთელი საქართველო მოიცვას... თებერვალში კი, უცხოეთში, თამუნასთან ერთად ძალიან დიდი ტური გვაქვს დაგეგმილი და ეს მახარებს. ჩემი სურვილია, რომ საქართველოშიც განახორციელოთ იგივე პროგრამა, რასაც უცხოეთში დავუკრავთ...

ასევე ძალიან მინდა, რომ ჩვენი ქვეყანა, ხელოვნებისა და კულტურის მხრივ, განვითარების ისეთ მაღალ დონეზე დავინახო, როგორიც ევროპის ქვეყნებშია, კარგი იქნება, რომ ახალგაზრდობამ შეძლოს გარჩევა, რა არის მართლა ნამდვილი, მაღალი დონის ხელოვნება და რა ნაკლებად მნიშვნელოვანი. ეს სჭირდება ჩვენს ქვეყანას, რადგან მხოლოდ კულტურა გადაგვარჩენს. არც ერთი სხვა სფეროს წარმომადგენლები ასეთ სახელს არ უხვეჭენ ქვეყანას, როგორც ხელოვანი ადამიანები, ჩვენი ხელოვანები წარმატებით გამოდიან მსოფლიოს დიდ სცენებზე. როდესაც ამას გააცნობიერებს სახელმწიფო, რომ ხელოვანი ადამიანების კისერზეა ჩვენი ქვეყნის დონის ამაღლება და კულტურის გადარჩენა, აი, მაშინ გვეშველება... მინდა სახელმწიფო მიხვდეს რა არის პრიორიტეტი, მიხვდეს, რომ ხელოვნება გადაარჩენს საქართველოს.



ნათია ბერაია: „არ ვაპირებ გაჩერებას, მინდა, რომ ამ პროექტმა მთელი საქართველო მოიცვას“...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N29 (227), ორშაბათი 22 ივლისი 2013 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

„ბერას მადლიერი ვარ, „საქართველოს ვარსკვლავში“ როგორიც გამოვედი, მისი დამსახურებაა“

exclusive

ნინა სუბლათი ახალი ცხოვრებით - პოპულარობა, თავისუფლება, ლონდონი

„ჩვენ გამოგVIVA“-ს ახალი პროექტი - მემორანდუმი და არტთერაპია რეგიონებში

exclusive

პიანისტი დეგის რეალური საქმე და სამომავლო გეგმა

exclusive

„გიო და ბიჭები“ - ქართული ბოსანოვა „ლათინო ბოის ბენდთან“

exclusive

ISSN 1987-7404

9 771987 740005

ბათუმის Black Sea Jazz Festival-ი და უფინანსობით გამოწვეული კრიზისი

„იქნებ მომავალ წელსაც დამპატიჟოთ, დიდი სიამოვნებით ჩამოვალ საქართველოში, რადგან განსაკუთრებით მომწონს აქაურობა“

exclusive

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება